ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების მოსალოდნელი შედეგები და ინდიკატორები

ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

კოდი	დასახელება	2016 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2017 წლის პროგნოზი	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი
35 02	მოსახლეობის სოციალური დაცვა	2,273,000.0	2,273,000.0	-	2,400,000.0	2,600,000.0	2,800,000.0
35 03	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა	801,475.0	801,475.0	-	835,000.0	880,000.0	930,000.0
35 01	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვა	52,400.0	51,500.0	900.0	52,900.0	53,000.0	53,000.0
29 03	სოციალური და სამედიცინო უზრუნველყოფა	46,745.0	41,375.0	5,370.0	49,000.0	50,000.0	55,000.0
35 04	სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა	32,000.0	32,000.0	-	35,000.0	35,000.0	35,000.0
54 00	სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური	7,450.0	7,450.0	-	8,000.0	8,000.0	8,000.0
35 05	შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა	4,025.0	4,025.0	-	4,500.0	4,500.0	4,500.0
30 04	შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა	3,861.0	3,761.0	100.0	4,100.0	4,300.0	4,500.0
57 00	ა(ა)იპ - საქართველოს სოლიდარობის ფონდი	260.0	260.0	-	260.0	260.0	260.0
სულ		**3,221,216.0**	**3,214,846.0**	**6,370.0**	**3,388,760.0**	**3,635,060.0**	**3,890,260.0**

მოსახლეობის სოციალური დაცვა (35 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	მოქალაქეთათვის კანონმდებლობით გარანტირებული სოციალურ-ეკონომიკური უფლებების რეალიზაცია, მიზნობრივი სოციალური ჯგუფების მატერიალური მდგომარეობის შემსუბუქება და შშმ პირთა (მათ შორის ბავშვთა), ხანდაზმულთა და მზრუნველობას მოკლებულ, სოციალურად დაუცველ, მიუსაფარ და მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია, რომელთა უზრუნველყოფაც ხორციელდება პრევენციული, სარეაბილიტაციო, ალტერნატიული, ოჯახის გასაძლიერებელი მომსახურებებით და დამხმარე საშუალებებით; პროგრამის ფარგლებში ხორციელდება საპენსიო ასაკის მოსახლეობის პენსიით (ქალები 60 წელი, მამაკაცები 65 წელი) და სპეციფიკური კატეგორიების (ძალოვანი სტრუქტურების, პროკურატურის, სამოქალაქო ავიაციის, პარლამენტის ყოფილი წევრების, უმაღლესი რანგის დიპლომატების და სხვა) სახელმწიფო კომპენსაციით უზრუნველყოფა; მიზნობრივი სოციალური ჯგუფებისთვის გაიცემა: სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისათვის საარსებო შემწეობები; მიზნობრივი ჯგუფებისთვის სოციალური პაკეტი; ლტოლვილთა-დევნილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა შემწეობები; რეინტეგრაციის შემწეობა; დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის ფულადი ბენეფიტები; ორსულობის და მშობიარობის, ბავშვის მოვლის ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარება; შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მოქალაქეთათვის კანონმდებლობით გარანტირებული და რეალიზებული სოციალურ-ეკონომიკური უფლებები; მოწყვლადი ჯგუფების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, დეინსტიტუციონალიზაცია, პრევენცია; შშმ პირთა უწყვეტი ფინანსური მხარდაჭერა; ოჯახების გაძლიერება, ალტერნატიული სერვისების განვითარება და მათი ხელმისაწვდომობის გაზრდა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - პენსია და კომპენსაცია გაიცემა დროულად კანონით განსაზღვრული ბენეფიციარებისათვის; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - პენსია და კომპენსაცია გაიცემა დროულად კანონით განსაზღვრული ყველა ბენეფიციარებისათვის; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2% 2. **საბაზისო მაჩვენებელი** - საარსებო შემწეობის მიმღები სოციალურად დაუცველი პირები უზრუნველყოფილი არიან სოციალური დახმარებებით;

	მიზნობრივი მაჩვენებელი - საჭიროებიდან გამომდინარე საარსებო შემწეობით უზრუნველყოფილია ყველა სოციალურად დაუცველი პირი **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით ყველა შშმ პირი უზრუველყოფილია დახმარებით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შშმ პირების დახმარება გაიცემა საჭიროებების გათვალისიწინებით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5% **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ბავშვთა მცირე საოჯახო ტიპის სახლის შემთხვევაში (7 სახლი) - 30 % სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს, დანარჩენი ნაწილობრივ; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მომსახურებათა 40% სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10% **5.** **საბაზისო მაჩვენებელი** - შშმ პირთა (მათ შორის ბავშვთა) 11 დღის ცენტრიდან - 40 % სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებს სრულად, დანარჩენი ნაწილობრივ; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მომსახურებათა 50% სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10% **6.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 13 სათემო ორგანიზაციიდან 34% დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებს სრულად, დანარჩენი ნაწილობრივ; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მომსახურებათა 45% სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%

მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფა (35 02 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება საპენსიო ასაკის მოსახლეობის პენსიით (ქალები 60 წელი, მამაკაცები 65 წელი) და სპეციფიკური კატეგორიების (ძალოვანი სტრუქტურების, პროკურატურის, სამოქალაქო ავიაციის, პარლამენტის ყოფილი წევრების, უმაღლესი რანგის დიპლომატების და სხვა) სახელმწიფო კომპენსაციით უზრუნველყოფა; მოქალაქეთათვის კანონმდებლობით გარანტირებული სოციალურ-ეკონომიკური უფლებების რეალიზაცია.

პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	საპენსიო ასაკის მოსახლეობა და სპეციფიური კატეგორიები უზრუნველყოფილია პენსიით და სახელმწიფო კომპენსაციით.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - პენსია გაიცემა დროულად კანონით განსაზღვრული ბენეფიციარებისათვის (705.0 ათასამდე პენსიონერი); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - პენსია გაიცემა დროულად კანონით განსაზღვრული ბენეფიციარებისათვის (776.0 ათასამდე პენსიონერი); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2%; **შესაძლო რისკები** - ასაკით პენსიონერთა ნაკლები მომართვიანობა, რაც შესაძლებელია გამოწვეული იყოს მათ შორის საჯარო სამსახურში დასაქმებით, ქვეყნის დატოვებით და სხვა გარემოებებით 2. **საბაზისო მაჩვენებელი** - კომპენსაცია გაიცემა დროულად კანონით განსაზღვრული ბენეფიციარებისათვის (20.7 ათასამდე სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - კომპენსაცია გაიცემა დროულად კანონით განსაზღვრული ბენეფიციარებისათვის (21.0 ათასამდე სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - კომპენსაციების მიმღებთა ნაკლები მომართვიანობა, რაც შესაძლებელია გამოწვეული იყოს მათ შორის საჯარო სამსახურში დასაქმებით, ქვეყნის დატოვებით და სხვა გარემოებებით

მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება (35 02 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში მიზნობრივი სოციალური ჯგუფებისთვის გაიცემა: სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისათვის საარსებო შემწეობები; მიზნობრივი ჯგუფებისთვის სოციალური პაკეტი; ლტოლვილთა-დევნილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა შემწეობები; რეინტეგრაციის შემწეობა; დემოგრაფიული მდგომარეობის ფულადი ბენეფიტები; ორსულობის და მშობიარობის, ბავშვის მოვლის ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარება; შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება; პროგრამის მიზანია მიზნობრივი სოციალური ჯგუფების მატერიალური მდგომარეობის შემსუბუქება.

პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მიზნობრივი სოციალური ჯგუფებისათვის სოციალური ტრანსფერის გაცემა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილი არიან სოციალური დახმარებებით და გაცემა ხდება დროულად (168.0 ათასამდე სოციალური პაკეტის მიმღები, 240.0 ათასამდე დევნილი, ლტოლვილი ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირი, 400.0 ათასამდე სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი პირი და სხვა); უღარიბესი დეცილის გადაფარვა მიზნობრივი სოციალური დახმარებით - 50%; ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებელი - 22.4%; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საარსებო შემწეობით უზრუნველყოფილია ყველა სოციალურად დაუცველი პირი საჭიროებიდან გამომდინარე; შენარჩუნდება საარსებო შემწეობის დროულად გაცემის მაჩვენებელი (758.0 ათასამდე ბენეფიციარი); უღარიბესი დეცილის გადაფარვა მიზნობრივი სოციალური დახმარებით - 60%; ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებელი - 20%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2%

სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვზე ზრუნვა (35 02 03)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებული ბავშვების უზრუნველყოფა ხორციელდება პრევენციული, სარეაბილიტაციო, ალტერნატიული, ოჯახის გასაძლიერებელი მომსახურებებით და დამხმარე საშუალებებით, რათა მოხდეს მათი ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია; პროგრამის მიზანია შშმ პირთა (მათ შორის ბავშვთა), ხანდაზმულთა და მზრუნველობას მოკლებულ სოციალურად დაუცველ მიუსაფარ და მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სოციალური სერვისებით და პროდუქტებით მიზნობრივი ჯგუფების უზრუნველყოფა
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - დაახლოებით 10 000 ბენეფიციარი; სერვისებისთვის გაცემული რეკომენდაციების და სტანდარტების შესრულების მაჩვენებელი 80%;

	მიზნობრივი მაჩვენებელი - დაახლოებით 13 500 ბენეფიციარი; სერვისებისთვის გაცემული რეკომენდაციების და სტანდარტების შესრულების მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 7%; **შესაძლო რისკები** - მონიტორინგის არასრული მექანიზმი

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა (35 03)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო; სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი; სსიპ - სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი
პროექტის აღწერა და მიზანი	ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე მოსახლეობის ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდა; დაავადებათა პრევენციის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის საფრთხეებისათვის მზადყოფნის და საპასუხო რეაგირების უზრუნველყოფა; გეგმური ამბულატორიული, გადაუდებელი ამბულატორიული და სტაციონარული, გეგმური ქირურგიული მომსახურება, ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია; მშობიარობისა და საკეისრო კვეთის სერვისების დაფინანსება. ბენეფიციართა გარკვეული ჯუფების (მაგ.: სოციალურად დაუცველი, საპენსიო ასაკი, ვეტერანები) შესაბამისი მედიკამენტებით უზრუნველყოფა; მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა პრევენცია; იმუნიზაცია, დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის ხელშეწყობა, ასევე, ისეთი გადამდები დაავადებების, როგორიცაა ტუბერკულოზი, მალარია, ვირუსული ჰეპატიტები, აივ-ინფექცია, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების გავრცელების კონტროლი; ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე მოსახლეობის სპეციალიზებული დახმარებით უზრუნველყოფა; დიაბეტით დაავადებული პაციენტების მკურნალობა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურება; თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებული პაციენტების დიალიზით, თირკმლის ტრანსპლანტაციითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; ინკურაბელური პაციენტების მკურნალობა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; იშვიათი დაავადებების მქონე პაციენტთა მკურნალობითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; სასწრაფო სამედიცინო დახმარების, სამედიცინო ტრანსპორტირებისა და სოფლად ამბულატორიული მომსახურებით უზრუნველყოფა; რეფერალური დახმარების უზრუნველყოფა; სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება;

	საქიმო სპეციალობის მაძიებელთა დიპლომისშემდგომი/სარეზიდენტო მზადების დაფინანსება მაღალმთიანი და საზღვრისპირა მუნიციპალიტეტებისათვის დეფიციტურ და პრიორიტეტულ საქიმო სპეციალობებში.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებით უნივერსალური მოცვა; სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირება; დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის გაუმჯობესება; ონკოლოგიური დაავადებების მქონე პირთა სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის გაზრდა; გადამდები და არაგადამდები დაავადებებით სიკვდილიანობისა და ავადობის შემცირება; ტუბერკულოზით, აივ–ინფექცია/შიდსით და სხვა სოციალურად საშიში დაავადებებით ავადობის შემცირება; ვაქცინებით მართვადი ინფექციებით გამოწვეული სიკვდილიანობის თავიდან აცილება; C ჰეპატიტის გავრცელების შემცირება; საზღვრისპირა და მაღალმთიან რეგიონებში ადამიანური რესურსების უზრუნველყოფა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - ტუბერკულოზის ინციდენტობა და პრევალენტობა; შიდსის გვიანი გამოვლენის მაჩვენებელი; იმუნიზაციით მართვადი დაავადებების ინციდენტობა; სარძევე ჯირკვლისა და საშვილოსნოს ყელის კიბოთი პირველად აღრიცხულ პირთა პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც დიაგნოზის გამოვლენიდან ერთ წელიწადში გარდაიცვალა; ჩვილ ბავშვთა და დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - გაგრძელდება და შენარჩუნებული იქნება მოსახლეობის უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურებით, შემცირდება სიკვდილიანობის მაჩვენებელი

მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა (35 03 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	გეგმური ამბულატორიული, გადაუდებელი ამბულატორიული და სტაციონარული, გეგმური ქირურგიული მომსახურება, ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია; მშობიარობისა და საკეისრო კვეთის სერვისები; ბენეფიციართა გარკვეული ჯუფების

	(მაგ.: სოციალურად დაუცველი, საპენსიო ასაკი, ვეტერანები) შესაბამისი მედიკამენტებით უზრუნველყოფა; ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე მოსახლეობის ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სიკვდილიანობისა და ავადობის მაჩვენებლების შემცირება; სახელმწიფოს მიერ სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფილი მოსახლეობა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი -** სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1000 მოსახლეზე - 13,2; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირება 2%-ით **2.** **საბაზისო მაჩვენებელი -** დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება: 1 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა 1000 ცოცხლადშობილზე - 9,5; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება: 1 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირება - 2%-ით **3.** **საბაზისო მაჩვენებელი -** დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება: დედათა სიკვდილიანობა 100 000 ცოცხლადშობილზე - 31,5; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება: დედათა სიკვდილიანობის მაჩენებლის შემცირება 1%-ით **4.** **საბაზისო მაჩვენებელი -** გეგმურ ამბულატორიულ მომსახურების მოცვის ზრდა: 1 სულ მოსახლეზე გეგმური მიმართვების რაოდენობა - 3,2; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** გეგმურ ამბულატორიულ მომსახურების მოცვის ზრდა: 1 სულ მოსახლეზე გეგმური მიმართვების რაოდენობა - 3,8; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** დაბალი; **შესაძლო რისკები -** მომსახურების ფასების ზრდა

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა (35 03 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო; სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

პროექტის აღწერა და მიზანი	იმუნიზაციის, დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის ხელშეწყობა, ისეთი გადამდები დაავადებების, როგორიცაა ტუბერკულოზი, მალარია, ვირუსული ჰეპატიტები, აივ-ინფექცია, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების გავრცელების კონტროლი და მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ღონისძიებების განხორციელება; მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა პრევენცია.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	გადამდები და არაგადამდები დაავადებებით სიკვდილიანობისა და ავადობის შემცირება; დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება; ტუბერკულოზით, აივ–ინფექცია/შიდსით და სხვა სოციალურად საშიში დაავადებებით ავადობის შემცირება და ეპიდზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესება; ვაქცინებით მართვადი ინფექციებით გამოწვეული ავადობის შემცირება; C ჰეპატიტის გავრცელების შემცირება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - დედიდან ბავშვზე აივ–ინფექცია/შიდსის გადაცემის თავიდან აცილება; ტუბერკულოზით, აივ–ინფექცია/შიდსით და სხვა პრიორიტეტული დაავადებებით ავადობის შემცირება და ეპიდზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესება; ვაქცინებით მართვადი ინფექციებით გამოწვეული სიკვდილიანობის თავიდან აცილება; დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება; იმუნიზაციის კომპონენტის ფარგლებში მოსახლეობის მოცვის მაჩვენებლის გაუმჯობესება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - გაგრძელდება და შენარჩუნებული იქნება მოსახლეობის უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურებით

დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი (35 03 02 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
პროექტის აღწერა და მიზანი	ძუძუს, საშვილოსნოს ყელის, კოლორექტული და პროსტატის კიბოს სკრინინგი; საშვილოსნოს ყელის ორგანიზებული სკრინინგი გურჯაანის მუნიციპალიტეტის მასშტაბით; 1-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა მსუბუქი და საშუალო ხარისხის მენტალური განვითარების დარღვევების პრევენცია, ადრეული დიაგნოსტიკა და გონებრივი ჩამორჩენილობის

	პროფილაქტიკა; ეპილეფსიის დიაგნოსტიკა და ზედამხედველობა; დაავადებათა ადრეული გამოვლენა და გავრცელების შეზღუდვა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	40-70 ასაკობრივი ჯგუფის ქალებში ძუძუს კიბოს სკრინინგი; 25-60 ასაკობრივი ჯგუფის ქალებში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი; 50-70 ასაკობრივი ჯგუფის კაცებში პროსტატის კიბოს სკრინინგი; 0-6 ასაკის ბავშვებში გონებრივი ჩამორჩენილობის ადრეული გამოვლენა; ეპილეფსიის პირველადი დიაგნოსტიკა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი -** 40-70 ასაკობრივი ჯგუფის ქალებში ძუძუს კიბოს სკრინინგი - 21 000 (2,46%); **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 40-70 ასაკობრივი ჯგუფის ქალებში ძუძუს კიბოს სკრინინგი - 3,5%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 40-70 ასაკობრივი ჯგუფის ქალებში ძუძუს კიბოს სკრინინგი - 15%; **შესაძლო რისკები -** 40-70 ასაკობრივი ჯგუფის ქალებში ძუძუს კიბოს სკრინინგი - ცნობიერების დაბალი დონე 2. **საბაზისო მაჩვენებელი -** 25-60 ასაკობრივი ჯგუფის ქალებში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი - 23 000; (2,01%); **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 25-60 ასაკობრივი ჯგუფის ქალებში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი - 2,5%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 25-60 ასაკობრივი ჯგუფის ქალებში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი - 15%; **შესაძლო რისკები -** 25-60 ასაკობრივი ჯგუფის ქალებში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი - ცნობიერების დაბალი დონე 3. **საბაზისო მაჩვენებელი -** 50-70 ასაკობრივი ჯგუფის კაცებში პროსტატის კიბოს სკრინინგი - 6100, (1,4%); **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 50-70 ასაკობრივი ჯგუფის კაცებში პროსტატის კიბოს სკრინინგი - 1,7%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 50-70 ასაკობრივი ჯგუფის კაცებში პროსტატის კიბოს სკრინინგი - ცნობიერების 15%; **შესაძლო რისკები -** 50-70 ასაკობრივი ჯგუფის კაცებში პროსტატის კიბოს სკრინინგი - დაბალი დონე 4. **საბაზისო მაჩვენებელი -** 0-6 ასაკის ბავშვებში გონებრივი ჩამორჩენილობის ადრეული გამოვლენა: 628 ბავშვი; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 0-6 ასაკის ბავშვებში გონებრივი ჩამორჩენილობის ადრეული გამოვლენა: 650 ბავშვი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 0-6 ასაკის ბავშვებში გონებრივი ჩამორჩენილობის ადრეული გამოვლენა: 15%; **შესაძლო რისკები -** 0-6 ასაკის ბავშვებში გონებრივი ჩამორჩენილობის ადრეული გამოვლენა: გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა 5. **საბაზისო მაჩვენებელი -** ეპილეფსიის პირველადი დიაგნოსტიკა: 1448 პაციენტი;

	მიზნობრივი მაჩვენებელი - ეპილეფსიის პირველადი დიაგნოსტიკა: 1450 პაციენტი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - ეპილეფსიის პირველადი დიაგნოსტიკა:15%; **შესაძლო რისკები** - ეპილეფსიის პირველადი დიაგნოსტიკა: სტიგმა

იმუნიზაცია (35 03 02 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
პროექტის აღწერა და მიზანი	ვაქცინების და ასაცრელი მასალების (შპრიცებისა და უსაფრთხო ყუთების) შესყიდვა; სპეციფიკური (ბოტულიზმის, დიფტერიის, ტეტანუსის, გველის შხამის საწინააღმდეგო) შრატების და ყვითელი ცხელების საწინააღმდეგო ვაქცინების სტრატეგიული მარაგის შესყიდვა; ანტირაბიული სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფა; ვაქცინების, ანტირაბიული სამკურნალო საშუალებების, სპეციფიკური შრატებისა და ასაცრელი მასალების (შპრიცებისა და უსაფრთხო ყუთების) მიღება, შენახვა და გაცემა-განაწილება „ცივი ჯაჭვის“ პრინციპების დაცვით ცენტრალური დონიდან რეგიონულ/რაიონულ ადმინისტრაციულ ერთეულებამდე; წითელას მასიური გავრცელების პრევენციისა და გლობალური ელიმინაციის სტრატეგიით განსაზღვრული ღონისძიებების ფარგლებში, მოსახლეობის არაიმუნურ ან არასრულად იმუნიზებულ ფენებში არაგეგმიური იმუნოპროფილაქტიკის წარმოება; მოსახლეობის დაცვა ვაქცინაციით მართვადი ინფექციებისაგან, მოსახლეობის უზრუნველყოფა ანტირაბიული ვაქცინითა და იმუნოგლობულინით, ასევე, სპეციფიკური შრატებისა და ვაქცინების სტრატეგიული მარაგის შექმნა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	იმუნიზაციით მოცვის გაუმჯობესება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - იმუნიზაციით მოცვის გაუმჯობესება: დყტ კომპონენტის შემცველი ვაქცინის პირველი დოზით მოცვა* (12 თვეზე ნაკლებ ბავშვთა ასაკობრივ კატეგორიაში) - 92,4 %; დყტ კომპონენტის შემცველი ვაქცინის მესამე დოზით მოცვა* (12 თვეზე ზევით ბავშვთა ასაკობრივ კატეგორიაში) - 78,8 %; წწყ1 აცრებით მოცვის მაჩვენებელი 12 თვეზე -93,4 %; წწყ2 აცრებით მოცვის მაჩვენებელი 5 წლის ასაკის ბავშვთა კატეგორიაში - 79,2 %; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - იმუნიზაციით მოცვის გაუმჯობესება: დყტ კომპონენტის შემცველი ვაქცინის პირველი დოზით მოცვა* (12 თვეზე ნაკლებ ბავშვთა ასაკობრივ კატეგორიაში) - 96 %; დყტ კომპონენტის შემცველი ვაქცინის მესამე დოზით მოცვა* (12 თვეზე ზევით ბავშვთა ასაკობრივ კატეგორიაში) - 90 %; წწყ1 აცრებით მოცვის მაჩვენებელი 12 თვეზე -90%; წწყ2 აცრებით მოცვის მაჩვენებელი 5 წლის ასაკის ბავშვთა კატეგორიაში - 90 %;

	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - იმუნიზაციით მოცვის გაუმჯობესება: მუდმივი, დროებითი უკუჩვენებების და უარის დასაშვები ნორმაა 2%; **შესაძლო რისკები** - ცნობიერების დონე, ფასიანი ვაქცინებით იმუნიზაციისადმი მეტი ნდობა

ეპიდზედამხედველობა (35 03 02 03)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
პროექტის აღწერა და მიზანი	ეპიდზედამხედველობის განხორციელება და სამედიცინო სტატისტიკური სისტემის მუშაობა; მუნიციპალური სჯდ ცენტრების მიერ სამოქმედო არეალზე ეპიდზედამხედველობითი ღონისძიებები; მალარიისა და სხვა პარაზიტული დაავადებების პრევენცია და კონტროლი; ნოზოკომიური ინფექციების ეპიდზედამხედველობა; გრიპის სეზონური გავრცელების პრევენციის ღონისძიებების დაგეგმვა (მ.შ. გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინის შესყიდვა) და განხორციელება; გადამდები და არაგადამდები დაავადებების კონტროლი, გამოვლენის, ადექვატური რეაგირებისა და პრევენციის უზრუნველყოფა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ინფექციურ და პარაზიტულ დაავადებათა კონტროლი.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - ინფექციურ და პარაზიტულ დაავადებათა კონტროლი - ჰეპატიტების მარკერებზე (HBsAg, antiHBc და antiHCV) გამოკვლეულ პაციენტთა რაოდენობა 278; მწვავე, და ქრონიკული დიარეის მქონე პაციენტების რაოდენობა, რომელთა განავლის ნიმუშები გამოკვლეულ იქნა ბაქტერიულ, ვირუსულ პათოგენებზე 241; სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებზე გამოკვლეულ პაციენტთა რაოდენობა 61; ნოზოკომიურ ინფექციებზე გამოკვლეული ნიმუშის რაოდენობა 176; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მწვავე, და ქრონიკული დიარეის მქონე პაციენტების რაოდენობა, რომელთა განავლის ნიმუშები გამოკვლეულ იქნა ბაქტერიულ, ვირუსულ პათოგენებზე 500; ნოზოკომიურ ინფექციებზე გამოკვლეული ნიმუშის რაოდენობა 500; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2%

უსაფრთხო სისხლი (35 03 02 04)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

პროექტის აღწერა და მიზანი	დონორული სისხლის კვლევა B და C ჰეპატიტზე, აივ-ინფექცია/შიდსსა და ათაშანგზე; ხარისხის გარე კონტროლისა და მონიტორინგის უზრუნველყოფა; სისხლის უანგარო, რეგულარული დონორობის მხარდაჭერისა და მოზიდვის ეროვნული კამპანიის განხორციელება; ტრანსფუზიით გადამდები ინფექციების პრევენცია.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	უანგარო დონაციათა რაოდენობის ზრდა; უსაფრთხო სისხლის პროდუქტები.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - უანგარო დონაციათა რაოდენობა - 16 500, (29%), საერთო დონაციების რაოდენობა - 56 400; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - უანგარო დონაციათა რაოდენობის ზრდა: 60%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - უანგარო დონაციათა რაოდენობის ზრდა: მაღალი; **შესაძლო რისკები** - უანგარო დონაციათა რაოდენობის ზრდა: უანგარო დონაციისადმი დაბალი ინტერესი მოსახლეობის მხრიდან, რადგან პარალელურად არსებობს ფასიანი დონაცია 2. **საბაზისო მაჩვენებელი** - უსაფრთხო სისხლის პროდუქტები: გამოკვლეულ დონორთა რაოდენობა - 100%; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - უსაფრთხო სისხლის პროდუქტები: დაბალი

პროფესიულ დაავადებათა პრევენცია (35 03 02 05)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
პროექტის აღწერა და მიზანი	უსაფრთხო სამუშაო გარემოს ხელშეწყობა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	დასაქმებული მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა, პროფესიულ დაავადებათა იდენტიფიკაციისა და პრევენციის გზით.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - დასაქმებული მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა, პროფესიულ დაავადებათა იდენტიფიკაციისა და პრევენციის გზით: პროფესიულ დაავადებათა მონიტორინგის პროგრამაში ჩართული 5 საწარმო; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - დასაქმებული მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა, პროფესიულ დაავადებათა იდენტიფიკაციისა და პრევენციის გზით: ჩართული 25 საწარმო;

	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - დასაქმებული მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა, პროფესიულ დაავადებათა იდენტიფიკაციისა და პრევენციის გზით: დაბალი

ინფექციური დაავადებების მართვა (35 03 02 06)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	ინფექციური და პარაზიტული დაავადებების მქონე ავადმყოფთა სტაციონარული სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ინფექციური დაავადების დიაგნოზით ჰოსპიტალიზირებულ ავადმყოფთა შორის ლეტალობის მაჩვენებლის შემცირება; ინფექციური სნეულებებით დაავადებული პირებისთვის ადეკვატური სტაციონარული მომსახურების მიწოდება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - ინფექციური დაავადების დიაგნოზით ჰოსპიტალიზებულ ავადმყოფთა შორის ლეტალობის მაჩვენებელი- 1,2%; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ინფექციური დაავადების დიაგნოზით ჰოსპიტალიზებულ ავადმყოფთა შორის ლეტალობის მაჩვენებლის შემცირება-0-1%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - ინფექციური დაავადების დიაგნოზით ჰოსპიტალიზებულ ავადმყოფთა შორის ლეტალობის მაჩვენებლის შემცირება: დაბალი 2. **საბაზისო მაჩვენებელი** - პაციენტები რომელთაც ჩაუტარდათ მკურნალობის კურსი - 14480; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შემცირება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - მაღალი; **შესაძლო რისკები** - ზოგიერთი ნოზოლოგიური კოდის მიხედვით საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამასთან თანხვედრა

ტუბერკულოზის მართვა (35 03 02 07)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი; სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
პროექტის აღწერა და	ტუბერკულოზის ყველა სავარაუდო შემთხვევის გამოკვლევა, დაავადებულთა ამბულატორიული მომსახურება

მიზანი	(ანტიტუბერკულოზური პრეპარატებით უზრუნველყოფა და მკურნალობა უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ), ლაბორატორიული მართვა, ფთიზიატრიული სტაციონარული დახმარების ფარგლებში დიაგნოსტიკური, თერაპიული და ქირურგიული მომსახურება; სენსიტიური და რეზისტენტული ფორმების მკურნალობა (მ.შ. მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის მკურნალობა ახალი მედიკამენტებით და მკურნალობის მონიტორინგი); ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მედიკამენტებით უზრუნველყოფა, მ.შ. პირველი რიგის ანტიტუბერკულოზური მედიკამენტების შესყიდვა; მომსახურების სრულად ანაზღაურება; ტუბერკულოზის ავადობის, სიკვდილიანობის და საზოგადოებაში ინფექციის გავრცელების შემცირება.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ხანგრძლივვადიან ამბულატორიულ მკურნალობაზე პაციენტთა დამყოლობა ფულადი წახალისების გზით; ტუბერკულოზის პრევალენტობის შემცირება; ტუბერკულოზის ახალი შემთხვევების შემცირება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - ხანგრძლივვადიან ამბულატორიულ მკურნალობაზე რეზისტენტულ პაციენტთა დამყოლობა ფულადი წახალისების გზით: რაოდენობა - 150; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 225 2. **საბაზისო მაჩვენებელი** - ტუბ. შეტყობინების მაჩვენებელი: ყველა შემთხვევა 100 000 მოსახლეზე - 103,3; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 100 000 მოსახლეზე - 100 3. **საბაზისო მაჩვენებელი** - ტუბ. შეტყობინების მაჩვენებელი: ახალი შემთხვევები და რეციდივები 100 000 მოსახლეზე - 82.9; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ახალი შემთხვევები და რეციდივები 100 000 მოსახლეზე - 81; **შესაძლო რისკები** - შეწყვეტილი მკურნალობა

აივ ინფექცია/შიდსის მართვა (35 03 02 08)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო; სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
პროექტის აღწერა და	აივ-ინფექციის/შიდსის გავრცელების შეფერხება და აივ-ინფექციით/შიდსით დაავადებულთათვის მკურნალობის

მიზანი	ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. აივ-ინფექციაზე/შიდსზე ნებაყოფლობითი კონსულტაცია და ტესტირება; აივ-ინფექცია/შიდსით დაავადებულთა ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობა; ანტირეტროვირუსული მედიკამენტებით უზრუნველყოფა (მ.შ. აივ-ინფექცია/შიდსის სამკურნალო პირველი რიგის მედიკამენტების შესყიდვა); პროგრამით განსაზღვრული მომსახურება ანაზღაურდება სრულად (პროგრამა არ ითვალისწინებს თანაგადახდას მოსარგებლის მხრიდან).
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მაღალი რისკის ქცევის მქონე ჯგუფების აივ-ინფექცია/შიდსზე ნებაყოფლობითი სკრინინგით მაქსიმალური მოცვა; ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობით სრულად უზრუნველყოფა; შიდსით დაავადებულებში აივ-ინფექციასთან დაკავშირებული ლეტალობის შემცირება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - მაღალი რისკის ქცევის მქონე ჯგუფების აივ-ზე ტესტირებით მოცვა (სექს-მუშაკი ქალების პროცენტული წილი, რომლებსაც საანგარიშო პერიოდში აივ ტესტირება ჩაუტარდა და ეცნობა შედეგები - 20%; ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლების პროცენტული წილი, რომლებსაც საანგარიშო პერიოდში ჩაუტარდა აივ ტესტირება და ეცნობა მისი შედეგები - 43%; მსმ-ების პროცენტული წილი, რომლებსაც საანგარიშო პერიოდში ჩაუტარდა აივ ტესტირება და ეცნობა ტესტის შედეგები -8%); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მაღალი რისკის ქცევის მქონე ჯგუფების აივ-ზე ტესტირებით მოცვა (სექს-მუშაკი ქალების პროცენტული წილი, რომლებსაც საანგარიშო პერიოდში აივ ტესტირება ჩაუტარდა და ეცნობა შედეგები - 30%; ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლების პროცენტული წილი, რომლებსაც საანგარიშო პერიოდში ჩაუტარდა აივ ტესტირება და ეცნობა მისი შედეგები - 51%; მსმ-ების პროცენტული წილი, რომლებსაც საანგარიშო პერიოდში ჩაუტარდა აივტესტირება და ეცნობა ტესტის შედეგები-18%); **შესაძლო რისკები** - მაღალი რისკის ქცევის მქონე ჯგუფების აივ-ზე ტესტირებით არასაკმარისი მოცვა 2. **საბაზისო მაჩვენებელი** - პაციენტების რაოდენობა, რომლებიც ამბულატორიულ სერვისებს იღებენ - 2790; აივ ინფექციასთან დაკავშირებული ჰოსპიტალიზაციის რაოდენობა - 504; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - პაციენტების რაოდენობა, რომლებიც ამბულატორიულ სერვისებს იღებენ - 3450; აივ ინფექციასთან დაკავშირებული ჰოსპიტალიზაციის რაოდენობა - 522; **შესაძლო რისკები** - შეწყვეტილი მკურნალობა 3. **საბაზისო მაჩვენებელი** - შიდსით გამოწვეული სიკვდილიანობა 100,000 მოსახლეზე - 2.40; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შიდსით გამოწვეული სიკვდილიანობა 100,000 მოსახლეზე - ≤2.2; **შესაძლო რისკები** - შეწყვეტილი მკურნალობა

დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა (35 03 02 09)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო; სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
პროექტის აღწერა და მიზანი	ანტენატალური მეთვალყურეობა; მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა მკურნალობა; გენეტიკური პათოლოგიების ადრეული გამოვლენა; ორსულებში B და C ჰეპატიტების, აივ-ინფექციის/შიდსის და სიფილისის სკრინინგი; ახალშობილთა და ბავშვთა სკრინინგი ჰიპოთირეოზზე, ფენილკეტონურიაზე, ჰიპერფენილალანინემიასა და მუკოვისციდოზზე; ახალშობილთა სმენის სკრინინგული გამოკვლევა; ორსულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა; ორსულთა ეფექტიანი პატრონაჟისა და მაღალკვალიფიციური სამედიცინო დახმარების გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 100000 ცოცხალშობილზე; ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილზე; ანტენატალური ვიზიტით მოცვა; მკურნალობა გავლილი მაღალი რისკის მქონე ორსული, მშობიარე და მელოგინე; მედიკამენტებით უზრუნველყოფა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი -** ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილზე: 9,5; ანტენატალური ვიზიტით მოცვა: 4 სრული ანტენატალური ვიზიტი - 179100; მკურნალობა გავლილი მაღალი რისკის მქონე ორსული, მშობიარე და მელოგინე: მაღალი რისკის მქონე ორსულთა რაოდენობა, რომლებმაც ისარგებლეს პროგრამით - 2760; მედიკამენტებით უზრუნველყოფა: რკინის პრეპარატების მიმღებთა რაოდენობა - 947 და ფოლიუმის მჟავას მიმღებთა რაოდენობა - 4652; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** ანტენატალური ვიზიტით მოცვა: 4 სრული ანტენატალური ვიზიტი - 184000; მკურნალობა გავლილი მაღალი რისკის მქონე ორსული, მშობიარე და მელოგინე: მაღალი რისკის მქონე ორსულთა რაოდენობა, რომლებმაც ისარგებლეს პროგრამით - 3500; მედიკამენტებით უზრუნველყოფა: რკინის პრეპარატების მიმღებთა რაოდენობა - 1000 და ფოლიუმის მჟავას მიმღებთა რაოდენობა -5000; დედათა სიკვდილიანობის შემცირება; დედიდან ბავშვზე აივ–ინფექცია/შიდსის და ჰეპატიტის გადაცემის მაჩვენებლის შემცირება; ორსულთა და მელოგინეთა სიკვდილიანობის შემცირება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** მაღალი; **შესაძლო რისკები -** მაღალი რისკის კრიტერიუმების ჰიპერდიაგნოსტიკა (ან პირიქით) მედიკამენტებისადმი დაბალი

	ინტერესი, ცნობიერების დონე

ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობა (35 03 02 10)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	ნარკომანიით დაავადებულ პირთა მკურნალობა (სტაციონარული დეტოქსიკაცია) და პირველადი რეაბილიტაცია, მათი ჩამანაცვლებელი ნარკოტიკით უზრუნველყოფა და სამედიცინო მეთვალყურეობა; ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტების სტაციონარული მომსახურება; პროგრამის მიზანია ნარკომანიით დაავადებულ პირთა მკურნალობა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მკურნალობის პროცესში ჩართული ნარკომანიით დაავადებული პირი; მკურნალობის პროცესში ჩართული ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტი.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი -** მკურნალობის პროცესში ჩართული ნარკომანიით დაავადებული პირი: ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფ ბენეფიციართა რაოდენობა - 3020; სტაციონარული დეტოქსიკაციით ნამკურნალებ პირთა რაოდენობა - 286; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** მკურნალობის პროცესში ჩართული პაციენტების რაოდენობა: ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფ ბენეფიციართა რაოდენობა - 3100; სტაციონარული დეტოქსიკაციით ნამკურნალებ პირთა რაოდენობა - 440; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** საშუალო; **შესაძლო რისკები -** ნარკომანიით დაავადებულ პირთა მკურნალობა: სტიგმა 2. **საბაზისო მაჩვენებელი -** მკურნალობის პროცესში ჩართული ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტი: მკურნალობის პროცესში ჩართული პაციენტების რაოდენობა - 749; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** მკურნალობის პროცესში ჩართული პაციენტების რაოდენობა - 500; **შესაძლო რისკები -** დიაგნოსტიკური სერვისების ჭარბი გამოყენება (ჰიპერდიაგნოსტიკა)

ჯანმრთელობის ხელშეწყობა (35 03 02 11)	
ქვეპროგრამის	სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

განმახორციელებელი	
პროექტის აღწერა და მიზანი	თამბაქოს მოხმარების კონტროლის გაძლიერება; ჯანსაღი კვების შესახებ განათლება და ალკოჰოლის ჭარბი მოხმარების შესახებ ცნობიერების ამაღლება; ფიზიკური აქტივობის ხელშეწყობა; C ჰეპატიტის პრევენცია და მოსახლეობის განათლების ხელშეწყობა; ჯანმრთელობის ხელშეწყობის პოპულარიზაცია და გაძლიერება; ჯანმრთელობის შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სოციალური მედიით სამიზნე პოპულაციის მოცვა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **მიზნობრივი მაჩვენებელი -** სოციალური მედიით სამიზნე პოპულაციის მოცვა; კლიპების რაოდენობა, ჩატარებული კამპანიების რაოდენობა, დამზადებული ფლაერების რაოდენობა და ა.შ)

C ჰეპატიტის მართვა (35 03 02 12)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა დიაგნოსტიკა, მათ შორის მკურნალობაში ჩართვამდე აუცილებელი კვლევებისა და მკურნალობის პროცესის მონიტორინგისთვის აუცილებელი კვლევების ჩატარების უზრუნველყოფა; პირთა C ჰეპატიტის სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტით (სოფოსბუვირი, პეგილირებული ინტერფერონი, რიბავირინი) უზრუნველყოფა; მედიკამენტების ლოჯისტიკა; C ჰეპატიტით გამოწვეული ავადობის, სიკვდილიანობისა და ინფექციის გავრცელების შემცირება.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	პროგრამაში ჩართული განკურნებული პაციენტების რაოდენობის ზრდა; C ჰეპატიტის პრევალენტობის და ინციდენტობის შემცირება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი -** მკურნალობაზე მყოფი პაციენტი: 3000; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** მკურნალობაზე მყოფი პაციენტი: 20000; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** მკურნალობაზე მყოფი პაციენტი: დაბალი;

	შესაძლო რისკები - მკურნალობაზე მყოფი პაციენტი: არასაკმარისი რესურსი (სერვის-პროვაიდერი, სერთიფიცირებული ექიმი) **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - პროგრამაში ჩართული განკურნებული პაციენტი: 90%; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - პროგრამაში ჩართული განკურნებული პაციენტი: 95%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - პროგრამაში ჩართული განკურნებული პაციენტი: დაბალი; **შესაძლო რისკები** - C ჰეპატიტის მკურნალობა: სტიგმა; წამლის მოწოდების შეფერხება **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - C ჰეპატიტის პრევალენტობის და ინციდენტობის შემცირება: C ჰეპატიტის ინციდენტობა 4.5

მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში (35 03 03)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო; სსიპ - სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი
პროექტის აღწერა და მიზანი	ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე მოსახლეობის სპეციალიზებული დახმარებით უზრუნველყოფა; დიაბეტით დაავადებული პაციენტების მკურნალობა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურება; თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებული პაციენტების დიალიზით, თირკმლის ტრანსპლანტაციითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; ინკურაბელური პაციენტების მკურნალობა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; იშვიათი დაავადებების მქონე პაციენტთა მკურნალობითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; სასწრაფო სამედიცინო დახმარების, სამედიცინო ტრანსპორტირებისა და სოფლად ამბულატორიული მომსახურებით უზრუნველყოფა; რეფერალური დახმარების უზრუნველყოფა; სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება. არაგადამდები დაავადებებით გამოწვეული სიკვდილიანობის შემცირება და მოსახლეობის დაცვა ამ დაავადებებით გამოწვეული ფინანსური რისკებისგან, მათთვის ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებებზე (მათ შორის პირველადი სამედიცინო მომსახურებები სასწრაფო–გადაუდებელ შემთხვევებში ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის გზით.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების მქონე პაციენტთა სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება; ქვეპროგრამის მოსარგებლეთა შორის ლეტალობის შემცირება; პირველადი ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების უტილიზაციის გაზრდა;
შუალედური შედეგის	1.

შეფასების ინდიკატორები	**საბაზისო მაჩვენებელი** - ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების მქონე პაციენტთა სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება - ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების პრევალენტობა - 2547; ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების ინციდენტობა - 260; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ქვეყნის მასშტაბით ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პირები 100%–ით უზრუნველყოფილნი არიან სპეციალიზებული სტაციონარული მომსახურებით **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ქვეპროგრამის მოსარგებლეთა შორის ლეტალური შემთხვევების რაოდენობა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ქვეპროგრამის მოსარგებლეთა შორის ლეტალური შემთხვევების შემცირებული რაოდენობა **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - პირველადი ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების უტილიზაციის გაზრდა - სოფლის ექიმთან მიმართვების რაოდენობა ერთ სულ სოფლის მოსახლეზე - 1,7; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ქვეყნის მასშტაბით პირველადი ჯანდაცვის მომსახურებებზე უზრუნველყოფილი 100%–იანი ხელმისაწვდომობა

ფსიქიკური ჯანმრთელობა (35 03 03 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	ბავშვთა და მოზრდილთა ამბულატორიული მომსახურება; ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია; ფსიქიატრიული კრიზისული ინტერვენცია; თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება; ბავშვთა და მოზრდილთა სტაციონარული მომსახურება; ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა თავშესაფრით უზრუნველყოფა. ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე მოსახლეობისათვის სპეციალიზებული ამბულატორიული და სტაციონარული დახმარების აღმოჩენა.

პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების მქონე პაციენტთა სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება; ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის ადეკვატური ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების მიწოდება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის ადეკვატური ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების მიწოდება: სტაციონარული სერვისებით მოსარგებლეთა რაოდენობა - 4800; ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის ადეკვატური ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების მიწოდება: ამბულატორიულ სერვისებით მოსარგებლეთა რაოდენობა - 22453; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ამბულატორიულ სერვისებით მოსარგებლეთა რაოდენობა - 25000; სტაციონარული სერვისებით მოსარგებლეთა რაოდენობა - 5300; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - საშუალო; **შესაძლო რისკები** - ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პაციენტთა დაბალი მიმართვიანობა სამედიცინო დაწესებულებებში: სტიგმა

დიაბეტის მართვა (35 03 03 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა მომსახურება; სპეციალიზებული ამბულატორიული დახმარება; შაქრიანი და უშაქრო დიაბეტით დაავადებული მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა; შაქრიანი და უშაქრო დიაბეტით დაავადებული პაციენტების შესაძლო გართულებების პრევენცია.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობა;

	დიაბეტით გამოწვეული სპეციფიური გართულებების შემცირება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობა: შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა მომსახურების კომპონენტით სარგებლობს 795 ბავშვი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 10%-იანი ზრდა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი 2. **საბაზისო მაჩვენებელი** - პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობა: სპეციალიზებული ამბულატორიული დახმარების კომპონენტით სარგებლობს 5000 პირი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 5100 პირი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - მაღალი; **შესაძლო რისკები** - პროგრამისადმი დიდი ინტერესი (გაზრდილი მომართვიანობა)

ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურება (35 03 03 03)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	ონკოჰემატოლოგიური დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობა; 18 წლამდე ასაკის ონკოჰემატოლოგიური პაციენტების ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურებით მოცული ბენეფიციარები
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - ქვეპროგრამის ფარგლებში - 19.4 ათასამდე შემთხვევა, ხოლო ქვეპროგრამით მოსარგებლეთა რაოდენობა - 134; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ონკოჰემატოლოგიური მომსახურების საჭიროების მქონე პაციენტთა 100% მოცვა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - მაღალი; **შესაძლო რისკები** - ონკოჰემატოლოგიური მომსახურების საჭიროების მქონე პაციენტთა მომსახურება ალტერნატიული პროგრამების/ფონდების ფარგლებში

დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია (35 03 03 04)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	ჰემოდიალიზით და პერიტონეული დიალიზით უზრუნველყოფა; ჰემო და პერიტონეული დიალიზისათვის საჭირო სადიალიზე საშუალებების, მასალისა და მედიკამენტების შესყიდვა და მიწოდება; თირკმლის ტრანსპლანტაცია; ორგანოგადანერგილთა იმუნოსუპრესული მედიკამენტებით უზრუნველყოფა; ჰემოდიალიზზე მყოფ პაციენტთა სისხლძარღვოვანი მიდგომით უზრუნველყოფა; თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებული პირების დიალიზით მოცვა; თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებულთა უზრუნველყოფა დიალიზით.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი -** დიალიზით და თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპიის საჭიროების მქონე ბენეფიციართა რაოდენობა: ჰემოდიალიზის საჭიროების მქონე - 2 319, პერიტონეული დიალიზის საჭიროების მქონე - 181 პაციენტი; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** დიალიზით და თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპიის საჭიროების მქონე თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებულ ბენეფიციართა მოცვა: 100%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** მაღალი; **შესაძლო რისკები -** დუბლირებული პაციენტები, დიალიზის სახეობის შეცვლის შესაძლებლობა

ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა (35 03 03 05)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	ინკურაბელურ პაციენტთა ამბულატორიული პალიატიური მზრუნველობა; ინკურაბელურ პაციენტთა სტაციონარული-პალიატიური მზრუნველობა და სიმპტომური მკურნალობა; ინკურაბელურ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა; ინკურაბელური პაციენტების პალიატიურ სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა.
პროექტის მოსალოდნელი	პალიატიური ზრუნვით მოცული ინკურაბელური ბენეფიციარები.

შუალედური შედეგი	
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - ამბულატორიული პალიატიური ზრუნვით მოცული ინკურაბელური ბენეფიციარების რაოდენობა - 625 და სტაციონარული პალიატიური ზრუნვით მოცული ინკურაბელური ბენეფიციარების რაოდენობა - 592; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ინკურაბელური პაციენტების მოცვა 100%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი

იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა (35 03 03 06)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	იშვიათი დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული მომსახურება; იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვთა სტაციონარული მომსახურება; ჰემოფილიით და სისხლის შედედების სხვა მემკვიდრული პათოლოგიებით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურება; იშვიათი დაავადებების მქონე პაციენტების სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა; იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა სამედიცინო სერვისებზე და მედიკამენტებზე ფინანსური ხელმისაწვდომობა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ქვეპროგრამით მოცული ბენეფიციარები; ქვეპროგრამით მოცული იშვიათ დაავადებათა და ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებული ნოზოლოგიების რაოდენობა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - იშვიათი დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული მომსახურება: ბენეფიციარების რაოდენობა - 149; შემთხვევების რაოდენობა - 669; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებლები; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი;

	შესაძლო რისკები - იშვიათი დაავადებების სიის გაფართოვება, შესაბამისად ბენეფიციართა რიცხვის ზრდა

სასწრაფო გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება (35 03 03 07)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო; სსიპ - სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი
პროექტის აღწერა და მიზანი	სასწრაფო სამედიცინო დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება; სასწრაფო სამედიცინო გადაუდებელი დახმარება.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	შესრულებული გამოძახებების საერთო რაოდენობა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - რეფერალური დახმარების ფარგლებში შემთხვევების რაოდენობა - 31 000-ზე მეტი, დახმარება გაეწია 22600-ზე მეტ პაციენტს; საწრაფო-სამედიცინო დახმარების გამოძახებების რაოდენობა - 476 200-ზე მეტი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - გამოძახებების შესრულება - 100%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - მაღალი; **შესაძლო რისკები** - არამიზნობრივი გამოძახებები

სოფლის ექიმი (35 03 03 08)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	პირველადი ჯანდაცვის მომსახურება სოფლად (მათ შორის – ამბულატორიული მომსახურებისათვის აუცილებელი მედიკამენტების და სამედიცინო დანიშნულების საგნების, ექიმის ჩანთის და სამედიცინო დოკუმენტაციის ბეჭდვის მომსახურების შესყიდვა); სპეცდაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებების მიერ შესაბამისი ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების მიწოდება; შიდა ქართლის სოფლების ამბულატორიული ქსელის ხელშეწყობა და განვითარება;

	სპეცდაფინანსებაზე მყოფი რიგი სამედიცინო დაწესებულებების დამატებითი ფინანსური უზრუნველყოფა; სოფლის მოსახლეობისათვის პირველადი ჯანდაცვის მომსახურებაზე მოსახლეობის გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სოფლის ექიმთან მიმართვები; ქვეპროგრამის ფარგლებში დაკონტრაქტებული სოფლის ექიმები/ექთნების რაოდენობა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი -** სოფლის ექიმთან მიმართვების რაოდენობა - ერთ სულზე 8 ვიზიტი; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** ქვეპროგრამის ფარგლებში გაზრდილია პირველადი ჯანდაცვის/ამბულატორიული მომსახურების უტილიზაცია; ვიზიტების რაოდენობა სამიზნე პოპულაციაში

რეფერალური მომსახურება (35 03 03 09)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტების რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთათვის და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების გაწევა; ჯანდაცვის მომსახურებაზე მოსახლეობის ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული შემთხვევები.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი -** პაციენტთა რაოდენობა - 7314; შემთხვევათა რაოდენობა - 9230; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** ქვეპროგრამის ფარგლებში დაფიქსირებული შემთხვევებიდან დაფინანსებული ბენეფიციარების ადეკვატური რაოდენობა

სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება (35 03 03 10)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა ამბულატორიული შემოწმება; სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა დამატებითი გამოკვლევები; სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სამხედრო ძალებში გასაწვევი კონტიგენტის სამედიცინო შემოწმება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი -** სამხედრო ძალებში გასაწვევი კონტიგენტის სამედიცინო შემოწმება: სამხედრო ძალებში გასაწვევი კონტიგენტის საერთო რაოდენობა - 7687; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** სამხედრო ძალებში გასაწვევი სრული კონტიგენტის სამედიცინო შემოწმება, მოცვა - 100%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** დაბალი

დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლება (35 03 04)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	პროგრამით განისაზღვრება დეფიციტური და პრიორიტეტული საექიმო სპეციალობები, რომლებშიც მზადება დაფინანსდება; პროგრამის ფარგლებში და აღნიშნულ სპეციალობებში გათვალისწინებული ადგილების (კვოტების) რაოდენობა; იმ მუნიციპალიტეტების ჩამონათვალი, რომლებისთვისაც განხორციელდება მაძიებლების დაფინანსება პროგრამის ფარგლებში, განისაზღვრება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით; მაძიებელთა შერჩევას უზრუნველყოფს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სამედიცინო საქმიანობის

	სახელმწიფო რეგულირების სააგენტო პროგრამით განსაზღვრული „საექიმო სპეციალობის მაძიებელთა შერჩევის წესის“ მიხედვით; სამედიცინო სერვისების მიწოდების უწყვეტობისა და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	დიპლომისშემდგომ განათლებაზე (პროფესიულ მზადებაზე) ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა. მაღალმთიან და საზღვრისპირა მუნიციპალიტეტებში სამედიცინო სერვისების შენარჩუნება და მათი უწყვეტობის უზრუნველყოფა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - დიპლომისშემდგომ განათლებაზე (პროფესიულ მზადებაზე) პროგრამაში ჩართული მაძიებლების რაოდენობა - 25 მაძიებელი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 60 მაძიებელი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 1%; **შესაძლო რისკები** - სერვისის კერძო მიმწოდებელთა ნაკლები დაინტერესება მაღალმთიან და საზღვრისპირა მუნიციპალიტეტებში სერვისების შენარჩუნების კუთხით **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - მაღალმთიან და საზღვრისპირა მუნიციპალიტეტებში სოფლის ექიმის ვაკანსიების რაოდენობა - 9 ერთეული; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შემცირდება 8 ერთეულით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 1%; **შესაძლო რისკები** - ახალგაზრდების ნაკლები დაინტერესება სოფლის ექიმის პოზიციით **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - მაღალმთიან და საზღვრისპირა მუნიციპალიტეტების სამედიცინო დაწესებულებებში სოფლის ექიმის ვაკანსიების რაოდენობა (რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის დონეზე) - 22 ერთეული; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შემცირება 8 ერთეულით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 1%; **შესაძლო რისკები** - ხელშეკრულებით განსაზღვრული საჯარიმო სანქციების მიუხედავად, მომზადებული კადრების გადინების შესაძლებლობა

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვა (35 01)

პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო; სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი; სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო; სსიპ - ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი; სსიპ - სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი
პროექტის აღწერა და მიზანი	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი. ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს: შრომის, სოციალური და ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების შემუშავება და განხორციელება; სოციალური დახმარებების, პენსიებისა და სხვადასხვა ფულადი თუ არაფულადი სახელმწიფო (მ.შ. ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით განსაზღვრული) ბენეფიტების მიმღებთა გამოვლენა, დადგენა, აღრიცხვა, დახმარების დანიშვნა და გაცემის ორგანიზება; ქვეყანაში შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკისა და დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარება/განხორციელება; სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი პირობების ზედამხედველობა, შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევის პრევენცია; შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ შესაბამისი სტანდარტების შემუშავება/გადასინჯვა; სამედიცინო საქმიანობის ხარისხის კონტროლი და უსაფრთხოება; საზოგადოების გარკვეული ფენების სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საჭიროებებისათვის გამიზნული პროგრამების შემუშავება, დამტკიცება, განხორციელების კონტროლი და შედეგების მონიტორინგი; ეპიდსაწინააღმდეგო და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების შემუშავება და მათზე ზედამხედველობა; საექიმო, საექთნო და ფარმაცევტული სპეციალობების ნუსხის განსაზღვრა; ადამიანით ვაჭრობისა (ტრეფიკინგის) და ოჯახში ძალადობის პრევენციის ღონისძიებების განხორციელება;

	სსიპ-სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მართვაში არსებული ფილიალების მართვა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შრომის ბაზრის მონიტორინგსა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკა, მონაცემთა მოძიება/შეგროვების სრულყოფილი მეთოდოლოგიები; საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური სერვისები; ბენეფიციარებისათვის დადგენილი გასაცემლების სრული და დროული მიწოდება; ფალსიფიცირებული, ვადაგასული და წუნდებული ფარმაცევტული პროდუქტისაგან დაცული მომხმარებელი; განხორციელებული კონტროლის ღონისძიებები; უკანონო სამედიცინო და საექიმო საქმიანობისაგან დაცული მოსახლეობა; საქართველოს მოსახლეობისათვის პირველადი სასწრაფო გადაუდებელი დახმარების სერვისის გამართული, დროული და ეფექტური მიწოდება რეგიონებში და ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებში.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო და სოციალური მომსახურებები 2. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ბენეფიციარებისათვის დადგენილი გასაცემლების სრული და დროული მიწოდება 3. **საბაზისო მაჩვენებელი** - შერჩევით შეძენილ ფარმაცევტულ პროდუქტებს შორის არარეგისტრირებული სამკურნალო საშუალებების წილის შემცირება (2015წ- 1.15%); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ფალსიფიცირებული და წუნდებული ფარმაცევტული პროდუქტის რაოდენობის მაჩვენებელი ბაზარზე - 0.9%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 0.02% 4. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ადამიანით ვაჭრობისა (ტრეფიკინგის) და ოჯახში ძალადობის შემთხვევების რისკის სტატისტიკური მაჩვენებელი 5. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფილი მოსახლეობა (რაოდენობა და გეოგრაფიული მოცვა)

სოციალური და სამედიცინო უზრუნველყოფა (29 03)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი; საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების პერსონალისა და მათი ოჯახის წევრების, დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრების ასევე, სამოქალაქო პირებისათვის სოციალური და სამედიცინო დახმარების გაწევა.

	ამბულატორული, სტაციონარული მკურნალობა, სამედიცინო რეაბილიტაცია და დისპანსერიზაცია. ასევე, შეიარაღებული ძალებისათვის ხელმისაწვდომი, ხარისხიანი და მრავალპროფილიანი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა, მორალურ-ფსიქოლოგიური და სოციალურ მხარდაჭერა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სამხედრო-სამედიცინო და სოციალური უზრუნველყოფის ეფექტიანი სისტემა. ხარისხიანი სადაზღვევო მომსახურების უზრუნველყოფა და სოციალური მხარდაჭერა. მაღალი თანადგომის განცდა და მოტივაციის ამაღლება შეიარაღებული ძალებში

სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა (35 04)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჯანდაცვითი ინფრასტრუქტურის, შენობა-ნაგებობებისა და აღჭურვილობის განახლება, სამედიცინო დაწესებულებებში დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მინიმალური სტანდარტის უზრუნველყოფა; სამედიცინო დაწესებულებათა მშენებლობა, აღჭურვა და ფუნქციონირების ხელშეწყობა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	რეაბილიტირებული და სრულად აღჭურვილი სამედიცინო დაწესებულებები.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი -** დედოფლისწყაროს მრავალპროფილიანი საავადმყოფოს სამშენებლო სამუშაოები შესრულებულია - 39,8% და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხის მრავალპროფილიანი საუნივერსიტეტო კლინიკის სამშენებლო სამუშაოები შესრულებულია- 22.6%; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** სტანდარტის შესაბამისად აღჭურვილი 4 სამედიცინო დაწესებულება

სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური (54 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური
პროექტის აღწერა და	

მიზანი	ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების და მათი ოჯახის წევრების, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილ პირთა ოჯახების ცხოვრების სათანადო პირობებისა და კეთილდღეობისათვის მყარი სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლის შექმნის უზრუნველყოფა; სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის ამაღლება და საზოგადოებაში მხედრული ტრადიციების განმტკიცება, სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ ვეტერანთა ღვაწლისა და დამსახურების სათანადო აღიარება, მომავალ თაობებში პატრიოტული სულისკვეთების გაღვივება; სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების დაცვისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ვეტერანთა პოტენციალის სრულფასოვანი გამოვლენისა და განვითარების ხელშეწყობა, მათი სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობისათვის სათანადო პირობების შექმნა; თავდადებულ გმირთა სახელების სადიდებლად და მათი საქმის უკვდავსაყოფად საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულ და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის განმტკიცებისათვის მუდმივი ზრუნვა; ვეტერანების და მათი ოჯახის წევრების სოციალურ-ეკონომიკური მხარდაჭერისათვის სახელმწიფო და ადგილობრივი მიზნობრივი პროგრამების შემუშავებისა და რეალიზაციის ხელშეწყობა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების მიმართ ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ხელშეწყობა

შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა (35 05)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	შრომის ბაზარზე, შრომის უსაფრთხოების მიმართულებით არსებული მდგომარეობის შესწავლა; შრომის დაცვის ნორმების გაუმჯობესება/სრულყოფა და ამის საფუძველზე, რეკომენდაციების მეშვეობით, დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის შრომითი ურთიერთობების გაუმჯობესება; სამუშაოს მაძიებელთა რეგისტრაცია-კონსულტირება, მომსახურებების განვითარება, შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საჭიროების მქონე პირთა დასაქმების ხელშემწყობა, შრომის ბაზრის მოთხოვნის პერიოდული კვლევების

	განხორციელება და სამუშაოს მაძიებელთა დროებით დასაქმების ხელშეწყობა; ავტორიზებულ-აკრედიტირებულ პროფესიულ სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებებში რეგისტრირებული სამუშაოს-მაძიებლების მომზადება-გადამზადება; მონაცემთა შეგროვების მეთოდიკის შემუშავება და დანერგვა; ინფორმაციის წყაროების გამოვლენა და სრულყოფა დამატებითი კვლევების საფუძველზე; შრომის ბაზრის კომპონენტთა უწყვეტი კვლევა; შრომის ბაზრის მონაცემთა ანალიზის შედეგების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ინფორმაციის გავრცელება; უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შრომის უსაფრთხოების, საწარმოო სანიტარული და ჰიგიენური პირობების, ასევე ტრეფიკინგის საფრთხეების შესახებ დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლება; შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მომზადებული სტანდარტები; რეგისტრირებულ სამუშაოს-მაძიებელთა ზრდა; პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და სტაჟირების შედეგად დასაქმებულთა ზრდა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - 50 სემინარი შრომის უსაფრთხოების, სანიტარულ-ჰიგიენური პირობების,ტრეფიკინგის საფრთხეების შესახებ; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - იგეგმება 200 სემინარის ჩატარება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 12-15%; **შესაძლო რისკები** - ბენეფიციართა მცირე რაოდენობა 2. **საბაზისო მაჩვენებელი** - შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მომზადებული სტანდარტები-2; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 10 სტანდარტი 3. **საბაზისო მაჩვენებელი** - 45 000 რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებელი, 3500 მოძიებული ვაკანსია; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - რეგისტრირებული სამუშაოს-მაძიებლები - 10% ზრდა, ვაკანსიების - 1500 – 2000 ერთეულით გაზრდა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 18-25%; **შესაძლო რისკები** - რეგისტრაციის მსურველთა მცირე რაონდეობა, ახალი სამუშაო ადგილების ნაკლებობა

	4. **საბაზისო მაჩვენებელი** - პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და სტაჟირების შედეგად დასაქმებული: 10-15%; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 15-22%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - სამუშაო ადგილების სიმწირე, სასწავლო პროგრამების შეუსაბამობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან

შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა (30 04)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური
პროექტის აღწერა და მიზანი	სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მოსამსახურეთა დაჭრისა და დასახიჩრების ფაქტების შემთხვევაში თანამშრომელთა მკურნალობა და მათი ჯანმრთელობის რეაბილიტაცია, აგრეთვე სამინისტროს მოსამსახურეთა, თადარიგში დათხოვნილ პირთა მათი ოჯახების წევრთა და სამინისტროს სასწავლო დაწესებულებების მსმენელთა სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა; სამინისტროს თანამშრომელთა ავადობისა და შრომისუუნარობის შემცირება, დისპანსერიზაცია, სამკურნალწამლო საშუალებებით უზრუნველყოფა, სტაციონალური მკურნალობა, ავადობის მიზეზების შესწავლა, დაჭრილთა სამედიცინო რეაბილიტაცია, პენსიონერთა და უნარშეზღუდულთა სამედიცინო შემოწმება; დადგენილი წესით სამხედრო-საექიმო კომისიის ორგანიზება და ჩატარება. შესაძლო საბრძოლო მოქმედებების დროს დაჭრილთათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენა და ევაკუაციის ორგანიზება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მიმაგრებული კონტიგენტის ჯანმრთელობის დაცვის ხარისხის ამაღლება.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფილი მოსამსახურეთა რაოდენობა

ა(ა)იპ - საქართველოს სოლიდარობის ფონდი (57 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - საქართველოს სოლიდარობის ფონდი
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოში მცხოვრები სოციალურად განსაკუთრებულად დაუცველი ან კატასტროფული სოციალური დანახარჯების რისკის წინაშე მდგარი პირებისათვის ალტერნატიული (არასაბიუჯეტო) რესურსების მობილიზაცია და პრიორიტეტულ

	სოციალურ საჭიროებებზე მიმართვა საზოგადოების, კერძო სექტორისა და სახელმწიფოს მონაწილეობით; სოციალური და ჯანდაცვითი პროექტების დაფინანსება, მათ შორის, ერთჯერადი დახმარებების და ასევე, რეგულარული სოციალური შემწეობების/პროექტების დაგეგმვა და განხორციელება.

თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2016 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2017 წლის პროგნოზი	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი
30 01	საზოგადოებრივი წესრიგი, სახელმწიფო საზღვრის დაცვა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება	510,532.0	510,532.0	-	515,000.0	515,000.0	515,000.0
29 01	შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის შენარჩუნების მხარდაჭერა და შესაძლებლობების განვითარება	491,576.0	491,576.0	-	532,000.0	583,000.0	624,000.0
27 01	საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება	144,594.0	144,594.0	-	150,000.0	153,000.0	158,000.0
60 00	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	100,000.0	100,000.0	-	110,000.0	115,000.0	125,000.0
30 06	სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება	63,000.0	63,000.0	-	82,600.0	85,000.0	88,000.0
29 06	საერთაშორისო თანამშრომლობა	55,126.0	55,126.0	-	55,000.0	55,000.0	58,000.0
40 01	დასაცავ პირთა და ობიექტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა	47,500.0	47,500.0	-	47,500.0	47,500.0	47,500.0
26 02	გამოძიებაზე ზედამხედველობის, სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის პროგრამა	35,000.0	35,000.0	-	35,000.0	35,000.0	35,000.0
29 07	სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა	34,035.0	33,455.0	580.0	33,580.0	34,580.0	35,580.0
23 03	ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია	17,500.0	17,500.0	-	17,500.0	17,500.0	17,500.0
29 05	ინფრასტრუქტურის განვითარება	17,416.0	17,416.0	-	20,000.0	20,000.0	20,000.0
31 00	საქართველოს დაზვერვის სამსახური	15,000.0	15,000.0	-	17,000.0	18,000.0	20,000.0
30 02	ეროვნული საგანძურის, დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საპატრიარქოს	129,411.0	10,611.0	118,800.0	138,500.0	139,000.0	139,500.0

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2016 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2017 წლის პროგნოზი	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი
	დაცვის უსაფრთხოების დონის ამაღლება						
27 02	სრულყოფილი პრობაციის სისტემა	9,700.0	8,200.0	1,500.0	10,500.0	11,000.0	11,000.0
29 04	მართვის, კონტროლის, კავშირგაბმულობის და კომპიუტერული სისტემები	6,221.0	6,221.0	-	7,000.0	8,000.0	10,000.0
59 01	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატი	5,200.0	5,200.0	-	5,200.0	5,200.0	5,200.0
24 06	საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში საქართველოს აეროპორტებში "გათავისუფლებული ფრენების" მომსახურების ხარჯების ანაზღაურება (მათ შორის, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა)	4,000.0	4,000.0	-	5,000.0	3,000.0	3,000.0
03 01	საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი	2,000.0	2,000.0	-	2,000.0	2,000.0	2,000.0
26 07	დანაშაულის პრევენცია და ინოვაციური პროგრამები	2,110.8	1,581.0	529.8	1,500.0	1,500.0	1,500.0
30 05	სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა	361.0	361.0	-	400.0	400.0	400.0
30 07	სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მომსახურების ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომობა	60,851.0	-	60,851.0	62,000.0	63,000.0	64,000.0
30 08	საგანგებო და გადაუდებელი დახმარების ეფექტური სისტემის ფუნქციონირება	12,980.0	-	12,980.0	13,000.0	13,000.0	13,000.0

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2016 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2017 წლის პროგნოზი	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი
40 03	სსიპ სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტო	1,679.8	-	1,679.8	1,700.0	1,700.0	1,700.0
სულ		**1,765,793.6**	**1,568,873.0**	**196,920.6**	**1,861,980.0**	**1,926,380.0**	**1,994,880.0**

საზოგადოებრივი წესრიგი, სახელმწიფო საზღვრის დაცვა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება (30 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტი
პროექტის აღწერა და მიზანი	ქვეყანაში საზოგადოებრივი წესრიგისა და სახელმწიფო უსაფრთხოების დონის ამაღლების მიზნით, საერთაშორისო თანამშრომლობის კუთხით საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შიდა კანონმდებლობის შესაბამისად, ოპერატიულ-სამძებრო ინფორმაციის გაცვლა, ერთობლივი ოპერაციების ჩატარება და სხვა მსგავი საკითხები, რომლებიც განხორციელდება პოლიციის ატაშეების, ორმხრივი ხელშეკრულებების, ნაცვალგების პრინციპის და საერთაშორისო, მათ შორის რეგიონული ორგანიზაციების მეშვეობით; საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობა და სამართლებრივი ბაზის განვითარება. ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების მომზადება და გაფორმებასთან დაკავშირებულ საქმიანობა და შემდგომში მისი მონიტორინგი; დანაშაულის პრევენციის მიზნით სამინისტროს აქტიური თანამშრომლობა საზოგადოებასთან; სისხლის სამართლის რეფორმის ფარგლებში საინფორმაციო კამპანიების ჩატარება დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში მოქალაქეთა თვითშეგნების ამაღლებისა და ჩართულობისთვის და საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით არსებული მიღწევების შენარჩუნების მიზნით, სხვა დაინტერესებულ სახელმწიფო უწყებებთან მჭიდრო თანამშრომლობის განვითარება. ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ახალ სამოქმედო გეგმის პროექტზე მუშაობისას „პომპიდუს ჯგუფის“ ექსპერტების მონაწილეობის უზრუნველყოფა; ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული (ქბრბ) საფრთხეებისადმი ერთიანი მექანიზმის ჩამოყალიბება, რომელიც ორიენტირებული იქნება ქბრბ ინცინდენტების მართვის ისეთ კომპონენტებზე, როგორებიცაა პრევენცია, გამოვლენა, მზადყოფნა და რეაგირება;

	ქბრბ კუთხით არსებული მდგომარეობის მუდმივი შესწავლისა და შეფასების, ახალი საფრთხეების, რისკებისა და გამოწვევების საფუძველზე სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის პერიოდული განახლება და აღნიშნული მიმართულებით შსს–ს შესაძლებლობების განვითარება; ევროკავშირსა და საქართველოს შორის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის დიალოგის ფარგლებში აღებული ვალდებულებების თანახმად, საქართველოში ევროკავშირისა და საერთაშორისო სტანდარტების დაცვით, ორგანიზებული დანაშაულის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი და ინსტიტუციონალური ჩარჩოს ჩამოყალიბება; წინასწარი დაკავების საკნებში მოთავსებულთა რეგისტრაციის, სამედიცინო შემოწმების და წინასწარი დაკავების იზოლატორებზე რეგულარული მონიტორინგის უზრუნველყოფა. ასევე მოთავსებულთა ინფორმირება (საპროცესო უფლებების შესახებ), დაკავებულ პირთათვის საკვების მიწოდება და სანიტარული პირობების გაუმჯობესება; დროებითი მოთავსების იზოლატორებში ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა, არაადამიანური მოპყრობის აღკვეთა და დაკავებული და ადმინისტრაციულ პატიმრობაში მყოფი პირებისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო გარემოს შექმნა; საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კონტროლირებადი სივრცის მაქსიმალურად გაკონტროლება და კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა გამოსავლენა და აღკვეთა; სანაპირო დაცვის შესაძლებლობების შემდგომი განვითარება, მცურავი საშუალებების მეშვეობით საქართველოს საზღვაო სივრცეში სამართლებრივი რეჟიმის დაცვის კონტროლი, სამართალდარღვევათა პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა, საქართველოსა და უცხო ქვეყნის გემების საქმიანობის მონიტორინგი, ზღვაოსნობისა და ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ზღვაზე ძებნა-გადარჩენის ოპერაციების განხორციელება, ნავსადგურის დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებათა კონტროლი, ზღვის მხრიდან სტრატეგიული ობიექტების დაცვა; სამძებრო-სამაშველო ოპერაციების დღისით და ღამით, რთული მეტეოპირობების მიუხედავად სრულყოფილად ჩატარება; სამინისტროს სისტემაში დასაქმებულ ქალთა საერთო მაჩვენებლის გაზრდის მიზნით ქალთა რეკრუტირების ახალი პოლიტიკის შემუშავება; სამინისტროს ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობების სრული რეაბილიტაცია და ახალი შენობების მშენებლობა, დაცვითი სისტემებით უზრუნველყოფა, ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საზოგადოებრივი წესრიგისა და მოქალაქეთა უსაფრთხოების მაღალი დონე; ნარკოტიკული საშუალებების, კონტრაბანდული საქონლის, იარაღის, ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და მასობრივი განადგურების საშუალებების უკანონო იმპორტისა და ექსპორტის პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა; ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული უწყებების კოორდინირებული საქმიანობის ხელშეწყობა; კუსტარული კომბინირებული სამკურნალო საშუალებების მოხმარების კლების შენარჩუნებული მაჩვენებლები; კინოლოგიის სამსახურის განვითარებული შესაძლებლობები; ქბრბ სფეროში შემუშავებული შესაბამისი სტანდარტები;

	რისკ ჯგუფების ორგანიზებულ დანაშაულში ჩართულობის პრევენციის მიზნით განხორციელებული ღონისძიებები და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის განვითარებული ინსტიტუციური შესაძლებლობები; ორგანიზებული დანაშაულის, მასთან დაკავშირებული რისკებისა და საფრთხეების თაობაზე ინფორმირებული ბიზნეს სექტორი; სამართალდამცავ სტრუქტურებსა და კერძო სექტორს შორის გაღრმავებული თანამშრომლობა; პოლიციის სტრუქტურებში ქალთა როლის გაძლიერება და წარმომადგენლობის გაზრდილი მაჩვენებელი; სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა; უზრუნველყოფილი ნაოსნობის უსაფრთხოება და დაცული ნაოსნობის წესები; საზღვაო სივრცეში სრულყოფილად განხორციელებული სამძებრო-სამაშველო ოპერაციები; ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან, მეზობელ და სხვა სახელმწიფოებთან თანამშრომლობის შესახებ ინიცირებული და გაფორმებული შეთანხმებების გაზრდილი რაოდენობა; პოლიციის ატაშეების წარგზავნის გზით სამართალდაცვით სფეროში გაღრმავებული საერთაშორისო თანამშრომლობა პარტნიორ სახელმწიფოებთან; დროებითი მოთავსების იზოლატორების განვითარებული ინფრასტრუქტურა და დაკავებულთა გაუმჯობესებული პირობები; დანაშაულის პრევენციის კუთხით საზოგადოების ამაღლებული ცნობიერება; გაუმჯობესებული/დახვეწილი არალეგალ მიგრანტთა გამოვლენის, დაბრუნებისა და ქვეყნიდან გაძევების პროცედურები.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - გაუმჯობესებული ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული უსაფრთხოება და იდენტიფიცირებული ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული ნივთიერებების/მასალების სია 2. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სოციალურად დაუცველ ფენებში გავრცელებული საინფორმაციო მასალების რაოდენობა 3. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სხვადსხვა ქვეყნებთან ერთობლივად განხორციელებული/გამოძიებული საქმეების გაზრდილი მაჩვენებელი 4. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - დროებით მოთავსების იზოლატორებში რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურა 5. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - განხორციელებული პრევენციული კამპანიები (საინფორმაციო რგოლები, ბროშურები, რადიოგადაცემები, სხვა) და პროაქტიულად გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაცია 6. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ქვეყანაში უკონტროლო მიგრაციული პროცესების შემცირებული მაჩვენებელი

	7. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მინიმუმამდე შემცირებული კანონსაწინააღმდეგო ქმედებები სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონასა და საზღვაო სივრცეში, ასევე სამძებრო-სამაშველო საქმიანობის სრულყოფილად განხორციელება საფრენი აპარატების, მოდერნიზებული და თანამედროვე საკომუნიკაციო-სანავიგაციო და ღამის ხედვის ხელსაწყოებით აღჭურვილი სწრაფმავალი კატარღების, მაღალი გამავლობის მანქანების, გადასატანი რადიოსადგურებისა და სხვა თანამედროვე ტექნიკის გამოყენებით 8. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურა 9. **საბაზისო მაჩვენებელი** - შსს სისტემაში დასაქმებულ ქალთა პროცენტული მაჩვენებლი - 14%; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შსს სისტემაში დასაქმებულ ქალთა მზარდი პროცენტული მაჩვენებლი 10. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვილი სამინისტროს სისტემა

შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის შენარჩუნების მხარდაჭერა და შესაძლებლობების განვითარება (29 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	თავდაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება. არსებული უსაფრთხოების გარემოდან გამომდინარე და ქვეყნის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, ასევე, საქართველოს შეიარაღებულ ძალებზე დაკისრებული ამოცანების ეფექტიანად შესასრულებლად არსებული თავდაცვითი შესაძლებლობების შენარჩუნება. თავდაცვის სამინისტროზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების უზრუნველყოფა. ეროვნული უსაფრთხოების გარემოს გათვალისწინებით, საქართველოს შეიარაღებული ძალების მზადყოფნა შესაძლო სამხედრო აგრესიის შესაკავებლად და რეგიონული და საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცებაში მონაწილეობის მიღება. საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეებიდან და გამოწვევებიდან გამომდინარე შეიარაღებული ძალების თანამედროვე შეიარაღებითა და ტექნიკით უზრუნველყოფა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	პირადი შემადგენლობის ბრძოლისუნარიანობის და ქვედანაყოფების საბრძოლო მზადყოფნის შენარჩუნებისათვის აუცილებელი ლოგისტიკური მარაგების სათანადო დონეზე შენარჩუნება.

	თავდაცვითი საშუალებებით აღჭურვილი საქართველოს შეიარაღებული ძალები; გაუმჯობესებული სამხედრო დაზვერვის სისტემა; განვითარებული საცეცხლე მხარდაჭერის შესაძლებლობები; მობილურობის, კონტრმობილურობის და ძალთა დაცვის გაუმჯობესებული შესაძლებლობები; შეიარაღებული ძალების რეზერვისა და მობილიზაციის ეფექტიანი სისტემა; საჰაერო სივრცის კონტროლის, ჰაერსაწინააღმდეგო და ახლო საჰაერო მხარდაჭერის ამაღლებული შესაძლებლობები; სპეციალური ოპერაციების, სამხედრო პოლიციის და ლოგისტიკის გაუმჯობესებული შესაძლებლობები.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება (27 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	პენიტენციური სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოების მიზნით შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება. ურთიერთობების კოორდინაცია სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან და ორგანიზაციებთან, თანამშრომლობის ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების გაფორმება; პენიტენციურ დაწესებულებებში ინფრასტრუქტურის სრულყოფა და შესაბამისი მანქანა/დანადგარებითა და ინვენტარით აღჭურვა; მსჯავრდებულ/ბრალდებულთა საცხოვრებელი და ყოფითი პირობებისა გაუმჯობესება, რბილი ინვენტარის განახლება და პირადი ჰიგიენისათვის საჭირო საშუალებების შეძენა; პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფთათვის განათლების მიღება - სახელობო და პროფესიული სწავლების პროგრამების განსაზღვრით. ასევე მსჯავრდებულ/ბრალდებულთა რესოციალიზაციის მიზნით მათ დასაქმების უზრუნველყოფის ხელშეწყობა და საწარმოო ზონის შექმნა; პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ პირთა უზრუნველყოფა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით. ამასთანავე, პენიტენციური ჯანდაცვის სტანდარტის შესაბამისად პრევენციული და პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება ჰიგიენის, გადამდები დაავადებების კონტროლის და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის კუთხით; პენიტენციურ სისტემაში მყოფ მსჯავრდებულ/ბრალდებულთა სამართლებრივი გარანტიების გაძლიერება - პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული საჩივრების პროცედურების ხელმისაწვდომობის შენარჩუნებით და ცნობიერების ამაღლებით.

პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება; პატიმართა უფლებების დაცვის და უკეთესი მოპყრობის უზრუნველყოფა; ეფექტიანი რეაბილიტაციის ღონისძიებების საშუალებით რეციდივის შემცირება.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის წლიურ ანგარიშში აღნიშნულია დადებითი ტენდენციების შესახებ პენიტენციურ სისტემაში მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით; კერძოდ, პენიტენციურ სისტემაში გარემონტდა და გაიხსნა ცენტრალური საავადმყოფო, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა პატიმართა სამედიცინო მომსახურება; 2015 წელს ექსპლუატაციაში შევიდა N16 დაწესებულება, როგორც დაბალი რისკის პენიტენციური დაწესებულება; დაიწყო C ჰეპატიტის სამკურნალო პროგრამის განხორციელება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის ანგარიშებში შენიშვნების შემცირება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - რიგი რეკომენდაციების გათვალისწინება სისტემას არ შეუძლია სხვადასხვა ობიექტური მიზეზების გამო; **შესაძლო რისკები** - ყოველი საანგარიშო პერიოდის წლიურ ანგარიშს ომბუცმენის აპარატი აქვეყნებს მომდევნო წლის ზაფხულში, შესაბამისად ანგარიშში მოხვედრილი დადებითი ტენდეციები შესახებ შესაძლებელია პენიტენციურ სისტემისთვის ცნობილი გახდეს მოგვიანებით და არა ბიუჯეტის წლიური ანგარიშების პერიოდში 2. **საბაზისო მაჩვენებელი** - სისტემაში მოქმედია 15 პენიტენციური დაწესებულება, აქედან 8 მათგანი შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს. საანგარიშო პერიოდში განთავსებულია - 1 150 მ.შ 820 ზრდასრული მამაკაცი, 284 ქალი და 46 არასრულწლოვანი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2016 წელს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის პირობებს შეესაბამება 9 დაწესებულება, 2 400 მსჯავრდებული და ბრალდებული; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; მსჯავრდებულ/ბრალდებულთა საშუალო რიცხოვნობის ცვლილება; **შესაძლო რისკები** - სამინისტროს მიერ, მიმდინარე პროცესებით წარმოქმნილი აუცილებლობით, პრიორიტეტის ცვლილება

პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავება, მართვა და ბრალდებულ/მსჯავრდებულთა ყოფითი პირობების გაუმჯობესება (27 01 01)	
ქვეპროგრამის	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

განმახორციელებელი	
პროექტის აღწერა და მიზანი	ბრალდებულ/მსჯავრდებულთა ყოფითი და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით გასატარებელი ღონისძიებები ითვალისწინებს: ბრალდებულ/მსჯავრდებულთათვის რბილი ინვენტარის, პირადი ჰიგიენის საგნებისა და საჭიროების შემთხვევაში, შესაფერისი უნიფორმის შესყიდვას, ხარისხიანი კვებითი მომსახურების შენარჩუნებას, განათლების ხელმისაწვდომობას - პროფესიული/სახელობო/საგანმანათლებლო სწავლების პროგრამების განსაზღვრას და შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნას, მსჯავრდებულთა დასაქმებას; პენიტენციურ სისტემაში მყოფ ბრალდებულ/მსჯავრდებულთა სამართლებრივი გარანტიების განმტკიცებას, პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული საჩივრების პროცედურების ხელმისაწვდომობის შენარჩუნებას, პატიმართა ცნობიერების ამაღლებასა და სრული ინფორმატულობის უზრუნველყოფას მათი უფლებების (საჩივრების, დისციპლინარული და ადმინისტრაციული პროცედურების) შესახებ; პენიტენციური სისტემის თანამშრომელთა და სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეების უნიფორმითა და რბილი ინვენტარით უზრუნველყოფას.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ქმედითუნარიანი განათლების პროგრამების ამუშავებით ბრალდებულ/მსჯავრდებულთა მიერ განათლების მიღების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; საწარმოო ზონის ამოქმედებით ბრალდებულ/მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის ხელშეწყობა; ინფორმატულობის ზრდით ბრალდებულ/მსჯავრდებულთა ცნობიერების ამაღლება მათი უფლებების (საჩივრების, დისციპლინარული და ადმინისტრაციულ პროცედურების) შესახებ.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - ნორმატივებით განსაზღვრული რაციონისა და კალორიულობის დაცვით სამჯერადი კვების რეჟიმით უზრუნველყოფილი ბრალდებულ/მსჯავრდებულთა პროცენტული რაოდენობა -100%; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნებულია ნორმატივებით განსაზღვრული რაციონისა და კალორიულობის დაცვით სამჯერადი კვების რეჯიმით ბრალდებულ/მსჯავრდებულთა 100% -სთვის; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5% (უკმაყოფილო ბრალდებულ/მსჯავრდებულები); **შესაძლო რისკები** - უკმაყოფილო ბრალდებულ/მსჯავრდებულთა საჩივრები **2.**

	საბაზისო მაჩვენებელი - პენიტენციურ სისტემაში მსჯავრდებულ/ბრალდებულები უზრუნველყოფილი არიან ჰიგიენური საშუალებებით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი ყველა არსებულ პენიტენციურ დაწესებულებაში **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წელს დასაქმებულ ბრალდებულ მსჯავრდებულთა პროცენტულმა რაოდენობამ შეადგინა სისტემაში მყოფ ბენეფიციართა 5%; დასაქმდა საშუალოდ 537 მსჯავრდებული (როგორც სამეურნეო სამსახურში, ისე დასაქმების კერებში); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - პატიმრების რაოდენობა 30%-ით გაზრდილია საბაზისო მაჩვნებელთან შედარებით, პატიმართა საერთო რაოდენობის ხვედრითი წილიდან გამომდინარე; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5% (დასაქმების მსურველთა მკვეთრი ზრდა ან კლება); **შესაძლო რისკები** - სამინისტროს მიერ, მიმდინარე პროცესებით წარმოქმნილი აუცილებლობით, პრიორიტეტის ცვლილება **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - პროფესიულ /სახელობო/საგანმანათლებლო სწავლების პროექტებში ჩართულია ბრალდებულ/მსჯავრდებულთა 18% -1924 მსჯავრდებული; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - პატიმრების რაოდენობა 30%-ით გაზრდილია საბაზისო მაჩვნებელთა შედარებით, პატიმართა საერთო რაოდენობის ხვედრითი წილიდან გამომდინარე; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5% (მსურველთა მკვეთრი ზრდა ან კლება); **შესაძლო რისკები** - სამინისტროს მიერ, მიმდინარე პროცესებშით წარმოქმნილი აუცილებლობით, პრიორიტეტის ცვლილება

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა (27 01 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	პენიტენციურ სისტემაში გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა გავრცელების პრევენცია, ეპიდემიოლოგიური კონტროლი და მეთვალყურეობა; პირველადი ჯანდაცვის რგოლის ფუნქციონირება და შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მიწოდება; ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უზრუნველყოფა სამკურნალწამლო საშუალებებით, მათთვის სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურების მიწოდება პენიტენციური სისტემასა და მის გარეთ;

	პენიტენციურ დაწესებულებებში აივ, ტუბერკულოზის და C ჰეპატიტის ინფექციების პრევენციის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის უზრუნველყოფა; მსჯავრდებულთათვის ფსიქიატრიული დახმარების, ხოლო წამალდამოკიდებულ პირთათვის მკურნალობისა და რეაბილიტაციის უზრუნველყოფა; მძიმე და განუკურნებელი სენით დაავადებულ მსჯავრდებულთა სასჯელისაგან გათავისუფლება;
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება და შენარჩუნება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი -** ეკვივალენტური სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფილია, შესაბამისი საჭიროების მქონე მსჯავრდებულთა პროცენტული რაოდენობა - 100%, მ.შ: პირველადი სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფილია პენიტენციური სისტემის ყველა 15 დაწესებულების ბრალდებულ/მსჯავრდებული, ასევე უზრუნველყოფილია პენიტენციურ სისტემაში გადამდებ დაავადებათა პრევენციის მიზნით პერიოდული სკრინინგი და მსჯავრდებულების ინფორმირება აღნიშნული დაავადების გადადების გზების თაობაზე. გადამდები დაავადების (ტუბერკულოზი) გამოვლენის შემთხვევაში დაავადებული პატიმრის განცალკევებით განთავსება. 2014 წელს სისტემაში რეგისტრირებულია ტუბერკულოზის 180 შემთხვევა (მ.შ. 83 ახალი -46%), 2015 წელს - რეგისტრირებულია ტუბერკულოზის 94 შეთხვევა(მ.შ. 37 ახალი -40%). აივ-ინფექციით ინფიცირებულია 93 პატიმარი, 70% ანტირეტრო მკურნალობის კურსშია ჩართული; აქედან 2015 წელს შემოსულია - 21 აივ ინფიცირებული. 2015 წლის სექტემბრიდან დაიწყო პენიტენციურ სისტემაში C ჰეპატიტის მართვის პირველი ეტაპის ღონისძიებების უზრუნველყოფა და სოფოსბუვირით მკურნალობის პროგრამაში ჩართულია 150 პაციენტი; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** შენარჩუნებულია: ეკვივალენტური სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფილ მსჯავრდებულთა 100%სათვის, სისტემის 15 დაწესებულების ბრალდებულ/მსჯავრდებულთათვის პირველადი სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა; შემცირებულია ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულ/ბრალდებულთა პროცენტული რაოდენობა, მათ შორის სისტემაში გადადების პროცენტულ მაჩვენებელი; აივ-ინფექციით ინფიცირებულთა 100% სთვის ხელმისაწვდომია სახელმწიფო მკურნალობის პროგრამა; C ჰეპატიტის მართვის პირველი ეტაპის ღონისძიებები და სოფოსბუვირიით მკურნალობა ხელმისაწვდომია ამ მკურნალობის კრიტერიუმის დამაკმაყოფილებელ ბრალდებულ/მსჯავრდებულთა 100% სთვის; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5 % (უკმაყოფილოო ბრალდებულ/მსჯავრდებულები); **შესაძლო რისკები** - სამინისტროს მიერ, მიმდინარე პროცესებით წარმოქმნილი აუცილებლობით, პრიორიტეტის ცვლილება

პენიტენციური სისტემის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება (27 01 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	პენიტენციურ სისტემაში არსებული ინფრასტრუქტურისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით განხორციელდება: ახალი დაწესებულების მშენებლობის გაგრძელება ოზურგეთის რაიონის სოფელ ლაითურში; დაიწყება ახალი 14-21 წლამდე ახალგაზრდების დაწესებულების მშენებლობა; სარემონტო/სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს არსებულ პენიტენციურ დაწესებულებებში; ცალკეული დაწესებულებების აღჭურვა შესამაბამისი მანქანა-დანადგარებითა და ინვეტარით; საზოგადოებრივი მისაღების აშენება N14 დაწესებულებაში; N2 დაწესებულების ტერიტორიაზე ახალი საბადრაგო და სპეციალური დანიშნულების დასავლეთის სამმართველოს ბაზის შენობის აშენება; სახელობო, პროფესიული, საგამანათლებლო და სარეკრეაციო კურსებისა და პროგრამებისათვის აუცილებელი სატრენინგო ოთახების შექმნა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული ინფრასტრუქტურის განახლებით საცხოვრებელი და ყოფითი პირობების გაუმჯობესება ბრალდებულ/მსჯავრდებულთათვის.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საერთაშორისო სტრანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბებისათვის შექმნილი ახალი, რეკონსტრუქცია ჩატარებული და გარემონტებული დაწესებულებები, საზოგადოებრივი მისაღებებისა და სარეაბილიტაციო პროგრამების წარმოებისათვის შესაფერისი ინფრასტრუქტურა; ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სრულყოფილი საცხოვრებელი და ყოფითი პირობები.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - N16 დაწესებულების ტერიტორიაზე საწარმოო ზონისათვის შესაფერისი ინფრასტრუქტურის მოწყობის დასრულება. ოზურგეთის რაიონის სოფელ ლაითურში; ახალი პენიტენციური დაწესებულების შენობის

	სამშენებლო სამუშაოები შესრულებულია 80%-ით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - დასრულდება ოზურგეთის რაიონის სოფელ ლაითურში ახალი პენიტენციური დაწესებულების სამშენებლო სამუშაოები; დაიწყება 14-21 წლამდე ახალგაზრდების ახალი დაწესებულების მშენებლობა 2016-2019 წლებში მინიმუმ 3 დაწესებულების დამატება (N14 დაწესებულება; ლაითური და 14-21 წლამდე ახლაგაზრდების); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 14-21 წლამდე ახალგაზრდების დაწესებულებაში არასრულწოვნების განთავსების შემთხვევაში გაუქმდება N11 დაწესებულება და 2016-2019 წლებში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი 10 დაწესებულება; **შესაძლო რისკები** - სამინისტროს მიერ, მიმდინარე პროცესებით წარმოქმნილი აუცილებლობით, პრიორიტეტის ცვლილება
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - 15 მოქმედი დაწესებულებებიდან 8 საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი. გაიხსნა ერთი საწარმოო ზონა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2016 წელს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პირობებით 9 დაწესებულებაში უზრუნველყოფილი ბრალდებულ/მსჯავრდებულთა რაოდენობა; საწარმოო ზონაში 40 მსჯავრდებულის დასაქმება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - საწარმოო ზონაში 40 მსჯავრდებულის დასაქმება ვერ მოხერხდეს; **შესაძლო რისკები** - სამინისტროს მიერ, მიმდინარე პროცესებით წარმოქმნილი აუცილებლობით, პრიორიტეტის ცვლილება

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური (60 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტი
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს კონსტიტუციური წყობილების, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და სამხედრო პოტენციალის დაცვა უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურებისა და ცალკეულ პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებისაგან; სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობილებისა და სახელმწიფო ხელისუფლების არაკონსტიტუციური, ძალადობრივი გზით შეცვლის გამოვლენა და დაცვის უზრუნველყოფა; ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა; ტერორიზმთან ბრძოლა; სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის საფრთხის შემცველი ტრანსნაციონალური ორგანიზებული და საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა; კორუფციის თავიდან აცილების, გამოვლენისა და აღკვეთის ღონისძიებების განხორციელება; სახელმწიფო საიდუმლოების რეჟიმის დაცვა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განხორციელება და მათი შესრულების კონტროლი;

	ქვეყნის საგარეო საფრთხეებისაგან დაცვა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების სადაზვერვო და სხვა კაკონსაწინააღმდეგო საქმიანობის დროულად გამოვლენა და თავიდან აცილება; სახელმწიფოსთვის მოსალოდნელი საფრთხეების პროგნოზირება და პრევენცია.

სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება (30 06)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	ქვეყანაში სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლებისთვის საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება, საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მასზე მზადყოფნის, რეაგირებისა და მიყენებული ზიანის აღმოფხვრისათვის საჭირო სამუშაოების უზრუნველყოფის მიზნით საქმიანობის ორგანიზება, ასევე სამოქალაქო უსაფრთხოების ამოცანების გადასაწყვეტად სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის განხორციელების კოორდინირება; საქართველოს კანონით „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ გათვალისწინებული კანონქვემდებარე აქტების შემუშავება და მიღება; სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს შესაძლებლობების გაძლიერება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ქვეყანაში სამოქალაქო უსაფრთხოების დონის გაუმჯობესება; სააგენტოს პირადი შემადგენლობის და რეაგირების ძალების, ასევე მოსახლეობის საგანგებო სიტუაციებზე და ინციდენტებზე მზადყოფნისა და რეაგირების ეფექტურობის გაზრდა; ქვეყანაში მართვის ყველა დონეზე, თანამედროვე სტანდარტების საგანგებო და რისკის მართვის შემუშავებული გეგმები და მათი სრულყოფისა და განვითარების მიზნით საჭირო სიმულაციური ვარჯიშების და ზედამხედველობის ეფექტური მექანიზმების დანერგვა; ხანძრის საშიში ფაქტორების, მათი მეორადი გამოვლინების თავიდან ასაცილებლად სხვადასხვა ობიექტების სახანძრო უსაფრთხოების სისტემებით აღჭურვა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საზოგადოებრივი კვლევების შედეგებში ასახული მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში 2. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სახანძრო-სამაშველო სატრანსპორტო საშუალებებსა და შესაბამისი სპეციალური ტექნიკის

	გამოყენებით საგანგებო სიტუაციების შედეგად 30%-მდე შემცირდებული შესაძლო მატერიალური ზარალი **3.** **მიზნობრივი მაჩვენებელი** - გასულ წლებთან შედარებით, დასახლებულ პუნქტებსა და ორგანიზაცია-დაწესებულებებში ხანძრებისა და საგანგებო ინციდენტების შემთხვევების 20-30%-ით შემცირებული მაჩვენებელი

საერთაშორისო თანამშრომლობა (29 06)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანება, რეგიონული და საერთაშორისო უსაფრთხოების ხელშეწყობა; თანამშრომლობის გაღრმავება ნატოსთან, ევროკავშირთან და სხვა საერთაშრისო ორგანიზაციებთან თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში. ალიანსის წინაშე აღებული ვალდებულებების და საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მონაწილეობის მიღება ნატოს ეგიდით წარმოებულ მტკიცე მხარდაჭერის მისიასა (RSM) და ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებში (NRF). აქტიური თანამშრომლობა ევროკავშირთან ასოცირების დღის წესრიგისა და ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში და მონაწილეობის მიღება ევროკავშირის ეგიდით წარმოებულ მისიებში - ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა (EUMAM RCA), მალი (EUTM Mali) და უკრაინა (EEAM Ukraine). პროგრამა ასევე ითვალისწინებს თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში საერთაშორისო კონფერენციებისა და ღონისძიებების ორგანიზებას.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შეიარაღებული ძალების ნატოსთან თავსებადობის ამაღლება, საერთაშორისო უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მხარდაჭერა, ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა. შეიარაღებული ძალების სამხედრო და სამოქალაქო კომპონენტებით ნატოსა და ევროკავშირის მისიებში მონაწილეობა. მაღალი დონის საერთაშორისო კონფერენციებისა და სამუშაო შეხვედრების ჩატარება. საერთაშორისო ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულება.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - რეგიონულ და საერთაშორისო უსაფრთხოებაში საქართველოს კონტრიბუციის დადებითად შეფასება ნატოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის, ნატოს ქვეყნებისა და საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ; მშვიდობის მხარდამჭერ მისიებში საქართველოს წვლილის დადებითად შეფასება ევროკავშირის ხელმძღვანელობის და წევრი ქვეყნების მთავრობების მიერ; გაეროსა და ეუთოსგან საქართველოს მიერ განხორციელებული ქმედებების დადებითად შეფასება

გამოძიებაზე ზედამხედველობის, სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის პროგრამა (26 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს პროკურატურა
პროექტის აღწერა და მიზანი	გამოძიებაზე ზედამხედველობის, სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის პროგრამის ძირითადი მიმართულებებია: დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, ეფექტიანი გამოძიების საპროცესო ზედამხედველობის წარმოება და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება - შემუშავდება იურიდიული პირების მიერ ჩადენილი კორუფციული დანაშაულის გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის სახელმძღვანელო, რაც ხელს შეუწყობს გამომძიებლებისა და პროკურორების მიერ აღნიშნული დანაშაულის გამოძიებისა და საპროცესო ზედამხედველობის განხორციელებას. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი დაცვის უზრუნველყოფა – ადამიანის უფლებების დაცვა გამოძიების მიმდინარეობისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების პროცესში; ამ სფეროში სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების დარღვევის გამომწვევი მიზეზების დადგენა და საერთაშორისო და უფლებადამცველი ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინება; ოჯახური ძალადობის, წამების, არასათანადო მოპყრობის, უმცირესობათა უფლებების დარღვევის ფაქტებზე ეფექტური და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა. პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსის შემუშავება და მიღება - შემუშავდება პროკურატურის მუშაკთა ახალი, პროკურატურის წინაშე არსებული გამოწვევების შესაბამისი ეთიკის კოდექსი; აღმოიფხვრება არსებული კოდექსის ბუნდოვანი ნორმები; მოხდება ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული გადაცდომების კონკრეტიზაცია. პროკურატურაში სამუშაო გარემოსა და პროკურორთა მოტივაციის სისტემის გაუმჯობესება – დაიხვეწება სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა; შეიქმნება პროკურორთა საჭიროებებზე მორგებული და ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული პროგრამები; განხორციელდება პროკურორთა დატვირთვის ელექტრონული მოდულის იმპლემენტაცია. საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულება – პროკურატურის საქმიანობის გამჭვირვალობისა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნება მასმედიასთან ურთიერთობის ეფექტური მექანიზმები, მოხდება საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდების არსებული მექანიზმების სრულყოფა; დაიხვეწება მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ინსტიტუტი, შეიქმნება ადგილობრივი საბჭოები. პროკურატურის როლის გაზრდა დანაშაულის პრევენციის პროცესში – ამ მიმართულებით შემუშავდება სტრატეგია და განხორციელდება საჭირო საკანონმდებლო ცვლილებები. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება – განხორციელდება პროკურორთა გადამზადება არასრულწლოვანთა სისხლის

	სამართლის საქმეებზე. ამასთან, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში იქნება მოყვანილი არასრულწლოვანთა მიმართ იძულებითი ღონისძიებების გამოყენების პრაქტიკა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	გამოძიებაზე ეფექტური ზედამხედველობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის შესაძლებლობის ზრდა დანაშაულის (მათ შორის არასრულწლოვანთა შორის) პრევენციაში აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფა
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - პროკურორების საქმიანობის ინდივიდუალური შეფასებისა და კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე მიმდინარეობს გაიდლაინების შემუშავება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2016-2019 წლებში, ყოველწლიურად პროკურორების საქმიანობაზე დაკვირვება და ზოგადი და ინდივიდუალური რეკომენდაციების შემუშავება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10% (ყოველწლიურად შეიძლება ვერ მოხერხდეს ყოველი ინდივიდუალური პროკურორის საქმიანობაზე დაკვირვება და ინდივიდუალური რეკომენდაციების გაცემა - პროკურორების 10%-ის საქმიანობა შეიძლება მხედველობის მიღმა დარჩეს რომელიმე კალენდარული წლის მანძილზე) **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - საზოგადოებრივი პროკურატურის პროექტის ფარგლებში 2015 წელს ჩატარდა 110 პრევენციული ღონისძიება საქართველოს რეგიონებში; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2016-2019 წლებში, ყოველწლიურად, 150 პრევენციული ღონისძიების ჩატარება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20 ღონისძიება

სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (29 07)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი; სსიპ რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი; სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი; სსიპ მიკრო და ნანო ელექტრონიკის ინსტიტუტი; სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკური ცენტრი დელტა; სსიპ ინსტიტუტი ოპტიკა; სსიპ სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა - ტექნიკის ინსტიტუტი
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად და ქვეყნის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის განვითარებისათვის თავდაცვის სფეროში სამეცნიერო-კვლევების განხორციელება. ენერგოუსაფრთხოების სფეროში სამეცნიერო ტექნიკური სამუშაოების გაღრმავება, საწარმოო ბაზის განახლება და თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, შეიარაღებულ ძალებში არსებული შეიარაღების და ტექნიკური საშუალებების მოდერნიზება და აღდგენა. ასევე, მრეწველობის და მათ შორის, მანქანათმშენებლობის რიგი დარგების განვითარება, ახალი ტექნოლოგიური პროცესების

	კვლევა და ოპტიმიზაცია.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	განვითარებული სამხედრო მრეწველობა

ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია (23 03)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური
პროექტის აღწერა და მიზანი	საფინანსო და ეკონომიკურ სფეროში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, ქვეყანაში ჯანსაღი კონკურენტუნარიანი გარემოს ხარისხის ამაღლება, კანონიერი სამეწარმეო საქმიანობის დაცვა და სამსახურში მწყობრი სისტემის ჩამოყალიბება; საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში პერსონალის შერჩევის კრიტერიუმებისა და პროცედურების კუთხით დაგროვილი გამოცდილების შესწავლა; უცხო ქვეყნის შესაბამის უწყებებთან ერთობლივი კონფერენციების და სემინარების ჩატარება გამოცდილების გაზიარების მიზნით; საქრათველოს ეკონომიკურ საზღვრებზე კონტროლის გამკაცრება გადასახადების თავის არიდების ფაქტების აღკვეთის მიზნით, ასევე პრევენციული ღონისძიებების გატარება შემდგომში დანაშაულის ჩადენის თავის არიდების მიზნით.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საგამოძიებო სამსახურის მართვის თანამედროვე პრინციპებზე გადაყვანა; საფინანსო და ფისკალურ სფეროში დანაშაულის დონის შემცირება და მინიმუმამდე დაყვანა; ქვეყანაში ჯანსაღი კონკურენტიანი გარემოს შექმნა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - პრევენციული მექანიზმების მეშვეობით აღკვეთილი დანაშაულების რაოდენობა; გადასახადების თავის არიდების ფაქტებისა და საქართველოს ეკონომიკურ საზღვრებზე საქონლის გაადგილებასთან დაკავშირებული წესების დარღვევის შემცირებული რაოდენობა

ინფრასტრუქტურის განვითარება (29 05)	
პროგრამის	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

განმახორციელებელი	
პროექტის აღწერა და მიზანი	სამხედრო ინფრასტრუქტურის განვითარება, კერძოდ, სამხედრო ბაზების, ყაზარმების და სასადილოების აშენება-კეთილმოწყობა, რაც აუცილებელია სამხედრო მოსამსახურეებისათვის მათზე დაკისრებული მოვალეობები ადეკვატურ და ღირსეულ პირობებში შესასრულებლად. ასევე, კვების სისტემის გამართვა, რაც თავის მხრივ მოიცავს შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციას, წყალმომარაგების სისტემის განვითარებას, სასადილო ინვენტარით აღჭურვას და საველე სასადილოების და სამზარეულო კონტეინერების უზრუნველყოფას. სამხედრო ბაზების რეაბილიტაცია-განვითარება, წვრთნების და სწავლების უზრუნველყოფა ინფრასტრუქტურით, საინჟინრო ნაგებობისა და კომუნიკაციების რეაბილიტაცია და განვითარება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შეიარაღებული ძალების განვითარებული ინფრასტრუქტურა. აღდგენილი სამხედრო, საყოფაცხოვრებო, სასაწყობო, საწვრთნელი და სასწავლო ინფრასტრუქტურა. თანამედროვე სტანდარტებით აშენებული არასაყოფაცხოვრებო და საცხოვრებელი შენობა-ნაგებობები. გაუმჯობესებული კვებითი ობიექტები, გამართული წყლის რეზერვუარები და რეაბილიტირებული საკანალიზაციო სისტემები. სათანადოდ მოწყობილი ინფრასტრუქტურული კომუნიკაციები საინჟინრო ნაგებობები.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **მიზნობრივი მაჩვენებელი -** გამართული სამხედრო ინფრასტრუქტურა, გარემონტებული სასადილოები და გაუმჯობესებული სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობები

ეროვნული საგანძურის, დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საპატრიარქოს დაცვის უსაფრთხოების დონის ამაღლება (30 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი
პროექტის აღწერა და მიზანი	დიპლომატიური მისიების და მათი ხელმძღვანელების რეზიდენციების, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფო ობიექტების, ეროვნული საგანძურის, საპატრიარქოსა და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების დაცვით უზრუნველყოფა; დაცვის პოლიციის ავტოფარეხის რეკონსტრუქცია, ავტოპარკის განახლება და ობიექტებისათვის, რომლებიც მუდმივ მეთვალყურეობას საჭიროებენ, საგუშაგო ჯიხურების დამზადება და მათი მონტაჟი; საპატრულო-საგუშაგო ჯგუფის ეკიპირების განახლება; ობიექტების თანამედროვე დაცვითი საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემებით აღჭურვა.
პროექტის მოსალოდნელი	დიპლომატიური მისიების, რეზიდენციების, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფო ობიექტების, ეროვნული

საბოლოო შედეგი	საგანძურის, საქართველოს საპატრიარქოსა და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების უსაფრთხოების დაცვა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - უსაფრთხოების მაღალი დონით უზრუნველყოფილი ეროვნული საგანძურის, დიპლომატიური წარმომადგენლობები, საქართველოს საპატრიარქო და სხვა დასაცავი ობიექტები

სრულყოფილი პრობაციის სისტემა (27 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარება; სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელება და მათში პრობაციონერების ჩართულობა; არასრულწლოვანთათვის სასჯელის სახედ შინა პატიმრობასთან დაკავშირებული შესაბამისი ღონისძიებების გატარების ხელშეწყობა. ახალი თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების ამოქმედება ქალ მსჯავრდებულთათვის, რომელთა ბაზაზე მოხდება მათი რეაბილიტაცია-რესოციალიზაცია;
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	განვითარდება პრობაციის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციული შესაძლებლობები (ახალი ოფისების მშენებლობა და საჭირო ინვენტარით აღჭურვა, ვიდეოპაემნის სერვისი იფუნქციონირებს სრულფასოვნად, თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება იფუნქციონირებს გამართულად, სარეაბილიტაციო სამმართველო იფუნქციონირებს ეფექტურად); პრობაციონერები ჩართულნი იქნებიან სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო პროგრამებში, რაც ხელს შეუწყობს დანაშაულის პრევენციასა და მათ რესოციალიზაციას; ამოქმედდება ქალთა თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება, რომელის ბაზაზეც მოხდება მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია რესოციალიზაცია;

	არასრულწლოვანთა მიმართ ახალი კანონის მიღების შემდგომ ელექტრონული მონიტორინგის საშუალებების დანერგვა ხელს შეუწყობს შინა პატიმრობის ეფექტურად აღსრულებას.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - სარეაბილიტაციო პროგრამებში 2015 წელს ჩართული 5896 პირობით მსჯავრდებულები, რაც საერთო რაოდენობის (18 253) 32,3%. პირობითი მსჯავრის მქონე 960 ქალი მსჯავრდებულიდან სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართულია 326 ანუ 33,9%; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2016 წელს ჩართულია პირობით მსჯავრდებულების 10%; 2017 წელს - 12%; 2018 წელს - 15% 2019 წელს - 17%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5% - პრობაციონერთა რაოდენობის ცვლილება; **შესაძლო რისკები** - სამინისტროს მიერ, მიმდინარე პროცესებით წარმოქმნილი აუცილებლობით, პრიორიტეტის ცვლილება **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წელს შემოსული და აქტიური საქმეების საერთო რაოდენობა 18 253 საქმე. პრობაციის თითო ოფიცერზე საშუალო მოდის დატვირთვა 107 საქმე და შესრულებულია ევროკავშირის რეკომენდაცია; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებიდან და პრაქტიკიდან გამომდინარე, ისეთი ქვეყნების, როგორიცაა აშშ, კანადა, დანია, სკანდინავიისა და ბალტიისპირეთის ქვეყნები, ბელგია, პრობაციის თითო ოფიცერზე დატვირთვა მოდის 80 საქმემდე. პრობაციონერთა რაოდენობის მატების ტენდენციიდან გამომდინარე პრობაციის თითო ოფიცერზე დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 150 საქმეს; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5% - პრობაციონერთა რაოდენობის ცვლილება; **შესაძლო რისკები** - სამინისტროს მიერ, მიმდინარე პროცესებით წარმოქმნილი აუცილებლობით, პრიორიტეტის ცვლილება **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - პირველი შინა პატიმრობის აღსრულება ელექტრონული მონიტორინგის საშუალებით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2016 წელს 200 არასრულწლოვანი მსჯავრდებული ერთდროულად უზრუნველყოფილია შინა პატიმრობის ელექტრონული მონიტორინგის საშუალებებით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5% - პრობაციონერთა რაოდენობის ცვლილება; **შესაძლო რისკები** - სამინისტროს მიერ, მიმდინარე პროცესებით წარმოქმნილი აუცილებლობით, პრიორიტეტის ცვლილება

მართვის, კონტროლის, კავშირგაბმულობის და კომპიუტერული სისტემები (29 04)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ კიბერუსაფრთხოების ბიურო; საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
პროექტის აღწერა და	პროგრამა მოიცავს კავშირგაბმულობის და ინფორმაციულ სისტემების, საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება და

მიზანი	კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა. თანამედროვე დაცული კომუნიკაციების მიერ უზრუნველყოფილი უსაფრთხო, უწყვეტი კავშირი და კოორდინირებულ მოქმედებები. მონაცემებისა და ინფორმაციის უსაფრთხოების დაცვის მიზნით მოწინააღმდეგის მხრიდან საზიანო ქმედებების თავიდან აცილება, უარყოფითი შედეგების შემცირება და ყველა ელემენტის ფუნქციონირების უმოკლეს ვადებში აღდგენა. ქვედანაყოფების მობილური და სტაციონალური მართვისა და კონტროლის სისტემის დახვეწა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შეიარაღებული ძალების სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური მართვისა და კონტროლის სისტემების ერთიანი ფუნქციონირებადი ქსელი. საქართველოს შეიარაღებული ძალების გამართული მართვისა და კონტროლის საშუალებები. შეიარაღებულ ძალებში ერთიანი ფუნქციონირებადი პროგრამების ქსელის შექმნა, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის დახვეწა. თავდაცვის სამინისტროს კიბერუსაფრთხოების სისტემების განვითარება და მოდერნიზაცია.

საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში საქართველოს აეროპორტებში „გათავისუფლებული ფრენების“ მომსახურების ხარჯების ანაზღაურება (მათ შორის, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა) (24 06)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს ევროპის ერთიან საჰაერო სივრცეში ინტეგრაციის პროცესის გაღრმავება; საერთაშორისო ანტიტერორისტული საქმიანობის ხელშეწყობა კომპეტენციის ფარგლებში; ფრენების უსაფრთხოებისა და საავიაციო უშიშროების დონის ამაღლება; აშშ-ს სამხედრო ავიაციის საჰაერო ნავიგაციით და პილოტაჟით უზრუნველყოფა; ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების წევრ სახელმწიფოებსა და „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამაში მონაწილე სხვა სახელმწიფოებს შორის შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესრულების უზრუნველყოფა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ფრენის უსაფრთხოებისა და საავიაციო უშიშროების ხარისხის ამაღლება
საბოლოო შედეგის	1.

შეფასების ინდიკატორები	**მიზნობრივი მაჩვენებელი -** საქართველოში ფრენის უსაფრთხოებისა და საავიაციო უშიშროების დონის ამაღლების თაობაზე დადებითი დასკვნის გამოტანა

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი (03 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი
პროექტის აღწერა და მიზანი	სამხედრო აღმშენებლობისა და ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციის მიამრთულებით უმაღლესი დონის გადაწყვეტილებების მიღება; სამხედრო ძალების სტრუქტურისა და რაოდენობის განსაზღვრის პროექტების მომზადება; ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის კოორდინაცია კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში და ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მონაწილეობის უარუნველყოფა. საინფორმაციო-ანალიტიკური საქმიანობის მიმართულებით ქვეყნს თავდაცვის, უშიშროებისა და სამხედრო აღმშენებლობის საკითხებზე აქტების მომზადება და ექსპერტიზა, საინფორმაციო-ანალიტიკური მასალების მომზადება და ამ მასალებით საქართველოს პრეზიდენტისა და უშიშროების საბჭოს წევრების უზრუნველყოფა. ქვეყნის თავდაცვისა და უშიშროების სფეროში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საქმიანობის მიმართულებით საქართველოს ეროვნული უშიშროებისს აბჭოს დასკვნებისა და გადაწყვეტილებების პროექტების მომზადება.

დანაშაულის პრევენცია და ინოვაციური პროგრამები (26 07)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი
პროექტის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია საქართველოში დანაშაულის პრევენცია, ყოფილ პატიმართა რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია, აგრეთვე მედიაციის ინსტიტუციონალური განვითარება. აღნიშნული მიზნების მისაღწევად პროგრამის ფარგლებში რამდენიმე მიმართულების პროექტი განხორციელდება. ესენია: ყოფილ პატიმართა რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია - მათი საზოგადოების სრულფასოვან წევრებად დაბრუნების ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება, რომლებიც თავის მხრივ სამი ძირითადი ეტაპისგან შედგება. პირველ ეტაპზე აქცენტი კეთდება ბენეფიციარის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მოგვარებაზე; მეორე ეტაპზე ბენეფიციარი ერთვება პროფესიული გადამზადების კურსებზე, არსებული გამოცდილებისა და განათლების

	გათვალისწინებით; მესამე ეტაპზე კი, აქცენტი კეთდება ბენეფიციარის დასაქმებაზე. დანაშაულის პირველი დონის პრევენცია, რომელიც გულისხმობს ახალგაზრდების დახმარებას ფიზიკურ, შემეცნებით, გონებრივ და სოციალურ განვითარებაში. აღნიშნული მიმართულების ღონისძიებები აგებულია არაფორმალური განათლების პრინციპზე, რომელიც მიზნად ისახავს ჯანსაღი და კონკურენტუნარიანი საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობას და ახალგაზრდებში მოხალისეობრივი კულტურის განვითარებას; დანაშაულის მეორე დონის პრევენცია, რომლის მიზანია მოზარდების (დანაშაულის ჩადენის რისკის ქვეშ მყოფი არასრულწლოვნები) ენერგია და პოტენციალი სასარგებლო აქტივობებისკენ მიმართოს. ამ მიმართულების ფოკუსჯგუფებია: ანტისოციალური/დელიქვენტური ქცევის მქონე ახალგაზრდები, განათლების სისტემიდან გასული არასრულწლოვნები, სახელმწიფო ზრუნვიდან გასული ახალგაზრდები, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველი პირები, რომელთაც კანონსაწინააღმდეგო ქცევა ჩაიდინეს და მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა ოჯახის არასრულწლოვანი წევრები. არასრულწლოვანთა განრიდება და მედიაცია, რომელიც ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულის ჩამდენ არასრულწლოვანს, რომელიც არ არის ნასამართლევი, შესაძლებლობას აძლევს, პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე განერიდოს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და ჩაერთოს შესაბამის პროგრამაში, რომელიც მის რეაბილიტაციასა და რესოციალიზაციაზე იქნება ორიენტირებული. მედიაციის ინსტიტუციონალური განვითარება, რომლის ფარგლებშიც იგეგმება მედიაციის როლის, მოქმედების არეალის გაზრდა და მისი ინსტიტუციონალური ჩარჩოს გაუმჯობესება. ამ მიმართულებით მუშაობა წარიმართება მედიაციის ფორმებისა და სფეროების გაფართოებაზე, მათ შორის, სისხლის სამართალის სფეროშიც.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ყოფილი პატიმრების დასაქმების ზრდა; დანაშაულის პირველი და მეორე დონის პრევენციის მიმართულებებში ჩართული ახალგაზრდების ოდენობის ზრდა; განრიდებულ ახალგაზრდებში განმეორებითი დანაშაულის ჩადენის მინიმალური მაჩვენებელი;
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წლის სექტემბრის მონაცემებით, ცენტრის მხარდაჭერით სულ დასაქმდა 46 ბენეფიციარი და ოჯახის წევრი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყოველწლიურად იგეგმება აღნიშნული მაჩვენებლის 10 ერთეულით ზრდა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - +/- 5 დასაქმებული ბენეფიციარი და მისი ოჯახის წევრი; **შესაძლო რისკები** - ბენეფიციარების შესაბამისი უნარ-ჩვევების არქონა; დამსაქმებლების ნაკლებობა 2. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წლის სექტემბრის მდგომარეობით თბილისსა და გორში გაიმარჯვა და დაფინანსდა 16 ბიზნეს-

	იდეა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყოველწლიურად იგეგმება 15-მდე ყოფილ პატიმრის ბიზნეს-იდეის დაფინანსება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - +/-5 დაფინანსებული ბიზნეს-იდეა; **შესაძლო რისკები** - დაფინანსებული ბიზნეს-იდეების არამდგრადობა **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - დანაშაულის პირველი დონის პრევენციის ქვეპროგრამის სხვადასხვა მიმართულებით 2015 წლის სექტემბრის მდგომარეობით ჩართულია 1631 მონაწილე; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2019 წლამდე ყოველწლიურად 1500 ახალი მონაწილის ჩართვა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - ქვეპროგრამის განხორციელების ეტაპზე სერვისის უზრუველყოფისათვის საჭირო რესურსების ნაკლებობა **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წლის სექტემბრის მდგომარეობით დანაშაულის მეორე დონის პრევენციის მიმართულების პროექტ „ახალგაზრდულ კლუბში“ ჩართულია 130 ბენეფიციარი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2016 წელს იგეგმება პროექტში ჩართული ბენეფიციარების 270-მდე ზრდა ; 2017 წელს - 470-მდე; 2018 წელს - 570-მდე; ხოლო 2019 წელს - 670-მდე; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - ადამიანური და ინფრასტრუქტურული რესურსების სიმცირე **5.** **საბაზისო მაჩვენებელი** - განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში, 2015 წლის სექტემბრის მდგომარეობით, დადასტურებული განმეორებითი დანაშაულის მაჩვენებელი არ აღემატება 5%-ს; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყოველწლიურად იგეგმება არაუმეტეს 15%-იანი მაჩვენებლის შენარჩუნება (განმეორებითი დანაშაულის პროცენტული მაჩვენებლის არსებულთან მიმართებაში ზრდა განპირობებულია იმით, რომ განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში უკვე შესაძლებელია ჩაერთოს არა მხოლოდ ნაკლებად მძიმე, არამედ მძიმე დანაშაულში მხილებული ახალგაზრდა. ამასთან, 2016 წლის პირველი იანვრიდან, განრდირებას დაექვემდებარებიან, არა მხოლოდ 18 წლამდე, არამედ 21 წლამდე ახალგაზრდები); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - განრიდების საქმეების სირთულე; განრიდების გაზრდილი მაჩვენებელი; დამატებულ ასაკობრივ ჯგუფში განმეორებითი დანაშაულის ჩადენის მაღალი ალბათობა

სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა (30 05)

პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი
პროექტის აღწერა და მიზანი	სახელმწიფო რეზერვების მატერიალური ფასეულობების რაოდენობრივი და ხარისხობრივი დაცულობის კონტროლი შენახვის პუნქტებში; საპასუხისმგებლო შენახვაზე მიბარებული სახელმწიფო რეზერვის მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა და კონტროლი; სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დაგროვებისა და მისი სწორად მართვის საკითხებში მეთოდოლოგიის შემუშავება და მარაგების შევსება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შემუშავებული თანამედროვე მეთოდოლოგიის შესაბამისად დაგროვილი მარაგები და მათი მოვლა-პატრონობა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **მიზნობრივი მაჩვენებელი -** სახელმწიფო რეზერვების დაგროვება, შესაბამისად მათი სახელმწიფო რეზერვში მიღება (ჩაწყობის და შენახვის სათანადო პირობების შექმნა) 2. **მიზნობრივი მაჩვენებელი -** სრულყოფილად წარმოებული სახელმწიფო რეზერვების მატერიალურ ფასეულობათა ოპერაციები

სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მომსახურების ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომობა (30 07)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - შსს მომსახურების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოსა და ევროპის კავშირს შორის „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ VI თავით გათვალისწინებულ ევროკავშირის პარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 20 დეკემბრის მართვის მოწმობების შესახებ დირექტივის მოთხოვნებიდან გამომდინარე მოქმედი კანონმდებლობის ეტაპობრივად დაახლოვება ევროკავშირის კანონმდებლობასთან სხვადასხვა სფეროში, სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობის მისაღები პრაქტიკული გამოცდების ჩაბარების წესის ცვლილების უზრუნველყოფა, სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის ავტოდრომის ან დახურული მოედნის გარეთ ქალაქის მასშტაბით ჩატარება და აღნიშნულის უზრუნველსაყოფად შესაბამისი სატრანსპორტო საშუალებების შეძენა და ინფრასტრუქტურის მოწყობა; იარაღის შეძენის, შენახვის და ტარების, იარაღისა და საბრძოლო მასალის გადატანა-გადაზიდვის ან გადაგზავნის, იარაღის ცალკეული ეგზემპლარების საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის, ტირის, სასროლეთის ან/და სასროლო-

	სანადირო სტენდის გახსნის ნებართვების და იარაღის რეგისტრაციის, მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებებზე გირავნობის, სატრანსპორტო საშუალებების, ნომრიანი აგრეგატებისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, მათი მისაბმელების რეგისტრაციის (რეგისტრაციაში ცვლილებები) პრცედურების დახვეწა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის განვითარების ხელშეწყობის მიზნით სხვადასხვა ღონიძიებების დაფინანსება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით დახვეწილი სანებართვო და სარეგისტრაციო პროცედურები; მოსახლეობისათვის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მომსახურების მიწოდება; საქართველოსა და ევროპის კავშირს შორის „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ VI თავით გათვალისწინებულ ევროკავშირის პარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 20 დეკემბრის მართვის მოწმობების შესახებ დირექტივით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შემდგომ სატრანსპორტო საშუალების და/ან ტრაქტორის საერთაშორისოდ აღიარებული პროცედურების დაცვით მართვის უფლების მინიჭების შესაძლებლობა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სატრანსპორტო საშუალების და/ან ტრაქტორის მართვის უფლების ავტოდრომის ან დახურული მოედნის გარეთ ქალაქის მასშტაბით ჩატარებული გამოცდების მეშვეობით მიღება

საგანგებო და გადაუდებელი დახმარების ეფექტური სისტემის ფუნქციონირება (30 08)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - 112
პროექტის აღწერა და მიზანი	საქმიანობის სფეროში შემავალი საგანგებო სიტუაციებისა და გადაუდებელი დახმარების აუცილებლობის შემთხვევათა შესახებ შეტყობინებების მიღების, დამუშავების და მათზე რეაგირებისათვის შესაბამისი სუბიექტებისათვის ინფორმაციის დროული მიწოდების, საგანგებო სიტუაციებისა და გადაუდებელი დახმარების აუცილებლობის სხვა შემთხვევათა მართვის შესახებ უფლებამოსილ სუბიექტებთან კოორდინირებული მუშაობის, საგანგებო სიტუაციებსა და გადაუდებელი დახმარების აუცილებლობის შემთხვევებზე რეაგირების განმახორციელებელი უფლებამოსილი სუბიექტების დანიშნულების ადგილას მისვლამდე თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მოქალაქეთათვის შესაბამისი კონსულტაციების გაწევის და აუცილებელი პირველადი ინფორმაციის მიწოდების მიზნით საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და შესაბამისი ინოვაციების დანერგვა; გადაუდებელი დახმარების ინციდენტის ტიპების და საქმის პრიორიტეტების გამნსაზღვრელი პროგრამის დანერგვა (ProQA); საგანგებო სიტუაციებისა და გადაუდებელი დახმარების აუცილებლობის შემთხვევებზე ქცევისა და მოქმედების აუცილებელი წესების შესახებ საზოგადოების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება; საგანგებო სიტუაციებისა და გადაუდებელი დახმარების აუცილებლობის შემთხვევების შესახებ შესაბამისი სასწავლო

	პროგრამების შემუშავება და დანერგვა შესაბამის დაწესებულებებთან/ორგანიზაციებთან თანამშრომლობით; მომსახურების ხარისხისა და ოპერატიულობის ამაღლების მიზნით ქ. თბილსში (ვაშლიჯვარი) ადმინისტრაციული შენობის მშენებლობის დამთავრება და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვა; განსაკუთრებულ სიტუაციებში 112-ში შემომავალი ზარის უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით ალტერნატიული ცენტრის მშენებლობა (ქ. რუსთავი) და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	„112“-ის გამართული და ეფექტური ფუნქციონირება.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **მიზნობრივი მაჩვენებელი -** „112“-ის თანამშრომელთათვის განკუთვნილი სამუშაო სივრცის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან

რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2016 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2017 წლის პროგნოზი	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი
25 02	საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები	526,580.0	526,580.0	-	625,530.0	660,000.0	670,000.0
25 03	რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	261,679.0	246,200.0	15,479.0	355,000.0	360,000.0	370,000.0
25 04	წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია	170,550.0	170,550.0	-	250,000.0	300,000.0	350,000.0
36 03	სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება	100,000.0	100,000.0	-	76,663.0	29,500.0	-
36 01	ენერგეტიკის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა	32,263.2	32,000.0	263.2	35,263.2	35,263.2	35,263.2
24 05	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	22,963.0	22,963.0	-	34,500.0	40,000.0	47,150.0
25 01	რეგიონებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა	6,420.0	6,420.0	-	6,470.0	7,000.0	7,000.0
36 02	ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია	3,000.0	3,000.0	-	-	-	-
24 02	ტექნიკური და სამშენებლო სფეროს რეგულირება	1,202.0	1,177.0	25.0	1,330.0	1,550.0	1,550.0
24 07	ბაქო - თბილისი - ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობისათვის მარაბდა - ახალქალაქი - კარწახის მონაკვეთზე კერძო საკუთრებაში არსებული მიწების გამოსყიდვა-კომპენსაცია	80.0	80.0	-	-	-	-
24 09	სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო	4,339.2	-	4,339.2	3,950.0	4,100.0	4,200.0
24 12	სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო	6,077.8	-	6,077.8	4,500.0	5,000.0	5,500.0
24 13	სსიპ - საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური	3,492.0	-	3,492.0	3,200.0	3,200.0	3,200.0

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2016 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2017 წლის პროგნოზი	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი
24 11	სსიპ -საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო	7,530.0	-	7,530.0	7,605.5	7,680.0	7,757.0
სულ		**1,146,176.2**	**1,108,970.0**	**37,206.2**	**1,404,011.7**	**1,453,293.2**	**1,501,620.2**

საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები (25 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	საავტომობილო გზების დეპარტამენტი
პროექტის აღწერა და მიზანი	გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, საქართველომ შეიძინა ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი მნიშვნელოვანი სატრანსპორტო დერეფნის სტატუსი. ვინაიდან სატვირთო გადაზიდვების საკმაოდ დიდი ნაწილი ავტოტრანსპორტზე მოდის, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას საავტომობილო გზები წარმოადგენს. საავტომობილო გადაზიდვებზე გაზრდილმა მოთხოვნამ განაპირობა არსებული გზების რეკონსტრუქციის, არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის განახლება-მოდერნიზება და ზოგ შემთხვევაში უსაფრთხო, ცენტრალური ქალაქების გვერდის ავლით, ახალი საგზაო მონაკვეთების მშენებლობის აუცილებლობა, რითაც გარკვეული ტერიტორიები გამოთავისუფლდება. აღნიშნული კი ტურიზმის განვითარების და ახალი ტურისტული ობიექტების მშენებლობის საფუძველი იქნება. საქართველოს საგზაო ქსელის ინტეგრირება საერთაშორისო საგზაო კომუნიკაციების სისტემაში, ქვეყნის საავტომობილო გზების გამტარუნარიანობის გაზრდა, ავტოსატრანსპორტო დერეფნის განვითარება და საერთაშორისო სატრანზიტო კონკურენტუნარიანობის ზრდა, სახელმწიფოთაშორისო და რეგიონთაშორისო ავტოსაგზაო კავშირების გაუმჯობესება, მოსახლეობის გაზრდილი ეკონომიკური აქტივობის, ინტენსიური ავტომობილიზაციის დონისა და გაზრდილი სატრანსპორტო ნაკადების დონესთან საავტომობილო საგზაო ქსელის განვითარების ტემპების შესაბამისობის უზრუნველყოფა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	გაზრდილია ქვეყნის საავტომობილო გზების გამტარუნარიანობა და საქართველოს საგზაო ქსელის ჩართვა საერთაშორისო საგზაო კომუნიკაციების სისტემაში;

	მოდერნიზებულია და რეაბილიტირებულია საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის და საგზაო ინფრასტრუქტურა; მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება; რაიონულ ცენტრებთან, ასევე ისტორიულ ძეგლებთან და ტურისტულ ადგილებთან გამარტივებულია დაკავშირება. შემცირებულია გადაადგილებისათვის საჭირო დრო.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - გზებზე ავტოტრანსპორტის და მგზავრთა შეუფერხებელი, უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება; ავტოტრანსპორტის გაზრდილი ნაკადების გამტარუნარიანობის უზრუნველყოფა.; საავტომობილო გზებზე ავტოტრანსპორტის ნაკადების, მათ შორის სატრანზიტო ავტომობილების ინტენსივობის გაზრდა; სატრანზიტო გადაზიდვების საერთაშორისო კოლიდორებში საქართველოს საგზაო ინფრასტრუქტურის კონკურენტურიანობის გაზრდა; ავტოტრანსპორტის გადადგილების სიჩქარის გაზრდა, მგზავრობის დროის შემცირება, სატრანსპორტო დანახარჯების შემცირება

საავტომობილო გზების პროგრამების მართვა (25 02 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საავტომობილო გზების დეპარტამენტი
პროექტის აღწერა და მიზანი	საავტომობილო გზების ინფრასტრუქტურული პროექტების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება, საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების მშნებლობა-რეაბილიტაციის ადმინისტრირება და მონიტორინგი.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	პროექტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად შესაბამისი მიზნების მიღწევა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - არსებული პროექტების შეუფერხებლა განხორციელების ადმინისტრირება

გზების მშენებლობა და მოვლა-შენახვა (25 02 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საავტომობილო გზების დეპარტამენტის აპარატი

პროექტის აღწერა და მიზანი	საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია; დასახლებებთან და საკურორტო ცენტრებთან, ისტორიულ და კულტურულ ძეგლებთან ასევე, მოსაზღვრე ქვეყნებთან მისასვლელი საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთება და რეაბილიტაცია, რეკონსტრუქცია-მოდერნიზაცია და განვითარება; სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით სამუშაოების ჩატარება; საავტომობილო გზებზე სატრანსპორტო გადაზიდვების, მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ჩატარებული სამუშაოების შედეგად აშენებული, მოდერნიზირებული და რეაბილიტირებულია საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზები, ასევე აღდგენილია ხიდები, რითაც მნიშვნელოვლად მოწესრიგდება დასახლებებთან, ასევე ისტორიულ ძეგლებთან და ტურისტულ ადგილებთან მისასვლელი გზები.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - საქართველოს რეგიონებში საერთაშორისო მნიშვნელობის, შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების არსებული სარეაბილიტაციო და ამორტიზირებული მონაკვეთები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ჩატარებულია 6000 კილომეტრზე მეტი საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო და სარეკონსტრუქციო სამუშაობი, განხორციელებულია პერიოდული შეკეთება და რეაბილიტაცია (სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციოდ და პრევენციის მიზნით). შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სტეფანწმინდა-სამების ეკლესია საავტომობილო გზის კმ1-კმ6 მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მშენებლობა, ქ. ქუთაისი (ნიკეას ქუჩა) – გეგუთის კვანძის მონაკვეთის და თიანეთი–ზარიძეები–ჟინვალის საავტომობილო გზის სარეკონსტრუქციო-სარეაბილიტაციო სამუშაოები; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - კლიმატური პირობები, რელიეფი, განსახლება და სხვა გაუთვალისწინებელი ფაქტორები

ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობა (25 02 03)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი; სსიპ - ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი (საფინანსო ნაწილში)
პროექტის აღწერა და მიზანი	ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობა-რეაბილიტაცია სატრანსპორტო გადაზიდვების საერთაშორისო კოლიდორებში საქართველოს საგზაო ინფრასტრუქტურის კონკურენტუნარიანობის გაზრდისთვის, ავტოტრანსპორტის ნაკადების გამტარუნარიანობის ამაღლებისა და უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველყოფისთვის.
პროექტის მოსალოდნელი	მოდერნიზებული და განვითარებული ევროპა–კავკასია–აზიის სატრანსპორტო დერეფნის შემადგენილი ნაწილის ფოთი–

შუალედური შედეგი	თბილისი–წითელი ხიდის საავტომობილო გზა(E-60 ავტომაგისტრალი).
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - ჩქაროსნული ავტომაგისტრალის რეაბილიტირებული და აშენებული მონაკვეთები, მათ შორის აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალის 6კმ-იანი მონაკვეთი, ქ.ქობულეთის შემოვლითი გზის 12,4 კმ-იანი მონაკვეთი, თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 11კმ-იანი მონაკვეთი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - რეაბილიტირებული აგარა-ზემო ოსიაურის მონაკვეთის სატრანზიტო მაგისტრალის დამატებით 6კმ-იანი მონაკვეთი, ქ.ქობულეთის შემოვლითი გზის 15კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობა და ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქციის სამუშაოების ჩატარება 13,7 კმ-იან მონაკვეთზე; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - კლიმატური პირობები, განსახლება და სხვა გაუთვალისწინებელი ფაქტორები

რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (25 03)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი; შპს თეთნულდი დეველოპმენტი; შპს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია; შპს სახელმწიფო სამშენებლო კომპანია
პროექტის აღწერა და მიზანი	„რეგიონუალი და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის“ პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტებში სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება და მათთან დაკავშირებული სხვადასხვა მომსახურებების შესყიდვა; სახელმწიფო მნიშვნელობის (ადმინისტრაციული, სტრატეგიული, სამხედრო, პოლიციური და სხვა დანიშნულების) ობიექტების სამშენებლო-სარემონტო სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება; ნაპირდაცვითი სამუშაოების უზრუნველყოფა; ქვეყანაში ტურიზმის განვითარების მიზნით სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. პროგრამა ასევე ითვალისწინებს სამინისტროს მართვაში არსებული საწარმოების საოპერაციო ხარჯებისა და შესაბამისი ფუნქციური დავალებების შესასრულებლად წარმოებული სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების და მათთან დაკავშირებული სხვადასხვა მომსახურებების შესყიდვას. მუნიციპალიტეტებში (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა) არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების მოწყობა, მართვა და დახურვა, ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების მოწყობა და მართვა. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების გატარება, საპროექტო დოკუმენტაციების მომზადება და ანალიზი.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	განვითარებული და რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურა მუნიციპალიტეტებში; ამაღლებული საინვესტიციო მიმზიდველობა;

	გაუმჯობესებული საცხოვრებელი პირობები მოსახლესობისთვის.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - აშენებული და რეაბილიტირებულია სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საპროექტო დოკუმენტაცია მომზადებულია დონორების მიერ დასაფინანსებელ ახალ პრეოქტზე;

წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია (25 04)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი; შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“
პროექტის აღწერა და მიზანი	„წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციის პროგრამის“ მიზანია მუნიციპალიტეტებში მცხოვრები მოსახლეობის და დაწესებულებების ეკოლოგიურად სუფთა, გაფილტრული, ზედაპირული გრუნტის წყლების მოხვედრისგან დაცული სასმელი წყლის 24 საათიანი მიწოდების რეჟიმით უზრუნველყოფა; საქართველოს დიდ ქალაქებსა და სოფლებში წყალმომარაგების და საკანალიზაციო სისტემების აღდგენა-რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტებში წყალსადენის სათავე ნაგებობების მოწყობა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია; ტურისტულ-დასასვენებელ ცენტრებში წყალმომარაგების ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მუნიციპალიტეტებში მაცხოვრებელი მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესებული პროცესი; მოწესრიგებული საკანალიზაციო სისტემები; განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისა და ორგანიზაციებისთვის წყალმომარაგების მიწოდება უზრუნველყოფილია; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - რეაბილიტირებული საკანალიზაციო სისტემები; დღე-ღამის განმავლობაში გაზრდილი წყლის მიწოდების ხანგძლივობა 24 სთ-მდე

სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება (36 03)	
პროგრამის	სს სახელმწიფო ელექტროსისტემა; ენერგეტიკის სამინისტროს აპარატი

განმახორციელებელი	
პროექტის აღწერა და მიზანი	ქვეყანაში არსებული მაღალი და საშუალო ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა რეაბილიტაცია, მეზობელ ქვეყნებთან არსებული ელექტროგადამცემი ხაზების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა. სისტემის მოძველებული ქვესადგურების თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა და სხვადასხვა სიმძლავრის ახალი ქვესადგურების მშენებლობა. თავისუფალი ინდუსტრიული ზონის განვითარებისათვის შესაბამისი ელექტროგადამცემი ქსელის მოწყობა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სისტემის მდგრადობისა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდა.

ენერგეტიკის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა (36 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს აპარატი; სსიპ ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	ენერგეტიკის უსაფრთხოების სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, სახელმწიფო სტრატეგიისა და სახელმწიფო პროგრამების შესრულების მონიტორინგი და მათი განხორციელების კოორდინაცია. საქართველოს ენერგეტიკის დარგში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა. ელექტროენერგიის დამატებითი, ალტერნატიული და განახლებადი წყაროების მოძიების, ენერგიის შემცველი წყაროების უპირატესი ათვისებისა და ამ კუთხით დარგის სტაბილური განვითარების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება. ქვეყნის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა. არსებული წილობრივი განაწილების ხელშეკრულებების შესრულების მონიტორინგი, მოქმედი ინვესტორების საქმიანობის კოორდინაცია, აღნიშნულის ფარგლებში ნავთობისა და გაზის ოპერაციების მონოტორინგი, კომპანიების ყოველწლიური სამუშაო გეგმების და ბიუჯეტების განხილვა, შეთანხმება და შესრულების მონიტორინგი. ინვესტორებისაგან ყველა სახის ტექნიკური ინფორმაციის მიღება, დამუშავება, სისტემატიზაცია, ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა, ნავთობისა და გაზის ოპერაციების, ნავთობის გადამუშავების, გაზის დამუშავების და ნავთობგაზპროდუქტების ტრანსპორტირების საქმიანობის ერთიანი

	მარეგულირებელი საფუძვლების შექმნა. ნავთობისა და გაზის რესურსების ათვისების და ნავთობის გადამუშავების სფეროში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა. შავი ზღვის შელფის საქართველოს ნაწილზე ნახშირწყალბადების რესურსების ათვისების მიზნით პოტენციური ინვესტორების მოძიება. საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში (იმერეთის, კახეთის, შიდა და ქვემო ქართლის, სამეგრელოს, რაჭის, გურიისა და სამცხე-ჯავახეთის) გაზის გარეშე არსებული სოფლების (დაახლოებით 113 სოფელი) გაზიფიცირება. ყაზბეგის მუნიციპალიტეტში და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურის ანაზღაურება შესაბამის პერიოდებში პროგრამით განსაზღვრული ბენეფიციარებისათვის.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების და დამოუკიდებლობის დონის ამაღლება. ეკონომიკის სხვადასხვა დარგის განვითარება ენერგომომარაგების უზრუნველყოფის გზით. ენერგომატარებლებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისა და მოპოვების სფეროში ინვესტიციების მოზიდვა და გაზრდა. ახალი საბადოების გახსნა/ათვისება. საქართველოს ენერგოუსაფრთხოების და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა. თანამედროვე მოთხოვნების ნავთობ/გაზგადამამუშავებელი საწარმოების შექმნა, საერთაშორისო ნორმების შესაბამისი ტექნოლოგიების დანერგვა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ნავთობ/გაზპროდუქტების ეროვნული წარმოების განვითარების დონე; ქვეყნის

	ენერგოუსაფრთხოების დონისე.; ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოცულობა. ; ახალი ჰიდროელექტროსადგურების რაოდენობა

ენერგეტიკის სფეროში პოლიტიკის განხორციელება (36 01 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო; სსიპ ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	ენერგეტიკის უსაფრთხოების სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, სახელმწიფო სტრატეგიისა და სახელმწიფო პროგრამების შესრულების მონიტორინგი და მათი განხორციელების კოორდინაცია. საქართველოს ენერგეტიკის დარგში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა. ელექტროენერგიის დამატებითი, ალტერნატიული და განახლებადი წყაროების მოძიების, ენერგიის შემცველი წყაროების უპირატესი ათვისებისა და ამ კუთხით დარგის სტაბილური განვითარების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება. ქვეყნის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა. არსებული წილობრივი განაწილების ხელშეკრულებების შესრულების მონიტორინგი, მოქმედი ინვესტორების საქმიანობის კოორდინაცია, აღნიშნულის ფარგლებში ნავთობისა და გაზის ოპერაციების მონოტორინგი, კომპანიების ყოველწლიური სამუშაო გეგმების და ბიუჯეტების განხილვა, შეთანხმება და შესრულების მონიტორინგი. ინვესტორებისაგან ყველა სახის ტექნიკური ინფორმაციის მიღება, დამუშავება, სისტემატიზაცია, ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა, ნავთობისა და გაზის ოპერაციების, ნავთობის გადამუშავების, გაზის დამუშავების და ნავთობგაზპროდუქტების ტრანსპორტირების საქმიანობის ერთიანი მარეგულირებელი საფუძვლების შექმნა. ნავთობისა და გაზის რესურსების ათვისების და ნავთობის გადამუშავების სფეროში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა. შავი ზღვის შელფის საქართველოს ნაწილზე ნახშირწყალბადების რესურსების ათვისების მიზნით პოტენციური ინვესტორების მოძიება.

პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების და დამოუკიდებლობის დონის ამაღლება. ეკონომიკის სხვადასხვა დარგის განვითარება ენერგომომარაგების უზრუნველყოფის გზით. ენერგომატარებლებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისა და მოპოვების სფეროში ინვესტიციების მოზიდვა და გაზრდა. ახალი საბადოების გახსნა/ათვისება. საქართველოს ენერგოუსაფრთხოების და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა. თანამედროვე მოთხოვნების ნავთობ/გაზგადამამუშავებელი საწარმოების შექმნა, საერთაშორისო ნორმების შესაბამისი ტექნოლოგიების დანერგვა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ახალი ჰიდროელექტროსადგურების რაოდენობა; ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოცულობა; ნავთობ/გაზპროდუქტების ეროვნული წარმოების განვითარება; ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების დონე
მოსახლეობის ელექტროენერგიითა და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესება (36 01 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში (იმერეთის, კახეთის, შიდა და ქვემო ქართლის, სამეგრელოს, რაჭის, გურიისა და სამცხე-ჯავახეთის) გაზის გარეშე არსებული სოფლების (დაახლოებით 113 სოფელი) გაზიფიცირება.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბუნებრივი აირის გარეშე არსებული აღნიშნული რეგიონების სოფლების გაზიფიცირების საკითხის გადაწყვეტა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ბუნებრივი აირის გარეშე არსებული აღნიშნული რეგიონების სოფლების გაზიფიცირების საკითხის გადაწყვეტა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ბუნებრივი აირის პოტენციური 35 000 ახალი აბონენტი ; 113 სოფლის გაზიფიცირება

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო ინდიკატორი: ამჟამად 1,5 მლნ. აბონენტიდან გაზიფიცირებულია 1,0 მლნ-მდე აბონენტი, პროექტის დასრულების შედეგად გაზიფიცირებული იქნება 1,2 მლნ-მდე აბონენტი.; ბუნებრივი აირის პოტენციური150 000 ახალი აბონენტი ; 212 სოფლის გაზიფიცირება

ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება (36 01 03)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	განხორციელდება ყაზბეგის მუნიციპალიტეტში და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურის ანაზღაურება შესაბამის პერიოდებში პროგრამით განსაზღვრული ბენეფიციარებისათვის.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტებში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - პროგრამის ფარგლებში ზამთრის პერიოდში სუბსიდირების მიმღები მოსახლეობის რაოდენობა

ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (24 05)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს ტურიზმის პოპულარიზაციისა და ქვეყნის ცნობადობის ამაღლების მიზნით, საერთაშორისო და ტურისტულ გამოფენა-ბაზრობაში მონაწილეობა, პრეზენტაციების, პრეს და გაცნობითი ტურების მოწყობა მსოფლიოს წამყვანი ტურ-ოპერატორებისა და მასმედიის წარმომადგენლებისთვის, მსოფლიოს წამყვან ტელეარხებზე რეკლამების განთავსება, საპრომოციო მასალების ბეჭდვა და მისი გავრცელება საბორტე ჟურნალებსა და სხვადასხვა საერთაშორისო ბეჭდვით მედიაში, მიზნობრივ ბაზრებზე პრეზენტაციების მოწყობა და მარკეტინგული კამპანიების ჩატარება, ინტერნეტ სივრცეში მარკეტინგული კამპანიის სწრაფად და ეფექტურად განხორციელება;

	სხვადასხვა ქვეყნებთან, საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის გამყარების მიზნით სხვადასხვა ფორუმებში, კონფერენციებში/ სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა; ტურიზმის შემდგომი განვითარებისათვის კურორტებისა და საკურორტე პოტენციალის კვლევების განხორციელება; ახალი ტურისტული პროდუქტის განვითარებისა და არსებულის დივერსიფიკაციისათვის კონკრეტული მიმართულებების პოტენციალის კვლევა და შემუშავებული მარშრუტების მარკირების ჩატარება; საინფორმაციო დაფების განთავსება ტურისტულად მიმზიდველ დიდ ქალაქებში და მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა; ტურისტებისთვის მაღალი ხარისხის მომსახურების გასაწევად ახალი საინფორმაციო ცენტრების გახსნა და ცხელი ხაზის დახვეწა; ტურიზმის სფეროში კერძო სექტორის განვითარების,ხელშეწყობისა და წახალისებისათვის ტრენინგების მოწყობა და სხვადასხვა პროექტების/აქტივობების განხორციელდება; შიდა ტურიზმის განვითარებისათვის ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში ღონისძიებების ჩატარება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის, მიმართ საერთაშორისო და შიდა ბაზარზე გაზრდილი ინტერესი; გაზრდილი გადამზადებული კერძო სექტორის წარმომადგენლების რიცხვი, რომლებიც უზრუნველყოფენ მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდებას; ახალი და მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტების შექმნა, რომელიც მორგებულია სხვადასხვა ინტერესის ტურისტზე; ახალი და გაუმჯობესებული მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურა მოწყობა; სხვადასხვა ქვეყნებთან, საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან გაღრმავებული თანამშრომლობა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წლის 8 თვის მდგომარეობით დაფიქსირდა 3 922 376 ვიზიტორი, წლის ბოლომდე მოსალოდნელია - 5 900 000 ვიზიტორი;

	მიზნობრივი მაჩვენებელი - ქართველი და უცხოელი ტურისტების რაოდენობა - 2019 წლისათვის მოსალოდნელია 20 %-იანი ზრდა 2015 წელთან შედარებით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2% **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წლის 8 თვის მდგომარეობით ქვეყანას მონაწილეობა აქვს მიღებული 18 საერთაშორისო გამოფენაში და განხორციელებული აქვს სარეკლამო აქტივობები 9 ქვეყანაში; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე ქვეყნის და მისი ტურისტული პოტენციალის ცნობადობა - 2019 წლისათვის მოსალოდნელია სხვადასხვა სარეკლამო აქტივობები 15 ქვეყანაში; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2 ქვეყანა; **შესაძლო რისკები** - მიზნობრივი ბაზრების შერჩევის პოლიტიკა

რეგიონებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა (25 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატი
პროექტის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია რეგიონული განვითარების პოლიტიკის შემუშავება, დეცენტრალიზაციის პოლიტიკის შემუშავება. ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციური გაძლიერებისა და მუნიციპალური მომსახურების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის სფეროში წინადადებების შემუშავება. სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა სექტორებსა და დარგებში დეცენტრალიზაციის პროცესის ხელშეწყობა და კოორდინაცია; საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება; მუნიციპალიტეტების შესაძლებლობების გაზრდის ხელშეწყობა მუნიციპალიტეტების მიერ ადგილობრივი მოსახლეობისთვის ხარისხიანი საჯარო სერვისების მიწოდების, მუნიციპალიტეტებში სოციალური გარემოსა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად; ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის დანერგვა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებების უზრუნველყოფის ხელშეწყობა და კოორდინაცია; კონპეტენციის ფარგლებში მუნიციპალური ტერიტორიული ოპტიმიზაცია და გაძლიერება; სახელმწიფო ზედამხედველობის ეფექტური მექანიზმების შექმნა; საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ქსელის განვითარების, დაპროექტებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის საკითხებში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება; განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სახელმწიფოებრივი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების

	კოორდინაცია; საქართველოს მოსახლეობის წყლით მომარაგების სისტემების დანერგვისა და ხელშეწყობის ღონისძიებათა განხორციელების უზრუნველყოფა. საქართველოს მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვის, სამხედრო სამსახურისთვის მომზადებისა და გაწვევის სამუშაოთა კოორდინაცია. საქართველოში (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა) არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების მოწყობასთან, მართვასთან და დახურვასთან, ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების მოწყობასთან და მართვასთან დაკავშირებული საკითხების განსაზღვრა და გადაწყვეტა. უფლებამოსილების ფარგლებში, რეგიონებში სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებების კოორდინაცია.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	რეგიონულ განვითარებასა და ადგილობრივ თვითმმართველობაზე შემუშავებული საჯარო პოლიტიკის დოკუმენტები. შემუშავებული და განხორციელებულია ინფრასტრუქტურული განვითარების პროექტი; საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განვითარებული ინფრასტრუქტურა და რეგიონალური მმართველობა; გაზრდილია კვალიფიციური კადრების რაოდენობა მუნიციპალიტეტებში.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - კვალიფიციური კადრების რაოდენობა გაზრდილია ადგილობრივ თვითმმართველობებში; აშენებულია, მოწესრიგებულია და რეაბილიტირებულია ინფრასტრუქტურა; **შესაძლო რისკები** - სახელმწიფო პრიორიტეტების ცვლილება; კადრების გადინება

ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია (36 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	შპს ენგურჰესი
პროექტის აღწერა და მიზანი	სახელმწიფო ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განვითარება, რომელიც მოიცავს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჰესების (ენგურჰესი და ვარდნილჰესების კასკადი) რეაბილიტაციას. კერძოდ: ვარდნილჰესების კასკადის რეაბილიტაცია.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ჰიდროელექტროსადგურების (ენგურჰესი, ვარდნილჰესების კასკადის პირველი საფეხური) საპროექტო სიმძლავრეზე გაყვანა, ელექტროენერგიის საპროექტო პარამეტრზე გაყვანა, სადგურის საიმედოობის ამაღლება.
საბოლოო შედეგის	1.

შეფასების ინდიკატორები	**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ვარდნილჰესების კასკადის პირველი საფეხურის ნომინალურ პარამეტრებზე გაყვანა, ელექტროენერგიის წარმოების გაზრდა 600 მლნ. კვტ. სთ.მდე. სადგურის საიმედოობის ამაღლება. ენგურჰესის ნორმალური ფუნქციონირების ხელშეწყობა.; ენერგოსისტემის მდგრადი ფუნქციონირება

ტექნიკური და სამშენებლო სფეროს რეგულირება (24 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	ტექნიკურ და სამშენებლო სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება, რომელიც ითვალისწინებს ევროპის ახალი და გლობალური მიდგომის 16 დირექტივასთან დაახლოებას; ბაზარზე ზედამხედველობის სისტემის განვითარება, რომელიც ითვალისწინებს ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროგრამის ფარგლებში, აღნიშნულ სისტემის ხარვეზებისა და საჭიროებების იდენტიფიცირებას, შეფასებას და შესაბამისი პროცედურების შემუშავებას ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად და ასევე, ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს ინსტიტუციური განვითარების გეგმის შემუშავებას, ტექნიკური რეგლამენტების შესაბამის კანონქვემდებარე ნორმატიული ბაზის შექმნას და სააგენტოს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების შესაბამისად; საკანონმდებლო ვაკუუმის აღმოსაფხვრელად შესაბამის სფეროებში ტექნიკური რეგლამენტების შემუშავება და მათი გამოყენებით მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტებზე ინსპექტირების განხორციელება;
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ევროკავშირის ახალი და გლობალური მიდგომის დირექტივების პრინციპების გათვალისწინებით შექმნილი და საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტები; ევროკავშირის რეკომენდაციების გათვალისწინებით დანერგილი პროდუქტის უსაფრთხოების შემოწმების ახალი მიდგომები და პრინციპები, რომლებიც ასახულია ნორმატიულ აქტებში; გაუმჯობესებული ბაზარზე ზედამხედველობის სისტემა, რომელიც დაახლოებულია ევროპის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკასთან; ბაზარზე უსაფრთო პროდუქტის განთავსების ხელშეწყობა;

	სააგენტოს საზედამხედველო ობიექტებზე გაუმჯობესებული უსაფრთხოების მაჩვენებელი.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 3 ტექნიკური რეგლამენტი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ევროდირექტივებთან დაახლოებული 16 ახალი ქართული ტექნიკური რეგლამენტი: 2016წ. - 2 ტექნიკური რეგლამენტის შემუშავება; 2017წ. - 5 მოქმედი და 11 შემუშავებული; 2018წ. - 11 რეგლამენტის დამტკიცება; 2019წ. - 11 რეგლამენტის ამოქმედება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 1%-2% **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წელს მოქმედი ტექნიკური რეგლამენტების შესაბამისად შემოწმებული პროდუქტების პროცენტული მაჩვენებელი შეადგენს 12.5%; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ევროდირექტივების შესაბამისად დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტების მიხედვით შემოწმებული პროდუქტების პროცენტული მაჩვენებელი წლების მიხედვით: 2016წ. - 12.5%; 2017წ. - 31.3%; 2018წ. – 31.3%; 2019წ. – 100%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2% **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წელს მოქმედი ტექნიკური რეგლამენტების შესაბამისად ჩატარებული შემოწმებების შედეგად შემცირდება ავარიული/უბედური შემთხვევების არეალი 87.5%-მდე"; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2016წ. - 87.5%-მდე; 2017წ. – 68.7%-მდე; 2018წ. – 68.7%; 2019წ. – 0%. * არეალი - იგულისხმება ობიექტები, რომლებიც მოიცავენ ძველ ტექნიკურ რეგლამენტებს; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2%

ბაქო - თბილისი - ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობისათვის მარაბდა - ახალქალაქი - კარწახის მონაკვეთზე კერძო საკუთრებაში არსებული მიწების გამოსყიდვა- კომპენსაცია (24 07)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	ყარსი-ახალქალაქის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის ხელშეწყობის მიზნით, მარაბდიდან კარწახის მიმართულებით თურქეთის საზღვრამდე მდებარე კერძო მიწის ნაკვეთების გამოსყიდვა და ამ პროცესთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა, შესასყიდი მიწის ნაკვეთების ტექნიკური და იურიდიული ბაზის მომზადება ნასყიდობის გარიგების გასაფორმებლად, საკუთრების უფლების რეგისტრაცია მყიდველზე, პრობლემური ნაკვეთების იურიდიული და ტექნიკური

	ბაზის გამართვა და ინდივიდუალური საკომპენსაციო შეთავაზების მომზადება თანდართული გრაფიკული მონაცემებით და რუკით.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	გადაზიდული ტვირთების მოცულობისა და გადაყვანილი მგზავრების რიცხვის გაზრდა;
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წლის ბოლოსთვის სავარაუდოდ გამოსყიდული იქნება 40-მდე ობიექტები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2016 წლის განმავლობაში გამოსყიდული იქნება ყველა საჭირო ობიექტი და დასრულდება აღნიშნული პროექტის განხორციელება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - სახელმწიფო ტენდერთან დაკავშირებული სირთულეები; სირთულეები კერძო მესაკუთრეებთან მოლაპარაკების პროცესში; სამართლებრივი პროცედურები

სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო (24 09)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	„საქართველოსა და ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ'' (ECAA) შეთანხმების გათვალისწინებული რეგულაციებისა და დირექტივების ქართულ საავიაციო კანონმდებლობაში ასახვა; საქართველოს საავიაციო დარგისათვის პრიორიტეტული რეგულაციებისა და დირექტივების განსაზღვრა, მათი დანერგვის დროში გაწერა, სამართლებრივი ანალიზი და ამ მიზნით, შესაბამისი დასკვნებისა და წინადადებების შემუშავება; ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს (EASA) PART 145-ის, PART M-ის, PART 147-ის და PART 66- ის რეგლამენტების დანეგრვა; სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) აუდიტის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსასწორებლად მაკორექტირებელი ღონისძიებების ამუშავება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ქვეყანაზე დაკისრებული საერთაშორისო ვალდებულების შესრულება: საავიაციო კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროპულ მარეგულირებელ აქტებთან და სტანდარტებთან;

	უსაფრთხოების ევროპული სტანდარტების დანერგვა, მგზავრთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა, პროცედურების გამარტივება, მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა და საერთაშორისო საავიაციო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავება; საქართველოს საავიაციო კანონმდებლობის ICAO-ს კონვენციის, მისი დანართებისა და შესწორებების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წლისათვის იკაოს სტანდარტების ეფექტური დანერგვის მაჩვენებლია 56%; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - უსაფრთხო აერნაოსნობა. მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება - 2019 წლისათვის იკაოს სტანდარტების ეფექტური დანერგვის მაჩვენებლის გაუმჯობესება 63%-მდე; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5% **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წელს იდენტიფიცირებულია ევრორეგულაციების 87%; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - უსაფრთხო აერნაოსნობა. მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება - 2019 წლისათვის იდენტიფიცირებული იქნება რეგულაციების რაოდენობა 100%-ით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 1% **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წელს გადამზადებული ინსპექტორების რაოდენობაა 20 ერთეული; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - უსაფრთხო აერნაოსნობა. მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება - 2019 წლისათვის გადამზადებული ინსპექტორების რაოდენობა იქნება 31 ერთული; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 3-5%

სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო (24 12)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის მომზადება; ელექტრონული აღრიცხვის ბაზის სისტემის სრულყოფაზე მუშაობა;

	სააგენტოს სპეციალისტთა და მეწარმეთა (მენეჯერები/მძღოლები) გადამზადება; თანამედროვე სიმულატორების დანერგვა; საერთაშორისო აქტივობების გაძლიერება; დარგის მონიტორინგის ეფექტური მექანიზმების შემუშავება; სავიზო პროცედურების ხელშეწყობა; ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის განვითარების ხელშეწყობა; ქართველი გადამზიდავების შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილებისათვის სხვადასხვა ქვეყნებთან ორმხრივი შეთანხმებების, ECMT-ს სისტემის ფარგლებში და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სერთიფიკატების, ავტორიზაციების და ნებართვების გაცემა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	გაიზრდება სატვირთო გადაზიდვებისა და სამგზავრო გადაყვანების არეალი და მათი უსაფრთხოების დონე; განახლდება ავტოპარკი; ჩამოყალიბდება ძლიერი, ტექნიკურად და ფინანსურად გამართული, მაღალი ხარისხის მომსახურების განმახორციელებელი დარგში ოპერირებადი საწარმოები; გაიზრდება ქართველ მეწარმეთა კონკურენტუნარიანობა; ხელი შეეწყობა საერთაშორისო ტურიზმის განვითარებას; განვითარდება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა; დასახლებულ პუნქტებში ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის, როგორც იაფი გადაადგილების საშუალების განვითარება;

	გარემოს გაჯანსღება.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი -** გადაზიდვების ოდენობა, სამგზავრო გადაყვანების სერვისი - 26 000; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** გადაზიდვების ოდენობის, სამგზავრო გადაყვანების სერვისის და არეალის ზრდა 40 000-მდე; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 15-25% **2.** **საბაზისო მაჩვენებელი -** ავტოპარკისა და საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობა შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს 20%-ით; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** ავტოპარკისა და საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის მიახლოება საერთაშორისო სტანდარტებთან 40% -ით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 15-25% **3.** **საბაზისო მაჩვენებელი -** საავტომობილო და სპეციალური ტრანსპორტის გადაზიდვებისა და მგზავრთა გადაყვანების უსაფრთხოების მაჩვენებელი შეადგენს 10%; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** საავტომობილო და სპეციალური ტრანსპორტის გადაზიდვებისა და მგზავრთა გადაყვანების უსაფრთხოების მაჩვენებელის გაზრდა 20%-მდე; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 15-25%

სსიპ - საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური (24 13)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური
პროექტის აღწერა და მიზანი	სამსახურის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით სანავიგაციო ნიშნებისა და მოწყობილობების ჩანაცვლება/მოდერნიზაცია; უსაფრთხო ნაოსნობის მხარდასაჭერად სანავიგაციო ქაღალდის და ელექტრონული რუქების ახალი სახეობებისა და მონაცემების განვითარება/კორექტირება; რეკომენდირებული გზების განვითარება და შუქურების ჩამონათვალის, ზღვის მოქცევის სიებისა და სხვა საზღვაო პუბლიკაციების შეთანხმება/გამოცემა;

	სამსახურის საზღვაო სანავიგაციო მოწყობილობებისა და საშუალებების სამეთვალყურეო მონიტორინგული სისტემით უზრუნველყოფა; სანავიგაციო გაფრთხილებების გავრცელების არეალის გაზრდა; რთული მეტეო პირობების დროს გემების წინასწარი ინფორმირება კატასტროფის თავიდან ასაცილებლად; ინფორმაციის მიღების, გადაცემისა და დამუშავების თანამედროვე ავტომატიზირებული მართვის სისტემის დანერგვა; პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა; ჰიდროგრაფიულ კონფერენციებში და სემინარებში მონაწილეობის მიღება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საქართველოს ტერიტორიულ წყლებსა და სანაპიროებზე დაინერგება თანამედროვე სანავიგაციო საშუალებები, რომელიც უზრუნველყოფს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას (სხვადასხვა ტონაჟის გემების საქართველოს პორტებში უსაფრთხო შემოსვლა); უსაფრთხო ნაოსნობა საქართველოს საზღვაო პასუხისმგებლობის ზონაში და სანაპირო ზოლში; მეტეოროლოგიური და ნავიგაციური ცვლილებების შესახებ შესაბამისი უწყებების ინფორმირება; მომზადებული კვალიფიციური კადრები; საერთაშორისო ტრიბუნის გამოყენება ზღვაზე ლიმიტაციის საკითხების გადასაწყვეტად.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - საზღვაო პასუხისმგებლობის ზონაში, ნავსადგურებსა და მისასვლელ არხებზე, სახმელეთო და მცურავი სანავიგაციო ნიშნების საჭირო რაოდენობაა განთავსებული; რომლებიც დღისა თუ ღამის საათებში წარმოადგენენ ორიენტირს პორტში შემოსასვლელი თუ გამსვლელი გემებისათვის. სანავიგაციო ნიშნებით ხდება ზღვაზე ნაოსნობისათვის სახიფათო ადგილების შემოსაზღვრა და ასევე, ნავსადგურის შესასვლელი ფორვატორის ჩარჩოების კიდეების აღნიშვნა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - უსაფრთხო ნაოსნობა - სანავიგაციო საშუალებების შეძენა–ჩანაცვლება ახალი თანამედროვე მოწყობილობა–დანადგარებით; სანავიგაციო საშუალებების იდეალურ მდგომარეობაში შესანარჩუნებლად, თანამედროვე

	ტექნოლოგიების გათვალისწინებით, ტექნიკური მომსახურების ჩატარება გეგმით გათვალისწინებული არსებული სქემით; საზღვაო პასუხისმგებლობის ზონაში, ნავსადგურებსა და მისასვლელ არხებზე, სახმელეთო და მცურავი სანავიგაციო ნიშნების საჭირო რაოდენობის დაგეგმარება, განთავსება, ტექნიკური მომსახურება უსაფრთხო ნაოსნობისათვის. სანავიგაციო ნიშნებზე საერთაშორისო სტანდარტებით მინიჭებული მახასიათებლების კონტროლი (კონსტრუქციის ფორმა, პარამეტრები, შეფერილობა, ოპტიკური მანათობელი აპარატის გამოკრთომის ფერი, სიხშირე, ხედვის სიშორე და ა.შ.); მცურავი სანავიგაციო ნიშნების განთავსება უსაფრთხო ნავიგაციისათვის ოპტიმალურ კოორდინატებში; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - უსაფრთხო ნაოსნობის უზრუნველყოფის შეფერხება; **შესაძლო რისკები** - შეიძლება გამოწვეული იქნეს მეტეოროლოგიური და სტიქიური პირობების გამო (მცურავი ერთეულების შეჯახებისას) **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ზღვაში განთავსებულია მეტეოროლოგიური–ოკეანოგრაფიული ტივტივა, ასევე სანავიგაციო ზოლზე (ხმელეთზე) განთავსებული მეტეოროლოგიური სენსორებით ხდება საზღვაო მეტეოროლოგიის დაკვირვება. ფაქტიური მონაცემები ზღვის მღელვარების, ქარის სიჩქარის, ზღვის დინებების შესახებ მიეწოდება გემის კაპიტნებს, პორტის უსაფრთხოების სამსახურს, პორტების სადისპეჩეროებს, სამაშველო სამსახურებს და ა.შ. თანამგზავრიდან მიღებული რუქების დამუშავების შედეგად დადგენილი ახლო დროის პროგნოზი რამოდენიმე საათით ადრე გაფრთხილების სახით, ასევე გადაეცემა გემის კაპიტნებს, პორტის უსაფრთხოების სამსახურს, პორტების სადისპეჩეროებს, სამაშველო სამსახურებსა და ა.შ; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - უსაფრთხო ნაოსნობა - სამსახურის ბალანსზე არსებული ტექნიკა დანადგარების მოვლა–შენახვა მოსალოდნელი რთული მეტეოპირობების ოპერატიული მიწოდების თვალსაზრისით, ასევე ყულევის ნავსადგურისთვის მეტეოროლოგიური–ოკეანოგრაფიული ტივტივის შეძენა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - უსაფრთხო ნაოსნობის უზრუნველყოფის შეფერხება; **შესაძლო რისკები** - რთული მეტეოროლოგიური და სტიქიური პირობები **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ზღვის ბათიმეტრიული კვლევების შედეგად იქმნება ქაღალდის რუქები, ასევე სანავიგაციო ელექტრონული რუკები, რომელიც უზრუნველყოფს გემების კაპიტნებისათვის უსაფრთხო საზღვაო მარშრუტების მიწოდებას; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საზღვაო რუკების ზონების ლიმიტაცია - სამსახურის ბალანსზე არსებული მცურავი საშუალებებისა და მანქანა დანადგარების მოვლა–შენახვა, რუკების პორტფოლიოში ახალი რუკების დამატება, სანავიგაციო, ელექტრონული და ქაღალდის რუკების წარმოება მაღალ პროფესიულ დონეზე, კადრების გადამზადება და სერტიფიცირება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - უსაფრთხო ნაოსნობის უზრუნველყოფის შეფერხება; **შესაძლო რისკები** - რთული მეტეოროლოგიური და სტიქიური პირობები **4.**

	საბაზისო მაჩვენებელი - „ნავიგაციური ტელექსის საშუალებით დღე ღამის განმავლობაში 3 საათის ინტერვალით 6 ჯერ ხორციელდება 490KHZ სიხშირეზე საზღვაო გაფრთხილებების გადაცემა. გადამცემი სისტემის ფუნქციონირება უზრუნველყოფს მოსალოდნელი რთული მეტეოროგიური პირობების ოპერატიულად მიწოდებას საქართველოს საზღვაო პასუხისმგებლობის ზონაში არსებული გემებისათვის; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - უსაფრთხო ნაოსნობა, კვალიფიციური კადრები - გადამცემი სისტემის ნავტექსის (ნავიგაციური ტელექსის) გამართული მუშაობის მხარდაჭერა. კადრების გადამზადება და სერტიფიცირება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - უსაფრთხო ნაოსნობის უზრუნველყოფის შეფერხება; **შესაძლო რისკები** - რთული მეტეოროლოგიური და სტიქიური პირობები

სსიპ -საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო (24 11)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს დროშით მცურავი სავაჭრო ფლოტის და საქართველოს ნავსადგურების საზღვაო უსაფრთხოების და უშიშროების უზრუნველყოფა; ზღვაზე ძებნა-გადარჩენის ოპერაციების წარმოება; მეზღვაურთა მომზადებისა და სერტიფიცირების სისტემის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა; საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საქართველოს საზღვაო კანონმდებლობის დახვეწა და საერთაშორისო სტანდარტებთან უფრო მეტად დაახლოება; უსაფრთხო ნაოსნობა საქართველოს ნავსადგურებსა და ტერიტორიულ წყლებში; მაღალკვალიფიციური ქართველ მეზღვაურებზე მოთხოვნის გაზრდა; გამართული საზღვაო კანონმდებლობა
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - სერთიფიცირებული მეზღვაურების რაოდენობა - 60%; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სერთიფიცირებული მეზღვაურების რაოდენობა 2016- 2019 წლებში სავარაუდოდ გაიზრდება

	21%-30 %-ით და შეადგენს 90%-ს; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5-10%

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2016 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2017 წლის პროგნოზი	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი
32 02	ზოგადი განათლება	572,979.0	572,755.0	224.0	650,200.0	670,200.0	710,300.0
32 04	უმაღლესი განათლება	361,762.0	106,617.0	255,145.0	374,200.0	378,200.0	381,200.0
32 06	საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება	94,441.0	94,441.0	-	140,000.0	146,000.0	150,000.0
32 07	ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს	82,820.0	82,820.0	-	100,600.0	43,000.0	19,700.0
32 05	მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა	68,513.0	66,747.0	1,766.0	62,800.0	56,800.0	53,800.0
32 03	პროფესიული განათლება	52,483.0	35,838.0	16,645.0	53,000.0	60,000.0	68,000.0
29 02	სამხედრო წვრთნა და განათლება	25,509.2	24,831.0	678.2	29,280.0	35,280.0	43,280.0
33 03	სახელოვნებო განათლების სისტემის ხელშეწყობა	27,278.0	19,181.0	8,097.0	27,300.0	28,400.0	28,400.0
32 01	განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა	19,145.0	15,972.0	3,173.0	18,500.0	17,500.0	17,500.0
01 02	საბიბლიოთეკო საქმიანობა	7,490.7	7,490.7	-	7,715.0	7,947.0	8,185.0
30 03	სამართალდამცავი სრუქტურებისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, გადამზადება, საარქივო ფონდების დიგიტალიზაცია, სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობა და მოქალაქეთა მომსახურება	7,265.0	6,735.0	530.0	7,650.0	7,700.0	7,750.0
58 00	სსიპ -განათლების საერთაშორისო ცენტრი	6,500.0	6,500.0	-	7,000.0	7,500.0	8,000.0
26 04	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა გადამზადება და სასწავლო ცენტრის განვითარება	4,370.0	2,500.0	1,870.0	4,365.0	5,105.0	5,190.0

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2016 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2017 წლის პროგნოზი	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი
09 02	მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება	1,531.0	1,500.0	31.0	2,040.0	2,040.0	2,040.0
23 05	საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება	1,450.0	1,100.0	350.0	1,550.0	1,650.0	1,750.0
27 03	სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემისათვის თანამშრომელთა მომზადება და პროფესიული განვითარება	1,006.0	1,006.0	-	1,000.0	1,000.0	1,000.0
01 03	ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება	450.0	450.0	-	464.0	477.0	492.0
28 02	მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო ურთიერთობების დარგში	395.0	385.0	10.0	410.0	465.0	520.0
64 00	სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“	10,390.2	-	10,390.2	10,500.0	11,000.0	11,500.0
24 10	სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	4,768.8	-	4,768.8	4,000.0	4,050.0	4,050.0
სულ		**1,350,546.9**	**1,046,868.7**	**303,678.2**	**1,502,574.0**	**1,484,314.0**	**1,522,657.0**

ზოგადი განათლება (32 02)

პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური; სსიპ – გამოცდების ეროვნული ცენტრის აპარატი; სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის აპარატი; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი; სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის აპარატი
პროექტის აღწერა და მიზანი	ზოგადი განათლების ღიაობა და თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველასთვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში, ინკლუზიური სწავლების გაფართოება; საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ჩართვა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა, რომლებიც მათ შესაძლებლობას მისცემს, სრულად განახორციელონ მათთვის დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობები; მასწავლებელთა კვალიფიკაციის დონის ამაღლება და მათი ხელფასების ეტაპობრივი ზრდა. ეროვნული შეფასებების, ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავების და აკრედიტაციის სისტემების ჩამოყალიბება, სწავლების ხარისხის დადგენისა და შეფასების მეშვეობით ზოგადსაგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა და მართვა; საჯარო სკოლის ყველა კლასის მოსწავლეებისათვის და კერძო სკოლის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების, აგრეთვე კანონმდებლობით დადგენილი სხვა კატეგორიების მოსწავლეების სასკოლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა; სკოლებში იმ მოსწავლეების ტრანსპორტირების პროცესის ხელშეწყობა, რომლებიც ცხოვრობენ ისეთ დასახლებულ პუნქტებში (სოფელი, დაბა) სადაც არ ფუნქციონირებს სკოლები და მანძილი სოფლებს შორის შესამჩნევია, ასევე აქვთ შეზღუდული შესაძლებლობები. ეთნიკურად არაქართველი მოსწავლეებისათვის ქართული ენის სწავლების ხელშეწყობა; საერთაშორისო ასპარეზზე ქართველი ახალგაზრდების კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით ინგლისური ენის სწავლების გაძლიერება; საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ძალადობის აღმოფხვრა და დისციპლინის გაუმჯობესება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ყველა მოქალაქისათვის ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა;

	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის კურსდამთავრებულთა განათლების დონის ამაღლება.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 2014-2015 წლებში მოსწავლეთათვის შესაბამის საფეხურზე ზოგადი განათლების მიწოდების მიზნით, ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების უზრუნველყოფა საჭირო ფინანსური რესურსებით, სასკოლო სახელმძღვანელოებით, სამუშაო რვეულებით; რიგი რაიონის სკოლის მოსწავლეების უფასო ტრანსპორტირება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2016-2019 წლებში მოსწავლეთათვის შესაბამის საფეხურზე ზოგადი განათლების მიწოდების მიზნით, ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების უზრუნველყოფა საჭირო ფინანსური რესურსებით, სასკოლო სახელმძღვანელოებით, სამუშაო რვეულებით; რიგი რაიონის სკოლის მოსწავლეების უფასო ტრანსპორტირება **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - მოსწავლეების 50%-ის ჩართულობა სასკოლო ღონისძიებებსა და აქტივობებში, მოსწავლეების 20%-ის მონაწილეობა ოლიმპიადებში საქართველოს მასშტაბით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მოსწავლეების 70%-ის ჩართულობა სასკოლო ღონისძიებებსა და აქტივობებში, მოსწავლეების 50%-ის მონაწილეობა სასკოლო ოლიმპიადებში; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10% **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ფსიქო-სოციალური პრობლემების მქონე მოსწავლეთა ფსიქოლოგიური მომსახურების გაწევა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მოსწავლეთა რაოდენობის ზრდა, რომლებსაც ესაჭიროებათ ფსიქო-სოციალური მომსახურება; ფსიქო-სოციალური პრობლემების მქონე მოსწავლეთა რეაბილიტაციის ხელშეწყობა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - არასრულწლოვანის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უარი ბავშვისთვის ფსიქოლოგიური მომსახურების გაწევაზე, საქართველოს ყველა რაიონში ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრის არარსებობა, რაიონებში კვალიფიციური კადრების არარსებობა **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - სკოლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა შესაბამის საფეხურზე ზოგადი განათლების მიწოდება, მათთვის შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფა; ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის სპეციალისტების მიერ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების შეფასება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სპეციალურ საგანმანთლებლო საჭიროების მქონე ბენეფიციართა 100% უზრუნველყოფილია შესაბამის საფეხურზე ზოგადი განათლების მიწოდებით, სრული სახელმწიფო სადღეღამისო ან/და დღის მომსახურებით (ინდივიდუალური საჭიროებების, ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით ბენეფიციართა განათლებაზე და განვითარებაზე;

	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10%; **შესაძლო რისკები** - მშობლების ცნობიერების დაბალი დონე შვილების ფორმალურ განათლებაში ჩართვის კუთხით

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსება (32 02 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსებით უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერით, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მოსწავლეთა რაოდენობის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა რაოდენობის, მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის, სქემით განსაზღვრული შესაბამისი სტატუსის მქონე მასწავლებლების დანამატის, ადმინისტრაციული, სკოლის მოვლა-შენახვისა და სკოლის განვითარებისათვის საჭირო და სხვა ხარჯების გათვალისწინებით, რაც სკოლებს შესაძლებლობას აძლევს, სრულად შეასრულონ თავიანთი ფუნქცია-მოვალეობები.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის უზრუნველყოფა შესაბამისი დაფინანსებით; მოსწავლეთათვის ზოგადი განათლების მიღების უზრუნველყოფა დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015-2016 სასწავლო წელს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ფინანსური რესურსის 100%-იანი ფლობა, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე მოსწავლეთათვის ზოგადი განათლების მიღების უზრუნველყოფის მიზნით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2016 - 2017 სასწავლო წელს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ფინანსური რესურსის 100%-იანი ფლობა, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე მოსწავლეთათვის ზოგადი განათლების მიღების უზრუნველყოფის მიზნით

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა (32 02 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში დასაქმებულ პირთა, მ.შ ზოგადი განათლების დაწესებულებაში დასაქმებული პირების (დირექტორებისა და მასწავლებლების), ასევე პროფესიული სასწავლებლების მასწავლებლების პროფესიული განვითარება და კვალიფიკაციის ხარისხის ამაღლება; სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომების დანერგვისა და გავრცელების ხელშეწყობა; სამიზნე ჯგუფების პროფესიული ცოდნისა და საქმიანობის განმსაზღვრელი პროფესიული სტანდარტების შემუშავება, საერთაშორისო სტანდარტებისადმი და მოთხოვნებისადმი გათანაბრება და დანერგვა, მასწავლებლის პროფესიის სტატუსის ამაღლება, სფეროში მიმდინარე სიახლეების გავრცელება; მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ეფექტიანი დანერგვის ხელშეწყობა შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციების შემუშავებითა და ინტერვენციების განხორციელებით; მიზნობრივი ინტერვენციების განხორციელება ხარისხიანი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობისა და ზოგადი განათლების სისტემაში წარმომადგენლობითი ფაქტორების შესაძლებლობების განვითარებისთვის.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	პროფესიული სტანდარტების რევიზია და დანერგვა; მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ეფექტიანი დანერგვის ხელშეწყობა: სამიზნე ჯგუფების (მასწავლებლების, დირექტორების, პროფესიული განათლების მასწავლებლების) ეტაპობრივი პროფესიული განვითარებისა და კლავალიფიკაციის ამაღლებით, კარიერული წინსვლა და განათლების სისტემის თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება; სკოლის შიდა შეფასების ჯგუფების და ფასილიტატორების მომზადება (ტრენინგები, კონსულტირება); ეთნიკური უმცირესობებისათვის ქართული ენის სწავლება, რაც უზრუნველყოფს მათ სრულფასოვან ჩართულობას, როგორც საქართველოს საგანმანათლებლო, ასევე სამუშაო სექტორში.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - მიმდინარეობს მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტის წინასარევიზიო სამუშაოები;

	მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016 წელს განახლებულია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი და გასაჯაროვებულია სამიზნე ჯგუფებისთვის; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20 %; **შესაძლო რისკები** - ეროვნულ სასწავლო გეგმაში ცვლილებების განხორციელება, საინფორმაციო ღონისძიებებზე ბენეფიციართა დაუსწრებლობა **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წელს საპილოტე რეჟიმში ჩაეშვა „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა“. 2015 წლის მონაცემებით 76% პრაქტიკოსი მასწავლებელია დასაქმებული სკოლაში, 23,7 % - უფროსი მასწავლებელი და 0,3 % - წამყვანი მასწავლებელი. შემუშავების პროცესშია მასწავლებელთა მომზადებისა და გადამზადების 5 კრედიტიანი ტრენინგ-კურსი, ეტაპობრივად მიმდინარეობს სამიზნე ჯგუფების ტრენინგები ზოგადპროფესიული და საგნობრივი მიმართულებებით; ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი მასწავლებლების მხოლოდ მცირე ნაწილია ჩართული მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ღონისძიებებში ენობრივი ბარიერისა და მრავალფეროვანი პროფესიული რესურსების არარსებობის გამო; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - უფროსი მასწავლებლების ხვედრითი წილი გაზრდილია 10 %-ით; გადამზადებულია საგანჩაბარებული პრაქტიკოსი მასწავლებლების 80%; მასწავლებელთა, დირექტორთა და პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა რაოდენობა, ვინც გაიარა ტრენინგები; არაქართულენოვან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლების საგნობრივი ტრენინგების მშობლიურ (აზერბაიჯანულ, რუსულ, სომხურ) ენაზე გავლა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - მასწავლებლების მიერ საგნობრივი გამოცდის ჩაბარების დაბალი მაჩვენებელი, რთული გეოგრაფიული ზონები; მასწავლებელთა დაბალი მოტივაცია, ეროვნული უმცირესობების ენებზე მასალების ადაპტირება და პილოტირების პრობლემა **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - შიდა შეფასების ჯგუფის წევრები და ფასილიტატორები არ ფლობენ სათანადო ცოდნას/გამოცდილებას სქემის ფარგლებში მასწავლებელთა საქმიანობის შეფასებისა და პროფესიული განვითარების გზების შესახებ; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ტრენინგი გავლილი აქვს სკოლის შიდა შეფასების ყველა წევრს და ფასილიტატორს. სკოლებში დანერგილია მასწავლებლის შეფასების სისტემა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 15%; **შესაძლო რისკები** - სკოლების ნაწილს არ აქვს დაკომპლექტებული შიდა შეფასების ჯგუფები. ელექტრონული სისტემის ტექნიკური ხარვეზები, არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ენობრივი ბარიერი **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - პროფესიული განათლების მასწავლებლებს არ აქვთ განათლება პროფესიულ პედაგოგიკაში,

	პროფესიული განათლების მასწავლებელთა განვითარების ტრენინგები პროფესიაში არასისტემური და ფრაგმენტულია; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - პროფესიული განათლების მასწავლებელთა 15%-ს გავლილი აქვს ზოგადპედაგოგიური კურსი; პროფესიული მასწავლებლების 60%-ს გავლილი აქვს ტრენინგები საწარმოში; პროფ. მასწავლებელთა რაოდენობა, ვისაც გავლილი აქვს მოდულური სწავლების კურსი; პროფ. მასწავლებელთა რაოდენობა, ვისაც გავლილი აქვს ინკლუზიური განათლების კურსი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - მასწავლებელთა დაბალი მოტივაცია, ფინანსური დაუინტერესობლობის გამო საწარმოში ტრენინგებზე უარს იტყვიან მსხვილი და წარმატებული საწარმოები **5.** **საბაზისო მაჩვენებელი** - პროგრამის „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ ფარგლებში დასაქმებულია 98 კონსულტანტ-მასწავლებელი და 116 დამხმარე მასწავლებელი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - დასაქმებულია 100 კონსულტანტ-მასწავლებელი და 200 დამხმარე მასწავლებელი; ადგილობრივი მასწავლებლების რაოდენობა, რომელიც ჩართულია ენის შემსწავლელ კურსებში და იუმჯობესებს ენის ფლობის დონეს; სკოლების რაოდენობა, მოსწავლეების რაოდენობა, რომლებსაც უტარდებათ ქართული ენის კვალიფიციური გაკვეთილები; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - შესაბამისი კვალიფიციური კადრების დეფიციტი, ადგილობრივი მასწავლებლების დაბალი მოტივაცია

უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა (32 02 03)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა უსაფრთხო გარემოს შექმნა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; სისხლის სამართლის რეფორმის ფარგლებში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა ძალადობის, მათ მიერ ცივი და ცეცხლსასროლი იარაღების ტარების, ალკოჰოლური და ნარკოტიკული საშუალებების გავრცელების/გამოყენების პრევენცია და აღმოფხვრა; ყველა ბავშვისა და ახალგაზრდისათვის ზოგადი განათლებისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობების, ჯანსაღი და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფა;

	ქცევითი და ემოციური პრობლემების მქონე სკოლის მოსწავლეებისა და მათი ოჯახის წევრების კვალიფიციური ფსიქო-სოციალური მომსახურებით უზრუნველყოფა; საჯარო სკოლებში პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის ხელშეწყობის მიზნით, მოსწავლეთათვის შესაბამისი გაკვეთილების, ექსკურსიებისა და გაფართოებული შეხვედრების ჩატარება, მათი შესაძლებლობებისა და უნარების გამოვლენის გზით;
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დარღვევების შემცირებული რაოდენობა, გაცდენილი გაკვეთილების შემცირებული რაოდენობა; მოსწავლეთათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა და მათი ზოგადი განათლების ხელშეწყობა; საზოგადოებაში მანდატურის სამსახურის გაზრდილი ნდობა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს გაძლიერება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მოსწავლეთა ქცევითი დარღვევების ფაქტების შემცირება; მანდატურის სამსახურის გაფართოება საჯარო სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 15%; **შესაძლო რისკები** - კადრების გადინების მაღალი მაჩვენებელი 2. **საბაზისო მაჩვენებელი** - ფსიქო-სოციალური პრობლემების მქონე მოსწავლეები უზრუნველყოფილ იქნა ფსიქო-სოციალური მომსახურებით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ფსიქო-სოციალური პრობლემების მქონე მოსწავლეთა გამოვლენა და რეაბილიტაცია 3. **საბაზისო მაჩვენებელი** - პროფორიენტაციის სისტემის დანერგვა საჯარო სკოლებში; 2014-2015 სასწავლო წელს ჩართულია 482 საპილოტე საჯარო სკოლა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2016 წლის სექტემბერში პროგრამაში ჩართული სკოლების რაოდენობა შეადგენს 2 085 სკოლას; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - მოცემული მომენტისთვის აჭარის რეგიონში არ არიან პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტები, რაც ეჭქვეშ აყენებს ამ რეგიონის სკოლების პროგრამაში ჩართვას

წარმატებულ მოსწავლეთა წახალისება (32 02 04)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი; სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი
პროექტის აღწერა და მიზანი	მოსწავლეთა ინტელექტუალური განვითარების, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების სწავლებისა და თანაბრად კონკურენტულ გარემოში ახალგაზრდების შესაძლებლობების რეალიზების ხელშეწყობისა და საერთაშორისო დონეზე მათი წარმოჩენის მიზნით, სხვადასხვა ეროვნული და საერთაშორისო ოლიმპიადების ორგანიზება; მოსწავლეთა ზოგადი განათლების განვითარებაზე ორიენტირებული განსაკუთრებით საინტერესო პროექტების დაფინანსება; სკოლებისათვის სხვადასხვა თემატური და კალენდარული დღისადმი მიძღვნილი კონკურსების გამოცხადება.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	წარჩინებული მოსწავლეების ოქროსა და ვერცხლის მედლებით დაჯილდოება; ფიზიკის, მათემატიკის, ინფორმატიკისა და ბიოლოგიის საერთაშორისო ოლიმპიადებში წარმატებით მონაწილე საქართველოს ნაკრები გუნდები; მოსწავლეების ამაღლებული მოტივაციის დონე.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - მედალოსანი კანდიდატების რაოდენობა XII კლასელების დაახლოებით 5-6% შეადგენს; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მედალოსანი კანდიდატების რაოდენობა XII კლასელების დაახლოებით 7-8%-მდე გაიზრდება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - განათლების ხარისხის განვითარების შეფერხება 2. **საბაზისო მაჩვენებელი** - საგნობრივ ოლიმპიადებში გამოვლინდა 132 გამარჯვებული მოსწავლე; 2015 წელს საერთაშორისო ოლიმპიადებში მოპოვებულ იქნა 8 მედალი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მოსწავლეთა საგნობრივ და საერთაშორისო ოლიმპიადებში მონაწილეობის დაინტერესების ზრდა; ოლიმპიადებში 2015 წელთან შედარებით 5% -ით გაზრდილი მოსწავლეთა რაოდენობა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - ნაკრები გუნდების წვრთნის არასაკმარისი ხანგრძლივობა

განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების საგანმანათლებლო და საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა და ინკლუზიური განათლების განვითარება (32 02 05)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი
პროექტის აღწერა და მიზანი	საჯარო სკოლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლების ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვა, მათთვის შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფა; ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის სპეციალისტების მიერ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების შეფასება; საჯარო სკოლებისათვის დახმარებისა და კონსულტაციების გაწევა ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით მუშაობასთან დაკავშირებით; ინკლუზიური განათლების საკითხებში სპეციალური პედაგოგების გადამზადება; საჯარო სკოლების მოსწავლეების, სტუდენტებისა და სოციალურად დაუცველი, მზრუნველობამოკლებული, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე, დევნილი, რეპატრირებული და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოზარდების ინტეგრაციისა და სოციალიზაციის ხელშეწყობა, აგრეთვე სათემო აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების გზით მათში საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვის სურვილის გაღვიძება; სპეციალური საგანმანათლებლო დაწესებულებების ბენეფიციარების უზრუნველყოფა სრული სახელმწიფო სადღეღამისო ან დღის მომსახურებით, სადაც ინდივიდუალური საჭიროებების, ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით მოხდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბენეფიციართა განვითარებაზე ზრუნვა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ინკლუზიური განათლების პროცესის განვითარება და მონიტორინგი; საჯარო სკოლებში ინკლუზიური განათლების დანერგვის გაუმჯობესებული პროცესი, კერძოდ, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის სპეციალიზირებული ინვენტარი, ტექნიკა, განმავითარებელი თვალსაჩინოებები და სათამაშოებით აღჭურვილი რესურსოთახები; პროგრამაში ჩართულ მოზარდთა სოციალიზაცია და ინტეგრაცია;

	განათლების მიწოდებისა და ბავშვებზე ზრუნვის გაზრდილი ხარისხი სპეციალური პროფილის მქონე სკოლა - პანსიონებში, შეფასებული ყველა ჩასარიცხი ბავშვი, როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში;
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2014 - 2015 წელს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ განხორციელებულ იქნა 4 743 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების შეფასება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მულტიდისციპლინური გუნდის მიერ შეფასებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების რაოდენობის გაზრდა 67% - ით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრის ნაკლებობა და საზოგადოების არასათანადო მზაობა 2. **საბაზისო მაჩვენებელი** - პროფესიულ განათლებაში ჩართულ იქნა 200 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - პროფესიულ განათლებაში ჩართული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა რაოდენობის 50 %-ით გაზრდა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - ცხრა კლასის დამთავრების დამადასტურებელი ატესტატის არარსებობა 3. **საბაზისო მაჩვენებელი** - საავადმყოფოში ხანგრძლივად ჰოსპიტალიზებული ქრონიკული დაავადებების მქონე ბავშვებისათვის და აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე მოსწავლეებისათვის საგანმანათლებლო სერვისის მიწოდების მიზნით, ფუნქციონირებდა 9 ინტეგრირებული კლასი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ბავშვთა საავადმყოფოში ხანგრძლივად ჰოსპიტალიზებული ქრონიკული დაავადებების მქონე ბავშვებისათვის და აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე მოსწავლეებისათვის საგანმანათლებლო სერვისის მიწოდების მიზნით იფუნქციონირებს 12 ინტეგრირებული კლასი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - სკოლებიდან წამოსული ინიციატივების ნაკლებობა, შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების დეფიციტი 4. **საბაზისო მაჩვენებელი** - სპეციალურ საგანმანთლებლო დაწესებულებებში ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი იქნენ სრული სახელმწიფო სადღეღამისო ან დღის მომსახურებით, სადაც ინდივიდუალური საჭიროებების, ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით მოხდა მათ განვითარებაზე ზრუნვა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მიწოდებული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება

მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა (32 02 06)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	საჯარო სკოლის ყველა კლასის მოსწავლეებისათვის და კერძო სკოლის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების, აგრეთვე კანონმდებლობით დადგენილი სხვა კატეგორიების მოსწავლეების სასკოლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა;
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	უფასო/ხელმისაწვდომი ზოგადი განათლების მიღება საქართველოს ყველა საჯარო სკოლის მოსწავლისათვის, ასევე კერძო სკოლის იმ მოსწავლეთათათვის, რომლებიც არიან სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისა და 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების შვილები
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015-2016 სასწავლო წელს პროგრამის ბენეფიციართა 100% უზრუნველყოფილ იქნა სასკოლო სახელმძღვანელოებით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2016- 2017 სასწავლო წელს პროგრამის ბენეფიციართა 100% უზრუნველყოფილი იქნება სასკოლო სახელმძღვანელოებით

საზაფხულო სკოლები (32 02 07)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ინგლისური ენის სწავლა/სწავლების ხელშეწყობა; მომავალი ლიდერებისთვის ისეთი უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა, როგორიცაა საკუთარი თავის შეცნობა, მიზნისა და მთავარი ამოცანის ჩამოყალიბება, პრიორიტეტების გამოკვეთა და მასზე ფოკუსირება; არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის სახელმწიფო ენის სწავლებისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ამაღლებული ცოდნის დონე, ახალი გამოცდილება და უცხოელი თანატოლების ცხოვრებისა და მათი ქვეყნის კულტურის გაცნობა; ეთნიკური უმცირესობებისათვის ქართული ენის ცოდნის დონის ამაღლება;

შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 2014-2015 წელს პროგრამაში „ინგლისური ენის საზაფხულო სკოლა საქართველოში“ მონაწილე 1 200 მოსწავლემ აიმაღლა ცოდნის დონე ინგლისურ ენაში; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2016 წელს 600 მოსწავლით გაიზრდება მოსწავლეთა რაოდენობა, რომელიც აიმაღლებს ინგლისური ენის ცოდნის დონეს; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - ცდომილების ალბათობა მინიმალური, ვინაიდან ინგლისურ ენაში გადამზადების პროცესში ჩართულნი არიან კვალიფიციური სპეციალისტები; **შესაძლო რისკები** - ტექნიკურ უზრუნველყოფაში შეფერხება **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 2014-2015 წელს 170 მოსწავლემ გამოიმუშვა არაფორმალურ გარემოში საკუთარი თავის შეცნობის, მიზნისა და მთავარი ამოცანის ჩამოყალიბების, პრიორიტეტების გამოკვეთისა და მასზე ფოკუსირების, პირად, ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების უნარ-ჩვევები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით 2016 წელს 90 მოსწავლით გაზრდილი რაოდენობა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - ტექნიკურ უზრუნველყოფაში შეფერხება; მოსწავლეთა დაბალი ინტერესი **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტერგაციის დონის ამაღლება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - აქტივობის „მულტიკულტურული საზაფხულო სკოლა ეთნიკური უმცირესობებისათვის“ ფარგლებში ბენეფიციართა რაოდენობა გაიზრდება 100 ერთეულით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - ეთნიკური უმცირესობების დაბალი ინტერესი

ოკუპირებული რეგიონების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარება (32 02 08)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	გალის რაიონისა და 2008 წლის აგვისტოს მოვლენებამდე ახალგორის რაიონის ფუნქციონირებადი სკოლების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარებით უზრუნველყოფა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ოკუპირებულ რეგიონებში ფუნქციონირებადი სკოლების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის პროგრამაში ჩართულობა.
შუალედური შედეგის	**1.**

შეფასების ინდიკატორები	**საბაზისო მაჩვენებელი** - პროგრამის ბენეფიციართა 100% უზრუნველყოფილ იქნა ფინანსური დახმარებით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მაჩვენებლის შენარჩუნება

ბრალდებული და მსჯავრდებული პირებისათვის განათლების მიღების ხელმისაწვდომობა (32 02 09)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ზოგადი განათლების მიღების ხელშეწყობა; სასჯელაღსრულების დეპარტამენტის არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებასა და ქალთა და არასრულწლოვანთა №5 საერთო და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულებაში არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისათვის ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა; პროფესიული განათლების კურსების მეშვეობით სასჯელის მოხდის პერიოდში ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების (როგორც სრულწლოვნები, ისე არასრულწლოვნები) სხვადასხვა პროფესიის დაუფლების ხელშეწყობა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფი ყველა არასრულწლოვანი მსჯავრდებულის შესაძლებლობა სპეციფიკურ გარემოში ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ზოგადი განათლებისთვის აუცილებელი საგნების შესაწავლის, შესაბამისი ატესტატის მიღებისა და განათლების სხვა საფეხურზე სწავლის გაგრძელების; დასაქმების შესაძლებლობა სასჯელაღსრულების პერიოდის დასრულების შემდგომ.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წელს სასწავლო პროცესში ჩართული ბრალდებული და მსჯავრდებული მოსწავლეების რაოდენობამ შეადგინა 68%; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სასწავლო პროცესში ჩართული მოსწავლეების ზრდა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - სამიზნე ჯგუფების არარსებობა

ეროვნული სასწავლო გეგმების დანერგვა და მონიტორინგი (32 02 10)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგისა და სხვა კვლევების ჩატარება ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარებისა და დანერგვის ხელშეწყობის მიზნით; ადრეული და სკოლამდელი განათლების სისტემის ჩამოყალიბება; საგანამანათლებლო მეთოდური ლიტერატურის ხელმისაწვდომობის გაზრდა ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ეფექტიანობის ამაღლებისათვის;
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა; მომზადებულია ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული ალტერნატიული სასწავლო გეგმა სპეციალური საგანმანათლებო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის; ადრეული და სკოლამდელი განათლების თანაბრად უზრუნველყოფა; სასკოლო ასაკის ყველა ბავშვის ინტელექტუალური, ფიზიკური, სოციალური და ემოციური განვითარების დონის ამაღლება, საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში ზოგადი განათლების საფეხურზე გადასვლის მიზნით.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - განხორციელდა მუშაობა დაწყებითი საფეხურის ეროვნულ სასწავლო გეგმაზე და მიმდინარეობს მუშაობა საბაზო საფეხურის ეროვნულ სასწავლო გეგმაზე; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - გადამუშავებული დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგნობრივი სასწავლო გეგმები **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - მომზადებული იქნა ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგის ჩარჩო დაწყებითი და საბაზო საფეხურებისთვის; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მომზადებულ იქნება ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგის ჩარჩო საშუალო საფეხურისთვის **3.**

	საბაზისო მაჩვენებელი - ჩატარებულ იქნა ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგი საბაზო საფეხურზე თბილისის მასშტაბით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ჩატარებული იქნება ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგი საბაზო საფეხურზე რეგიონების სკოლებში, ხოლო საშუალო საფეხურზე თბილისისა და რეგიონების სკოლებში **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - დამტკიცებულ იქნა სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტი, რომლის დასანერგად მომზადებულ იქნა აღმზრდელი გზამკვლევი, ყოველკვირეული აქტივობების კრებული, სატრენინგო მოდულები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მომზადდება სკოლამდელი განათლების სტანდარტი და სტანდარტის დასანერგად საჭირო მეთოდოლოგიური მასალები; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - შესაბამისი საკანონმდებლო აქტების პროექტების შეთანხმების პროცესის შეფერხება

საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა (32 02 11)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	დასახლებულ პუნქტებში (სოფელი, დაბა) სადაც არ ფუნქციონირებს სკოლები და მანძილი სოფლებს შორის შესამჩნევია მოსწავლეთა ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა;
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მოსწავლეებისთვის ზოგადსაგანმათლებლო დაწესებულებების ხელმისაწვდომობის გაზრდა;
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - დასახლებულ პუნქტებში (სოფელი, დაბა) სადაც არ ფუნქციონირებს სკოლები და მანძილი სოფლებს შორის შესამჩნევია მოსწავლეთა 90% უზრუნველყოფლ იქნა ტრანსპორტით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - დასახლებულ პუნქტებში (სოფელი, დაბა) სადაც არ ფუნქციონირებს სკოლები და მანძილი სოფლებს შორის შესამჩნევია მოსწავლეთა 100% უზრუნველყოფლ იქნება ტრანსპორტით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - კლიმატური პირობებიდან და სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე

ზოგადი განათლების ხელშეწყობა (32 02 12)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსწავლეებისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სრული ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობის გაზრდა, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა; მოსწავლეებისათვის და სკოლაში დასაქმებულ პირთათვის ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა, მოსწავლეებისა და სკოლაში დასაქმებულებისათვის დროული პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა; 2016-2017 სასწავლო წლისთვის საკლასო ჟურნალით ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების უზრუნველყოფა; სასკოლო ინიციატივების დაფინანსების გზით მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის და სასკოლო გარემოს განვითარების ხელშეწყობა; მოსწავლეების ინფორმირებულობის, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა და სამოქალაქო ცნობიერების განვითარების ხელშეწყობა; აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ ეთნიკურ ქართველებს ქართული ენობრივ-კულტურული იდენტობისა და ისტორიულ სამშობლოსთან კავშირების შენარჩუნება და ქართული ენის შესწავლის ხელშეწყობა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სწავლისადმი მოსწავლეების ამაღლებული მოტივაცია და თანაბარკონკურენტული გარემო მოსწავლეთა უნარების წარმოსაჩენად;
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წლის მდგომარეობით შემენილ იქნა 37 ათასზე მეტი სასკოლო ჟურნალი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყოველწლიურად მოთხოვნილი ჟურნალების რაოდენობის შემენა 2. **საბაზისო მაჩვენებელი** - „სასკოლო ინიციატივების წახალისების ქვეპროგრამის“ ფარგლებში ყოველწლიურად საშუალოდ 30-50 პროექტის დაფინანსება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - „სასკოლო ინიციატივების წახალისების ქვეპროგრამის“ ფარგლებში ყოველწლიურად

	დაფინანსებულ იქნება საშუალოდ 50-60 პროექტი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - სამინისტროში შემოსული არაეფექტური და/ან არამიზნობრივი პროექტები **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - გადამზადებულ იქნა გალის რაიონის 45 პედაგოგი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყოველწლიურად გადამზადებულ იქნება 45 პედაგოგი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - საზღვრის გადაკვეთისას არსებული პრობლემები **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - აზერბაიჯანში არსებული ქართული სკოლების მომარაგება 6 ათასამდე ქართული ენა/ლიტერატურის და მათემატიკის სახელმძღვანელებით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყოველწლიურად მოთხოვნილი სახელმძღვანელოების მიწოდება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%

უმაღლესი განათლება (32 04)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი; სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი
პროექტის აღწერა და მიზანი	უმაღლესი განათლების სფეროში განსახორციელებელი რეფორმების მიზნებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს განვითარებისა და საკუთრივ უმაღლესი განათლების სისტემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული ინტელექტუალური პოტენციალის მიზნობრივად გამოყენება, ახალი სამეცნიერო პერსონალის მომზადებისა და მათი შემდგომი განვითარების ხელშეწყობა, სამეცნიერო კვლევის პირობების შექმნა, სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის ინტეგრირებისათვის ხელშეწყობა; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინტელექტუალური და მატერიალური პოტენციალის ინტეგრაციის ხელშეწყობა; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთათვის სკოლის გამოსაშვები და ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების ხელშეწყობა; საერთო სამაგისტრო გამოცდების, პროფესიული ტესტირებისა და მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდების ჩატარება; უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხულ საქართველოსა და

	უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების უზრუნველყოფა; წარჩინებული სტუდენტების სტიპენდიით უზრუნველყოფა; უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის სწავლების ხელშეწყობით საერთაშორისო კავშირების განმტკიცება, განათლების სფეროში თანამშრომლობის ხელშეწყობა; განსაკუთრებით ნიჭიერი სტუდენტების ხელშეწყობა;
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა განათლებისა და მომზადების მაღალი დონე; უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საგრანტო და პროგრამული დაფინანსების სისტემების შემდგომი სრულყოფა; უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარება.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - სკოლის გამოსაშვები, ერთიანი ეროვნული, საერთო სამაგისტრო, პროფესიული და მასწავლებელთა საგნის გამოცდის მომზადებისა და ჩატარების ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სკოლის გამოსაშვები, ერთიანი ეროვნული, საერთო სამაგისტრო, პროფესიული და მასწავლებელთა საგნის გამოცდების მომზადებისა და ჩატარების ხარისხის გათანაბრება საერთაშორისო სტანდარტებთან; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - მინიმალური ცდომილების ალბათობა, ვინაიდან დაგროვებულია სისტემების შემუშავების გამოცდილება და სისტემების განვითარების პროცესში ჩართულნი არიან კვალიფიციური სპეციალისტები 2. **საბაზისო მაჩვენებელი** - ყოველწლიურად აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საგანმანათლებლო პროგრამების დასაფინანსებლად გაცემული სრული და ნაწილობრივი სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით დაფინანსებული სტუდენტების 10-20%-ით გაზრდილი რაოდენობა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სრული და ნაწილობრივი სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით დაფინანსებული სტუდენტების რაოდენობის 20-30%-ით ზრდა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 15%; **შესაძლო რისკები** - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა საერთო რაოდენობის ცვლილება

გამოცდების ორგანიზება (32 04 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი
პროექტის აღწერა და მიზანი	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთათვის სკოლის გამოსაშვები და ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების ხელშეწყობა, საერთო სამაგისტრო გამოცდების, პროფესიული ტესტირებისა და მასწავლებლის გამოცდების ჩატარება; საერთაშორისო კვლევების (შეფასების) განხორციელების უზრუნველყოფა; მოსწავლეთა და სტუდენტთა საერთაშორისო შეფასების უზრუნველყოფა;
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლების მოპოვება, მხოლოდ შესაბამისი ცოდნის მქონე პირებისათვის; გამოვლენილია კვალიფიციური მასწავლებლები.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - სკოლის გამოსაშვები, ერთიანი ეროვნული და საერთო სამაგისტრო, ასევე მასწავლებლის საგნის გამოცდებისა და პროფესიული ტესტირების მომზადებისა და ჩატარების ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სკოლის გამოსაშვები, ერთიანი ეროვნული და საერთო სამაგისტრო, ასევე მასწავლებლის საგნის გამოცდებისა და პროფესიული ტესტირების მომზადებისა და ჩატარების ხარისხი პასუხობს საერთაშორისო სტანდარტებს 2. **საბაზისო მაჩვენებელი** - საერთაშორისო კვლევებში (შეფასებაში), როგორიცაა TIMSS, PISA, TALIS ჩართულია 6 ათასზე მეტი ბენეფიციარი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით საერთაშორისო კვლევებში (შეფასებაში), როგორიცაა TIMSS, PISA, TALIS ჩართული ბენეფიციარების რაოდენობის ზრდა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 17%; **შესაძლო რისკები** - მონაწილეთა ნაკლები ჩართულობა

სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტები და ახალგაზრდების წახალისება (32 04 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აპარატი
პროექტის აღწერა და მიზანი	უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხულ საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების უზრუნველყოფა; უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგად ჩარიცხულ სტუდენტთა სახელმწიფო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების უზრუნველყოფა; წარჩინებული სტუდენტების სტიპენდიით უზრუნველყოფა; უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის სწავლების ხელშეწყობით საერთაშორისო კავშირების განმტკიცება, განათლების სფეროში თანამშრომლობის ხელშეწყობა;
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საგრანტო და პროგრამული დაფინანსების სისტემების შემდგომი სრულყოფა; წარჩინებულ სტუდენტთა ხელშეწყობა, მათთვის განათლების მიღებასთან დაკავშირებული ფინანსური ტვირთის შემსუბუქების გზით; საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უცხო ქვეყნის მოქალაქეთა გაზრდილი რაოდენობა;
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - ,,სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის ფარგლებში სტიპენდიები 150 ლარის ოდენობით, გამოეყო საქართველოს 10 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 2 700 სტუდენტზე მეტს; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლეთან შედარებით სახელმწიფო სტიპენდიების მქონე სტუდენტების გაზრდილი რაოდენობა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა საერთო რაოდენობის ცვლილება 2. **საბაზისო მაჩვენებელი** - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის ან/და დიპლომირებული

	მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების პროგრამული მიმართულების/მიმართულებების ფარგლებში 12 126 -მდე სტუდენტის დაფინანსებით უზრუნველყოფა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით 5 000 სტუდნეტებით ყოველწლიური რაოდენობის ზრდა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 25%; **შესაძლო რისკები** - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა საერთო რაოდენობის ცვლილება **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სრული (100%) რაოდენობის უზრუნველყოფა სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით სახელმწიფო სასწავლო და სამაგსტრო გრანტით დაფინანსებული სტუდნეტების გაზრდილი რაოდენობა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 15%; **შესაძლო რისკები** - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა საერთო რაოდენობის ცვლილება **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წელს 54 იმ უცხო ქვეყნის მოქალაქეების სწავლების ხელშეწყობა, რომლებიც საერთაშორისო შეთანხმებებით, ხელშეკრულებებით, პროგრამებით, აგრეთვე, მემორანდუმებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში ისწავლიან/სწავლობენ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით ბენეფიციართა 33%-ით გაზრდილი რაოდენობა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 15%; **შესაძლო რისკები** - უცხო ქვეყნის მოქალაქეების საერთო რაოდენობის ცვლილება

უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა (32 04 03)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	ახალგაზრდა და პერსპექტიული კადრების სწავლებისა და კვლევის პროცესში ჩართულობის ხელშეწყობა; აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა; ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა.

პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სტუდენტზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოში პედაგოგიური ინოვაციების განვითარება; სწავლების ყველა დონეზე სწავლას, სწავლებასა და კვლევას შორის მჭიდრო კავშირი; აკადემიური პერსონალის სწავლების კომპეტენციების გაუმჯობესება; საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ბენეფიციარი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინტეგრაცია და მათ მიმართ ნდობის ამაღლება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - უმაღლესი განათლების ხარისხის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან; **შესაძლო რისკები** - საერთაშორისო აღიარების მქონე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობის სიმცირე

უმაღლესი განათლების ხელშეწყობა (32 04 04)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	ქართულის, როგორც უცხო ენის, ვებგვერდის www.geofl.ge ახალი სასწავლო-მეთოდური მასალით მუდმივად შევსება და განახლება; ორენოვანი აკადემიური ლექსიკოგრაფიის განვითარების ხელშეწყობა; უმაღლესი განათლების სტუდენტების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის და ცხოვრების პირობების შემსწავლელი საერთაშორისო კვლევის „ევროსტუდენტი“ განხორციელება; უმაღლესი განათლების ხელშეწყობა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	უცხოეთში ქართული ენის პოპულარიზაცია; შექმნილი და განახლებული სასწავლო მასალა და ვიდეო ფაილი; უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა,

	სტუდენტების მოტივაციის ამაღლება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - ორენოვანი აკადემიური ლექსიკოგრაფიის განვითარების ხელშეწყობა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ორენოვანი აკადემიური ლექსიკოგრაფიის ყოველწლიური შევსება/განახლება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - სტუდენტებისა და პრაქტიკოსი ლექსიკოგრაფების ნაკლები დაინტერესება; **შესაძლო რისკები** - ტექნიკურ უზრუნველყოფაში შეფერხება 2. **საბაზისო მაჩვენებელი** - ქართული ენის ფლობის სხვადასხვა დონეებზე ელექტრონული სახელმძღვანელოების შექმნა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებელთან მიმართებაშიქართული ენის ფლობის დონეებზე სრულად შევსებული ელექტრონული სახელმძღვანელოები

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა (32 04 05)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი
პროექტის აღწერა და მიზანი	

საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება (32 06)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს განათლების სისტემაში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სასკოლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სწავლების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა; თანამედროვე უნარ-ჩვევების დაუფლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების უკეთ დაძლევის მიზნით საჯარო სკოლების პირველკლასელი მოსწავლეების უზრუნველყოფა პერსონალური კომპიუტერებით („ნეთბუქებით“), ხოლო წარჩინებული ახალგაზრდების დაჯილდოება კომპიუტერული ტექნიკით;

	ოთხ წლიან პერიოდში ყველა საჯარო სკოლის რეაბილიტაცია, ასევე 150 ახალი საჯარო სკოლის აშენება და 300 მომავლის კლასის გახსნა; საჯარო სკოლებში ინფორმაციული-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის განვითარება თანამედროვე სასწავლო გარემოს შესაქმნელად; სამინისტროს სისტემაში შემავალი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების მშენებლობა - რეაბილიტაცია, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, ინვენტარითა და ტექნიკით მომარაგება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ყველა სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებაში შექმნილი სრულყოფილი სასწავლო პროცესის შესაბამისი გარემო; მოსწავლეების ამაღლებული მოტივაცია; უზრუნველყოფილი ყველა საჯარო სკოლა კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტ-კავშირით.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - თანამედროვე სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით მიმდინარეობდა კომპიუტერული ტექნიკითა და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით საჯარო სკოლების ეტაპობრივი აღჭურვის პროცესი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საჯარო სკოლების სრული აღჭურვა კომპიუტერული ტექნიკითა და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - შეფერხება ტექნიკურ უზრუნველყოფის კუთხით 2. **საბაზისო მაჩვენებელი** - თანამედროვე უნარ-ჩვევების დაუფლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების უკეთ დაძლევის მიზნით საჯარო სკოლების ყველა პირველკლასელი მოსწავლე და მათი დამრიგებლები უზრუნველყოფილ იქნენ პერსონალური კომპიუტერებით და განხორციელდა წარჩინებული ახალგაზრდების დაჯილდოება კომპიუტერული ტექნიკით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საჯარო სკოლების ყველა პირველკლასელი მოსწავლისა და მათი დამრიგებლების უზრუნველყოფა პერსონალური კომპიუტერებით და წარჩინებული ახალგაზრდების დაჯილდოვება კომპიუტერული ტექნიკით 3. **საბაზისო მაჩვენებელი** - საქართველოს განათლების სისტემაში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლების

	ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების მშენებლობა/რეაბილიტაციის ეტაპობრივი მიმდინარეობა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - გაიზრდება ახალ აშენებული და რეაბილიტირებული საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების რაოდენობა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 30%; **შესაძლო რისკები** - შეფერხება ტექნიკურ უზრუნველყოფის კუთხით

საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მოსწავლეების/სტუდენტების ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა (32 06 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს განათლების სისტემაში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სწავლების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა; თანამედროვე უნარ-ჩვევების დაუფლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების უკეთ დაძლევის მიზნით საჯარო სკოლების პირველკლასელი მოსწავლეების და მათი დამრიგებლების უზრუნველყოფა საბავშვო სასწავლო პორტატული კომპიუტერით, ხოლო წარჩინებული ახალგაზრდების წახალისება სხვადასხვა კომპიუტერული ტექნიკით; საჯარო სკოლებში ინფორმაციული-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის განვითარება თანამედროვე სასწავლო გარემოს შესაქმნელად; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მშენებლობა - რეაბილიტაცია, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, ინვენტარითა და ტექნიკით მომარაგება.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ყველა სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებაში შექმნილი სრულყოფილი სასწავლო პროცესის შესაბამისი გარემო; მოსწავლეების ამაღლებული მოტივაცია; კომპიუტერული ტექნიკით უზრუნველყოფილი ყველა საჯარო სკოლა.

შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წელს გასულ წლებთან შედარებით 13% - ით გაიზარდა საჯარო სკოლების რაოდენობა, რომელიც აღიჭურვა შესაბამისი რაოდენობის კომპიუტერული ტექნიკით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით 2016 წელს გაიზრდება საჯარო სკოლების რაოდენობა, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი რაოდენობის კომპიუტერული ტექნიკით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - ტექნიკურ უზრუნველყოფაში შეფერხება 2. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015-2016 სასწავლო წელს პროგრამის „ჩემი პირველი კომპიუტერი“ ბენეფიციართა 100% უზრუნველყოფილი იქნა პერსონალური კომპიუტერებით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2016- 2017 სასწავლო წელს პროგრამის „ჩემი პირველი კომპიუტერი“ ბენეფიციართა 100% უზრუნველყოფილი იქნება პერსონალური კომპიუტერებით

საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება (32 06 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების, ტერიტორიული ორგანოების, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მშენებლობა - რეაბილიტაცია, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, ინვენტარითა და ტექნიკით მომარაგება.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ყველა საგანმანმანათლებლო დაწესებულებაში ჩამოყალიბებული სრულყოფილი სასწავლო პროცესისათვის საჭირო პირობები.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - რეაბილიტირებული და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი უმაღლესი და სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებების რაოდენობა; რეაბილიტირებული და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა; რეაბილიტირებული და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (32 06 02 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობა და რეაბილიტაცია; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სხვადასხა სახის ინვენტარითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფა; საჯარო სკოლების სასკოლო მერხებითა და სკამებით უზრუნველყოფა; საჯარო სკოლებში წინა წლებში დამონტაჟებული გათბობის სისტემების მდგომარეობის მონიტორინგი და გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩამოყალიბებული სრულყოფილი სასწავლო პროცესისათვის საჭირო პირობები.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი -** 2015 წელს გასულ წელთან შედარებით 30% - ით გაიზარდა რეაბილიტირებული საჯარო სკოლების რაოდენობა; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით 2016 წელს 51% - ით გაიზრდება რეაბილიტირებული საჯარო სკოლების რაოდენობა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10%; **შესაძლო რისკები -** ტექნიკურ უზრუნველყოფაში შეფერხება **2.** **საბაზისო მაჩვენებელი -** 2014 - 2015 წელს დასრულდა 10 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით 2016 წელს 10 ერთეულით გაიზრდება ახალი აშენებული საჯარო სკოლების რაოდენობა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10%; **შესაძლო რისკები -** ტექნიკურ უზრუნველყოფაში შეფერხება **3.** **საბაზისო მაჩვენებელი -** 2015 წელს გასულ წლებთან შედარებით 16% -ით გაიზარდა ახალი სასკოლო ინვენტარით აღჭურვილი საჯარო სკოლების რაოდენობა; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით 2016 წელს 28% გაიზრდება ახალი სასკოლო ინვენტარით აღჭურვილი საჯარო სკოლების რაოდენობა;

	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10%; **შესაძლო რისკები** - ტექნიკურ უზრუნველყოფაში შეფერხება

პროფესიული საგანანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (32 06 02 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს სხვადასხვა რეგიონში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობა და რეაბილიტაცია; პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სხვადასხვა სახის ინვენტარითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფა; პროფესიულ განათლებაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ახალი და არსებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზაზე ფუნქციონირებადი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვით უზრუნველყოფა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ყველა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩამოყალიბებული სრულყოფილი სასწავლო პროცესისათვის საჭირო პირობები; პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების გაზრდილი რაოდენობა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - დასრულდა 23 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების, მათ შორის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით არსებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზაზე ფუნქციონირებადი კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - გიზრდება რაოდენობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების, მათ შორის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით არსებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზაზე ფუნქციონირებადი კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - ტექნიკურ უზრუნველყოფაში შეფერხება

უმაღლესი და სამეცნიერო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (32 06 02 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების მშენებლობა და რეაბილიტაცია; უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების სხვადასხა სახის ინვენტარითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფა;
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	რეაბილიტირებული და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებები.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - განხორციელდა 10 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, მათ შორის მათ ბაზაზე არსებული სამეცნიერო -კვლევითი ერთეულების ნაწილობრივი მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - განხორციელდება 10 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მათ შორის მათ ბაზაზე არსებული სამეცნიერო -კვლევითი ერთეულების სრული მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - ტექნიკურ უზრუნველყოფაში შეფერხება

სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოების ინფრასტრუქტურის განვითარება (32 06 02 04)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოების მშენებლობა - რეაბილიტაცია; სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოები სხვადასხა სახის ინვენტარითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფა;
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	რეაბილიტირებული და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები და ტერიტორიული ორგანოები.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - განხორციელდა რიგი საგანმანათელბო რესურცენტრების სარეაბილიტაციო სამუშაოები;

	მიზნობრივი მაჩვენებელი - განხორციელდება რიგი სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - ტექნიკურ უზრუნველყოფაში შეფერხება

საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (32 06 02 05)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (32 05)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი; სსიპ – საქართველოს სოფლისმეურნეობის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია; სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი; სსიპ – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი; სსიპ – გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი; სსიპ – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
პროექტის აღწერა და მიზანი	სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ინტელექტუალური და მატერიალური პოტენციალის ინტეგრაციის ხელშეწყობა; აკადემიური პერსონალის მობილობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის წახალისება; სამეცნიერო გრანტების დაფინანსებით ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო ტექნოლოგიური კვლევების განხორციელების ხელშეწყობა; მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების დაფინანსება; დოქტურანტურის საგანმანათლებლო პროგრამის საგრანტო დაფინანსება; მეცნიერების აღდგენისა და განვითარებისათვის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ხელშეწყობა; სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის განსხვავებული ფორმების ამოქმედება;

	მეცნიერთა და ახალგაზრდა მკვლევართა საერთაშორისო თანამშრომლობის წახალისება; სამეცნიერო კვლევების მართვის ოპტიმალური სქემის შემუშავება; საინოვაციო პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ახალგაზრდა მეცნიერთა განვითარებისათვის შესაბამის სამუშაო გარემოს ჩამოყალიბება; უნივერსიტეტებში კვლევების კომერციალიზაციის ხარისხის ამაღლება, სამეცნიერო მონაცემთა ბაზაზე ხელმისაწვდომობა, სისტემაში მოყვანილი ინფორმაცია ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალის, მიღწევებისა და პრობლემების შესახებ; ქართული ენის ეროვნული კორპუსის განვითარება, რაც შესაძლებელს გახდის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას ენის შესწავლის საქმეში; ახალი სამეცნიერო პროდუქტების დანერგვა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო ტექნოლოგიური კვლევების განხორციელების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ხელშეწყობის, მეცნიერთა და ახალგაზრდა მკვლევართა საერთაშორისო თანამშრომლობის წახალისების მიზნით 20-30% - ით გაზრდილი დაფინანსებული პროექტების რაოდენობა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 30-35% - ით გაზრდილი დაფინანსებული პროექტების რაოდენობა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 15%; **შესაძლო რისკები** - ქვეყნიდან ახალგაზრდა მეცნიერთა და მკვლევართა გადინება

სამეცნიერო გრანტების გაცემისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (32 05 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
პროექტის აღწერა და მიზანი	კონკურსის წესით, ღია, გამჭვირვალე და თავისუფალი კონკურენციის პრინციპების შესაბამისად სახელმწიფო გრანტების გაცემის ორგანიზება;

	საქართველოში არსებული სამეცნიერო და ტექნოლოგიური პოტენციალის შესახებ მონაცემთა შეგროვება, დამუშავება და ანალიზი, წინადადებების მომზადება მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სახელმწიფო პრიორიტეტების განსახორციელებლად; მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანთლებლო პროგრამების დაფინანსებით უზრუნველყოფა;
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	კონკურენტული კვლევითი გარემოს შექმნა; შექმნილი ტექნიკური ბაზა სამეცნიერო კვლევებისთვის; მაღალტექნოლოგიური დარგების პროგრესი; უნივერსიტეტებში კვლევების კომერციალიზაციის ხარისხის ამაღლება, სამეცნიერო მონაცემთა ბაზაზე ხელმისაწვდომობა, სისტემაში მოყვანილი ინფორმაცია ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალის, მიღწევებისა და პრობლემების შესახებ; ახალგაზრდა მეცნიერთა მატერიალური მხარდაჭერა და წახალისება, ახალგაზრდა მეცნიერთა ამაღლებული კვალიფიკაცია.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - სამეცნიერო კვლევებისა და ახალგაზრდა მეცნიერთა ხელშეწყობის მიზნით 263 დაფინანსებული პროექტი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2016 წელს იგეგმება 370 პროექტის დაფინანსება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 15%; **შესაძლო რისკები** - მკვლევართა გადინება ქვეყნიდან 2. **საბაზისო მაჩვენებელი** - სართაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობისა და ურთიერთობების ხელშეწყობის კუთხით დაფინანსებული 122 პროექტი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 150 პროექტის დაფინანსება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 15%; **შესაძლო რისკები** - კურსთა სხვაობა 3. **საბაზისო მაჩვენებელი** - მეცნიერების პოპულარიზაციის ხელშეწყობის კუთხით დაფინანსებული 32 პროექტი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 50 პროექტის დაფინანსება;

	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 15%; **შესაძლო რისკები** - შესაბამისი საკანონმდებლო აქტების პროექტების შეთანხმების პროცესის შეფერხება

სამეცნიერო დაწესებულებების პროგრამები (32 05 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი; სსიპ – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; სსიპ – გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი
პროექტის აღწერა და მიზანი	ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევების, სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განახლება, ახალგაზრდა მეცნიერთა ხელშეწყობა; სამეცნიერო კვლევებში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება; საქართველოში მაღალი დონის სამეცნიერო ფორუმებისა და კონფერენციების გამართვა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	კონკურენტული კვლევითი გარემო; ახალგაზრდა მეცნიერთა ამაღლებული კვალიფიკაცია.

მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პროგრამების ხელშეწყობა (32 05 03)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოში მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა მსოფლიო მეცნიერების მიღწევათა შესაბამისად; ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა; საქართველოში მეცნიერების განვითარების პროგნოზირება და მსოფლიო მეცნიერების მიღწევათა შესაბამისად სახელმწიფო პრიორიტეტების შესახებ წინადადებების მომზადება.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები და გამოცემული სხვადასხვა სამეცნიერო ენციკლოპედიები და ჟურნალები.

შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - საქართველოში მეცნიერების განვითარების ხელშეწყობის მიზნით 10% - ით გაზრდილ იქნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ გამოქვეყენებული სამეცნიერო ნაშრომების, ენციკლოპედიებისა და ჟურნალების რაოდენობა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ გამოქვეყენებული სამეცნიერო ნაშრომების, ენციკლოპედიებისა და ჟურნალების 5%-ით გაზრდილი რაოდენობა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - ანგარიშვალდებული უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებიდან სათანადო მასალების დროულად წარმოუდგენლობა 2. **საბაზისო მაჩვენებელი** - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ განხილული და შეფასებულია უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო - კვლევითი დაწესებულებების წლიური სამეცნიერო ნაშრომები და მიღწევები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - აკადემიის მიერ განხილურლი და შეფასებული სამეცნიერო ნაშრომების გაზრდილი რაოდენობა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - წინა წელთან შედარებით უფრო ნაკლები სამეცნიერო ნაშრომის შეფასება; **შესაძლო რისკები** - ანგარიშვალდებული უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებიდან სათანადო მასალების დროულად წარმოუდგენლობა

სოფლის მეურნეობის დარგში მეცნიერთა ხელშეწყობა (32 05 04)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია
პროექტის აღწერა და მიზანი	აგროსასურსათო სექტორში გამოყენებითი და ფუნდამენტური კვლევების ხელშეწყობა; სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგად რეკომენდაციების შემუშავება, კვლევითი საქმიანობისა და სწავლების ერთობლივი ფუნქციონირების მხარდაჭერა, საერთაშორისო და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის გაღრმავება.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	აგროსასურსათო სექტორში წარმოებული კვლევის შედეგების შეფასება დამოუკიდებელ რეცეზენტ - ექსპერტების, პრაქტიკოსების, მეცნიერების მიერ.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - განხილულ და შეაფასებულ იქნა უმაღლეს საგანმანათლებლო და აგრარული პროფილის

	სამეცნიერო - კვლევითი დაწესებულებების წლიური სამეცნიერო ნაშრომები და მიღწევები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - განხილული და შეფასებული აგრარული პროფილის სამეცნიერო ნაშრომების გაზრდილი რაოდენობა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - მინიმალური ალბათობა; **შესაძლო რისკები** - ანგარიშვალდებული უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებიდან სათანადო მასალების დროულად წარმოუდგენლობა **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 10% - ით გაიზარდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ გამოქვეყენებული აგრარული პროფილის სამეცნიერო ნაშრომების, ენციკლოპედიებისა და ჟურნალების რაოდენობა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - აკადემიის მიერ გამოქვეყენებული აგრარული პროფილის სამეცნიერო ნაშრომების, ენციკლოპედიებისა და ჟურნალების 5%-ით გაზრდა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - ანგარიშვალდებული უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებიდან სათანადო მასალების დროულად წარმოუდგენლობა

მეცნიერების აღდგენა და განვითარება (32 05 05)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	მეცნიერების აღდგენისა და განვითარების უზრუნველსაყოფად სამეცნიერო - კვლევითი დაწესებულებების ხელშეწყობა; მეცნიერების პოპულარიზაცია საქართველოში; სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციების ხელშეწყობა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	კონკურენტული კვლევითი გარემოს შექმნა; შექმნილი ტექნიკური ბაზა სამეცნიერო კვლევებისთვის; მაღალტექნოლოგიური დარგების პროგრესი; სტუდენტებისა და სკოლის მოსწავლეების დაინტერესება სამეცნიერო კვლევებითა და ინოვაციებით;

	განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დაახლოება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ შესაფასებლად წარმოდგენილი იქნა და დაფინანსდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების 42 პროექტი,; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2015 წელს შერჩეული 42 პროექტის დაფინანსების გაგრძელება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - წარმოდგენილი პროექტების არაჯეროვანი შესრულება 2. **საბაზისო მაჩვენებელი** - წარმოდგენილი რიგი სამეცნიერო - კვლევით პროექტების დაფინანსება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - დაფინანსებული სამეცნიერო - კვლევითი პროექტების გაზრდილი რაოდენობა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - წარმოდგენილი პროექტების ტექნიკური ხარვეზები 3. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წელს ჩატარდა სამეცნიერო-შემეცნებითი ღონისძიებები და გამოფენები, სადაც მოწვეული იყვნენ საქართველოში თუ საზღვარგარეთ მოღვაწე ცნობილი მეცნიერები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ჩატარებული სამეცნიერო-შემეცნებითი ღონისძიებების და გამოფენების გაზრდილი რაოდენობა

პროფესიული განათლება (32 03)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი; სსიპ – ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა; სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი; სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
პროექტის აღწერა და მიზანი	მოსახლეობის პროფესიულ-საგანმანათლებლო მოთხოვნილების დაკმაყოფილება, პირის პროფესიული განვითარების, პროფესიული კარიერისა და სოციალური დაცვის ხელშეწყობა; პროფესიული განათლებისა და მომზადების ერთიანი, ხარისხიანი და ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება; პროფესიული განათლების განვითარების 2013–2020 წლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელება;

	პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა, პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა; ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა სახელმწიფო ენის ცოდნის დონისა და პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების ადგილობრივი თვითმმართველობებისა და საჯარო სკოლების ადმინისტრაციების თანამშრომელთა გადამზადება; ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება; მაღალკვალიფიციური, შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება ინფორმაციული ტექნოლოგიების სხვადასხვა მიმართულებით; ერთიანი საინფორმაციო სისტემის დანერგვა (მათ შორის, საჯარო სკოლებში), ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლისა და სწავლების მეთოდების შემოღება და თანამედროვე სასწავლო გარემოს შექმნა შესაბამისი ინტერნეტკავშირის უზრუნველყოფით.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	პროფესიული განათლების გაზრდილი მოთხოვნა/ხარისხი; პროფესიული განათლების თავსებადობა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან და შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების დასაქმების ხელშეწყობა; პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა საზოგადოებისაგან გარიყვის რისკის ქვეშ მყოფი პირებისათვის (შშმპ, სსსმპ, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები, დევნილები, პატიმრები, პრობაციონერები, განათლების სისტემის მიღმა დარჩენილები და ა.შ); ადაპტირებული ფიზიკური გარემოს მქონე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების გაზრდილი რაოდენობა; ფორმალური განათლების მიღმა დარჩენილ პირების პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩართვის მექანიზმის შემუშავება; ქვეყნის რეგიონული და ეკონომიკური განვითარების შესაბამისად ჩამოყალიბებულია ახალი და არსებული პროფესიული

	საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზაზე ფუნქციონირებადი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - პროფესიული განათლების სტუდენტებისათვის ხარისხიანი განათლების მიწოდების მიზნით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებები უზრუნველყოფილ იქნა შესაბამისი ინფრასტრუქტურით, თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და საჭირო ფინანსური რესურსით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - პროფესიული განათლების სტუდენტების 100% უზრუნველყოფილ იქნება ხარისხიანი პროფესიული განათლებით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 15%; **შესაძლო რისკები** - ბენეფიციარების განსხვავებული შესაძლებლობები 2. **საბაზისო მაჩვენებელი** - საჯარო მართვასა და ადმინისტრირებაში საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებისა და ქართული ენის ცოდნის დონის ამაღლების მიზნით, გადამზადებული ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული და მაღალმთიანი რეგიონების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებული პირების რაოდენობის ყოველწლიურად 10%-ით ზრდა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყოველწლიურად გადამზადებულთა 20-30%-ით ზრდა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - სხვადასხვა სასწავლო კურსებზე განათლების მიღების მსურველთა ნაკლები დაინტერესება

პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობა (32 03 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	პროფესიული კოლეჯები; სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი
პროექტის აღწერა და მიზანი	პროფესიული განათლებისა და მომზადების ერთიანი, ხარისხიანი და ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება; პროფესიული განათლების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის ამაღლება და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში პირთა ჩარიცხვის მაქსიმალურად გამჭვირვალე სისტემის ჩამოყალიბება; შრომის ბაზარზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება;

	პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვა და ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა; პროფესიულ განათლებაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩამოყალიბება; მასწავლებელთა მომზადებისა და პროფესიული განვითარების სისტემის ჩამოყალიბება; ინკლუზიური პროფესიული განათლების დანერგვის ხელშეწყობა და საზოგადოებისაგან გარიყვის რისკის ქვეშ მყოფი პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა; პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების პროფესიული განათლების პროცესში საჭირო ტექნოლოგიური მხარდაჭერით უზრუნველყოფა; არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მექანიზმების დანერგვა; პროფესიული განათლების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის ამაღლება;
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა შრომის ბაზრის არსებულ და სამომავლო მოთხოვნებთან; პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესისა და ცოდნის ხარისხის ამაღლება; შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად გადამზადებული კვალიფიციური პერსონალი; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების დასაქმების ხელშეწყობა; პროფესიული განათლება ხელმისაწვდომია საზოგადოებისაგან გარიყვის რისკის ქვეშ მყოფი პირებისათვის; ადაპტირებული ფიზიკური გარემოს მქონე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების გაზრდილი რაოდენობა; ფორმალური განათლების მიღმა დარჩენილი პირების პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩართვის

	მექანიზმის შემუშავება და არაფორმალური განათლების აღიარება; ქვეყნის რეგიონული და ეკონომიკური განვითარების შესაბამისად ჩამოყალიბებული ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - 10 000 - ზე მეტი ბენეფიციარის ჩართულობა პროფესიული განათლების პროცესში; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილი ბენეფიციარების რაოდენობა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - პროფესიული განათლების მიღების მსურველთა ნაკლები დაინტერესება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით 2. **საბაზისო მაჩვენებელი** - პროფესიული მომზადების კურსებში ჩართულ იქნა 400-მდე მსჯავრდებული და ყოფილი პატიმარი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - პროფესიული მომზადების კურსებში ჩართული იქნება დამატებით 450-მდე ბენეფიციარი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - პარტნიორი ორგანიზაციების მხრიდან პროფესიული მომზადების კურსების მიმართ ნაკლები ინტერესი 3. **საბაზისო მაჩვენებელი** - კურსდამთავრებულთა კვლევის მიხედვით, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი განსაზღვრულ იქნა 40%-მდე; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი 2015 წლის მაჩვენებელთან შედარებით გაიზრდება 2%-ით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - ბენეფიციარების განსხვავებული შესაძლებლობები

ეროვნული უმცირესობების პროფესიული გადამზადება (32 03 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული და მაღალმთიანი რეგიონების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ მართულ საწარმოებსა და არასამეწარმეო

	(არაკომერციულ) იურიდიულ პირებში, აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა ტერიტორიულ ორგანოებში, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში დასაქმებულთა გადამზადება, კვალიფიკაციისა და ქართული ენის ცოდნის ამაღლება.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	საქართველოს ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული და მაღალმთიანი რეგიონების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ მართულ საწარმოებსა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებში, აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა ტერიტორიულ ორგანოებში, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში დასაქმებულ თანამშრომელთა ქართული ენის ცოდნის დონის ამაღლება და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამისა და საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამის კურსების რაოდენობა - 7; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამისა და საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამის კურსების რაოდენობრივი ზრდა 10- მდე; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - სხვადასხვა სასწავლო კურსებზე განათლების მიღების მსურველთა ნაკლები დაინტერესება **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამის კურსდამთავრებულთა რაოდენობა განისაზღვრება 480 ერთეულით, ხოლო სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის კურსდამთავრებულთა რაოდენობა -2 000 ერთეულით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამისა და საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამის კურსდამთავრებულთა რაოდენობა საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით გაიზრდება 30%-ით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - განათლების მიღების მსურველთა ნაკლები დაინტერესება

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (32 03 03)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
პროექტის აღწერა და მიზანი	ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება;

	ინფორმაციული ტექნოლოგიების სხვადასხვა მიმართულებით მაღალკვალიფიციური, შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე ორიენტირებული კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება; განათლების სისტემაში თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობისუზრუნველყოფა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება; ერთიანი საინფორმაციო სისტემის შექმნა,, მართვის ელექტრონული სისტემის დანერგვა/განვითარება, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლისა და სწავლების მეთოდების შემოღება და თანამედროვე სასწავლო გარემოს შექმნა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მაღალკვალიფიციური სპეციალისტების გაზრდილი რაოდენობა ინფორმაციული ტექნოლოგოების სხვადასხვა სფეროში; თანამედროვე სასწავლო გარემოს შექმნა საქართველოს საჯარო სკოლებში შესაბამისი ინტერნეტ-კავშირის უზურნველყოფა, .მართვის ელექტრონული სისტემის დანერგვა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - IT პროფესიული სწავლება გაიარა 282-მა სტუდენტმა, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე 5-მა პირმა. წარმატებით დასაქმდა კურსდამთავრებულთა 60%. მიმდინარეობს სასწავლო სივრცის და ინფრასტრუქტურის გაფართოების მოსამზადებელი პერიოდი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით 2016 წელს ახალი ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით სტუდენტთა რაოდენობა გაიზრდება 7%-მდე. წარმატებით დასაქმდება კურსდამთავრებულთა 70%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - წარმატებით დასქმდება კურსდამთავრებულთა 5%; **შესაძლო რისკები** - ბენეფიციარების განსხვავებული შესაძლებლობები 2. **საბაზისო მაჩვენებელი** - სკოლების 100% ინტერნეტიზირებულია და ჩართულია ერთიან საგანმანათლებლო ქსელში. ამათგან მაღალი ოპტიკური კავშირით და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით სარგებლობს სკოლების 30%; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - გაიზრდება ქსელის ფუნქციონირების ეფექტიანობა, მონაცემთა გადაცემის სიჩქარე, მოთხოვნების შესრულების მაჩვენებლები, ქსელების გამტარუნარიანობა. სკოლების მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით უზრუნველყოფა საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით ყოველწლიურად გაიზრდება 15%-ით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალია ახალი ტექნოლოგიებისათვის დამახასიათებელი მაღალი საიმედოობა და ფუნქცინირების სტაბილურობა, სპეციალისტების კვალიფიკაცია უზრუნველყოფს დანერგვის სამუშაოების შესრულების მაღალ ხარისხს, რაც ზრდის წარმატებული შედეგის მიღების ალბათობას;

	შესაძლო რისკები - ტექნიკურ უზრუნველყოფაში შეფერხება **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - Voip სატელეფონო კავშირით უზრუნველყოფილია სკოლების 3%; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - Voip სატელეფონო კავშირით უზრუნველყოფილი იქნება სკოლების 50%-ზე მეტი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - ტექნიკურ უზრუნველყოფაში შეფერხება **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ფუნქციონირებს პროფესიულ და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემის საბაზისო მოდულები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ამოქმედდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საინფორმაციო სისტემის მოდულები: eJournal, მასწავლებლების შეფასების ელექტრონული სისტემა; პროფესიულ დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემა პასუხობს ყველა დაინტერესებული კლიენტის მოთხოვნებს; შემუშავდება ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის საინფორმაციო სისტემა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - ცდომილების ალბათობა ძალიან დაბალია, ვინაიდან დაგროვებულია სისტემების შემუშავების გამოცდილება და სისტემების განვითარების პროცესში ჩართული არიან კვალიფიციური სპეციალისტები; **შესაძლო რისკები** - ბენეფიციარების განსხვავებული შესაძლებლობები

სამხედრო წვრთნა და განათლება (29 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; სსიპ გენერალ კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი; სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემია; ა(ა)იპ სპორტული კლუბი არმია
პროექტის აღწერა და მიზანი	სამხედრო მოსამსახურეების წვრთნისა და განათლების სისტემის გაუმჯობესება. მაღალხარისხიანი და რეალურ საბრძოლო პირობებთან მაქსიმალურად მიახლოებული წვრთნა და თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებით მომზადება მაღალკვალიფიციური პირადი შემადგენლობის ჩამოსაყალიბებლად. სამხედრო სწავლებები, სასწავლო კურსები, სიმულაციური საშუალებების განვითარება, სამხედრო განათლებასა და დაწყებით სამხედრო მომზადება, ასევე, სპეციალიზაციის კურსები.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საერთაშორისო წვრთნებში ჩართული ქვედანაყოფების ნატოსთან თავსებადობის ზრდა, უწყებათაშორის სწავლებებში მონაწილეობის შედეგად მართვისა და კონტროლის სისტემის გაუმჯობესება. ქვეყნის შიგნით და გარეთ სასწავლო კურსებში მომზადებული და გადამზადებული სამოქალაქო და სამხედრო მოსამსახურეები. განვითარებული სიმულაციური საშუალებები და ეფექტიანი სასწავლო-საწვრთნელი დაწესებულებები, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხიანი და რეალურ საბრძოლო პირობებთან მაქსიმალურად მიახლოებული წვრთნების ჩატარებას.

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - განათლებული, მაღალკვალიფიციური, მოტივირებული და თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებით მომზადებული ოფიცერთა, სერჟანტთა და სპეციალისტთა რგოლი

სახელოვნებო განათლების სისტემის ხელშეწყობა (33 03)	
პროგრამის განმახორციელებელი	საგანმანათლებლო დაწესებულებები; საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	ქვეყანაში სახელოვნებო განათლების დონის ამაღლება, სახელოვნებო განათლების სისტემის მოწესრიგება, წარმატებული შედეგების პოპულარიზაცია, საზოგადოებაში სახელოვნებო განათლების მიმართ ინტერესის გაღრმავება, ამ მიზანს ემსახურება სამინისტროსადმი დაქვემდებარებული სსიპ უმაღლესი სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების და სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო სასწავლებლების განვითარების მხარდაჭერა, თითოეული მათგანის მისიის შესაბამისი, შედეგებზე ორიენტირებული პროგრამების დაფინანსებით. პროგრამის აუცილებლობა განპირობებულია ქვეყნის სახელოვნებო განათლების საერთაშორისო სტანდარტებთან თავსებადობის, დიპლომების ვალიდობისა და მობილობის აუცილებლობით, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადების აუცილებლობით.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მოწესრიგებული სახელოვნებო საგანმანათლებლო სისტემა და მისი სრული თავსებადობა საერთაშორისო სტანდარტებთან, მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი კადრებით უზრუნველყოფილი ქვეყნის სახელოვნებო ორგანიზაციები, საქართველოს „სახელოვნებო სკოლის“ ცნობადობის ამაღლება საერთაშორისო მასშტაბით, ახალგაზრდებში სახელოვნებო განათლებისადმი ინტერესის მზარდი ხასიათის ტენდენციად ჩამოყალიბება.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სახელოვნებო დაწესებულებების საანგარიშო პერიოდში მისაღწევი რაოდენობა დაახლოებით წლის ბოლომდე 600-მდე გაიზრდება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სახელოვნებო დაწესებულებების საანგარიშო პერიოდში მისაღწევი რაოდენობაა დაახლოებით 1 200-მდე გაიზრდება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - ფორსმაჟორული სიტუაციები 2. **საბაზისო მაჩვენებელი** - საერთაშორისო კონკურსებში, ფესტივალებსა და საგანმანათლებლო-შემეცნებით ღონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობა დაახლოებით წლის ბოლომდე 100-მდე გაიზრდება;

	მიზნობრივი მაჩვენებელი - საერთაშორისო კონკურსებში, ფესტივალებსა და საგანმანათლებლო-შემეცნებით ღონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობა დაახლოებით 150-მდე გაიზრდება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - დაბალი შემოქმედებითი დონე და სხვა ფორსმაჟორული სიტუაციები

განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა (32 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი; საგანმანთლებლო რესურსცენტრები
პროექტის აღწერა და მიზანი	განათლებისა და მეცნიერების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, ამ სფეროში არსებული ყოველი რგოლის საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი; საქართველოს ყველა მოქალაქისათვის განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა; ადრეული და სკოლამდელი განათლების სისტემის შექმნა და განვითარება, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სისტემების სრულყოფა, მეცნიერების განვითარებისა და სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის განხორციელება; საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესთან ჰარმონიზაცია, საზოგადოების თითოეულ წევრთან და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად განათლების ხარისხზე ზრუნვა, მისი მუდმივი გაუმჯობესება და ქართული საგანმანათლებლო სივრცის მიმართ ადგილობრივი და საერთაშორისო საზოგადოების ნდობის ამაღლება; ეროვნული შეფასებების, ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავების, დანერგვისა და განვითარების სისტემის სრულყოფა და მისი მუშაობის უზრუნველყოფა; ეროვნული სასწავლო გეგმის ხელშეწყობის მიზნით I-VI და VII-XII კლასის სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირება; საგანმანათლებლო დაწესებულებების განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების სრულყოფა; მოდულარული საგანმანათლებლო პროგრამების კონცეფციის დანერგვისთვის საკანონმდებლო ბაზისა და შესაბამისი ინსტიტუციური და საოპერაციო შესაძლებლობების შექმნა; შრომის ბაზრის კვლევებით იდენტიფიცირებული პროფესიებისათვის პროფესიული სტანდარტების შემუშავება და

	არსებული პროფესიული სტანდარტების გადახედვა განახლებული მეთოდოლოგიის და საერთაშრისო გამოცდილების საფუძველზე ; პროფესიული განათლების სფეროში დისტანციური სწავლების კონცეფციის მომზადება და პილოტირება; დამსაქმებელთან თანამშრომლობით შესაბამისი პროფესიული მოდულური საგანამანათლებლო პროგრამების შექმნა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მმართველობითი ინფორმაციის მომზადების დროის შემცირება და სანდოობის გაზრდა; საგანმანათლებლო დაწესებულებების მონიტორინგის და კონტროლის სისტემის გაუმჯობესება და მიღებული გადაწყვეტილებების გამჭვირვალობისა და ხარისხის უზრუნველყოფა; განათლების ხარისხის შიდა და გარე მექანიზმების შედეგებზე ორიენტირებული სისტემის დანერგვა და მისი მეშვეობით საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება; ახალი მოთხოვნებიდან გამომდინარე ექსპერტების გადამზადება და საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერა; შეუფერხებელი განათლების მიღება უცხოეული სტუდენტების - საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში და საქართველოს მოქალაქეების - საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოქნილობის მიზნით სწავლის შედეგებზე დაფუძნებული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება,ამ პროგრამებით სწავლებისათვის საჭირო საკანონმდებლო, ინსტიტუციური და საოპერაციო (მათ შორის, ადამიანური და მატერიალური რესურსების კუთხით) შესაძლებლობის უზრუნველყოფა, პროფესიული განათლების სისტემაში მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების და სტუდენტთა შეფასების მექანიზმების დანერგვა; გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოები.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - მიმდინარეობდა მუშაობა ადრეული და სკოლამდელი განათლების სისტემის შექმნისა და განვითარების, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სისტემების სრულყოფისა, მეცნიერების განვითარებისა და სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის განხორციელების მიზნით;

	მიზნობრივი მაჩვენებელი - გაგრძელდება მუშაობა ადრეული და სკოლამდელი განათლების სისტემის შექმნისა და განვითარების, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სისტემების სრულყოფისა, მეცნიერების განვითარებისა და სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის განხორციელების მიზნით **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - მიმდინარეობდა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცედურებისა და სტანდარტების ანალიზი და განახლება მათი სრულყოფის მიზნით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - გაგრძელდება ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცედურებისა და სტანდარტების ანალიზი და განახლება მათი სრულყოფის მიზნით **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წლის სსიპ -განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მომზადდა 6 000-ზე მეტი უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი, აპოსტილით დამოწმდა/ლეგალიზებულ იქნა 3 500-ზე მეტი დოკუმენტი, დადასტურდა 400-ზე მეტი დოკუმენტის ნამდვილობა, მომზადდა განათლების მიღების ფაქტის დადასტურების თაობაზე 300-ზე მეტი გადაწყვეტილება, ლიცენზირებულ რეჟიმში მიღებული განათების აღიარების 25-ზე მეტი ბრძანება, ოკუპირებულ ტერიტორიეზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების 10-ზე მეტი დოკუმენტი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - წინა წლების სტატისტიკის გათვალისწინებით 2016 წლისათვის ივარაუდება აპოსტილის/ლეგალიზაციის, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების, განათლების მიღების ფაქტის დადასტურების, ლიცენზირებულ რეჟიმში და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარების მოთხოვნით წარმოდგენილი განცხადებების ოდენობის 10%-იანი ზრდა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - შესაბამისი საკანონმდებლო აქტების პროექტების შეთანხმების პროცესის შეფერხება **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში 450 პროფესიული კვალიფიკაციაა, შრომის ბაზრის ინფორმაციის საფუძველზე საჭიროა პროფესიული კვალიფიკაციების ჩამონათვალის რეგულარული განახლება; ასევე დამტკიცებულია 54 და დანერგილია 45 მოდულარული პროფესიული პროგრამა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - დამატებით 50 პროფესიული სტანდარტის პროექტის მომზადება და 50 მოდულური პროფესიული პროგრამის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მათი დანერგვის მიზნით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 30%; **შესაძლო რისკები** - შეფერხება დარგობრივი საბჭოებისა და ცენტრის მიერ დამატებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის დამტკიცების პროცესში

საბიბლიოთეკო საქმიანობა (01 02)

პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა
პროექტის აღწერა და მიზანი	ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ განხორციელებული იქნება საბიბლიოთეკო, ბიბლიოგრაფული და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, საბიბლიოთეკო სტატისტიკური მონაცემების ცენტრალიზებული შეგროვება და ანალიზი, საბიბლიოთეკო დარგში სახელმწიფო დაცვის კონტროლი, შესაბამისი კადრების მომზადება-გადამზადების პოლიტიკის განსაზღვრა; ელექტრონული ბიბლიოთეკის გაფართოება და შემოთავაზებული სერვისების გამრავალფეროვნება;
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საბიბლიოთეკო სფეროს თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობა
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ელექტრონული ბაზების გაზრდილი მოცულობა; საგანმანათლებლო-სამეცნიერო და კულტურული ღონისძიებების რაოდენობა; მკითხველთა რაოდენობა ადგილზე და ელექტრონულად

სამართალდამცავი სრუქტურებისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, გადამზადება, საარქივო ფონდების დიგიტალიზაცია, სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობა და მოქალაქეთა მომსახურება (30 03)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია
პროექტის აღწერა და მიზანი	განათლების საერთაშორისო სტანდარტების უზრუნველყოფა და ევროპულ საპოლიციო განათლებასთან დაახლოება, სპეციალური პროფესიული პროგრამების ბაზაზე სამინისტროში მისაღები და მოქმედი თანამშრომლების მომზადება/გადამზადება; პრაქტიკული უნარების გამომუშავებისათვის არსებული ინფარსტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, ასევე ახალი ობიექტების დამატება; სამაგისტრო პროგრამის „საპოლიციო რეგულირების სამართალი“-ს შემდგომი განვითარება; არსებული შენობა ნაგებობების სათანადოდ აღჭურვა შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით; სამაგისტრო პროგრამის „პოლიციის მაგისტრის“ კურსის გავლის შემდეგ კურსდამთავრებულს გამოუმუშავდება საშუალო რგოლის პოლიციელისათვის დამახასიათებელი უნარები და მენეჯერული თვისებები; საქართველოს უახლოესი ისტორიის ამსახველი უმნიშვნელოვანესი მასალების დაცვის ხარისხის გაუმჯობესება.
პროექტის მოსალოდნელი	შსს-ს მომავალი და არსებული თანამშრომლები მზად იქნებიან ყველა იმ სირთულეებისათვის რაც მათ პრაქტიკაში

საბოლოო შედეგი	შეხვდებათ, იმ საკანონმდებლო ცვლილებისათვის, რომელიც დაიგეგმება სახელმწიფოში, ასევე მზად იქნებიან სრულყოფილად შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობები კონკრეტული საქმიანობის განხორციელების დროს.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა და მათი ცოდნის დონე 2. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით მომზადებული და გადამზადებული პატრულ ინსპექტორები, უბნის ინსპექტრები, მეხანძრე-მაშველები, დეტექტივ-გამომძიებლები, სასაზღვრო პოლიციის, კონტრდაზვერვის დეპარტამენტის, სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოსა და კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომელების რაოდენობა

სსიპ -განათლების საერთაშორისო ცენტრი (58 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრი
პროექტის აღწერა და მიზანი	უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ, პრიორიტეტულ უცხო ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე განათლების მიღების ხელშეწყობა; ქვეყნის საჯარო და საზოგადოებრივი სექტორის გაძლიერება მაღალკვლიფიციური კადრებით, სხვადასხვა საერთაშორისო პროგრამებსა და კურსებზე მომზადების, კვალიფიკაციის ამაღლების გზით; საქართველოს ახალგაზრდობის საერთაშორისო აკადემიურ და ახალგაზრდულ პროგრამებში მონაწილეობის ხელშწყობა;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა გადამზადება და სასწავლო ცენტრის განვითარება (26 04)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აპარატის, სსიპ-ებისა და სხვა ორგანიზაციების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ტრენინგ საჭიროებათა ანალიზის საფუძველზე, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ტრენინგების

	სრული ციკლი (დაგეგმვა, ორგანიზება, ჩატარება და შეფასება). გარდა სატრენინგო მოდულისა, პროგრამა აგრეთვე მოიცავს ღონისძიებებს ტესტირების მიმართულებით, რაც გულისხმობს საკონკურსო, საატესტაციო და საკვალიფიკაციო ტესტირების ორგანიზებას და ჩატარებას ქვეყნის მასშტაბით. პროგრამის ერთ-ერთი მიმართულებაა სტუდენტებისთვის ისეთი თემატური პროექტების განხორციელება, როგორიცაა საზაფხულო და ზამთრის სკოლები საქართველოსა და რეგიონული მასშტაბით, რაც ხელს შეუწყობს შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული ადამიანური რესურსების განვითარებას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება პროექტი „საჯარო მოხელის ბიბლიოთეკა“, რომლის მიზანია საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტების განვითარების ხელშეწყობა და სახელმწიფო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება. პროექტის ფარგლებში ასევე ითარგმნება უცხოურენოვანი ლიტერატურა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება საქართველოს სახელმწიფო და ადგილობრივი ორგანიზაციებისა და ყველა სხვა დაინტერესებული პირისთვის. პროგრამის ფარგლებში ასევე გაგრძელდება პროექტი „50 საჯარო მოხელე“, რომელიც გულისხმობს ახალგაზრდების პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობას, მათთვის საჯარო სამსახურის მუშაობის პრინციპების გაცნობასა და პრაქტიკული გამოცდილების მიღებას
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საჯარო მოსამსახურეების და სხვა დაინტერესებული პირების კვალიფიკაციის ამაღლება და პროფესიული განვითარება საჯარო და კერძო ორგანიზაციებისთვის კვალიფიციური კადრების შეფასებისა და შერჩევის ეფექტური სისტემა
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წელს ტრენინგი გაიარა 4 700-მა მონაწილემ; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2016-2019 წლებში, ყოველწლიურად ტრენინგს გაივლის 5 000 მონაწილე; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10% (2015 წელს ხორციელდება ბრიტანეთის საბჭოს ტრენინგები, რომელიც მომდევნო წლებისათვის არ იგეგმება) **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წელს ტრენინგის მონაწილეთა 80%-ის მიერ ტრენინგი შეფასდა დადებითად (დადებით შეფასებად ითვლება მინიმუმ 80 ქულა შეფასების 100 ქულიანი სისტემიდან); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2016 წელს ტრენინგს დადებითად შეაფასებს მონაწილეთა 83%, 2017 წელს - 84%, 2018-2019 წლებში შენარჩუნდება 84%-იანი მაჩვენებელი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 1-2%; **შესაძლო რისკები** - პრაქტიკაში დაუნერგავი, ახალი ტრენინგ მოდულების პირველად გამოყენება; პირველად მოწვეული ტრენერები, ვისთანაც თანამშრომლობის გამოცდილება წინა პერიოდში სასწავლო ცენტრს არ ჰქონია **3.**

	საბაზისო მაჩვენებელი - 2015 წელს ტესტირება გაიარა 20 800-მა აპლიკანტმა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2016-2019 წლებში, ყოველწლიურად ტესტირებას გაივლის 6 000 აპლიკანტი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 15% (2015 წელს ჩატარდა მუნიციპალიტეტების საკვალიფიკაციო გამოცდები, რომლის ფარგლებშიც ტესტირება გაიარა 14 000-მა ადამიანმა, რომელიც მომდევნო წლებისთვის არ იგეგმება); **შესაძლო რისკები** - საჯარო და კერძო სტრუქტურებში თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსების რაოდენობის შემცირება

მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება (09 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - იუსტიციის უმაღლესი სკოლა
პროექტის აღწერა და მიზანი	იუსტიციის მსმენელების (სამოსამართლო კანდიდატების) სასწავლო კურსის რეგულარული განხორციელება სასამართლო სისტემის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის მიზნით; მოქმედი მოსამართლეების და სასამართლოს თანამშრომლების გადამზადება რეგულარულად ჩატარებული ტრენინგების, სემინარების, ვორკშოპებისა და კონფერენციების საშუალებით; ევროპელ და ქართველ ექსპერტებთან თანამშრომლობით იუსტიციის უმაღლესი სკოლის სტრატეგიული განვითარების დოკუმენტის და შესაბამისი სამოქმედო გეგმის განხორციელება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სასამართლო კორპუსის კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა; მართლმსაჯულების ხარისხის გაუმჯობესება; იუსტიციის უმაღლესი სკოლის შემდგომი განვითარებისთვის შემუშავებული სახელმძღვანელო დოკუმენტისა და სამოქმედო გეგმის განხორციელება.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 15 იუსტიციის მსმენელის (სამოსამართლო კანდიდატის) მომზადება; 70 გადამზადების კურსი შემდეგი მიზნობრივი ჯგუფებისთვის: მოსამართლეებისათვის, მოსამართლის თანაშემწეებისათვის, სასამართლოს მენეჯერებისათვის

საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება (23 05)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემია
პროექტის აღწერა და მიზანი	ფინანსთა სამინისტროს სისტემაში პროფესიული განვითარების სისტემის ჩამოყალიბება, ჩატარებული ტრენინგის საჭიროებათა ანალიზის მოთხოვნების შესაბამისი სასწავლო პროექტების განხორციელება, თანამდებობრივი ტრენინგებისა და კარიერის განვითარებაზე მიმართული სასწავლო პროგრამებისა და პროექტების განხორციელება; სისტემაში პროფესიული ცოდნის დონის ამაღლების მიზნით მსოფლიოს წამყვან სასწავლო დაწესებულებებთან ერთად სასწავლო და ტრენინგ-პროგრამების შემუშავება-განხორციელება, მათ შორის, ნიდერლანდების ფინანსთა სამინისტროსთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ერთად განხორციელებული სასწავლო პროგრამის ფარგლებში; ფინანსთა სამინისტროს სისტემისთვის, ასევე, სხვა ორგანიზაციებისთვის ახალი კადრების შერჩევის ხელშეწყობა; სახელმწიფოს მიერ კერძო სექტორის განვითარების, ასევე, სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესებისკენ მიმართული რეფორმების აქტიური მხარდაჭერა სხვადასხვა სახის სასწავლო - შემეცნებითი, სემინარული და საკონფერენციო ტიპის პროექტების განხორციელების გზით.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ფინანსთა სამინისტროს სისტემის კადრების სწორად შერჩევა, პროფესიული სწავლება, მომზადება/გადამზადება და მათი მუშაობის ეფექტიანობის ზრდა. ფინანსთა სამინისტროს პრიორიტეტებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს საფინანსო, საბიუჯეტო და საგადასახადო პოლიტიკის სწორად და ეფექტიანად განხორციელების ხელშეწყობა - საბიუჯეტო და კერძო ორგანიზაციებისათვის სასწავლო პროექტების, საკანონმდებლო სიახლეების გაცნობისა და დამატებითი სერვისების შეთავაზების გზით (მათ შორის კადრების შერჩევის ხელშეწყობით). საქართველოს სახელმწიფოებრივი და რეგიონალური ინტერესებიდან გამომდინარე, საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტების (ტრენინგები, სემინარები და ა.შ.) ხელშეწყობა. საერთაშორისო და სტუდენტურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაძლიერება მათ შორის ერთობლივი სასწავლო პროექტების განხორციელების გზით.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - წლის განმავლობაში მიმდინარეობს სასწავლო კურსების განხორციელება ტრენინგების საჭიროებათა ანალიზის შედეგად შემუშავებული გეგმის მიხედვით, ასევე, სამუშაო პროცესში გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად (მუდმივი პროცესი); 2015 წელს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში გადამზადდა 518 თანამშრომელი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ფინანსთა სამინისტროს სისტემისთვის გადამზადებული კადრების რაოდენობის

	ყოველწლიურად 10%-ით ზრდა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - ტრენინგის საჭიროებათა ანალიზის შესაძლო ცდომილება მერყეობს 5-6%-იან შუალედში; **შესაძლო რისკები** - საჯარო მოხელეთა გადამზადების ცენტრის შექმნასთან დაკავშირებით, შესაძლოა რიგი საკითხები დაიფაროს ცენტრის საქმიანობით და არ იყოს საჭირო აკადემიის ჩართულობა იმ კონკრეტული მიმართულებებით **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ყოველწლიურად აკადემიაში ხორციელდება სამი საერთაშორისო სასწავლო კურსი საერთაშორისო სავალუტო ფონდის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროს აკადემიის თანამშრომლობით. ასევე, ნიდერნალდების ფინანსთა სამინისტროს ხელშეწყობით, ჰოლანდიელი ექსპერტები ტრენინგებს ატარებენ ფინანსების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე. განხორციელდა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე "საბიუჯეტო საკითხები და ფისკალური პოლიტიკა კავკასიასა და შუა აზიაში". 2015 წელს აკადემიაში განხორციელდა 8 ღონისძიება, რომლებიც ორგანიზებული იყო საერთაშორისო/უცხოური ინსტიტუციების ხელშეწყობით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტების, ადგილობრივ და უცხოურ სასწავლო დაწესებულებებთან, სტუდენტურ ორგანიზაციებთან ერთად განხორციელებული პროექტების რაოდენობის ზრდა 20%-ით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტრენერთა დატვირთულობამ შესაძლებელია გამოიწვიოს განსახორციელებელ ღონისძიებათა რაოდენობის ცვლილება; ტრენინგების განხორციელება დამოკიდებულია საერთაშორისო და უცხოური ინსტიტუციების გადაწყვეტილებებზე **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - წლის განმავლობაში აკადემია ორგანიზებას უკეთებს ფინანსთა სამინისტროსა და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების მიერ ვაკანტურ პოზიციებზე გამოცხადებულ კონკურსებს - პროფესიული მიმართულების, ასევე, უნარების შესაფასებელ ტესტირებებს (მუდმივი პროცესი). 2015 წელს აკადემიის ორგანიზებით განხორციელდა 25 ტესტირება ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლების / დასაქმების მსურველთათვის; ასევე, ტესტირებები განხორციელდა 7 დამკვეთი ორგანიზაციისთვის; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სამინისტროს სისტემაში და სხვა ორგანიზაციებში განხორციელებული პროფესიული მიმართულებისა თუ პიროვნების საკვლევი ტესტირებების რაოდენობის ზრდა 20%-ით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დამოკიდებულია სახელმწიფოს მიდგომასა და შესაძლო პროცედურებზე, რომლებიც შემუშავდება საჯარო მოსამსახურეთა შერჩევის პროცესის განსასაზღვრად; **შესაძლო რისკები** - საჯარო სამსახურის რეფორმის ფარგლებში შეიძლება შეიცვალოს დასაქმების მსურველთა შერჩევის პროცედურა და შეამციროს აკადემიის ჩართულობა ამ მიმართულებით **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - წლის განმავლობაში აკადემია ორგანიზებას უკეთებს ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიცირებული

	რეფორმების წარმატებით გავრცელების მიზნით ტრენინგების ორგანიზებას როგორც საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისთვის, ასევე, კერძო სექტორისთვის (მუდმივი პროცესი). 2015 წელს აკადემიაში გადამზადდა 2.5 ათასამდე დაინტერესებული ადამიანი; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** საჯარო და კერძო სექტორისთვის გადამზადებული კადრების რაოდენობის ზრდა 20%-ით

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემისათვის თანამშრომელთა მომზადება და პროფესიული განვითარება (27 03)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი
პროექტის აღწერა და მიზანი	სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის პერსონალის პროფესიული მომზადება-გადამზადების გზით ქვეყანაში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში მიმდინარე რეფორმების, სასჯელაღსრულების სისტემაში ევროპის საბჭოსა და გაეროს სტანდარტების მოთხოვნათა დანერგვისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ხელშეწყობა; სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა; სტრატეგიული ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან, აკადემიურ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვადასხვა ქვეყნების შესაბამის სასწავლო დაწესებულებებთან; სისტემაში მისაღები და მომუშავე კადრების ტესტირების ინსტიტუტის დანერგვა და მისი ჩატარება მოთხოვნილებისამებრ, სისტემაში კვალიფიციური კადრების მიღებისა და ადგილზე მათი ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა; მოქმედი სასწავლო პროგრამების განახლება და ახალი პროგრამების მომზადება ადგილობრივი რესურსებისა და საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით, სწავლების ხარისხის სისტემატური გაუმჯობესების უზრუნველყოფა; განათლებისა და პროფესიული განვითარების ხარისხის უზრუნველყოფა და სასწავლო პროგრამების განვითარება; სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემებში ახლად დანერგილი მენტორინგის ინსტიტუტის განვითარება; ახალი სახელმძღვანელოების მომზადება, ბიბლიოთეკის განვითარება;
პროექტის მოსალოდნელი	სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის პერსონალის პროფესიული მომზადება-გადამზადების გზით სისხლის

საბოლოო შედეგი	სამართლის რეფორმის განხორციელების, ევროპის საბჭოსა და გაეროს სტანდარტების დანერგვის, ადამიანის უფლებათა დაცვის, დანაშაულის პრევენციის, მსჯავრდებულის სოციალური რეაბილიტაციის განხორციელების ხელშეწყობა; სტრატეგიული ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება სხვადასხვა სახელმწიფო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ასევე სხვადასხვა ქვეყნების შესაბამის სასწავლო დაწესებულებებთან; განათლებისა და პროფესიული განვითარების ხარისხის უზრუნველყოფა და სასწავლო პროგრამების განვითარება; სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემებში ახლად დანერგილი მენტორინგის ინსტიტუტის განვითარება; ახალი სახელმძღვანელოების მომზადება, ბიბლიოთეკის განვითარება; სამინისტროს სისტემისათვის საექსპერტო საქმიანობის უზრუნველყოფა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წელს მომზადება გაიარა სისტემაში მომუშავე და სისტემასთან კავშირში მყოფმა 2277 მსმენელმა და საგამოცდო ბარიერი დაძლეული იქნა 80% ის მიერ. ჩატარდა 80 სასწავლო ღონისძიება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2016 წელს საბაზისო მაჩვენებელი შენარჩუნებულია. 80 სასწავლო ღონისძიება ჩატარებულია. 5200 კაც./ტრენინგდღე; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 25-30% - 2016 წელს საკანონმდებლო ცვლილებების იმპლემენტაციის მიზნით განსახორციელებელი პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომლეთა კასკადური გადამზადება შესაძლებელია არ გახდეს საჭირო; **შესაძლო რისკები** - პენიტენციური სისტემის თანამშრომელთა სასწავლო ღონისძიებებზე მოვლინების შეფერხება; დასაქმების მსურველთა დაბალი აქტივობა

ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება (01 03)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო
პროექტის აღწერა და	ქვეყანაში ჰერალდიკის საკითხებში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის წარმართვა;

მიზანი	თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების სიმბოლიკის (დროშა, გერბი) შექმნის, მიღების, დამტკიცებისა და გამოყენების წესების სწავლება-სემინარის მომზადება და ჩატარება; თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების სიმბოლიკის გამოფენის მომზადება და ჩატარება;
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	პოპულარიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებები

მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო ურთიერთობების დარგში (28 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო ცენტრი
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა და სხვა უწყებებში საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში დასაქმებულ საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარება და კვალიფიკაციის ამაღლება; სასწავლო ცენტრის სრულყოფა (თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება, ახალი პროგრამების შემუშავება და არსებული პროგრამების დახვეწა); მჭიდრო თანამშრომლობის დამყარება მსოფლიოს წამყვან დიპლომატიურ სკოლებთან და აკადემიებთან; საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისათვის ბიბლიოთეკის გამდიდრება;
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საერთაშორისო სტანდარტების სასწავლო კურსების და საჯარო ლექციების მომზადება და ჩატარება; საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მომუშავე საჯარო მოხელეების კვალიფიკაციის ამაღლება.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სათანადო ლიტერატურით გამდიდრებული ბიბლიოთეკა; სასწავლო ცენტრის ამაღლებული

	ცნობადობა და ეფექტური მუშაობა ყველა მიმართულებით; ტრენინგების, სემინარების და ლექციების შედეგად ამაღლებული კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლების რაოდენობა; სასწავლო ცენტრში წლის განმავლობაში ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა; მსოფლიოს წამყვან დიპლომატიურ სკოლებთან და აკადემიებთან გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმები

სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“ (64 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“
პროექტის აღწერა და მიზანი	ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების სამართლებრივი უზრუნველყოფა; ქვეყანაში ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სისტემის განვითარებისა და სრულყოფისათვის კონკრეტული ღონისძიებების განხორციელება; ინტელექტუალური საკუთრების სფეროში: პოლიტიკის განსაზღვრა და მისი განხორციელება; პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრა და მათი განხორციელების ორგანიზება; საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საზღვარგარეთის ქვეყნებთან თანამშრომლობის პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრა და საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულების ორგანიზება; საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის სახელმწიფო ორგანოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა; ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე (გამოგონება, სასარგებლო მოდელი, დიზაინი, მცენარეთა ახალი ჯიში, ცხოველთა ახალი ჯიში, სასაქონლო ნიშანი, ადგილწარმოშობის დასახელება, გეოგრაფიული აღნიშვნა, ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგია, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები, საავტორო და მომიჯნავე უფლებები) უფლების მოპოვების სამართლებრივი უზრუნველყოფის მიზნით ქვეყნის სამეცნიერო-ტექნოლოგიური და მხატვრულ-შემოქმედებითი პოტენციალის განვითარებისა და ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნისათვის ხელშეწყობა; ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ საზოგადოების ინფორმაციით უზრუნველყოფა და სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება; საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ამოცანათა შესრულება;

	ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე განაცხადის კანონმდებლობით დადგენილი წესით ექსპერტიზა, შესაბამისი დოკუმენტების გაცემა და ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების რეესტრების წარმოება; ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებთან დაკავშირებით განმცხადებლებისა და მესამე პირების სააპელაციო საჩივრების განხილვა და გადაწყვეტილებების მიღება საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში; ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ საერთაშორისო შეთანხმებებსა და ხელშეკრულებებში საქართველოს მონაწილეობის შესახებ წინადადებების მომზადება; საქპატენტის მიერ ამ დებულებით გათვალისწინებული და კანონმდებლობიდან გამომდინარე ფუნქციების შესრულების მიზნით, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე პროექტებისა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაცვასთან დაკავშირებით მასალების გამოქვეყნება, მათ შორის საქართველოს სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენის გამოცემა; საერთაშორისო განაცხადებთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელება; ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული კანონპროექტებისა და სხვა ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება; საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო აქტებისა და საერთაშორისო შეთანხმებების კომენტარების მომზადება და გამოცემა; ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების მონაცემთა ავტომატიზებული ბაზების შექმნა და ფუნქციონირების უზრუნველყოფა; პატენტრწმუნებულთა ატესტაცია, რეგისტრაცია, მათი რეესტრის შექმნა და წარმოება; საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელების, მათი მემკვიდრეებისა და სხვა უფლებამონაცვლეების ქონებრივი უფლებების დაცვისათვის, კოლექტიურ საფუძველზე, მმართველი ორგანიზაციების (საზოგადოებების) საქმიანობის ხელშეწყობა;

	საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროს განვითარების ხელშეწყობა; ინტელექტუალური საკუთრების სფეროში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესრულება, საინფორმაციო და შემეცნებითი ბროშურებისა და სხვა მასალების გამოქვეყნება და გავრცელება; საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების განხორციელება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სამართლებრივად დაცული იქნება ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებები ინტელექტუალური საკუთრების სფეროში.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - გამოგონების დაპატენტებასთან დაკავშირებული დამცავი დოკუმენტების დროულად გაცემა შესაბამისი ბენეფიციარებისათვის; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - გამოგონების სამართლებრივი დაცვა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 0.1 %; **შესაძლო რისკები** - ქვეყანაში და ქვეყნის გარეთ გამოგონების უკანონოდ მითვისება 2. **საბაზისო მაჩვენებელი** - სასარგებლო მოდელის დაპატენტებასთან დაკავშირებით დამცავი დოკუმენტაციის გაცემა შესაბამისი ბენეფიციარებისათვის; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სასარგებლო მოდელის სამართლებრივი დაცვა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 0.1%; **შესაძლო რისკები** - ქვეყანაში და ქვეყნის გარეთ სასარგებლო მოდელის უკანონოდ მითვისება 3. **საბაზისო მაჩვენებელი** - დიზაინის რეგისტრაციასთან დაკავშირებული დამცავი დოკუმენტაციის დროულად გაცემა შესაბამისი ბენეფიციარებისათვის; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - დიზაინის სამართლებრივი დაცვა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 0.01%; **შესაძლო რისკები** - ქვეყანაში და ქვეყნის გარეთ დიზაინის უკანონოდ მითვისება 4. **საბაზისო მაჩვენებელი** - სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციასთან დაკავშირებული დამცავი დოკუმენტაციის დროულად გაცემა შესაბამისი ბენეფიციარებისათვის; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სასაქონლო ნიშნების სამართლებრივი დაცვა;

	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 1.5%; **შესაძლო რისკები** - ქვეყანაში და ქვეყნის გარეთ სასაქონლო ნიშნების უკანონოდ მითვისება **5.** **საბაზისო მაჩვენებელი** - საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციასთან დაკავშირებული დამცავი დოკუმენტაციის დროული გაცემა შესაბამისი ბენეფიციარებისათვის; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის სამართლებრივი დაცვა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 0.01%; **შესაძლო რისკები** - ქვეყანაში და ქვეყნის გარეთ საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის უკანონოდ მითვისება **6.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ნაწარმოებისა და მონაცემთა ბაზის დეპონირებასთან დაკავშრებული დამცავი დოკუმენტაციის დროული გაცემა შესაბამისი ბენეფიციარებისათვის; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ნაწარმოებისა და მონაცემთა ბაზის დეპონირების სამართლებრივი დაცვა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 0%; **შესაძლო რისკები** - ქვეყანაში და ქვეყნის გარეთ ნაწარმოებისა და მონაცემთა ბაზის დეპონირების უკანონო მითვისება

ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს (32 07)	
პროგრამის განმახორციელებელი	ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA - GEORGIA)
პროექტის აღწერა და მიზანი	ზოგადი განათლების ხარისხის განვითარების მიზნით საქართველოს რეგიონებში საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურის და სასწავლო გარემოს გაუმჯობესება; სკოლის მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლების ტრენინგების და საკლასო, ეროვნული და საერთაშორისო შეფასებების განხორციელება; საკლასო, ეროვნული და საერთაშორისო შეფასებების განხორციელება; ადგილობრივი ეკონომიკისათვის რელევანტური, ბაზრის მოთხოვნების შესაფერისი, პროფესიული განათლების ხელშეწყობა;

	მაღალი ხარისხის საერთაშორისო სტანდარტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება მეცნიერების, ტექნოლოგიების, საინჟინრო და მათემატიკის დარგში; საბუნებისმეტყველო და საინჟინრო სფეროში ბაკალავრიატის ამერიკული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა და სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუტების გაძლიერება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	კვალიფიციური კადრების მომზადება კონკურენტული შრომითი ბაზრისთვის; საქართველოს რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისათვის (მათ შორის უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების) თანაბარი შესაძლებლობების და გაუმჯობესებული ხარისხის სასწავლო პირობების და გარემოს უზრუნველყოფა; საქართველოს საჯარო სკოლების ფიზიკის, ბიოლოგიის, ქიმიის, გეოგრაფიის, ინგლისური ენისა და მათემატიკის პედაგოგების კვალიფიკაცია არის საგრძნობლად ამაღლებული; საქართველოს საჯარო სკოლების მოსწავლეები აუმჯობესებენ შედეგებს ეროვნულ და საერთაშორისო შეფასებებში მათემატიკის, ინგლისური ენისა და საბუნებისმეტყველო საგნების მიმართულებით; საბუნებისმეტყველო და საინჟინრო სფეროში, ამერიკული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა და სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუტების გაძლიერება.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - შეირჩა რიგი საჯარო სკოლები და მომზადდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და სატენდერო პაკეტები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შერჩეული საჯარო სკოლების სამშენებლო სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - ტექნიკურ უზრუნველყოფაში შეფერხება 2. **საბაზისო მაჩვენებელი** - განხორციელდა პროფესიული განათლების სექტორში არსებული მდგომარეობის ანალიზი, პრობლემების შესწავლა და საჭიროებების გამოვლენა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში განხორციელდება საქართველოს მასშტაბით არსებული რიგი პროფესიული სასწავლებლების დაფინანსება მათ მიერ წარმოდგენილი პროექტის

	საკონკურსო განაცხადის საფუძველზე. კერძოდ, არსებული ინფრასტრუქტურის, სასწავლო ბაზის, სასწავლო პროგრამებისა და სხვა რესურსების საჭიროების გათვალისწინებით (საშუალოდ 16 პროფესიული კოლეჯი); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 30%; **შესაძლო რისკები** - ტექნიკურ უზრუნველყოფაში შეფერხება, წარმოდგენილი პროექტებში დაშვებული ხარვეზების არსებობა **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - პროექტის „სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველო 2020“ განხორციელებისათვის მოსამზადებელი სამუშაოობის ჩატარება, რომელიც მიზნად ისახავს უმაღლეს საგანამანათლებლო დაწესებულებებში აშშ-ის საბაკალავრო პროგრამების განხორციელებას; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საგანმანათლებლო პროექტის შედეგად, კურსდამთავრებულები საქართველოში მიიღებენ ამერიკულ დიპლომებს საინჟინრო, ტექნოლოგიებისა და საბუნებისმეტყველო სპეციალობებში; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - სტუდენტების განსხვავებული შესაძლებლობები **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ტექნოლოგიების სფეროში ახალგაზრდებში ინოვაციური იდეებისა და პროექტების განხორციელების წახალისების მიზნით ჩატარდა ინოვაციის კონკურსი. ექსპერტების მიერ განხილულ იქნა საქართველოს ცხრა რეგიონის, 77 სკოლის, 85 გუნდის 88 საკონკურსო განაცხადი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - გამოვლინდება გამარჯვებული გუნდები, რომლებზეც გაიცემა მცირე გრანტები წარმოდგენილი პროექტების დახვეწა/დასრულებისათვის (საშუალოდ 20 გუნდი); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - მოსწავლეთა განსხვავებული შესაძლებლობები

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია (24 10)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია
პროექტის აღწერა და მიზანი	სტუდენტების მიერ არჩეული პროფესიისათვის საჭირო პრაქტიკული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეძენის მიზნით, სასწავლო პროცესის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამებით უზრუნველყოფა და ასევე, ისეთი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და უზრუნველყოფა, რომლებიც სტუდენტებში განავითარებენ მართვისა (ლიდერობისა) და კვლევისათვის აუცილებელ ანალიზის უნარ-ჩვევებს.
პროექტის მოსალოდნელი	კვალიფიციური კადრების მომზადება საზღვაო-სავაჭრო ფლოტსა და საზღვაო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურაში

საბოლოო შედეგი	დასასაქმებლად; დაინტერესებული საკრუინგო კომპანიების რიცხვისა და მათი კმაყოფილების ზრდა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 2014 წლის მონაცემებით საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეიტინგში აკადემია მე-9 ადგილზეა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ანალიტიკური ცენტრების მიერ მინიჭებული რეიტინგები - რეიტინგის გაზრდა და საქართველოში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეიტინგში ხუთეულში შესვლა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5-10%; **შესაძლო რისკები** - ბაზარზე შესაბამის კადრებზე მოთხოვნის შემცირება, კვალიფიციური აკადემიური პერსონალის სიმცირე **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - დასაქმებულია კურსდამთავრებულთა 55%; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - დასაქმებულ კურსდამთავრებულთა რაოდენობა - დასაქმებულ კურსდამთავრებულთა რაოდენობის გაზრდა70%-მდე; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5-10%; **შესაძლო რისკები** - საზღვაო გადაზიდვების მოცულობის შემცირება, დასაქმების ბაზარზე კადრებზე მოთხოვნის შემცირება **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - აკადემია აქტიურად თანამშრომლობს საქართელოში არსებულ საზღვაო ნავსადგურებთან და ტურისტულ სააგენტოებთან, რომლებსაც უწევს შესაბამის მომსახურებას კომპეტენციის ფარგლებში. სხვადასხვა ეტაპზე აკადემიამ მომსახურება გაუწი 5-6 ინვესტორს; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ინვესტორებისა და ინვესტიციებით დაინტერესებული პირებისათვის გაწეული მომსახურების რაოდენობა - ინვესტორებისა და ინვესტიციებით დაინტერესებული პირების გაზრდა 10-15-მდე; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5-10% **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ამ ეტაპზე აკადემიას აქვს 30-ზე მეტი მოქმედი მემორანდუმი როგორც საქართველოში აკრედიტირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, ასევე საზღვარგარეთ არსებულ სასწავლებლებთან. მემორანდუმები ფორმდება ასევე შესაბამისი პროფილით მომუშავე სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - გაფორმებული ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებები - ორმხრივი და მრავალმხრივი

	ურთიერთობების გაძლიერება და მემორანდუმებისა და ხელშეკრულებების რაოდენობის გაზრდა 50-მდე; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5-10%; **შესაძლო რისკები** - აკრედიტაციის პროცესის შეფერხება აკადემიის მიერ განსახორციელებელ უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2016 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2017 წლის პროგნოზი	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი
24 01	ეკონომიკური და სექტორული (ტრანსპორტი, მშენებლობა) პოლიტიკა და მისი განხორციელების კოორდინაცია	71,724.0	65,674.0	6,050.0	70,500.0	70,500.0	72,500.0
23 02	შემოსავლების მობილიზება და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება	131,044.0	37,144.0	93,900.0	137,744.0	142,669.0	147,844.0
23 01	სახელმწიფო ფინანსების მართვა	26,456.0	26,456.0	-	29,456.0	29,456.0	29,456.0
23 04	ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა	10,134.0	7,800.0	2,334.0	8,500.0	8,500.0	8,500.0
40 02	სახელმწიფო ობიექტების მოვლა-შენახვა	7,500.0	7,500.0	-	7,500.0	7,500.0	7,500.0
47 01	სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა	4,760.0	4,600.0	160.0	4,960.0	5,000.0	5,100.0
47 02	სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა	2,860.0	2,860.0	-	3,180.0	3,330.0	3,330.0
49 00	სსიპ - საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო	2,310.0	2,300.0	10.0	2,700.0	2,800.0	2,900.0
56 00	სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური	2,150.0	2,150.0	-	2,150.0	2,150.0	2,150.0
43 00	სსიპ – კონკურენციის სააგენტო	2,000.0	2,000.0	-	2,300.0	2,500.0	3,000.0
52 00	საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა	1,400.0	1,300.0	100.0	1,600.0	1,600.0	1,600.0
24 03	სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროს განვითარება	2,046.0	956.0	1,090.0	2,013.0	2,138.0	2,168.0
04 02	საქართველოს ეკონომიკური საბჭოს აპარატი	881.0	881.0	-	881.0	881.0	881.0
04 03	საგადასახადო ომბუდსმენის აპარატი	504.0	504.0	-	504.0	504.0	504.0

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2016 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2017 წლის პროგნოზი	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი
47 03	მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერა	340.0	340.0	-	230.0	240.0	250.0
24 04	აკრედიტაციის პროცესის მართვა და განვითარება	534.0	150.0	384.0	600.0	650.0	650.0
24 08	ინოვაციური ეკოსისტემის განვითარება (IBRD)	100.0	100.0	-	19,755.7	21,550.7	23,303.2
63 00	სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	5,130.7	-	5,130.7	5,500.0	5,500.0	5,500.0
23 06	სსიპ - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო	7,773.2	-	7,773.2	8,908.0	8,799.0	8,799.0
სულ		**279,646.9**	**162,715.0**	**116,931.9**	**308,981.7**	**316,267.7**	**325,935.2**

ეკონომიკური და სექტორული (ტრანსპორტი, მშენებლობა) პოლიტიკა და მისი განხორციელების კოორდინაცია (24 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - მეწარმეობის განვითარების სააგენტო; სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო; სსიპ - ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	ეკონომიკური პროცესების ანალიზი, სექტორული კვლევა ქვეყნის ეკონომიკის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოსავლენად; მაკროეკონომიკური სტატისტიკური მონაცემების ანალიზი და შესაბამისი ანგარიშის მომზადება; არსებული კანონმდებლობის, ასევე ახალი ნორმატიული აქტების პროექტების სამეწარმეო გარემოზე რეგულირების გავლენის შეფასება (RIA), არსებული ეკონომიკური სიტუაციის ანალიზი და ახალი ტენდენციების გამოვლენა ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით; ეკონომიკის პრიორიტეტული სექტორების შესწავლა და დეტალური კვლევების განხორციელება; კაპიტალის ბაზრის რეფორმისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციისათვის სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება; რეგიონალური და მრავალმხრივი სავაჭრო ურთიერთობებისა და რეჟიმების ანალიზი და მათი განვითარებისათვის რეკომენდაციების მომზადება; ექსპორტის ხელშეწყობისათვის საქართველოს საგარეო ვაჭრობის შედეგების ანალიზი, ახალი საექსპორტო ბაზრებისა და პროდუქციის იდენტიფიკაცია, სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებისათვის რეკომენდაციების შემუშავება; „მწვანე ზრდის“ ეროვნული კონცეფციის მომზადება, რომელშიც გაერთიანებული იქნება ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების, სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხების მნიშვნელოვანი ასპექტები; „დაბალემისიიანი განვითარების სტრატეგიის (LEDS)“ შემუშავებისა და განხორციელების მიზნით მშენებლობის, ტრანსპორტისა და მრეწველობის სექტორებში შემარბილებელი ღონისძიებების მომზადება (სტრატეგია ითვალისწინებს გრძელვადიან პერსპექტივაში ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას სათბური გაზების (GHG) ემისიების შემცირების ხარჯზე);

	მდგრად ეკონომიკურ განვითარებასთან („მწვანე ეკონომიკასთან") დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში საზოგადოების ცნობიერების ამაღლება საინფორმაციო ვებ პორტალის (www.greengeorgia.ge) მუდმივი განახლების, სემინარებისა და საჯარო ლექციების მეშვეობით; ყოველწლიური ბიზნეს ფორუმის გამართვა საქართველოში და უძრავი ქონების საერთაშორისო გამოფენაზე „MIPIM" მონაწილეობა (ქ.კანში) საქართველოში არსებული საინვესტიციო პროექტების და შესაძლებლობების გაცნობისა და ქვეყანაში დამატებითი ინვესტიციების შემოდინებისა და უძრივი ქონების სექტორის განვითარების მიზნით; საპენსიო სისტემის რეფორმის ფარგლებში დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება: შენატანების შეგროვებისა და ადმინისტრირების ორგანოს იდენტიფიცირება, სისტემის ოპერატორების დიზაინის და პერსონიფიცირებული ანგარიშგების სისტემის დანერგვა, აქტივების მართველი ფონდის შერჩევა და ლიცენზირება, რეგულირების გეგმის შექმნა (მოიცავს საინვესტიციოს, მმართველობის პრინციპებს, რისკების მართვის დირექტივებს და სხვა) და კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვა; აზიის განვითარების ბანკის მხარდაჭერით ტრანსპორტის ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტის და მისი სამოქმედო გეგმის შემუშავება; ევროპის საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოვების მიზნით საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების (AA) და ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ფარგლებში ტრანსპორტის სფეროსთან დაკავშირებული დირექტივების და რეგულაციების იმპლემენტაცია; ადგილობრივი გადამზიდველების საერთაშორისო სატრანსპორტო ბაზარზე გამარტივებული პროცედურებით შესვლის ხელშეწყობისათვის სხვადასხვა ქვეყნებთან საერთაშორისო შეთანხმებების გაფორმება; ევროპიდან აზიისა და უკუმიმართულებით სარკინიგზო ტრანსპორტით სატვირთო გადაზიდვების გამარტივებული პროცედურებით გადაზიდვის მიზნით, მრავალმხრივი შეთანხმებების გაფორმება; ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობა, სატრანზიტო გადაზიდვების განვითარების ხელშეწყობის პოლიტიკის განვითარება და განხორციელება; სამოქალაქო ავიაციისა და საზღვაო ტრანსპორტის სფეროს უსაფრთხოების დონის გაუმჯობესება და ასევე, ამ სფეროებში მომხდარი სატრანსპორტო შემთხვევებისა და ინციდენტების მოკვლევისა და პრევენციული ზომების გატარება;

	მშენებლობის სფეროში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის ხელშეწყობა და სამშენებლო პროდუქციის წარმოების განვითარება, საქართველოში წარმოებული სამშენებლო პროდუქციის საერთაშორისო ბაზრობა-გამოფენებში მონაწილეობის ხელშეწყობა და აასევე, შიდა და საერთაშორისო ბაზარზე მშენებლობის და სამშენებლო მასალების პოპულარიზაცია; ქვეყნის სივრცითი მოწყობის გენერალური სქემის, მუნიციპალიტეტების სივრცითი მოწყობის გეგმების, დასახლებათა მიწათსარგებლობის გენერალური გეგმებისა და განაშენიანების რეგულირების გეგმების შემუშავების უზრუნველყოფა და აგრეთვე, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სივრცითი მოწყობის სქემების შემუშავების ხელშეწყობა; სამშენებლო სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ევროპულ და საერთაშორისო ნორმებთან და ამ მიზნით, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის/თანამშრომლობის გაღრმავება; სარეკრეაციო ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემის I და II სტადიაზე პროექტების შეთანხმება; ინვესტიციების გაზრდისა და ეკონომიკის განვითარების მიზნით სახელმწიფო ქონების, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქტივების, სახელმწიფო საწარმოთა ეფექტური მართვა/განკარგვის და გამჭვირვალობის ხელშეწყობა; ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მეწარმეობის განვითარება მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის, ექსპორტის განვითარების ხელშეწყობის, დამწყები და ასევე, არსებული მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ტექნიკური დახმარების აღმოჩენისა და კომპანიებისათვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გამარტივების გზით; ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარების მიზნით, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობა, რომელიც საქართველოს მასშტაბით ითვალისწინებს დარგობრივი სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიების (ფაბლაბების) და საზოგადოებრივი ინოვაციების ცენტრების (CIC) ფორმირებას, საქართველოში აუთსორსზე ორიენტირებული სპეციალისტების მომზადებას საინფორმაციო ტექნოლოგიების პრიორიტეტული მიმართულებებით და საქართველოს ინოვაციური შესაძლებლობების გაზრდას და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, ინოვაციის აქსელერაციისა და ახალი ტექნოლოგიისა და პროდუქტის კომერციალიზაციის მოდელის შექმნით; ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და საფოსტო კავშირის შემდგომი განვითარების მიზნით, თანამედროვე და უნივერსალური საფოსტო მომსახურებების დანერგვა, საქართველოს გლობალურ სავაჭრო სივრცეში

	ინტეგრირება, მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური დონის ამაღლება, საინფორმაციო საზოგადოების მშენებლობის პროცესების დაჩქარება; ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს მაშტაბით შიდა ფრენების სუბსიდირება; ქვეყანაში საზღვაო პროფესიული საგანმანათლებლო სფეროს ხელშეწყობა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს შენარჩუნება საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში; საქართველოს სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესება, საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ზრდა და ბაზრების დივერსიფიკაცია, არსებული სავაჭრო რეჟიმების განვითრება და ახალი სავაჭრო შეთანხმებების (მ.შ თავისუფალი ვაჭრობის) გაფორმება; „მწვანე ზრდის“ ეროვნული კონცეფციისა და „საქართველოს დაბალემისიიანი განვითარების სტრატეგიის“ მომზადება სადაც, ასახული იქნება მშენებლობის, ტრანსპორტის და მრეწველობის სექტორების შემარბილებელი ღონისძიებები; ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარება, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის საინვესტიციო შესაძლებლობების იდენტიფიცირებასა და დამატებითი ინვესტიციების მოზიდვას; ქვეყანაში დამატებითი ინვესტიციების შემოდინება და უძრივი ქონების სექტორის კიდევ უფრო განვითარება; კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვა; საქართველოს სატრანსპორტო სისტემების ეფექტიანობის ამაღლება, საერთაშორისო სატრანსპორტო სისტემებში ინტეგრაცია, ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის გაზრდა და საქართველოს სატრანსპორტო სისტემის კონკურენტუნარიანობის დონის ამაღლება, მულტიმოდალური გადაზიდვების განვითარება და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; ფრენების უსაფრთხოებისა და საავიაციო უშიშროების დონის ამაღლება, საქართველოს საავიაციო ბაზარზე ახალი კომპანიების შემოსვლა; სივრცითი მოწყობისა და მიწათმოწყობის დაგეგმვის დოკუმენტაციის შემუშავება, მდგრადი განვითარების ჩამოყალიბების,

	ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური სარგებლის მიღებისა და ინვესტიციების მიმზიდველი, სტაბილური და უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით, რაც აამაღლებს გადაწყვეტილებების მიღების ხარისხს; სამშენებლო ინდუსტრიის განვითარება და მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესება, სამშენებლო სფეროში დასაქმებულთა რაოდენობის გაზრდა,საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ევროპულ ნორმებთან, ევროდირექტივების შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტების შემუშავება, ევროპულ სამშენებლო ბაზართან ინტერგაცია და ძველი, საბჭოური ტექნიკური რეგულირების დოკუმეტების ჩანაცვლება თანამედროვე დოკუმენტებით; ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შემცირება;
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მაკროეკონომიკური სტატისტიკური მაჩვენებლები; საერთაშორისო რეიტინგებში საქართველოს პოზიციების გაუმჯობესება; სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს შენარჩუნება საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში

ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება (24 01 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	ეკონომიკური პროცესების ანალიზი, სექტორული კვლევა ქვეყნის ეკონომიკის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოსავლენად; მაკროეკონომიკური სტატისტიკური მონაცემების ანალიზი და შესაბამისი ანგარიშის მომზადება; არსებული კანონმდებლობის, ასევე ახალი ნორმატიული აქტების პროექტების სამეწარმეო გარემოზე რეგულირების გავლენის შეფასება (RIA); არსებული ეკონომიკური სიტუაციის ანალიზი და ახალი ტენდენციების გამოვლენა ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით; ეკონომიკის პრიორიტეტული სექტორების შესწავლა და დეტალური კვლევების განხორციელება;

	კაპიტალის ბაზრის რეფორმის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციისათვის სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება; რეგიონალური და მრავალმხრივი სავაჭრო ურთიერთობებისა და რეჟიმების ანალიზი და მათი განვითარებისათვის რეკომენდაციების მომზადება; ექსპორტის ხელშეწყობისათვის საქართველოს საგარეო ვაჭრობის შედეგების ანალიზი, ახალი საექსპორტო ბაზრებისა და პროდუქციის იდენტიფიკაცია, სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებისათვის რეკომენდაციების შემუშავება; „მწვანე ზრდის“ ეროვნული კონცეფციის მომზადება, რომელშიც გაერთიანებული იქნება ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების, სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხების მნიშვნელოვანი ასპექტები; „დაბალემისიიანი განვითარების სტრატეგიის (LEDS)“ შემუშავებისა და განხორციელების მიზნით მშენებლობის, ტრანსპორტისა და მრეწველობის სექტორებში შემარბილებელი ღონისძიებების მომზადება. თავად სტრატეგია ითვალისწინებს გრძელვადიან პერსპექტივაში ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას სათბური გაზების (GHG) ემისიების შემცირების ხარჯზე; მდგრად ეკონომიკურ განვითარებასთან, ,,მწვანე ეკონომიკასთან” დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში საზოგადოების ცნობიერების ამაღლება საინფორმაციო ვებ პორტალის (www.greengeorgia.ge) მუდმივი განახლების, სემინარებისა და საჯარო ლექციების მეშვეობით.ყოველწლიური ბიზნეს ფორუმის გამართვა საქართველოში; უძრავი ქონების საერთაშორისო გამოფენაზე “MIPIM” მონაწილეობა საფრანგეთში; შენატანების შეგროვებისა და ადმინისტრირების ორგანოს იდენტიფიცირება; საპენსიო სისტემის ოპერატორების დიზაინი და პერსონიფიცირებული ანგარიშგების სისტემის დანერგვა; აქტივების მართველი ფონდის შერჩევა და ლიცენზირება;

	რეგულირების გეგმის შექმნა, რომელიც მოიცავს საინვესტიციო, მმართველობის პრინციპების, რისკების მართვის დირექტივებს და სხვა; კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის ამოქმედება; ტრანსპორტის ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტის და მისი სამოქმედო გეგმის შემუშავება (პროექტი აზიის განვითარების ბანკის მხარდაჭერით ხორციელდება); ევროპის საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოვების მიზნით საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების (AA) და ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ფარგლებში ტრანსპორტის სფეროსთან დაკავშირებული დირექტივების და რეგულაციების იმპლემენტაცია; ადგილობრივი გადამზიდველების საერთაშორისო სატრანსპორტო ბაზარზე გამარტივებული პროცედურებით შესვლის ხელშეწყობის მიზნით სხვადასხვა ქვეყანასთან საერთაშორისო შეთანხმებების გაფორმება; ევროპიდან აზიისა და უკუმიმართულებით სარკინიგზო ტრანსპორტით სატვირთო გადაზიდვების გამარტივებული პროცედურებით გადაზიდვის მიზნით მრავალმხრივი შეთანხმებების გაფორმება; ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის ხელისშეწყობა, სატრანზიტო გადაზიდვების განვითარების ხელშეწყობის პოლიტიკის განვითარება და განხორციელება; სამოქალაქო ავიაციისა და საზღვაო ტრანსპორტის სფეროებში მომხდარი სატრანსპორტო შემთხვევებისა და ინციდენტების მოკვლევის და პრევენციული ზომების გატარება, რაც გულისხმობს მომხდარი ინციდენტების და შემთხვევების მოკვლევების დროს გამოვლენილი მიზეზ-ფაქტორების გაანალიზების გზით გარკვეული პრევენციული რეკომენდაციების შემუშავებას და სააგენტოებისა თუ კომპანიებისათვის მიწოდებას, რის საფუძველზეც მოხდება სამოქალაქო საავიაციო და საზღვაო ტრანსპორტის სფეროს უსაფრთხოების დონის გაუმჯობესება; მშენებლობის სფეროში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის ხელშეწყობა და სამშენებლო პროდუქციის წარმოების განვითარება; შიდა და საერთაშორისო ბაზარზე მშენებლობის და სამშენებლო მასალების პოპულარიზაცია;

	საქართველოში წარმოებული სამშენებლო პროდუქციის საერთაშორისო ბაზრობა-გამოფენებში მონაწილეობის მიღებაში ხელშეწყობა; ქვეყნის სივრცითი მოწყობის გენერალური სქემის, მუნიციპალიტეტების სივრცითი მოწყობის გეგმების, დასახლებათა მიწათსარგებლობის გენერალური გეგმებისა და განაშენიანების რეგულირების გეგმების შემუშავების უზრუნველყოფა, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სივრცითი მოწყობის სქემების შემუშავების ხელშეწყობა; სამშენებლო სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ევროპულ და საერთაშორისო ნორმებთან და ამ მიზნით, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის/თანამშრომლობის გაღრმავება; სარეკრეაციო ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემის I და II სტადიაზე პროექტების შეთანხმება; სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის დახვეწა და გამარტივება, სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის პროექტის შემუშავება და მიღება; სამშენებლო სფეროში საკანონმდებლო ცვლილებების, სხვა სიახლეების გაცნობის და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის თაობაზე ცნობიერების ამაღლება.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს შენარჩუნება საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში; საქართველოს სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესება; საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ზრდა და ბაზრების დივერსიფიკაცია; არსებული სავაჭრო რეჟიმების განვითრება და ახალი სავაჭრო შეთანხმებების (მ.შ თავისუფალი ვაჭრობის) გაფორმება; „მწვანე ზრდის“ ეროვნული კონცეფციისა და „საქართველოს დაბალემისიიანი განვითარების სტრატეგიის“ მომზადება; ქვეყანაში დამატებითი ინვესტიციების შემოდინება და უძრივი ქონების სექტორის განვითარება; კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვა;

	საქართველოს სატრანსპორტო სისტემების ეფექტიანობის ამაღლება; საერთაშორისო სატრანსპორტო სისტემებში ინტეგრაცია; ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის გაზრდა; საქართველოს სატრანსპორტო სისტემის კონკურენტუნარიანობის დონის ამაღლება; მულტიმოდალური გადაზიდვების განვითარება; სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; ფრენების უსაფრთხოებისა და საავიაციო უშიშროების დონის ამაღლება; ახალი კომპანიების შემოსვლა საქართველოს საავიაციო ბაზარზე; სივრცითი მოწყობისა და მიწათმოწყობის დაგეგმვის დოკუმენტაციის შემუშავება; სამშენებლო ინდუსტრიის განვითარება და მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესება; სამშენებლო სფეროში დასაქმებულთა რაოდენობის გაზრდა; სამშენებლო სფეროში, საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ევროპულ ნორმებთან, ევროდირექტივების შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტების შემუშავება და ევროპულ სამშენებლო ბაზართან ინტერგაცია;
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების რაოდენობა; მაკროეკონომიკური სტატისტიკური მაჩვენებლები; საქართველოს მიმართულებით გადაზიდული ტვირთების მოცულობების და სამგზავრო გადაყვანების გაზრდა; კერძო დაგროვებით საპენსიო სისტემაში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა; მშენებლობით დამთავრებული ობიექტების მაჩვენებელი; საინფორმაციო ვებ-პორტალზე ვიზიტორების რაოდენობის ზრდა; საჯარო ლექციებსა თუ სემინარებზე დამსწრე საზოგადოების რაოდენობა; ახალი საექსპორტო ბაზრები; მშენებლობაზე გაცემული ნებართვების რაოდენობა;

	საქართველოს სავაჭრო ბრუნვაში ექსპორტის მოცულობისა და ექსპორტის ხვედრითი წილის ზრდა; დასრულებული „მწვანე ზრდის“ ეროვნული კონცეფცია; საერთაშორისო რეიტინგებში საქართველოს პოზიციების გაუმჯობესება; სავაჭრო რეჟიმების ეფექტური გამოყენება; სამშენებლო სფეროს სტატისტიკური მაჩვენებლები; დასრულებული „საქართველოს დაბალემისიანი განვითარების სტრატეგია“

სახელმწიფო ქონების მართვა (24 01 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	მომხმარებელზე ორიენტირებული მომსახურების, ქვეყანაში კარგი მმართველობისა და თავისუფალი ბიზნეს-გარემოს განვითარების, სახელმწიფოსა და მესაკუთრის კანონიერი ინტერესების დაცვის უზრუნველყოფა, რომელიც ხორციელდება სამი ძირითადი მიმართულებით: სახელმწიფო ქონების მართვა, სახელმწიფო ქონების განკარგვა და სახელმწიფო საწარმოთა მართვა; სახელმწიფო ქონების, საწარმოთა ეფექტური მართვის/განკარგვის და გამჭვირვალობის ხელშეწყობის მიზნით: სახელმწიფო საპრივატიზაციო ობიექტების აღრიცხვა და შეფასება, რომელიც იძლევა სრულფასოვან ინფორმაციას ქვეყნის მასშტაბით არსებულ სახელმწიფო ქონებაზე; სახელმწიფო საწარმოთა მართვა/განკარგვა, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება მართვაში რიცხული ლიკვიდური, გადახდისუუნარო და მომგებიანი საწარმოების კლასიფიკაცია ქონებრივი და ფინანსური მდგომარეობის მიხედვით. გარდა ამისა, არალიკვიდურ საწარმოებში რესტრუქტურიზაციის განხორციელება; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების დაცვის ღონისძიებების განხორციელება, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უმნიშვნელოვანესი ობიექტების დაცვას (მათ შორის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები მთელი საქართველოს მასშტაბით); სახელმწიფო ქონების განკარგვის პროცესების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით „სოფლიდან გაუსვლელად“ პროექტის განხორციელება, რომელიც ხელს შეუწყობს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საქმიანობის პოპულარიზაციას რეგიონებში და შესაბამისად ლოკალურ დონეზე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ობიექტების ეფექტურ განკარგვას.
პროექტის მოსალოდნელი	საპრივატიზებო ობიექტების გაყიდვების გაზრდა, მოძიებული ინვესტიციების გაზრდა და ეკონომიკის განვითარება;

შუალედური შედეგი	სახელმწიფო საწარმოების კლასიფიკაციის და მათი ეფექტური მართვის/განკარგვის სწორი სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება; სახელმწიფო საწარმოთა მომგებიანობის გაზრდა და სახელმწიფო ბიუჯეტში დივიდენდის სახით ფულადი სახსრების აკუმულირება; სახელმწიფო ქონების მოვლა/პატრონობის ფუნქციის უკეთესად განხორციელება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წლის დასაწყისში სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოთა რაოდენობა შეადგენდა 280 ერთეულს. მიმდინარე წლის განმავლობაში დაგეგმილია საწარმოთა რაოდენობის 100-ერთეულით შემცირება, რის შედეგადაც 2015 წლის ბოლოსთვის დარჩება 180 ერთეული სახელმწიფო საწარმო; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საწარმოთა ოპტიმიზაციის პროცესის დასრულების შედეგად სახელმწიფოს მართვაში მხოლოდ სახელმწიფოსათვის სტრატეგიული მნიშვნელობის საწარმოების არსებობა (დაახლოებით 60 საწარმო); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - 1. სამუშაოს დიდი მოცულობა; 2. საწარმოს კაპიტალში არსებული ხარვეზები 3. საწარმოთა გაკოტრების პროცესში წარმოქმნილი სირთულეები

მეწარმეობის განვითარება (24 01 03)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - მეწარმეობის განვითარების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	დამწყები, ასევე არსებული მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ტექნიკური დახმარების აღმოჩენა სამეწარმეო უნარების ამაღლებისათვის; მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა კომპანიებისათვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გამარტივების საშუალებით; მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობა;

	ექსპორტის განვითარების ხელშეწყობა; საქართველოს საექსპორტო პოტენციალის პოპულარიზაცია საერთაშორისო მედია საშუალებებით.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	რეგიონებში ბიზნესის განვითარება; საწარმოების კონკურენტუნარიანობის, პროდუქტიულობის ზრდა და საქართველოში წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება; სამეწარმეო კულტურის ამაღლება; ახალი ბიზნესების შექმნის წახალისება; ბიზნესში (რე)ინვესტირება; დამწყები ბიზნესების მდგრადობის ზრდა; ახალი საწარმოების და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა; სასტუმრო ბიზნესის ხელშეწყობის შედეგად ტურისტული პოტენციალის ამაღლება; კომპანიების მიერ ახალი საექსპორტო ბაზრების ათვისება; ექსპორტთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობისა ზრდა და ასევე, პროდუქტისა და მომსახურების ექსპორტის ზრდა; ცნობადობის ამაღლება საქართველოს საწარმოო და საექსპორტო პოტენციალთან დაკავშირებით (პროდუქტისა და მომსახურების); DCFTA-ს მოთხოვნების შესაბამისად მეწარმეების ცნობიერების ამაღლება და ტექნიკური დახმარების გაწევა; კომპანიების პერსონალის ცოდნისა და უნარების ამაღლება.

შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - საქართველოს ბაზარზე არსებული კომპანიების 95% წარმოადგენს მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს, რომლებიც ასაქმებს სამუშაო ძალის 43%, მაგრამ მისი წილი ბიზნეს სექტორის დამატებულ ღირებულებაში არის 16%-მდე; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - რეგიონებში დამწყები და არსებული მცირე და საშუალო საწარმოების პროდუქტიულობისა და დასაქმებულთა წილის ზრდა 50%-მდე. ბიზნეს სექტორის დამატებულ ღირებულებაში ამ საწარმოთა წილის 23%-მდე გაზრდა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - მხარეების მიერ კონკრეტული სახელშეკრულებო პირობების დარღვევა **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ბიზნესში (რე)ინვესტირების მოცულობა პროგრამის დაწყებისას შეადგენდა დაახლოებით 400 მლნ აშშ დოლარს; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ინვესტიციების (მათ შორის რეინვესტირების) მოცულობის ზრდა არანაკლებ 350 მლნ აშშ დოლარის ოდენობით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - საექსპორტო ბაზრებზე მაღალი კონკურენცია; საქართველოს ბაზარზე იმპორტი და/ან ახალი კონკურენტების გაჩენა **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - პროგრამის დაწყებისას საქართველოს ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 508 ათას ადამიანს შეადგენდა სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული და სასოფლო-სამეურნეო მრეწველობების მხარდაჭერის ნაწილში; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ახალი სამუშაო ადგილების რაოდენობა - 150-მდე პროექტის განხორციელება და 7 000 ადამიანის დასაქმება; სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის ნაწილში რეგიონებში 5 000-ზე მეტი ახალი სამუშაო ადგილის შექმნა (2016-2017წწ); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - ბენეფიციარი კომპანიების პროდუქციის რეალიზებასთან დაკავშირებული შეფერხებები

საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება (24 01 04)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო

პროექტის აღწერა და მიზანი	ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარების მიზნით ცოდნაზე დაფუძნებული კომპანიებისა და სტარტაპების განვითარების ხელშეწყობა, საგანმანათლებლო-საწარმოო და ინფორმაციული გარემოს შექმნა, რომელიც განავითარებს ახალგაზრდების შემოქმედებით უნარებს, დიზაინის, კვლევის, კონსტრუირებისა და პროტოტიპირების ჩვევებს და ქმნის საფუძველს ინოვაციური საქმიანობისათვის; საქართველოს მასშტაბით დარგობრივი სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიების (ფაბლაბების) ფორმირება; საქართველოს მუნიციპალიტეტების ცენტრალური ბიბლიოთეკების ბაზაზე საზოგადოებრივი ინოვაციების ცენტრების (CIC) ფორმირება, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის ყველა რეგიონის ჰარმონიულად განვითარებას და მათ სამოქალაქო პროცესებში ეფექტურ ჩართვას; ქვეყანაში ინოვაციების ეკოსისტემის ჩამოყალიბების მიზნით, საგანმანათლებლო სისტემასა და კვალიფიციური აუთსორსზე ორიენტირებული სპეციალსიტის მომზადება საინფორმაციო ტექნოლოგიების პრიორიტეტული მიმართულებებით; მინი გრანტების პროგრამის ფარგლებში საქართველოს ინოვაციური შესაძლებლობების გაზრდა და კონკურენტუნარიანობის ამაღლება ინოვაციის აქსელერაციისა და ახალი ტექნოლოგიისა და პროდუქტის კომერციალიზაციის მოდელის შექმნით, მეცნიერებთან და მკვლევარებთან თანამშრომლობით, ახალი ქართული კომპანიებისათვის ბაზისის შექმნით, არსებული საწარმოებისათვის შესაძლებლობების გაფართოვებით, საქართველოსათვის კრიტიკული პრობლემების ახალი გადაწყვეტილებების იდენტიფიცირებით, ინოვაციური და სამეწარმეო კულტურის ხელშეწყობით, ტექნოლოგიებსა და მეწარმეობაში შესაბამისი უნარების განვითარებით და საქართველოში სამეწარმეო, ინოვაციური და ტექნოლოგიების განვითარებასთან დაკავშირებული რისკების შემცირებით.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიების მოწყობა; საქართველოში „საზოგადოებრივი ინოვაციების ცენტრების“ დაარსება; მეცნიერებაზე და ტექნოლოგიებზე დაფუძნებული კომერციული პოტენციალის მქონე პროდუქტის, კვლევის ან მომსახურების განვითარება და/ან დანერგვა, რომელიც გამოიწვევს ტექნოლოგიაზე ორიენტირებული ახალი ტიპის მომსახურების გაჩენას, წარმოების პროცესის გაღრმავებას, არსებული პროდუქტის გაფართოვებასა და კომერციული პროცესების გამოყენებას საქართველოს ეკონომიკისა და საზოგადოებისათვის.
შუალედური შედეგის	

შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - დღეის მდგომარეობით ფაბლაბის ბაზაზე განხორციელებულია 9 პროექტი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ფაბლაბის ბაზაზე განხორციელებული პროექტების რაოდენობა - არანაკლებ 60 პროექტი 2016-2019წწ.-ში; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 33% **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ფაბლაბის კონტრაქტორების რაოდენობა 2015 წლის მდგომარეობით შეადგენს 16 ერთეულს; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - კომპანიების რაოდენობა, რომლებიც პროდუქტის განვითარებას მოახდენენ ფაბლაბის ბაზაზე - ფაბლაბის კონტრაქტორების რაოდენობა გაიზრდება 60 ერთულამდე 2016-2019წწ.-ში; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20% **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - საზოგადოებრივი ცენტრების ფორმირება დაგეგმილია 2016 წელს; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საზოგადოებრივი ინოვაციების ცენტრში მუნიციპალიტეტიდან მისული ვიზიტრების რაოდენობა - საზოგადოებრივი ინოვაციების ცენტრებს მუნიციპალიტეტებიდან 2016 წელს ეწვევა 108 000 ვიზიტორი, ხოლო 2017-2019წწ.-ებში სავარაუდოდ 200 000 ვიზიტორი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - გამომდინარე იქედან, რომ დასწრება არის დამოკიდებული ტრენინგებზე, სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებზე და სხვა აქტივობებზე, მიზნების მისაღწევად ხელისშემშლელ ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს ტრენერების და სპიკერების მოძიებასთან დაკავშირებული სირთულეები, ხალხის ნაკლები დაინტერესება ან სხვა ფაქტორები, რომლებიც ხელს შეუშლის ცენტრების ფუნქციონირებას

შემოსავლების მობილიზება და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება (23 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - შემოსავლების სამსახური
პროექტის აღწერა და მიზანი	ნებაყოფლობითი კანონმორჩილების წახალისება; გადასახადის გადახდისგან თავის არიდების წინააღმდეგ ბრძოლა; მომსახურების სფეროების ოპტიმიზაცია; ევროკავშირთან ინტეგრაციული პროცესის ხელშეწყობა; ვაჭრობის ხელშეწყობის ინსტრუმენტებისა და საბაჟო, სანიტარიული, ფიტოსანიტარიული სასაზღვრო კონტროლის აღსრულების გაუმჯობესება.

პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საგადასახადო შემოსავლების მაჩვენებლის ზრდა და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - დამტკიცდა 2015-2016 წლების ნებაყოფლობითი კანონშესაბამისობის წახალისების სტრატეგია. მიმდინარეობს მუშაობა სტრატეგიით გათვალისწინებული ღონისძიებების პრაქტიკაში რეალიზებასთან დაკავშირებით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სტრატეგიით გათვალისწინებულ მიზნობრივ ჯგუფებში მოხვედრილი გადამხდელებიდან მობილიზებული გაზრდილი შემოსავლები და ამ სფეროში შემცირებული საგადასახადო დანაკლისი; **შესაძლო რისკები** - გადამხდელთა დაბალი ინტერესი/რეაქცია 2. **საბაზისო მაჩვენებელი** - შემოსავლების სამსახურის მიერ შემუშავებულია შიდა და გარე მოხმარების პროგრამული უზრუნველყოფა (ელ-სერვისები). მიმდინარეობს მუშაობა არსებული სისტემების დახვეწაზე; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - გაუმჯობესებული შემოსავლების სამსახურის ელექტრონული სერვისები; შიდა მოხმარების პროგრამული უზრუნველყოფის განვითარება და დახვეწა; Android სიტემის აპლიკაციის განვითარება და დახვეწა; ახალი აპლიკაციების შემუშავება სხვა მობილური პლატფორმებისათვის 3. **საბაზისო მაჩვენებელი** - ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების და საქართველოს მთავრობის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს საგადასახადო/საბაჟო კანონმდებლობების ევროკავშირის კანონმდებლობასთან და პრაქტიკასთან ჰარმონიზების კუთხით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საქართველოს მთავრობის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულება 4. **საბაზისო მაჩვენებელი** - მიმდინარეობს გამშვები პუნქტების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვა; გაიხსნა კინოლოგიის ცენტრი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - გამშვები პუნქტების სრულად აღჭურვა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად; ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის ინსტიტუტის დანერგვა; IPR-ის სისტემის დანერგვა

სახელმწიფო ფინანსების მართვა (23 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
პროექტის აღწერა და	ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად საშუალოვადიან პერიოდში საბიუჯეტო დეფიციტის

მიზანი	დაბალი მაჩვენებლის შენარჩუნება; მაკროეკონომიკური ანალიზის და პროგნოზირების გასაუმჯობესებლად მეთოდოლოგიის დახვეწა და მისი არეალის გაფართოება, გრძელვადიანი პროგნოზირების გაუმჯობესება, მაკროეკონომიკური განვითარების სცენარების მოდელირების სრულყოფა, ფისკალური რისკების მართვის და შეფასების სისტემის ჩამოყალიბება; სახელმწიფო პრიორიტეტების დაფინანსების უზრუნველყოფა სათანადო რესურსებით; სათანადო ფინანსური რესურსის მობილიზებისათვის დონორ ორგანიზაციებთან და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან ეფექტური თანამშრომლობის შენარჩუნება; საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებთან ურთიერთობის კოორდინაცია; მთავრობის პრიორიტეტული მიმართულებებისა და სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად, საგარეო წყაროებიდან მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობებით რესურსების მობილიზება; დამატებითი საინვესტიციო რესურსების მოზიდვის პარალელურად სახელმწიფო საგარეო ვალის მართვის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბების გაგრძელება, ვალის მდგრადობის შენარჩუნება, როგორც საშუალოვადიან, ასევე გრძელვადიან პერიოდში; სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის შემდგომი განვითარების მიზნით, სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენება, არსებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის მიზნების შესაბამისად; საგადასახადო პოლიტიკის შემდგომი სრულყოფა, მათ შორის საკანონმდებლო ბაზის შემდგომი გაუმჯობესების და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ევროკავშირის დირექტივებთან ჰარმონიზების მიზნით, გადასახადის გადამხდელებს შორის საგადასახადო ტვირთის უკეთესი განაწილება, მეწარმეთა მოთხოვნებისა და საჭიროებების მაქსიმალურად გათვალისწინება, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება, საგადასახადო შემოსავლების სახით ბიუჯეტში სათანადო რესურსის მობილიზების უზრუნველყოფა; სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის სრულყოფა, შიდა აუდიტის სუბიექტების საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის სრულყოფილი ფუნქციონირება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სახელმწიფოს ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით სათანადო რესურსების მობილიზების უზრუნველყოფა; სტაბილური მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების მიღწევა; ქვეყნისათვის სტაბილური და იაფი ფინანსური რესურსის ხელმისაწვდომობა; საერთაშორისო საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - კანონმდებლობით დადგენილ ვადებში შესაბამის სტრუქტურებსა და ორგანიზაციებს წარედგინათ

	სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - კანონმდებლობით დადგენილ ვადებში შესაბამის სტრუქტურებსა და ორგანიზაციებში სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების წარდგენა **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - წლიური ბიუჯეტი და ძირითადი ფისკალური პარამეტრები შესაბამისობაშია „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ მოცულობებთან; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - წლიური ბიუჯეტი და ძირითადი ფისკალური პარამეტრები შესაბამისობა „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ მოცულობებთან **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - სახელმწიფო ვალის მდგრადობა საშუალოვადიან პერიოდში შენარჩუნებულია; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სახელმწიფო ვალის მდგრადობის შენარჩუნება საშუალოვადიან პერიოდში **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიების Standard & Poor's და Fitch-ის შეფასებით ,,BB- სტაბილური“ რეიტინგი აქვს მინიჭებული საქართველოს. საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია Moody's-ის შეფასებით კი "Ba3 (რაც BB- ანალოგია) პოზიტიური"; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიების არსებული მაჩვენებლების შენარჩუნება/გაუმჯობესება **5.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისთვის შემუშავდა მაკროეკონომიკური განვითარების 3 სცენარი: საბაზისო, ნეგატიური და პოზიტიური; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების პროგნოზი; დახვეწილი მაკროეკონომიკური პროგნოზირების მეთოდოლოგია; ანალიტიკური დოკუმენტი ფისკალური რისკების შესახებ **6.** **საბაზისო მაჩვენებელი** - მიმდინარეობს აქტიური მუშაობა შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმებების გაფორმების მიმართულებით იმ ქვეყნებთან, რომელთანაც საქართველოს გააჩნია ეკონომიკური ინტერესები. ამჟამად შეთანხმებები ძალაშია 49 ქვეყანასთან; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმების არეალის გაფართოება

ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა (23 04)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

პროექტის აღწერა და მიზანი	ფინანსთა სამინისტროს ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის საჭირო საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის შექმნა, განვითარება, მომსახურება, მდგრადობისა და საიმედოობის უზრუნველყოფა; ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციული და ანალიტიკური მხარდაჭერა; ფინანსთა სამინისტროსთვის მნიშვნელოვანი IT პროდუქტების, ელექტრონული სერვისებისა და მომსახურების კვლევა და ანალიზი; პროგრამული უზრუნველყოფის ახალი სისტემების შექმნა, დანერგვა და მომსახურება; ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციული და კიბერ უსაფრთხოების ხელშეწყობა; ფინანსთა სამინისტროს, სხვა სახელმწიფო უწყებებისა და ორგანიზაციების ვებ-გვერდების შექმნა; ელექტრონული მთავრობის კომპონენტების განვითარება და შესაბამისი სახელმწიფო და მუნიციპალური სერვისების მიწოდება; ფინანსთა სამინისტროს საინფორმაციო სისტემების ქვეყნის საინფორმაციო-საკომუნიკაციო სივრცეში ინტეგრაცია.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მაღალი მდგრადობა; საჯარო ფინანსების მართვის სისტემის ეფექტური ფუნქციონირება (რომელშიც ჩართულია ყველა სახელმწიფო უწყება); მიწოდებული სერვისების ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა;
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - ქვეყნის საჯარო ფინანსების მართვის სისტემის (PFMS) კომპონენტები (eBudget, eTreasury, eDMS, eHRMS) დანერგილია ადგილობრივ თვითმმართველობებში და სსიპ-ებში; საინფორმაციო სისტემის ფუნქციონალში შეტანილია შესაბამისი ცვლილებები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - eBudget: არსებული ფუნქციონალის მონაცემთა ანალიზის ახალი მექანიზმების შემუშავება; სისტემის მოქმედების არეალის „გარეთ“ დარჩენილი საბიუჯეტო პროცესების ავტომატიზება და ახალი მოდულების დამატება; საჯარო ფინანსების მართვის პროცესის მოდერნიზების ფარგლებში სხვა ელექტრონულ სისტემებთან ინტეგრაციის გაუმჯობესება; eTreasury: ბუღალტრული აღრიცხვის საკასო მეთოდიდან დარიცხვის მეთოდზე სრულად გადასვლა; სისტემის ფუნქციონალისა და შესაბამისი მოდულების მოდერნიზება/ახალი მოდულების დამატება; eDMS: ვალების მართვის სფეროში არსებული საფინანსო სისტემების გაერთიანება, ინფორმაციის აღრიცხვისა და მართვის გამარტივება/გაუმჯობესება; eHRMS: შერჩევის, შეფასების, სწავლებისა და კარიერის განვითარების მართვის მოდულების დანერგვა. ახალი მოდული - self-service დამატება (რაც საშუალებას მისცემს თითოეულ თანამშრომელს მართოს საკუთარი მონაცემები და განახორციელოს ინფორმაციის გაცვლა კადრების დანაყოფის თანამშრომლებთან); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი; **შესაძლო რისკები** - მიმდინარე ახალი ამოცანების ინიცირება დამკვეთის მხრიდან და პრიორიტეტების ცვლილება; ახალი პროგრამული პროდუქტების შექმნის და ტესტირების შესაძლო სიძნელეები; კვალიფიციური ადამიანური რესურსის გადინება **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - შექმნილია და წარმატებით ფუნქციონირებს უძრავ-მოძრავი ქონების გაყიდვის ელექტრონული

	აუქციონი (eAuction); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - eAuction საინფორმაციო სისტემის ფუნქციონალის და დიზაინი შესაბამისობაში მოყვანა ტექნიკურ დავალებასა და დაინტერესებული მხარის მოთხოვნებთან; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი; **შესაძლო რისკები** - მიმდინარე ახალი ამოცანების ინიცირება დამკვეთის მხრიდან და პრიორიტეტების ცვლილება; კვალიფიციური ადამიანური რესურსის გადინება **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა eDocument დანერგილია 100-ზე მეტ ორგანიზაციაში ქვეყნის მასშტაბით და ჩართულია 20,000-მდე მომხმარებელი; უზრუნველყოფილია სხვა საინფორმაციო სისტემებთან მონაცემთა გაცვლა Interflow სერვისით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - eDocument სისტემის ფუნქციონალობა შესაბამისობაშია დამკვეთის მოთხოვნებთან; ყველა მომხმარებელ ორგანიზაციაში შემუშავებული და დანერგილია სისტემის ახალი ვერსიის შემუშავება და დანერგვა; სხვა საინფორმაციო სისტემებთან ინტეგრაცია; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი; **შესაძლო რისკები** - არაეფექტური უწყებათაშორისი კოორდინაცია; იმპლემენტაციის პროცესში ჩართულ საჯარო მოსამსახურეთა შესაძლო დაბალი კომპეტენციის დონე; კვალიფიციური ადამიანური რესურსის გადინება; შესაძლო ლოგისტიკური სიძნელეები **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაკვეთით შექმნილია და წარმატებით ფუნქციონირებს ბუნებრივი რესურსების მართვის სისტემა (eNRMS); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - eNRMS საინფორმაციო სისტემის ფუნქციონალი და დიზაინი შესაბამისობაში მოყვანა ტექნიკურ დავალებასა და დაინტერესებული მხარის მოთხოვნებთან; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი; **შესაძლო რისკები** - შესაბამისი ადამიანური რესურსის არარსებობა; არაეფექტური უწყებათაშორისი კოორდინაცია **5.** **საბაზისო მაჩვენებელი** - შემუშავებული და ექსპლოატაციაში გაშვებულია რამდენიმე ათეული ვებგვერდი. შემუშავების და განვითარების პროცესშია სხვა ავტომატიზებული სისტემები. ასევე, მთავრობის ადმინისტრაციის დაკვეთით შემუშავებულია საერთაშორისო დახმარებების მართვის ელექტრონული სისტემა (eAIMS); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ვებ-გვერდების, საინფორმაციო სისტემების ფუნქციონალისა და დიზაინის შესაბამისობაში მოყვანა ტექნიკური დავალების და დაინტერესებული მხარეების მოთხოვნებთან; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი; **შესაძლო რისკები** - ახალი ამოცანების ინიცირება დამკვეთის მხრიდან და პრიორიტეტების ცვლილება; არაეფექტური

	უწყებათაშორისი კოორდინაცია; კვალიფიციური ადამიანური რესურსის გადინება **6.** **საბაზისო მაჩვენებელი** - მაქსიმალური მდგრადობის და ბიზნეს-უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით ძირითადიდა სარკულ მონაცემთა დამუშავების ცენტრები მუშაობს active-active რეჟიმში; ტექნიკური პერსონალი გადამზადებულია და გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია; განხორციელებულია სერვერული, ქსელური და მონაცემთა შენახვის ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის სერვერული და ქსელური ინფრასტრუქტურის განახლება და სიმძლავრეები შესაბამისობაშია კრიტიკული სისტემების მოთხოვნებთან და საჭიროებებთან; ბიზნეს-პროცესები ხორციელდება ITIL სტანდარტების შესაბამისად; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი; **შესაძლო რისკები** - შესაძლო ლოგისტიკური სიძნელეები; კვალიფიციური ადამიანური რესურსის გადინება

სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა (47 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - საქსტატი
პროექტის აღწერა და მიზანი	სტატისტიკური საქმიანობისას გამოსაყენებელი სტატისტიკური სტანდარტებისა და მეთოდოლოგიების შემუშავება; სტატისტიკური სამუშაოების პროგრამების შემუშავება; სტატისტიკური კვლევების მართვის და განხორციელების მიზნით საჭირო საკადრო და ადმინისტრაციული რესურსებით უზრუნველყოფა; სტატისტიკური კლევების ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური და ინფორმაციულ-ტექნოლოგიური საშუალებით მხარდაჭერა;
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	აღებული ვალდებულებებისა და ფუნქციების შესრულება, სტატისტიკური კვლევების განხორციელებება და მისი შედეგების გამოქვეყნება; ოფიციალური სტატისტიკის წარმოება და ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიის და პრიორიტეტების განხორციელება.
საბოლოო შედეგის	

შეფასების ინდიკატორები	1. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საერთაშორისო ინსტიტუტების შეფასება; ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების ხარისხი და სანდოობა

სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა (47 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - საქსტატი
პროექტის აღწერა და მიზანი	ქვეყნისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სტატისტიკური კვლევების მომზადება, განხორციელება და შედეგების გავრცელება, ქვეყნის საექსპორტო პოტენციალისა და საინვესტიციო მიკრო კლიმატის შეფასება, სამომხმარებლო ფასებისა და მწარმოებელთა ფასების ინდექსების გაანგარიშება, ბიზნეს სექტორში (აგრეთვე არაკომერციულ ორგანიზაციების სექტორში) მიმდინარე მოვლენების და პროცესების ანალიზი, შრომის სტატისტიკის მაჩვენებლების გაანგარიშება სამეწარმეო და არასამეწარმეო სფეროში კერძო და სახელმწიფო სექტორში, მიმდინარე დემოგრაფიული კვლევა; სოფლის მეურნეობის შესახებ მიმდინარე სტატისტიკური მონაცემების მოპოვება, დამუშავება და გავრცელება. მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის შეფასების მიზნით მოსახლეობის უთანაბრობის, დასაქმებისა და უმუშევრობის, შემოსავლებისა და ხარჯების და სხვა მაჩვენებლების დადგენა; ტურიზმის სტატისტიკის კვლევა; ენერგორესურსების მოხმარების სტატისტიკის კვლევა. ინოვაციური აქტივობების და ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენების მაჩვენებლები სხვადასხვა სექტორში
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მიღებულ იქნება ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სახეების მიხედვით შეფასების მაღალი ხარისხის მაჩვენებლები, რომელთა ბაზაზეც გაიანგარიშება ძირითადი სტატისტიკური ინდიკატორები; მოსახლეობის უთანაბრობის მაჩვენებლების, მოსახლეობის ცხოვრების დონის (შინამეურნეობების შემოსავლები და ხარჯები), მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის (დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლები), ეროვნული ანგარიშების მაჩვენებლების გასაანგარიშებლად საჭირო მონაცემებით უზრუნველყოფა, სამომხმარებლო კალათის დადგენისათვის საჭირო მონაცემებით უზრუნველყოფა; მიღებული იქნება როგორც მიმდინარე (წინასწარი), ასევე საბოლოო მრავალფეროვანი სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის შესახებ. მიღებულ იქნება მონაცემები ინოვციური აქტივობების და ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ სხვადახვა სექტორში
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1.

	მიზნობრივი მაჩვენებელი - მონაცემთა ანალიზი და შედარებები; საერთაშორისო ექსპერტული შეფასებები; ერთობლივი საკონტროლო ღონისძიებების რაოდენობა ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელ სხვა სამთავრობო დაწესებულებებთან ერთად; სხვადასხვა ჭრილში დამატებით ახალი მონაცემების გამოქვეყნების შესაძლებლობა

სსიპ - საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო (49 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა; ქვეყნის საინვესტიციო შესაძლებლობებზე ცნობადობის ამაღლება; არსებული და პოტენციური ინვესტორებისათვის საინფორმაციო მომსახურების გაწევა და მათ მიერ წამოწყებული სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობა; ქვეყნისათვის პრიორიტეტულ სექტორებში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით საჭირო სამუშაოების ჩატარება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სათანადო დონეზე შენარჩუნდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, განვითარდება ქვეყნისათვის პრიორიტეტული სექტორები და შეიქმნება დამატებითი სამუშაო ადგილები
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - სსიპ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს უშუალო ჩართულობითა და განხორციელებული აქტივობების მეშვეობით 2015 წლის განმავლობაში დაიგეგმა/მიმდინარეობს 26 პროექტი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მიმდინარე/დაგეგმილი საინვესტიციო საბაზისო პროექტების განხორციელების შემდგომ ეტაპზე/წელს ინვესტიციების მოცულობა გაიზრდება საბაზისო მაჩვენებლის 83%-ით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - გასული წლების ანალიზის საფუძველზე ცდომილება შესაძლოა იყოს დაახლოებით

	15-20%; **შესაძლო რისკები** - ინვესტიციების პროგნოზირებადი ოდენობის ცვლილება შესაძლებელია როგორც შიდა, ასევე გარე ფაქტორების გათვალისწინებით, მათ შორის: რყევები საერთაშორისო ბაზრებზე, კომპანიების მიერ საქმიანობის წამოსაწყებად გასავლელი პროცედურების (მათ შორის ლიცენზიების/ნებართვების მიღების) ხანგრძლივობა, ბაზარზე კონკურენტების გამოჩენა, რომელმაც შესაძლებელია განსაზღვროს საქმიანობის გაფართოების საჭიროება ან პირიქით და სხვა **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წლისათვის სააგენტოს ხელშეწყობით მიმდინარე პროექტებში დასაქმებულ პირთა ოდენობა შეადგენს 980 ადამიანს; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - დაწყებული/დაგეგმილი საინვესტიციო პროექტების ფარგლებში შემდეგ წელს მოსალოდნელია საბაზისო მაჩვენებელის 23%-ით გაზრდა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - ცდომილების ალაბათობა შესაძლოა იყოს დაახლოებით 15-20 %; **შესაძლო რისკები** - ადამიანთა დასაქმება პირდაპირ დაკავშირებულია ინვესტიციების მოცულობის ცვლილებასთან. შესაბამისად ის რისკები, რომლებმაც შესაძლოა ზეგავლენა მოახდინონ ინვესტირების პროცესზე, ავტომატურად მოახდენენ გავლენას დასაქმებულთა რაოდენობის ცვლილებაზე

სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური (56 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობა; საინფორმაციო ქსელის შექმნა, რომელიც ახორციელებს მიღებული ინფორმაციის სისტემატიზაციას და ანალიზს, უზრუნველყოფს შესაბამის მონაცემთა აღრიცხვის ბაზის შექმნასა და ფუნქციონირებას.

სსიპ – კონკურენციის სააგენტო (43 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - კონკურენციის სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის ხელშეწყობა;

	ბაზრის ლიბერალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციული, სამართლებრივი და დისკრიმინაციული ბარიერების დაუშვებლობა; ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში თანასწორუფლებიანობის პრინციპების დაცვა, რომელიც ითვალისწინებს: დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების დაუშვებლობას; კონკურენციის შემზღუდავი ხელშეკრულებების, გადაწყვეტილებებისა და შეთანხმებული ქმედებების დაუშვებლობას; სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ კონკურენციის არამართლზომიერად შემზღუდავი ექსკლუზიური უფლებამოსილების მინიჭების დაუშვებლობა; კონკურენციის შემაფერხებელი სახელმწიფო დახმარებების დაუშვებლობა; კონკურენციის სააგენტოს მიერ გადაწყვეტილებების მიღების საჯაროობის, ობიექტურობის, არადისკრიმინაციულობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა; ქვეყნის კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად უზრუნველყოფილი იქნება საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაცია, თავისუფალი ვაჭრობა და კონკურენციის ხელშეწყობა. ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში დაცული იქნება თანასწორუფლებიანობის პრინციპები.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების სავარაუდო დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით დასრულებული მოკვლევების 4 ფაქტი; კარტელური გარიგების სავარაუდო დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით დასრულებული მოკვლევების 3 ფაქტი; სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმმართველობის ორგანოების მიერ კონკურენციის შეზღუდვის დაუშვებლობის სავარაუდო დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით დასრულებული მოკვლევების 3 ფაქტი; შესაბამის ბაზრებზე მოსალოდნელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის საკითხის შესწავლის 2 ფაქტი; ეკონომიკურ აგენტთა მხრიდან

	დასმული პრობლემების გადაჭრის მიზნით, სააგენტოს მიერ შესწავლილ იქნა 2 საკითხი და შეგამასი რეკომენდაციები წარედგინა საქართველოს პარლამენტსა და მთავრობას; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობის, ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში თანასწორუფლებიანობის პრინციპების დაცვის მიზნით, კერძოდ-ბაზარზე ეკონომიკური აგენტის თავისუფალი დაშვების დათანადო პირობების უზრუნველყოფა; სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციული, სამართლებრივი და დისკრიმინაციული ბარიერების დაუშვებლობა; ეკონომიკური აგენტების თანასწორუფლებიანობის დაცვა; ეკონომიკურ აგენტთა შორის არამართლზომიერი შეზღუდვის დაუშვებლობა; სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ ეკონომიკური აგენტებისათვის კონკურენციის არამართზომიეი შემზღუდველი ექსკლუზიური უფლებების მინიჭების დაუშვებლობა; **შესაძლო რისკები** - დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება; კონკურენციის შემზღუდავი შეთანხმების არსებობა ცალკეულ სასაქონლო ბაზარზე; შერწყმების განხორციელება, რითაც იზღუდება სამართლიანი კონკურენცია; კონკურენციის შემზღუდველი სახელმწიფო დახმარებების გაცემა

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა (52 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა
პროექტის აღწერა და მიზანი	მეწარმე სუბიექტების შესახებ საჭირო ინფორმაციის მარტივად და დროულად მიღების მიზნით „ონლაინ ბიზნეს-კატალოგის“ ფორმატის საძიებო ვებპორტალის შექმნა; საქართველოში ექსპორტ-იმპორტის შესახებ და საბაჟოს საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება-დამუშავება; მეწარმე სუბიექტებისათვის შესაბამისი საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურებისა და რეკომენდაციების გაწევა; დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების განვითარების კუთხით საერთაშორისო (რეგიონული) საარბიტრაჟო იმსტიტუტის განვითარება და საქართველოს ეროვნული მედიაციის ცენტრის შექმნა;

	საქართველოში ბიზნესის განვითარებისა და დასაქმების გზით სოციალური ფონის გაუმჯობესების მიზნით პროფესიული განათლების კოორდინაცია და პროფესიული განათლების ცენტრის შექმნა; თავისუფალი ვაჭრობის პრინციპების გათვალისწინებით საკანონმდებლო ინიციატივების მომზადება; საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში რეგიონული პალატების განვითარება; ბიზნეს-კატალოგის განახლებადი და ყოველწლიური ბეჭდვითი ვერსიის შექმნა; საქონლის წარმოშობის სერტიფიკატების ელექტრონული სისტემის დანერგვა; „ატა კარნეტი“-ს საერთაშორისო სასაქონლო პასპორტისა და „ბიო სერტიფიკატების“ გაცემასთან დაკავშირებული სამუშაოების განხორციელება; ბიოუსაფრთხოების სფეროს ეფექტური მართვისა და კოორდინაციის მიზნით ბიოუსაფრთხოებისა და აკრედიტაციის ეროვნული კომისიის შექმნა.

სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროს განვითარება (24 03)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	ქართული პროდუქციის უცხოურ ბაზარზე შეღწევისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების, სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროების საერთაშორისო და ევროპის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად განვითარების მიზნით: საქართველოს სტანდარტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მომსახურების სფეროს და დიაპაზონის გაფართოვება; ეტალონების მიკვლევადობის უზრუნველყოფა, მიღწეული საერთაშორისო აღიარების შენარჩუნება/გაფართოვება და აღიარების მიღწევა გაზომვების ახალ მიმართულებებში;

	საქართველოს სტანდარტად მიღებული საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების რაოდენობის ზრდა, სტანდარტების რეესტრისა და სტანდარტების კატალოგის გაუმჯობესებული წარმოება, სტანდარტების ხელმისაწვდომობის გაზრდისათვის მომსახურების ელექტრონული საშუალებების გაუმჯობესება და სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტების ფუნქციონირების ეფექტიანობის გაუმჯობესება; ხარისხის მენეჯმენტის სისტემის დანერგვა საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001 შესაბამისად; სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროში პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, ასევე სააგენტოს თანამშრომელთა უნარების გაძლიერება საზოგადოებასთან ურთიერთობის, მარკეტინგისა და კომუნიკაციის სფეროებში; საქართველოს სტანდარტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მეტროლოგიისა და სტანდარტიზაციის საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებში ინტეგრაცია და მათ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) და ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების (TBT) ნაწილის შესაბამისად.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	გაზომვების პრიორიტეტული სფეროებში ყველა დაინტერესებული მხარისათვის (საწარმოები, ლაბორატორიები, ადმინისტრაციული და მარეგულირებელი ორგანოები) ახალი და გაფართოებული დიაპაზონის მომსახურების გაწევა; ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება და საერთაშორისო მოთხოვნებთან მიახლოება; საერთაშორისო და რეგიონალური (ევროპული) სტანდარტების ხელმისაწვდომობის გაზრდა ელექტრონული და სხვა დისტანციური საშუალებების მეშვეობით; საქართველოს სტანდარტად მიღებული საერთაშორისო და რეგიონალურ სტანდარტების გაზრდა; განახლებული და თანამედროვე ელექტრონული საშუალებების ფართოდ გამოყენება სტანდარტიზაციის სფეროში და სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტების ფუნქციონირება საქართველოს ეკონომიკური პრიორიტეტების შესაბამისად.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - სააგენტოში განახლებულია და თანამედროვე დონეზე აღჭურვილია 3 ლაბორატორია; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - თანამედროვე დონეზე აღჭურვილი ლაბორატორიების რაოდენობა - დამატებით 12

	ლაბორატორიის განახლება და თანამედროვე დონეზე აღჭუღვა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - შესაძლებელია განახლდეს და აღიჭურვოს 10 ლაბორატორია; **შესაძლო რისკები** - ლაბორატორიული აღჭურვილობის შეძენა დაგეგმილია ყოვლისმომცველი ინსტიტუციონალური განვითარების CIB პროგრამის II ეტაპის ფარგლებში. შესაძლო რისკი დაკავშირებულია EU დელეგაციის მიერ შესყიდვის პროექტის განხორციელების ვადებთან. ასევე, EU დელეგაციის მიერ გამოცხადებული ტენდერის მიმდინარეობისას შესაძლებელია კონკრეტულ ლოტზე/ებზე შემოთავაზება არ იქნეს შემოტანილი **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ საქართველოს სტანდარტად მიღებულია 7 000 საერთაშორისო და ევროპული სტანდარტი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საქართველოს სტანდარტად მიღებული საერთაშორისო და რეგიონალური სტანდარტების რაოდენობა - 2019 წლის ბოლოს საქართველოს სტანდარტად მიღებული საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების ჯამური რაოდენობა იქნება დაახლოვებით 13 000, (სააგენტო გეგმავს ყოველწლიურად 1 500 საერთაშორისო და ევროპული სტანდარტის საქართველოს სტანდარტად მიღებას); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - იმის გათვალისწინებით, რომ სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია და ევროპის სტანდარტების ორგანიზაციები პერიოდულად ახორციელებენ მოქმედი სტანდარტების გადახედვას (გაუქმება, განახლება), მიზნობრივი მაჩვენებელის ცდომილების ალბათობა შეადგენს დაახლოებით 10%; **შესაძლო რისკები** - სტანდარტების საერთაშორისო ორგანიზაციისა და სტანდარტების ევროპული ორგანიზაციების მიერ დიდი რაოდენობით სტანდარტების გაუქმება ან/და შეცვლა, ასევე ამ ორგანიზაციებში საქართველოს წევრობის შეჩერება ან სხვაგვარი შეზღუდვა **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტს მიღწეული აქვს საერთაშორისო აღიარება 3 სფეროში: მასა, ტემპერატურა, ელექტროგაზომვები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საქართველოს სტანდარტების დეპარტამენტში დანერგილი ხარისხის მენეჯმენტის სისტემა ევროპის სტანდარტიზაციის ორგანოების საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად; საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობაში სააგენტოს მონაწილეობა - დაგეგმილია აღიარების მიღწევა 2 ახალ სფეროში და არსებული სფეროებიდან ერთში დიაპაზონის გაფართოება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - შესაძლებელია აღიარება მიღწეულ იქნეს ერთ ახალ სფეროში; **შესაძლო რისკები** - საერთაშორისო აღიარების მიღწევა მეტროლოგიის სფეროში შესაძლებელია შესაბამისი საერთაშორისო (BIPM) რეგიონალური ორგანიზაციის (COOMET) მეშვეობით. დამოკიდებულია ექსპერტების ხელმისაწვდომობაზე და აღნიშნული ორგანიზაციების მიერ განსაზღვრულ ვადებზე. საერთაშორისო და რეგიონალურ ორგანიზაციებში საქართველოს წევრობის შეჩერება/შეზღუდვა.ასევე აღიარების მიღწევა დამოკიდებულია პირველი ინდიკატორის,ლაბორატორიების აღჭურვის პროცესის შესრულებაზე

მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერა (47 03)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - საქსტატი
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს მოსახლეობის აღწერის საკოორდინაციო სამთავრობო კომისიის 2013 წლის 2 აპრილს დამტკიცებული, საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის პროგრამისა და სამოქმედო გეგმისა შესაბამისად განხორციელდება საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემთა კომპიუტერული დამუშავება და შედეგების გამოქვეყნება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მოსახლეობის რიცხოვნობისა და მათი სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის დადგენა; ქვეყნის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების და საზოგადოების ინფორმირება; არსებული სიტუაციის შესწავლის, შეფასებისა და პროგნოზირების საფუძველზე ქვეყნის უახლესი ათწლეულის სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული სტრატეგიის შემუშავება. მიღებული იქნება აღწერის საბოლოო შედეგები.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **მიზნობრივი მაჩვენებელი -** აღწერის მონაცემთა სიზუსტე და მათი გამოყენება აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სამეცნიერო საზოგადოების, საერთაშორისო ორგანიზაციების, მეწარმეებისა და მოქალაქეების მიერ

აკრედიტაციის პროცესის მართვა და განვითარება (24 04)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი
პროექტის აღწერა და მიზანი	ქვეყანაში წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის, მათ შორის აკრედიტაციის სისტემის განვითარება და მისი საქმიანობის დახვეწა საერთაშორისოდ აღიარებული მოთხოვნების შესაბამისად, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან წინაპირობას, აკრედიტაციის ცენტრის აკრედიტაციის რეგიონული (EA – European Cooperation for Accreditation) და შემდგომ, საქართველოს ეკონომიკის

	საჭიროებების მიხედვით, საერთაშორისო ორგანიზაციის (ILAC – International Laboratory Committee) წევრობის მისაღწევად.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	აკრედიტაციის ცენტრის გაძლიერებული ინსტიტუციური შესაძლებლობებითა და საერთაშორისო მოთხოვნის მიხედვით შესაბამისობის შემფასებელი პირების აკრედიტაცია; EA-სთან აქტიური თანამშრომლობითა და საერთაშორისო სტანდარტებისა და სახელმძღვანელოების შესაბამისად აკრედიტაციის ცენტრის მენეჯმენტის სისტემის გაუმჯობესება და განახლება; აკრედიტაციის შედეგების თანმიმდევრული საერთაშორისო აღიარება და პარალელურად საერთაშორისო ბაზარზე ქართული პროდუქციისთვის ტექნიკური ბარიერების შემცირება
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - პროდუქტის სერტიფიკაციის ორგანოების და პერსონალის სერტიფიკაციის ორგანოების აკრედიტაციაში 2015 წლის ბოლომდე სრულად დაინერგება ISO/IEC 17065 და ISO/IEC 17024-ის ბოლო ვერსიები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - აკრედიტირებული შესაბამისობის შემფასებელი პირების ოპერირება საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით - პროდუქტის სერტიფიკაციის ორგანოების და პერსონალის სერტიფიკაციის ორგანოების აკრედიტაციის განხორციელება ISO/IEC 17065 და ISO/IEC 17024-ის ბოლო ვერსიების მიხედვით და ლაბორატორიების აკრედიტაცია - ISO/IEC 17025-ის მომავალი ვერსიით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 1-5%; **შესაძლო რისკები** - სტანდარტების ქართულ ენაზე თარგმნისა და რეგისტრაციის დროს შესაძლო შეფერხებები ან/და აკრედიტაციის მიღებაში დაინტერესების უქონლობა 2. **საბაზისო მაჩვენებელი** - აკრედიტაციის სამუშაოების მიმდინარეობს კანონმდებლობით რეგულირებად და ნებაყოფლობით სფეროებში; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ასოცირების შეთანხმების თანახმად მიღებული ახალი მიდგომის ტექნიკური რეგლამენტების სფეროში აკრედიტაციის განხორციელება - აკრედიტაციის განხორციელება მთავრობის მიერ დამტკიცებული ახალი მიდგომის ტექნიკური რეგლამენტების სფეროში; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 1-5%; **შესაძლო რისკები** - ტექნიკური რეგლამენტების მოქმედების შეჩერება, ან/და აკრედიტაციის მიღებაში დაინტერესების უქონლობა 3. **საბაზისო მაჩვენებელი** - აკრედიტაციის ცენტრი არის EA-ს (ევროპული თანამშრომლობა აკრედიტაციაში) ასოცირებული

	წევრი და მონაწილეობს მის მუშაობაში; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - აკრედიტაციის ცენტრსა და EA-ს (ევროპული თანამშრომლობა აკრედიტაციაში) შორის გაფორმებული ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეკრულება - გაკეთებულია ევროპული თანამშრომლობის (EA) მხრიდან აკრედიტაციის ცენტრის შეფასება. ამ შეფასების შედეგების მიხედვით გაკეთებულია მაკორექტირებელი ღონისძიებები და EA-სა და აკრედიტაციის ცენტრს შორის ხელი მოეწერა ორმხრივი აღიარების შეთანხმებას. განიხილება საკითხი აკრედიტაციის ცენტრსა და ILAC, IAF -თან მრავალმხრივი შეთანხმების ხელმოწერის საჭიროების შესახებ საქართველოს ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისად; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5-10%; **შესაძლო რისკები** - EA-ს პროცედურების მკვეთრი ცვლილება

ინოვაციური ეკოსისტემის განვითარება (IBRD) (24 08)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	პროექტის ძირითადი მიზანია საქართველოში ინოვაციური ეკოსისტემის შექმნა. პროექტი რამოდენიმე კომპონენტს მოიცავს და ქვეყანაში ინოვაციებისათვის ინფრასტრუქტურის განვითარებას უზრუნველყოფს. პროექტის ფარგლებში დაფინანსდება რეგიონებსა და სოფლებში ინოვაციური ცენტრების ფორმირება, მომავლის სპეციალობების მიმართულებით კვალიფიციური კადრების გადამზადება, ტრენერების მომზადება და დამწყები მაღალტექნოლოგიური კომპანიების კონკურენტუნარიანობის ამაღლება. გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში განხორციელდება საგრანტო პროგრამები, რომლებიც ინოვაციური პროექტების სხვადასხვა ფაზებს დააფინანსებს. პროექტის ფარგლებში დაფინანსდება ინტერნეტიზაციისა და კომპიუტერიზაციის პროგრამა, მათ შორის კომპიუტერული წიგნიერებისა და ელექტრონული კომერციის განვითარება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ახალი ინოვაციური პროდუქტებისა და პროექტების გაჩენა მთელი ქვეყნის მასშტაბით და მცირე და საშუალო ქართველი მეწარმეების კონკურენტუნარიანობის გაზრდა. ინტერნეტიზაციის პროცესის, მათ შორის კომპიუტერული წიგნიერების ამაღლება და საერთაშორისო ბაზარზე დისტანციურად მომუშავე კვალიფიციური კადრები.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - პროექტის ბენეფიციარების მიერ 200 ახალი/გაუმჯობესებული პროდუქტის/სერვისის გაჩენა ახალ ან არსებულ ბაზარზე; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - პროტოტიპირების ჩავარდნა გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო 2.

	მიზნობრივი მაჩვენებელი - პროექტის ბენეფიციარების მიერ დარეგისტრირებული 340 ახალი სტარტ-აპ კომპანია; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - პროექტის დასრულების შემდეგ გასაგრძელებელი აქტივობებზე ინტერესის ნაკლებობა **3.** **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ადგილობრივი მოსახლეობის 50%-ის ინტერნეტთან წვდომა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - რეგიონებში პროექტით დაინტერესებულ პირთა ნაკლებობა **4.** **მიზნობრივი მაჩვენებელი** - განსახორციელებელ პროექტებში მონაწილე ბენეფიციარების ჯამური რაოდენობა (59 000); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - პროექტით დაინტერესებულ პირთა ნაკლებობა **5.** **მიზნობრივი მაჩვენებელი** - განსახორციელებელ პროექტებში მონაწილე ქალ ბენეფიციართა რაოდენობა - 20%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%

სასოფლო მეურნეობების შერჩევითი კვლევის პროგრამა (47 05)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - საქსტატი

სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო (63 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების კანონიერების მონიტორინგი; გადაწყვეტილების მიღებისას მაქსიმალური საჯაროობის, ობიექტურობის, არადისკრიმინაციულობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა; სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას საჯაროობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპების დაცვა, კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების ზუსტად შესრულებისა და ანგარიშგების, სახელმწიფო შესყიდვების მონაწილეთა არადისკრიმინაციული გარემოს შესაძლებლობის უზრუნველყოფა ჯანსაღი კონკურენციის პირობებში;

	სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფა, განვითარება და მის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლება; სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის სრულყოფა, საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან, ევროდირექტივების მოთხოვნებთან და საუკეთესო პრაქტიკასთან მისი შესაბამისობის უზრუნველყოფა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვა; უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება; მაქსიმალურად უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომა; დაიხვეწება სახელმწიფო შესყიდვების ჩატარების საჯაროობა; განმტკიცდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი -** სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სისტემის „eProcurement"-ის შემდგომმა გაუმჯობესებამ მნიშვნელოვნად გაზარდა კონკურენცია პრეტენდენტთა შორის, მინიმუმამდე დაიყვანა კორუფციის რისკები და ქვეყანას მნიშვნელოვანი საბიუჯეტო დანაზოგი მოუტანა; ბიზნესის ინტერესის ზრდაზე სახელმწიფო ტენდერების მიმართ მიგვანიშნებს წლების მიხედვით სისტემაში რეგისტრირებულ შემსყიდველ ორგანიზაციათა და მიმწოდებელთა რაოდენობის ზრდის დინამიკა, აღნიშნული შედეგის მიღწევა შესაძლებელი გახდა სააგენტოს მიერ გატარებული წარმატებული რეფორმებისა და სისტემის მოდერნიზაციის ხარჯზე. ეს ყველაფერი, სხვა ფაქტორებთან ერთად, უახლოეს მომავალში პოზიტიურად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, რაც უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების სტაბილურ ხარჯვას და სახელმწიფო შესიდვებში მეწარმეთა მუდმივ ჩართულობას; საჯარო ორგანიზაციების შესყიდვების სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და ცოდნის გაზიარების მიზნითსახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში ფუნქციონირებს სასწავლო ცენტრი; სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს მიმართ ბიზნეს-სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების ნდობის ამაღლების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა საჩივრების რაოდენობა; შესყიდვების ელექტრონულ ფორმატზე გადავიდა კონკურსის საშუალებით პროექტების შესყიდვის პროცედურების ჩატარება; მიმდინარე წლის 1 ნოემბრიდან იწყება მნიშვნელოვანი რეფორმა, რომელიც გულისხმობს გამარტივებული შესყიდვის იმ ნაწილის სააგენტოსთან შეთანხმებას, რომელზე გადაწყვეტილებასაც სუბიექტურად იღებს შემსყიდველი; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას საჯაროობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპების დაცვის უზრუნველყოფა;

	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - მინიმალური

სსიპ - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო (23 06)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების განკარგვა; ძვირფას ლითონებთან, ძვირფას ქვებთან და მათ ნაწარმთან დაკავშირებული საქმიანობის სახელმწიფო საზედამხედველო სისტემის შექმნა, კერძოდ კანონპროექტის და ნორმატიული აქტების დამტკიცება და ასევე სასინჯი სამსახურის ჩამოყალიბება; ERP და Eauction.ge სისტემების დახვეწა და განვითარება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების განკარგვის გამჭირვალე, კონკურენტული და გამარტივებული პროცესების უზრუნველყოფა; ძვირფას ლითონებთან, ძვირფას ქვებთან და მათ ნაწარმთან დაკავშირებული საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის დანერგვა; რეპორტინგის სისტემის ოპტიმიზაცია; ERP ინტეგრირება www.eauction.ge-თან; ERP ინტეგრირება www.rs.ge-თან; მომხმარებლისთვის მოქნილი და მარტივი ელექტრონული მომსახურების სისტემის განვითარება;
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - Eauction.ge სისტემაში რეგისტრირებული 60.0 ათასამდე მომხმარებელი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - Eauction.ge სისტემაში რეგისტრირებული 80.0 ათასამდე მომხმარებელი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - მოხმარებლების რაოდენობის გაზრდა 2. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ქონების განკარგვის გამარტივებული პროცესები, ფუნქციურად განახლებული ელექტრონული სისტემების საშუალებით

შინამეურნეობების ინტეგრირებული კვლევის პროგრამა (47 04)

პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - საქსტატი

ინსტიტუციონალური განვითარება და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერა

ორგანიზაციული კოდი	**დასახელება**	**2016 წლის პროექტი**	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	**2017 წლის პროგნოზი**	**2018 წლის პროგნოზი**	**2019 წლის პროგნოზი**
01 01	საკანონმდებლო საქმიანობა	52,091.0	52,091.0	-	54,695.6	57,430.0	60,302.0
06 02	არჩევნების ჩატარების ღონისძიებები	34,371.4	34,371.4	-	36,172.0	38,172.0	-
04 01	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	18,615.0	18,615.0	-	18,615.0	18,615.0	18,615.0
05 01	სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აპარატი	14,517.2	14,517.2	-	14,952.7	15,401.3	15,863.3
06 04	პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსება	12,785.0	12,785.0	-	12,785.0	12,785.0	12,785.0
06 01	საარჩევნო გარემოს განვითარება	10,233.0	10,233.0	-	11,000.0	11,250.0	11,500.0
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	9,800.0	9,800.0	-	9,800.0	9,800.0	9,800.0
26 01	სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა, მათ შორის, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განხორციელება	8,500.0	8,500.0	-	8,500.0	8,500.0	8,500.0
26 03	ეროვნული საარქივო ფონდის დაცულობის, მომსახურების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და დოკუმენტების	12,549.0	8,219.0	4,330.0	10,200.0	10,200.0	10,400.0

	ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა						
26 08	სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა	52,400.0	6,500.0	45,900.0	52,050.0	52,150.0	52,150.0
53 00	სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური	5,800.0	5,800.0	-	7,500.0	7,600.0	7,800.0
41 01	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ფუნქციონირების გაძლიერების ღონისძიებები (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი	4,500.0	4,500.0	-	4,725.0	4,960.0	5,200.0
44 00	ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია - სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია	3,500.0	3,500.0	-	3,500.0	3,500.0	3,500.0
26 05	ელექტრონული მმართველობის განვითარება	2,650.0	2,500.0	150.0	2,600.0	2,600.0	2,600.0
51 00	პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი	2,100.0	2,100.0	-	2,100.0	2,100.0	2,100.0
26 09	მიწის ბაზრის განვითარება (WB)	2,028.4	2,028.4	-	-	-	-
26 10	იუსტიციის სახლის მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა	28,568.0	2,000.0	26,568.0	25,000.0	28,000.0	32,000.0
26 06	ერთიანი სახელმწიფო საინფორმაციო ტექნოლოგიების მხარდაჭერის განვითარება	4,415.4	1,700.0	2,715.4	3,400.0	3,150.0	3,250.0
50 00	სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო	1,400.0	1,400.0	-	2,000.0	2,500.0	3,000.0
48 00	სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური	1,300.0	1,300.0	-	1,300.0	1,300.0	1,300.0
06 03	საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა	1,138.1	1,138.1	-	1,150.0	1,170.0	1,190.0
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის –						

	გუბერნატორის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში	1,000.0	1,000.0	-	1,000.0	1,000.0	1,000.0
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთსა და ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში	900.0	900.0	-	900.0	900.0	900.0
14 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღის, ყვარლის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტში	800.0	800.0	-	800.0	800.0	800.0
13 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში	800.0	800.0	-	800.0	900.0	900.0
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში	700.0	700.0	-	700.0	700.0	700.0
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში	700.0	700.0	-	700.0	780.0	780.0
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია	650.0	650.0	-	650.0	650.0	650.0

	ამბროლაურის, ლენტეხის, ონის, ცაგერის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში						
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომის, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტში	650.0	650.0	-	650.0	650.0	650.0
15 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთის, ყაზბეგის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტში	650.0	650.0	-	650.0	700.0	700.0
61 00	სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტი	300.0	300.0	-	300.0	300.0	300.0
26 11	ნორმატიული აქტების სისტემატიზაცია და მთარგმნელობითი ცენტრის განვითარება	3,446.4	-	3,446.4	3,580.0	3,590.0	3,600.0
26 12	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა	45,812.0	-	45,812.0	42,200.0	43,200.0	44,000.0
05 02	სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტი	600.0	-	600.0	610.0	620.0	630.0
სულ		**340,269.9**	**210,748.1**	**129,521.8**	**335,585.3**	**345,973.3**	**317,465.3**

საკანონმდებლო საქმიანობა (01 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს პარლამენტის აპარატი
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს პარლამენტი როგორც ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონტროლს უწევს საქართველოს მთავრობის საქმიანობას, ახორციელებს კონსტიტუციით, სხვა საკანონმდებლო აქტებითა და პარლამენტის რეგლამენტით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სახელმწიფოს საკანონმდებლო ბაზისსრულყოფა და საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაცია

არჩევნების ჩატარების ღონისძიებები (06 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი; საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
პროექტის აღწერა და მიზანი	არჩევნების ღონისძიებების სამართლებრივი, ორგანიზაციული, ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა; საიმიჯო-სარეკლამო კამპანიის წარმოება საარჩევნო პერიოდში; ამომრჩევლის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება; ინკლუზიური საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფა; საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა კვალიფიკაციის ამაღლება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	არჩევნების ორგანიზება მაღალ დონეზე; სამართლიანად შემდგარი არჩევნები;

	საარჩევნო პროცესის მონაწილე ყველა სუბიექტის კანონიერი უფლების დაუბრკოლებელი რეალიზაცია; საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის კვალიფიციური მოხელეები; არჩეული საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირები.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ კანონმდებლობის შესაბამისად წარმოებული და განხილული დავების რაოდენობა **2.** **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის გამო საარჩევნო კომისიის წევრთა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევების რაოდენობა ზემდგომი კომისიის ან სასამართლოს მიერ **3.** **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ამომრჩეველთა ინფორმირების კამპანიის დროს მოსახლეობის რაოდენობა, რომელიც მოიცვა მედია საშუალებების დაფარვის არეალმა **4.** **მიზნობრივი მაჩვენებელი** - კენჭისყრის დღეს ამომრჩეველთა მხრიდან ხმის მიცემის პროცედურებთან დაკავშირებით ცესკოს კონტაქტ ცენტრში შემოსული ზარების რაოდენობა **5.** **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სასწავლო პროგრამებში მონაწილე საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელთა რაოდენობა **6.** **მიზნობრივი მაჩვენებელი** - არჩევნებში ჩართული სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის ჩატარებული სასწავლო პროგრამების რაოდენობა **7.** **მიზნობრივი მაჩვენებელი** - დამოუკიდებელი დამკვირვებელი ორგანიზაციების მხრიდან დადებითი შეფასებები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აპარატი (05 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	სახელმწიფო აუდიტის სამსახური

პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამედროვე, დამოუკიდებელ, უმაღლეს აუდიტორულ ორგანოდ ჩამოყალიბება, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და სარგებლობს საზოგადოების მაღალი ნდობით; უმაღლესი აუდიტორული ორგანოების თანამედროვე სანიმუშო პრაქტიკის გაცნობა და აუდიტორთა პროფესიული ცნობიერების ამაღლება აუდიტორული ცოდნითა და უნარებით; გარე აუდიტის შესაძლებლობების, საკანონმდებლო მანდატისა და გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი; სახელმწიფო სახსრების, სახელმწიფოს სხვა მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერების მიზნობრიობის დაცვის და ეფექტიანობის ხელშეწყობა; აუდიტორული საქმიანობით გაცემული რეკომენდაციების შედეგად მოტანილი სარგებლის ზრდა; ინფორმაციული სისტემების (IT) აუდიტის დანერგვა; კომპეტენციის ფარგლებში საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებაში ხელშეწყობა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად წარმართვა; საჯარო ფინანსების მართვის განვითარების ხელშეწყობა.

პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსება (06 04)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი; საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
პროექტის აღწერა და	”მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად პოლიტიკური

მიზანი	პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის განვითარებისა და ჯანსაღი კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა; არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის საარჩევნო თემატიკაზე საგრანტო კონკურსების ჩატარება და გრანტებისათვის ბიუჯეტით განსაზღვრული თანხების განაწილების უზრუნველყოფა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ქალების, მოწყვლადი ჯგუფებისა და ზოგადად ამომრჩევლების საარჩევნო პროცესში ჩართულობის ზრდის ხელშეწყობა; საარჩევნო სფეროში პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით ჩატარებული საგრანტო კონკურსები არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - დაფინანსებული საგრანტო პროექტების რაოდენობა

საარჩევნო გარემოს განვითარება (06 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
პროექტის აღწერა და მიზანი	მიუკერძოებელი, გამჭვირვალე და მაღალპროფესიულ დონეზე ადმინისტრირებული არჩევნების ჩატარება კანონმდებლობის დაცვით და ყველა პირობის შექმნა, რათა ამომრჩევლებმა და სხვა ჩართულმა მხარეებმა თავისუფლად განახორციელონ საარჩევნო უფლება; ინსტიტუციური გაძლიერება: საარჩევნო ადმინისტრაციის დამოუკიდებლობის, პროფესიონალიზმისა და სანდოობის განმტკიცება, ეფექტური საბიუჯეტო პოლიტიკის და უწყვეტ ორგანიზაციულ და პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული სისტემის დამკვიდრება, დემოკრატიული პროცესების განვითარებაში წვლილის შეტანა; სამოქალაქო და ამომრჩევლის განათლება: საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით საარჩევნო პროცესებში სამოქალაქო ჩართულობის დონის ამაღლება, ამომრჩეველთა აქტივობის ზრდისა და ინფორმირებული არჩევანის გაკეთების ხელშეწყობა;

	საარჩევნო გარემო: საარჩევნო პროცესებში ჩართული მხარეების აქტიური მონაწილეობით მაქსიმალურად ინკლუზიური საარჩევნო გარემოს შექმნა, კანონმდებლობის დახვეწის პროცესის ხელშეწყობა; საარჩევნო პროცესების დაგეგმვა, ყველა ტიპის არჩევნების ჩატარების ორგანიზაციული, სამართლებრივი და ტექნიკური უზრუნველყოფა.

სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა, მათ შორის, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განხორციელება (26 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობის ადმინისტრირება, ორგანიზაციული და ანალიტიკური მხარდაჭერა; უწყებათაშორისი საბჭოს სამდივნოს ანალიტიკური შესაძლებლობების გაძლიერება და მონიტორინგის მექანიზმის დახვეწა; სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სექტორული სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების ყოველწლიური განახლება; იმპლემენტაციის პროცესში უწყებათაშორისი საქმიანობის კოორდინაცია; წლიური პროგრესის შესახებ ანგარიშების მომზადება; მართლმსაჯულების სექტორის რეფორმის საბიუჯეტო დახმარების პროგრამის ფინანსური შეთანხმების პირობების შესრულების ხელშეწყობა; პირობების შესრულების შესახებ ანგარიშის მომზადება და ევროპის კავშირის დელეგაციისათვის წარდგენა; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის იმპლემენტაციის ხელშეწყობა; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის შესაბამისად რეფორმაში ჩართულ უწყებებში პროფესიონალთა სპეციალიზაციის კოორდინირება და არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განრიდების მექანიზმის დახვეწა; არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შესრულების ხელშეწყობა. ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და მისი განხორციელების 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის პერიოდული განახლება, ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავება, ანტიკორუფციული პოლიტიკის შესრულების ახალი მონიტორინგის მეთოდოლოგიის მიხედვით შესაბამისი ანგარიშების შემუშავება და გამოქვეყნება; ანტიკორუფციული საბჭოს საქმიანობის ანგარიშების მომზადება და საქართველოს მთავრობისათვის წარდგენა; ანტიკორუფციული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და იმპლემენტაციის პროცესში შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით უწყებათაშორისი საქმიანობის კოორდინაცია; საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებული რეკომენდაციების შესრულების უზრუნველყოფა, მათი

	იმპლემენტაციის შესახებ სახელმწიფო ანგარიშის მომზადების უზრუნველყოფა და საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე ანგარიშგება; ანტიკორუფციული პოლიტიკისა და რეფორმების შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება; ეროვნულ დონეზე ღია მმართველობის პარტნიორობის საკოორდინაციო-საკონსულტაციო მექანიზმის – ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის საქმიანობის ხელშეწყობა; ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში დაგეგმილ საერთაშორისო ღონისძიებებში საქართველოს წარმომადგენლობის მონაწილეობის უზრუნველყოფა; ღია მმართველობა საქართველოს 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავება, შემუშავების პროცესში საჯარო კონსულტაციების გამართვა, სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი, შესრულების შუალედური და საბოლოო ანგარიშების მომზადება. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ არსებული საკანონმდებლო ბაზის გადასინჯვა, ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი ნორმების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის, პრაქტიკაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრის და ცალკეულ საკანონმდებლო აქტში გაბნეული ნორმების ერთ ნორმატიულ აქტში გაერთიანების მიზნით შემუშავებული ინფორმაციის თავისუფლების კანონის იმპლემენტაციის ხელშეწყობა; ღია მონაცემთა ერთიანი პორტალის – data.gov.ge – განვითარების ხელშეწყობა; მთავრობის მიერ დამტკიცებული საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფციის საფუძველზე საჯარო სამსახურში ეთიკის ნორმების, პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმების გაუმჯობესების, აგრეთვე, ანაზღაურების, წახალისებისა და დაწინაურების ერთიანი სისტემის ჩამოყალიბების მიზნით საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოებში და საერთაშორისო საარბიტრაჟო ტრიბუნალებსა და უცხო ქვეყნის სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობა. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი კანონმდებლობათა დაახლოების ვალდებულებების შესრულება. ნარკოვითარების მონიტორინგის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა. ნარკომანიასთან ბრძოლის საკოორდინაციო საბჭოს ეფექტიანი, გამჭვირვალე მუშაობის ხელშეწყობა. გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად, ნარკომანიასთან ბრძოლის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განახლება, გაგრძელდება 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი, მონიტორინგის შედეგების შესახებ ანგარიში გამოიცემა ყოველწლიურად. შემდგომი წლების სამოქმედო გეგმის შემუშავება და მათი იმპლემენტაციის კოორდინაცია. პრევენციის ერთიანი დოკუმენტის შემუშავება, რომელიც მოიცავს ნარკოპოლიტიკის სხვადასხვა მიმართულებას და მისი იმპლემენტაციის მონიტორინგი. ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგი) ბრძოლა; გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულება; ადამიანთა წამებისა და არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლა; საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის იმპლემენტაცია.

ეროვნული საარქივო ფონდის დაცულობის, მომსახურების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (26 03)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი

პროექტის აღწერა და მიზანი	ეროვნული საარქივო ფონდის დაცულობისა და საარქივო დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის, აგრეთვე საარქივო მომსახურებაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით პროგრამის ფარგლებში განხორციელდება: ეროვნული საარქივო ფონდის ელექტრონული დოკუმენტების არქივის შექმნა, ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანოების ცენტრალიზაცია, დოკუმენტების საცავებში ხანძარქრობისა და კლიმატის კონტროლის თანამედროვე სტანდარტების ტექნოლოგიების დანერგვა, საოფისე შენობა-ნაგებობების, საცავებისა და სხვა ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია/რეკონსტრუქცია და რემონტი, აგრეთვე მოქალაქეთა მომსახურების სისტემის განვითარება და სრულყოფა. ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანოების ცენტრალიზაცია ემსახურება დოკუმენტების დაცვის პირობების გაუმჯობესებას, ფინანსური და ადამიანური რესურსების დაზოგვას, ასევე, მენეჯმენტის ეფექტურობის ამაღლებას და გულისხმობს ადგილობრივი არქივების დოკუმენტების განთავსებას რეაბილიტირებულ 4 რეგიონულ არქივში (ქუთაისი, ზუგდიდი, ახალციხე, გორი). ამასთან, გარემონტებული ან/და რეაბილიტირებული საცავები და საოფისე შენობები აღჭურვილი იქნება კლიმატის კონტროლის და ხანძარქრობის თანამედროვე სისტემებით, რაც უზრუნველყოფს დოკუმენტების დაცულობის უმაღლეს დონეს. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქუთაისის, ახალციხისა და გორის არქივების მშენებლობა, თბილისის არქივის საგამოფენო სივრცისა და დამატებითი საცავის სამშენებლო/სარემონტო სამუშაოები, ასევე არსებული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, რაც გულისხმობს ამორტიზებული შენობების რეაბილიტაცია/რეკონსტრუქციას და შესაბამისი ტექნიკით და ინვენტარით აღჭურვას. მოქალაქეთა ელექტრონული მომსახურების სისტემაში დღეისათვის გამოიყენება მკვლევართა აღრიცხვისა და მართვის სისტემა, საარქივო დოკუმენტების (ფოტო, ვიდეო, ფონო, ტექსტური დოკუმენტები, რუკები) ელექტრონული კატალოგები, გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა (GIS) და სივრცითი ძიების პროგრამა, ონლაინ მომსახურების სისტემა (განცხადებების მიღება და ცნობების გაცემა ვებ-გვერდის საშუალებით) და ა.შ. აღნიშნული სისტემების განვითარება, როგორც პროგრამის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება, მოიცავს არსებული ელექტრონული პროგრამების ახალი პარამეტრების შემუშავებას, ასევე არსებული მოდულების განახლება-დახვეწას. პროგრამის ფარგლებში ეროვნული საარქივო ფონდის ელექტრონული დოკუმენტების არქივის შექმნა ემსახურება საარქივო დოკუმენტების დედნების დაუზიანებლად შენახვა-შენარჩუნებასა და ამ დოკუმენტებზე ელექტრონულად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. აღნიშნული მიმართულების ფარგლებში საჭიროა დამატებითი სპეციალური ტექნიკის, ინვენტარის შეძენა და სასერვერო ინფრასტრუქტურის განვითარება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ელექტრონულ მატარებელზე გადატანილი საარქივო ფონდის დოკუმენტები და მათი დაცულობის უზრუნველყოფა მოწესრიგებული საარქივო, საოფისე ინფრასტრუქტურა და საცავები მოქალაქეთა ელექტრონული მომსახურების სისტემის ხელმისაწვდომობა

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ელექტრონული დოკუმენტების არქივის შექმნის ფარგლებში დასკანერდა 2 872 ათასი დოკუმენტი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2016-2019 წლებში, ყოველწლიურად, ელექტრომატარებლებზე გადატანილ იქნება 700 ათას გვერდი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 4%-5%; **შესაძლო რისკები** - მწყობრიდან გამოსული ძვირადღირებული სკანერული აპარატურის სწრაფად ჩაუნაცვლებლობა. სკანირების ჯგუფში ადამიანური რესურსების მკვეთრი კლება **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - განახლდა რუსთავისა და თელავის რეგიონული არქივები, ასევე, აბაშის რაიონული არქივი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2016 წელს აშენდება და გარემონტდება სამეგრელოს რეგიონული არქივი, თბილისში საგამოფენო სივრცე. 2017 წელს - ქუთაისის ცენტრალური არქივი, 2018 წელს დაგეგმილია სამცხე-ჯავახეთის და შიდა ქართლის რეგიონული არქივის მშენებლობა, ხოლო 2019 წელს -თბილისში არქივის დამატებითი საცავი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - + / - 1 ინფრასტრუქტურული პროექტი; **შესაძლო რისკები** - სამშენებლო-სარემონტო და სხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებების შეფერხება **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ცენტალიზაციას დაექვემდებარა 38 ადგილობრივი არქივი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2016 წლისათვის დაგეგმილია 2 არქივის ცენტრალიზაცია (სენაკი და აბაში), 2017 წლისათვის - 3 (საჩხერე, ჭიათურა და ტყიბული), ხოლო 2018 წლისათვის - 3 (ხაშური, კასპი და ახალქალაქი); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - + / -2 ადგილობრივი არქივი; **შესაძლო რისკები** - ცენტრალიზაციასთან დაკავშირებული სამშენებლო-სარემონტო და სხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებების შეფერხება **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - საარქივო სერვისების მომხმარებელთა კმაყოფილების დონის 80%-იანი მაჩვენებლი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2016-2019 წლებში, მომხმარებელთა კმაყოფილების დონის 80 % მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 3%-4%; **შესაძლო რისკები** - მოთხოვნილი ცნობის ვერ გაცემა საარქივო მასალის არ ქონის გამო

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა (26 08)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო

პროექტის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია სახელმწიფო სერვისების განვითარება და მათზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობის დონეზე. აღნიშნული მიზნების მისაღწევად დაგეგმილია რამდენიმე მიმართულების პროგრამების განხორციელება. ქვეყნის მასშტაბით მრავალმოსახლე და მუნიციპალური ცენტრიდან მოშორებულ სოფლებში პროგრამის ფარგლებში აშენდება საზოგადოებრივი ცენტრები, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა სოფლიდან გაუსვლელად მიიღებს როგორც სახელმწიფო (სერვისების განვითარების სააგენტოს, საჯარო რეესტრის, ეროვნული არქივის, სოციალური მომსახურების სააგენტოს და სხვ.), ისე კერძო სექტორის (საბანკო, ტელესაკომუნიკაციო და სხვ.) და მუნიციპალური სერვისები. გარდა ამისა, ასევე იგეგმება საზოგადოებრივი ცენტრების კონცეფციის განვითარება საჯარო ბიბლიოთეკების ბაზაზე, რომელიც გულისხმობს შერჩეული სოფლის ბიბლიოთეკების ინფრასტრუქტურის გამართვას, ტექნიკითა და ინტერნეტით უზრუნველყოფას და თანამშრომელთა გადამზადებას. გარდა ამისა, საზოგადოებრივი ცენტრების ინფრასტრუქტურულ ბაზაზე იგეგმება სამოქალაქო ჩართულობის ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზება, რაც მიზნად ისახავს ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდას, განათლებას და მათი შესაძლებლობების განვითარებისთვის შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფას. პროგრამა აგრეთვე მოიცავს სამოქალაქო რეესტრის წარმოებას, რაც გულისხმობს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციას, საიდენტიფიკაციო დოკუმენტების გაცემას, მოქალაქეობა-მიგრაციის პროცედურების წარმართვას, მიგრაციულ პოლიტიკასთან დაკავშირებულ საქმიანობას, მოსახლეობის ერთიანი რეესტრის წარმოებას, დოკუმენტის აპოსტილირებისა და ლეგალიზაციის წარმოებას. აღნიშნული საინფორმაციო რესურსები, კერძოდ, მოსახლეობის რეესტრი ასევე საარჩევნო სიის ძირითადი საფუძველია. ქვეყნის მასშტაბით იგი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე კრიტიკულ რესურსს. შესაბამისად, მისი ხარისხის უზრუნველყოფა პროგრამის ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულებაა. პროგრამის არანაკლებ მნიშვნელოვანი მიმართულებაა დამისამართების პრობლემის გადაჭრა საქართველოში. პროექტი გულისხმობს თითოეული მოქალაქის რეგისტრაციის მონაცემების დაკავშირებას ახალ მისამართებთან. მისამართების ახალი რეესტრის გამოყენება საშუალებას იძლევა თავიდან იქნეს აცილებული მოქალაქეთა არაკორექტულ და არარსებულ მისამართზე რეგისტრაციის ფაქტები; ეს კი მოსახლეობის რეესტრისა და საარჩევნო სიის ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთი წინაპირობაა. პროგრამის ფარგლებში მოხდება ახალი მომსახურებების დანერგვა, რომელიც ქვეყნის მასშტაბით როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სტრუქტურებში გაუმჯობესებს მომხმარებელთა მომსახურების დონეს. მოხდება ციფრული ხელმოწერისა და ციფრული შტამპის განვითარება, რომელიც შექმნის დისტანციური ბიზნესურთიერთობის დამყარების საშუალებას, რის შედეგადაც შესაძლებელი იქნება დროის და ფინანსური რესურსების დაზოგვა. ასევე, იგეგმება ბიომეტრიული იდენტიფიკაციის სისტემის განვითარება, რაც მოიცავს მე-3 თაობის ბიომეტრიული პასპორტების გასაცემად ინფრასტრუქტურის განვითარებას და აღნიშნული თაობის პასპორტების შეთავაზებას მოქალაქეებისთვის – ევროკავშირის ვიზა-ვიზალიბერალიზაციის პროცესის მოთხოვნების შესაბამისად. პროგრამის ფარგლებში მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნო, კომისიის შესაბამის წევრ უწყებებთან

	ერთად, მუშაობს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის დოკუმენტებზე. კომისიის საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, სამდივნო გეგმავს რიგი ღონისძიებების გატარებას, რაც, ერთი მხრივ, მიმართული იქნება მიგრაციის სფეროში ეროვნული საკანონმდებლო ბაზის განვითარებისკენ, ხოლო მეორე მხრივ, ჩამოაყალიბებს იმ ეფექტიან მექანიზმებს, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება მიგრაციული პოლიტიკის პრაქტიკაში გატარება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	გაზრდილი ხელმისაწვდომობა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებაზე, როგორც სახელმწიფო, ასევე ადგილობრივ დონეზე მომხმარებელთა საჭიროებების საპასუხოდ არსებული და ახალი სერვისების განვითარება საერთაშორისო პარტნიორობის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულება
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი -** 2015 - ფუნქციონირებს 32 საზოგადოებრივი ცენტრი, ხოლო 9 ექსპრეს საზოგადოებრივი ცენტრის მეშვეობით სერვისები მიეწოდება 200-ზე მეტი სოფლის მოსახლეობას; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2016-2017 - ყოველწლიურად სრული დატვირთვით ფუნქციონირებს 10-11 ახალი საზოგადობრივი ცენტრი, 2018-2019 - თითოეულ წელს 5. 2016-2019 - სრული დატვირთვით ფუნქციონირებს 64 საზოგადოებრივი ცენტრი, ხოლო 2016 წელს 71 ექსპრეს საზოგადოებრივი ცენტრის მეშვეობით სერვისები მიეწოდება 1000 - ზე მეტი სოფლის მოსახლეობას; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** ყოველწლიურად +- 2 საზოგადოებრივი ცენტრი; +-3 ექსპრეს საზოგადოებრივი ცენტრი **2.** **საბაზისო მაჩვენებელი -** 2015 - მუნიციპალური სერვისების მართვის ელექტრონული სისტემა დანრგილია 2 მუნიციპალიტეტში; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2016-2019 - მუნიციპალური სერვისების მართვის ელექტრონული სისტემა ყოველწლიურად დანერგილია 10 მუნიციპალიტეტში; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** თითოეულ წელზე +-3 მუნიციპალიტეტი **3.** **საბაზისო მაჩვენებელი -** 2015 - დისტანციური სერვისების ახალ სისტემაში სააგენტოს მიერ წარმოებული 19 სერვისი გაიცემა ინფორმაციული უსაფრთხოების და პერსონალური მონაცემების დაცვის სავალდებულო მოთხოვნებთან შესაბამისად; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2016 - დანერგილია 6 დისტანციური სერვისი; 2017 - 9 დისტანციური სერვისი; 2018 -

	სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დისტანციურად შესაძლო ყველა სერვისი ხელმისაწვდომია დისტანციურად; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** თითოეულ წელზე +- 1 დისტანციური სერვისი; **შესაძლო რისკები -** რიგი ტექნიკური ფაქტორები, რამაც შესაძლოა შეაფერხოს სერვისების დისტანციურად დანერგვის პროცესი **4.** **საბაზისო მაჩვენებელი -** 2015 - ციფრული ხელმოწერისა და ციფრული შტამპის გამოყენების მომსახურება (პირადობის მოწმობის გამოყენებით) არ გაიცემა სააგენტოს მიერ და ასევე, არცერთი სახელმწიფო და კერძო უწყება არ აწარმოებს დოკუმენტბრუნვას ციფრული ხელმოწერისა და ციფრული შტამპის გამოყენებით; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2016 - ჩატარებულია სამუშაოები ერთიანი პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებისათვის, რომელიც მოიცავს ასევე, სააგენტოს მიერ წარმოებული ყველა მომსახურების შედეგად შექმნილ დოკუმენტებზე ციფრული ხელმოწერისა და ციფრული შტამპის გამოყენებასთან დაკავშირებულ კომპონენტებს. 2017 - სააგენტოს მიერ წარმოებული ყველა მომსახურების შედეგად შექმნილი დოკუმენტების 100% გაიცემა ციფრული ხელმოწერისა და ციფრული შტამპის გამოყენებით; 2017 - სახელმწიფო უწყების 20% აწარმოებს დოკუმენტბრუნვას ციფრული ხელმოწერისა და ციფრული შტამპის გამოყენებით; 2018 - 50%; 2019 - 80%; 2016 - 2017 - თითოეულ წელს, ერთი წამყვანი (ბრუნვის მიხედვით) კომერციული ბანკის დისტანციურ სისტემაში დანერგილია ციფრული ხელმოწერა ან/და ციფრული შტამპი სააგენტოს მიერ გაცემული სერტიფიკატებით, 2018 - დამატებით 3 წამყვან (ბრუნვის მიხედვით) კომერციულ ბანკში; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** სააგენტოს მიერ გაცემული სერვისი +-5 %; სახელმწიფო უწყებაში საქმისწარმოების დანერგვა +- 5% კომერციულ ბანკებში საქმისწარმოების დანერგვა +-2 ბანკი; შესაძლოა, ციფრული შტამპის დანერგვამ გარკვეულ შემთხვევებში (უწყებების საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე) მოხსნას ციფრული ხელმოწერის დანერგვის აუცილებლობა **5.** **საბაზისო მაჩვენებელი -** 2015 - ამ ეტაპზე არ ხდება მე-3 თაობის ბიომეტრიული პასპორტების გაცემა; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2016-2019 - (2016 წლიდან) გაიცემა მე-3 თაობის ბიომეტრიული პასპორტები, ევროკავშირის ვიზა-ვიზალიბერალიზაციის პროცესის მოთხოვნების შესაბამისად; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** მე-3 თაობის ბიომეტრიული პასპორტების გაცემა შესაძლოა განხორციელდეს 2017 წლიდან; **შესაძლო რისკები -** პროგრამულ-აპარატურული ინფრასტრუქტურის ცვლილებისას მომწოდებლის რისკი **6.** **საბაზისო მაჩვენებელი -** 2015 - მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია საჭიროებს შემდგომ მხარდაჭერას, ეროვნულ დონეზე, მიგრაციის სფეროში მიმდინარე პროცესების ეფექტური კოორდინაციის უზრუნველყოფის მიზნით; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2016 - მიგრაციის მონაცემთა ანალიტიკური სისტემა გაშვებულია სატესტო რეჟიმში; 2017 -

	სისტემის შემდგომი სრულყოფის მიზნით, გასწორებულია მიგრაციის მონაცემთა ანალიტიკური სისტემის სატესტო რეჟიმით ფუნქციონირებისას გამოვლენილი ხარვეზები; 2016 - ამოქმედებულია 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა; 2017-2018 - სამოქმედო გეგმაში განხორციელებულია სათანადო ცვლილებები სტრატეგიით გათვალისწინებული ამოცანების შესრულების მონიტორინგის საფუძველზე; 2016 - განახლებულია მიგრაციის პროფილი

სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური (53 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური
პროექტის აღწერა და მიზანი	იურიდიულ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა; მაღალი ხარისხის მომსახურების უზრუნველყოფა; მაღალი საზოგადოებრივი ცნობადობა იურიდიული დახმარების სისტემის შესახებ;
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	უფასო იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება; უფასო იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის დონის გაზრდა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **მიზნობრივი მაჩვენებელი -** უფასო იურიდიული დახმარების ბენეფიციართა რაოდენობის არანაკლებ 2%-ით გაზრდა

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ფუნქციონირების გაძლიერების ღონისძიებები (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი (41 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს ტერიტორიაზე, თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობაზე გეგმიური და მოულოდნელი (დაუგეგმავი) მონიტორინგის განხორციელება; წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის პრევენციის მიზნით

	რეკომენდაციების შემუშავება; მონიტორინგის ანგარიშების მომზადება და მათი წარდგენა; საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშების გამოცემა და სხვადასხვა დონეზე წარდგენა; ადამიანის უფლებათა სავარაუდო დარღვევების შესახებ განცხადების/საჩივრების მიღება, განხილვა და შესაბამისი რეაგირება; შემუშავებული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი, მათი განხორციელების შეფასება;საქართველოს სახალხო დამცველის რეგიონული ოფისების მუშაობის მხარდაჭერა და მათი გაზრდა; ადამიანის უფლებათა სფეროში საგანმანათლებლო კამპანიების განხორციელება, მათ შორის სოციალური რეკლამის დამზადება და მედიის საშუალებით გავრცელება; სამიზნე აუდიტორიებისთვის საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელება; საქართველოს სახალხო დამცველის საინფორმაციო ბიულეტენის ყოველთვიური გამოცემა; ადამიანის უფლებათა თემატიკაზე ყოველთვიურად საჯარო დებატების გამართვა, კონკურსების ჩატარება, სხვადასხვა პუბლიკაციების გამოცემა და გავრცელება; ტოლერანტობის კულტურის განვითარებისა და თანასწორუფლებიანი გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა; უმრავლესობისა და უმცირესობის ჯგუფებს შორის მრავალმხრივი დიალოგის ხელშეწყობა;ეროვნული და რელიგიური უმცირესობების ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა; რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების მდგომარეობის მონიტორინგი, არსებული ტენდენციების გამოკვეთა და ანალიზი, ტოლერანტობის საკითხებზე რეკომენდაციებისა და წინადადებების მომზადება და წარდგენა შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისთვის; მთავრობის ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის და შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული სამოქმედო გეგმის მონიტორინგი, რელიგიათა და ეროვნულ უმცირესობათა საბჭოების ჩართულობით;

	ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის ზედამხედველობა, როგორც ცენტრში, ისე რეგიონებში; არასრულწლოვანთა სასჯელაღსრულების დაწესებულებების მონიტორინგის გაძლიერება; სკოლამდელი დაწესებულებების მონიტორინგი; 24 საათიანი სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი არასრულწლოვნების მომზადების ზედამხედველობა სამზრუნველო დაწესებულებიდან გასვლის მიმართულებით; საქართველოში გენდერული თანასწორობის დაცვის კუთხით არსებული ეროვნული და საერთაშორისო აქტების შესრულების მონიტორინგი,სახალხო დამცველის აპარატში შემოსული გენდერული თანასწორობის საკითხის დარღვევასთან დაკავშირებული განცხადება/საჩივრების შესწავლა და შესაბამისი დასკვნების/რეკომენდაციების/წინადადებების პროექტების მომზადება; საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ გენდერული თანასწორობის სფეროში მოქმედ სახელმწიფო თუ არასახელმწიფო ორგანოების და ორგანიზაციების საქმიანობის, გამოცდილების განზოგადება და საქართველოში დანერგვის ორგანიზება; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებრივი მდგომარეობის მონიტორინგი; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ ეფექტური სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბების ხელშეწყობა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტერესების ადვოკატირება; გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციით“ დადგენილი მოთხოვნების შესრულებაზე მონიტორინგის განხორციელება; ე.წ. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესწავლა და მონიტორინგი; „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულება; ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის მონიტორინგის განხორციელება თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში.

პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ადამიანის უფლებების დარღვევევის აღმოჩენა და დაფიქსირება; საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის გამოყენების პრაქტიკის აღმოფხვრა და მათი პრევენცია; დისკრიმინაციისა და ქსენოფობიის გამოვლინების პრევენცია; რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესება და მათი სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის გაძლიერება; სახალხო დამცველის მიერ განხილული და შესწავლილი ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების სახალხო დამცველის ანგარიშში და რეკომენდაციებში ასახვა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფარგლებში განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა წლის განმავლობაში, ასევე ყველა ტიპის დახურული დაწესებულებების მოცვა გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში; დარღვეული უფლებების ფაქტებზე საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციების/წინადადებების/შუამდგომლობების რაოდენობა; საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელთა პროფესიული გადამზადების მიზნით ჩატარებული ტრენინგების/სემინარების/სასწავლო გაცვლითი ვიზიტების აღწერა/ რაოდენობა.; საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხილული განცხადებების რაოდენობა, როგორც ცენტრალურ ისე რეგიონულ დონეზე, ინდივიდუალური კონსულტაციების რაოდენობა; აღდგენილი უფლებების ფაქტების და მათი რაოდენობის მონიტორინგი

ელექტრონული მმართველობის განვითარება (26 05)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	პროგრამა მიზნად ისახავს მოქალაქეებისათვის, ბიზნესისა და არასამთავრობო სექტორისათვის სახელმწიფოს ელექტრონული სერვისების უსაფრთხოდ, ეფექტურად, ერთი ფანჯრის პრინციპით მიწოდების ხელშეწყობას, აგრეთვე სახელმწიფო ორგანიზაციებისა და კერძო სექტორის ინფორმაციის, საინფორმაციო სისტემებისა და ტექნოლოგიების

	ურთიერთთავსებადობის საშუალებით მონაცემების ეფექტიანად და უსაფრთხოდ გაცვლის უზრუნველყოფას. აღნიშნული მიზნით შექმნილია მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურა, რომელიც წარმოადგენს აპარატურულ/პროგრამულ კომპლექსს. პროგრამის ფარგლებში აღნიშნულ ინფრასტრუქტურაში ჩართული სერვისებისა და გაცვლილი მონაცემების მასშტაბების ზრდასთან ერთად დაგეგმილია მისი მუდმივი განვითარება და დახვეწა, ტექნიკური და პროგრამული მხარდაჭერა. მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის საფუძველზე, თავის მხრივ, შექმნილია მოქალაქეებისა და ბიზნესისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი ახალი პროდუქტი - მოქალაქის პორტალი, რომელშიც თავმოყრილია სახელმწიფო და ბიზნესსექტორის მიერ რეალიზებული სხვადასხვა ელექტრონული სერვისი. პროგრამის ფარგლებში აღნიშნულ პორტალში მომავალშიც ინტეგრირდება ყველა ის ელექტრონული სერვისი, რომელთაც ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის ორგანოები სთავაზობენ მოქალაქეებს, ბიზნესს თუ არასამთავრობო სექტორს. პროგრამის ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებები აგრეთვე უზრუნველყოფს ამ სერვისების და მონაცემების ეფექტურ და უსაფრთხო გაცვლას. პროგრამის ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულებაა კიბერუსაფრთხოების საკითხები, რაც არა მხოლოდ კომპიუტერული ინციდენტების გამოვლენას, პრევენციასა და შედეგების მართვას გულისხმობს, არამედ ამ სფეროში შესაბამის საგანმანათლებლო საქმიანობის ორგანიზებასა და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებსაც მოიცავს. პროგრამის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა აგრეთვე საქართველოს საერთაშორისო ვაჭრობის მხარდამჭერი სისტემის ეფექტური ოპერირება, საკონტეინერო გადაზიდვების პროცესში (იმპორტ/ექსპორტი) ჩართულ კერძო და სახელმწიფო სუბიექტებს შორის ინფორმაციის მიმოცვლის პროცესის გამარტივება, რაც თავის მხრივ, საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართული მხარეების ეფექტურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს. ელექტრონულ სერვისებზე ხელმისაწვდომობასთან ერთად, პროგრამა უზრუნველყოფს სამოქალაქო და ბიზნეს სექტორისთვის საჯარო, სტრუქტურირებულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას. აღნიშნული მიზნით პროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებს და მუდმივად ვითარდება ღია მონაცემების ქართული პორტალი (data.gov.ge).
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის საშუალებით ელექტრონულ სერვისებზე ხელმისაწვდომობა კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტების კომპიუტერულ ინციდენტებზე დროული და ეფექტური რეაგირება პორტალზე data.gov.ge გამოქვეყნებული ღია მონაცემთა ცხრილები
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წლის ბოლომდე მოქალაქის პორტალზე ინტეგრირებული იქნება ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის 56 სერვისი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2016-2019 წლებში იგეგმება, ყოველწლიურად 15-მდე ელექტრონული სერვისის დამატება;

	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - +/- 5 ახალი ელექტრონული სერვისი **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წელს მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში განხორციელდა 50 მლნ ტრანზაქცია; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2016-2019 წლებში იგეგმება, ყოველწლიურად დამატებით 5 მლნ ტრანზაქციის განხორციელება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - შესაბამისი დაწესებულებების მიერ მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში სერვისების და მონაცემების ინტეგრაციისათვის დაბალი პრიორიტეტის მინიჭება **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წელს გამოვლენილია 600-მდე ინციდენტი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2016 წლის ბოლომდე ინფორმაციული უსაფრთხოების ინციდენტების გამოვლენა გაიზრდება დაახლოებით 750-მდე, 2017 - 850-მდე, 2019 - 1050-მდე; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტები არ ახდენენ ინციდენტების შესახებ დროულ და სრულყოფილ შეტყობინებას **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წელს ღია მონაცემების პორტალზე გამოქვეყნებულია 130 მონაცემთა ცხრილი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2016-2019 წლებში ღია მონაცემების პორტალზე ყოველწლიურად დამატებით გამოქვეყნდება 40 მონაცემთა ცხრილი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი (51 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი
პროექტის აღწერა და მიზანი	პერსონალური მონაცემების დამუშავების ევროპული სტანდარტების დასანერგად შესაბამისი ნორმატიული აქტებისა და რეკომენდაციების მომზადება, ინსპექტირების მეთოდოლოგიის შემუშავება და შემდგომი დახვეწა, სხვა ქვეყნებში მონაცემთა გადაცემაზე კონტროლის გაუმჯობესება. კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს წარმომადგენლობა ევროპის საბჭოსა და ევროპის კავშირის დონეზე; ქვეყანაში დანაშაულის თავიდან აცილების, გამოძიების, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და მართლწესრიგის დაცვის მიზნით სამართალდამცავი ორგანოების მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერებაზე ზედამხედველობა;

	ფარული საგამოძიებო მოქმედებების და სამართალდამცავი ორგანოების მონაცემთა ბანკებში განხორციელებული აქტივობებზე კონტროლი, მათ შორის ფარული მიყურადების და ჩაწერის ორეტაპიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით; მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული განცხადებების განხილვა და მათზე რეაგირება, ასევე საჯარო და კერძო პირებისთვის კონსულტაციის გაწევა მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე და მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმება (ინსპექტირება) საჯარო და კერძო დაწესებულებებში; საჯარო და კერძო ორგანიზაციების ფაილური სისტემის (პერსონალურ მონაცემთა შემცველი ელექტრონული ბაზები) კატალოგის რეესტრის წარმოება და გამოქვეყნება; საზოგადოების ინფორმირება მონაცემთა დაცვის მდგომარეობისა და მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ; სამართალშემოქმედებით პროცესში მონაწილეობის მიღება მონაცემთა დამუშავების კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით და ასოცირების შეთანხმების სამოქმედო გეგმის შესასრულებლად; საჯარო და კერძო დაწესებულებების წარმომადგენლებისთვის და უფლებამოსილი პირებისთვის ტრენინგების ორგანიზება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საჯარო და კერძო სექტორებში უზრუნველყოფილი პერსონალური მონაცემების დაცვის მაღალი სტანდარტი; ამაღლებული მოქალაქეთა ცნობიერება მათი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შესახებ;
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საჯარო და კერძო სუბიექტებისთვის გაწეული კონსულტაციების გაზრდილი რაოდენობა.; გეგმიური და არაგეგმიური ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი სისტემური ხასიათის დარღვევების შემცირებული მაჩვენებელი

მიწის ბაზრის განვითარება (WB) (26 09)

პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	საჯარო რეესტრმა მსოფლიო ბანკის კრედიტის ფარგლებში დაიწყო „ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების“ პროექტის „მიწის ბაზრის განვითარების კომპონენტის'' განხორციელება. პროქტი ითვალისწინებს 11 საპილოტე არეალში (12 დასახლებული პუნქტი) მიწების რეგისტრაციას. დარეგისტრირდება როგორც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, ასევე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, კერძო და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები. პროგრამის მიზანია შერჩეულ საპილოტე არეალებში ყველა სახის მიწის რეგისტრაცია, რაც ხელს შეუწყობს ურბანული ტერიტორიების ფარგლებს გარეთ მიწის ბაზრის განვითარებას, დანაწევრებული მიწის ნაკვეთების კონსოლიდაციის პროცესს, გაზრდის საკუთრების უფლების დაცულობის ხარისხს, ხელს შეუწყობს პრივატიზაციის პროცესს და გაზრდის ინვესტიციებს სოფლის მეურნეობაში. პილოტ-პროექტის მიზანია შემუშავდეს მეთოდოლოგია რათა მიწის პირველადი რეგისტრაცია დასრულდეს მთელი ქვეყნის მასშტაბით. აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად შერჩეულ იქნა არეალები მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებული პრობლემატიკის მიხედვით. აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში 30 თვის განმავლობაში დაზუსტდება და დარეგისტრირდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები. 1992 წლიდან დაწყებული, მიწის რეგისტრაციასა და საკადასტრო რუკების შედგენასთან დაკავშირებული არაერთი რეფორმის ჩატარების მიუხედავად, საქართველოს ურბანული ტერიტორიების ფარგლებს გარეთ სასოფლო მიწების უმეტესობა ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ რეგისტრირებული ან/და აღრიცხული ერთიან საკადასტრო მონაცემთა ბაზაში. სავარაუდოდ, არსებული 4 მილიონი მიწის ნაკვეთიდან (კერძო, სახელმწიფო და მუნიციპალური საკუთრება), დაზუსტებული მონაცემებით, დაახლოებით 1.2 მლნ. (25-30%) მიწის ნაკვეთია რეგისტრირებული. მიმდინარე სტატისტიკური მონაცემებით, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების (რომლებიც ძირითადად ქალაქების ტერიტორიებზეა განლაგებული) რეგისტრაციების რაოდენობა მნიშვნელოვნად აჭარბებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების რეგისტრაციების რაოდენობას. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების რეგისტრაციის სიხშირე ძალიან დაბალია, რეგისტრირებულია 50%-ზე ნაკლები მიწა მუნიციპალიტეტების მიხედვით (რაც მერყეობს 5%-ზე ნაკლებიდან რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში, 20–30%–მდე დასავლეთ საქართველოს მუნიციპალიტეტებში, 25-დან 50%-მდე კახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში)
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შერჩეულ არეალებში ყველა სახის მიწის ნაკვეთების აზომვა და რეგისტრაცია, რაც ჯამში დაახლოებით 48 000 ერთეულ ნაკვეთს შეადგენს
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი -** შემუშავებულია კანონის პროექტი „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური რეგისტრაციისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“; საპილოტე არეალებში დაზუსტებული მონაცემებით რეგისტრირებული დაახლოებით 11000 ერთეული მიწის ნაკვეთი, რაც სრული რაოდენობის დაახლოებით 23% შეადგენს; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2016 - 2017 წლებში მოხდება 24 000-24 000 ნაკვეთის რეგისტრაცია, მიწის რეგისტრაციის

	მონაცემების დაზუსტება და მიწების პირველადი რეგისტრაციების დასრულება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10% (48 000 ერთეული მიწის ნაკვეთის გამოანგარიშება მოხდა წარსულში სხვადასხვა პროექტების მონაცემების ანალიზის შედეგად. თავის მხრივ ეს მონაცემები არ გამოირჩევა მაღალი სიზუსტით.)

იუსტიციის სახლის მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა (26 10)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - იუსტიციის სახლი
პროექტის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია მომხმარებლისთვის ერთი ფანჯრის პრინციპით სახელმწიფო და კერძო დაწესებულებების სერვისების მაღალი ხარისხით მიწოდება, სახელმწიფო სერვისების განვითარების ხელშეწყობა, აგრეთვე მომხმარებლისთვის მრავალფეროვანი და ინოვაციური სერვისების შეთავაზება. აღნიშნული მიზნების მისაღწევად პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ახალი სერვისების ინტეგრირება იუსტიციის სახლების ფარგლებში; არსებული და ახალი მომსახურების ხარისხის კონტროლი და განვითარება სხვადასხვა ტიპის კვლევებისა და პროექტების საფუძველზე; გაგრძელდება იუსტიციის სახლების მშენებლობა და არსებული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, რათა ქვეყნის მასშტაბით გაფართოვდეს ერთი ფანჯრის პრინციპით სახელმწიფო და კერძო დაწესებულებების სერვისების ეფექტური მიწოდება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	იუსტიციის სახლის ფარგლებში დანერგილი ახალი სერვისები; იუსტიციის სახლში ინტეგრირებულ სერვისებზე მომხმარებელთა კმაყოფილების მაღალი მაჩვენებელი. იუსტიციის სახლის ახალი ფილიალები.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - არსებული მდგომარეობით იუსტიციის სახლის ფარგლებში მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია 362 სერვისი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2016-2019 წლებში, იუსტიციის სახლის ფარგლებში მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი იქნება ყოველწლიურად 10-მდე ახალი სერვისი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2 სერვისი; **შესაძლო რისკები** - პოტენციური პარტნიორი ორგანიზაციებისაგან ტექნიკური ან სხვა სახის შესაძლო შეფერხება 2. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2014 წელს მომხამრებელთა კმაყოფილების დონემ შეადგინა 87%, ხოლო 2015 წელს აღნიშნული მაჩვენებელი შენარჩუნებული იქნება მომხმარებელთა საშუალოდ 75-85%;

	მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016-2019 წლებში სერვისის მომხმარებელთა კმაყოფილების დონე ყოველწლიურად იქნება 75-85%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5% **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წლის ბოლოს 16 მოქმედი ფილიალი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2016 წელს 20 მოქმედი ფილიალი. 2017 წელს 22 მოქმედი ფილიალი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 1 ფილიალი

ერთიანი სახელმწიფო საინფორმაციო ტექნოლოგიების მხარდაჭერის განვითარება (26 06)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სმართ ლოჯიქი
პროექტის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო უწყებების მომსახურებას IT სერვისების სრული სპექტრით, რაც მოიცავს: ქსელურ უზრუნველყოფას, ელფოსტის სერვისს, ონლაინკომუნიკაციის საშუალებებს, ტელევიდეოკონფერენციას, დროისა და დავალებების მართვის პროგრამულ უზრუნველყოფას, უსაფრთხოების ერთიანი პოლიტიკის გატარებას, არასასურველი და მავნე ელექტრონული ფოსტის, პროგრამებისა და ვირუსებისგან დაცვას, სახელმწიფო სტრუქტურებისათვის ერთიანი IT მხარდაჭერის ქოლცენტრის შექმნასა და ინციდენტების მართვას, ციფრული ტელეფონიის სერვისს, სახელმწიფო ორგანიზაციებში დასაქმებულთა კომპიუტერული ტექნიკის ადგილზე მომსახურებას და სხვ. პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფო ორგანიზაციებში პროცესების ავტომატიზებისა და ელექტრონულ მმართველობაზე გადასვლის მიზნით, ჩატარდება შესაბამისი კვლევები და შემუშავდება კონკრეტული ინოვაციური ბიზნეს გადაწყვეტილებები, რომლებიც მორგებული იქნება დამკვეთის ბიზნეს პროცესებზე. აღნიშნულის საფუძველზე მოხდება როგორც ახალი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა, ასევე არსებულის გაუმჯობესების მიმართულებით მუშაობა. პროგრამა ასევე ითვალისწინებს იუსტიციის სამინისტროს სისტემის ფარგლებში ონლაინსამუშაო სივრცის შექმნასა და დანერგვას, რაც გულისხმობს ყველა სამსახურებრივი დოკუმენტის შექმნასა და დამუშავებას მხოლოდ ერთ, კონკრეტულ პროგრამაში. ეს სისტემა გაამარტივებს დოკუმენტების დამუშავების ყველა ეტაპზე მათზე ხელმისაწვდომობას და დაიცავს ინფორმაციას დაკარგვისა თუ დაზიანებისაგან. პროგრამის ფარგლებში დანერგილია ქლაუდტექნოლოგია (ღრუბლოვანი ტექნოლოგია). დასაგეგმ და შემდგომ წლებში ქვეპროგრამა გულისხმობს სერვისის შემდგომ განვითარებას როგორც პროგრამული, ასევე გამოთვლითი სიმძლავრეების და მასშტაბების მიმართულებით, ასევე სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ქლაუდინფრასტრუქტურით (IaaS) სარგებლობის გაფართოებას.
პროექტის მოსალოდნელი	სსიპ „სმართ ლოჯიქის“ ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სერვისის არეალის გაფართოება

საბოლოო შედეგი	სსიპ „სმართ ლოჯიქის“ ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სერვისით მოსარგებლე ორგანიზაციების ინფორმაციული სისტემების უსაფრთხოების უზრუნველყოფა „Cloud Computing“-ის ტექნოლოგიის გამოთვლითი სიმძლავრეების და მასშტაბების ზრდა
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი -** სსიპ „სმართ ლოჯიქის“ ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სერვისით სარგებლობს 4000-მდე მომხმარებელი; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2016 წელს - 5000-მდე, 2017 წელს - 5700-მდე, 2018 წელს - 6200-მდე და 2019 წელს - 7000-მდე მომხმარებელი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 20%; **შესაძლო რისკები -** გაზრდილი კონკურენცია ბაზარზე; კონკურენტის მიერ პოტენციური კლიენტებისთვის დაბალი ფასების შეთავაზება **2.** **საბაზისო მაჩვენებელი -** სსიპ „სმართ ლოჯიქის“ ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სერვისით მოსარგებლე ორგანიზაციებში არასანქცირებული წვდომის და ვებგვერდების გატეხვის ნულოვანი მაჩვენებელი; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2016-2019 წლებში საბაზისო ინდიკატორის შენარჩუნება - არასანქცირებული წვდომის და ვებგვერდების გატეხვის ნულოვანი მაჩვენებელი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** ცდომილების ალბათობა არ არსებობს; **შესაძლო რისკები -** ადამიანური ფაქტორები; ახალი სისუსტეების აღმოჩენა არსებულ სისტემაში მანამდე სანამ გამოვა უსაფრთხოების განახლებები **3.** **საბაზისო მაჩვენებელი -** დასრულებულია ღრუბლოვანი ინფრასტრუქტურის სისტემის დანერგვა და მიმდინარეობს მისი ტესტირება; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** სისტემაში არსებული სერვერების რაოდენობა 2016 წელს - 200-მდე, 2017 წელს - 350-მდე, 2018 წელს - 500-მდე და 2019 წელს - 800-მდე ერთეული; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10%

სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო (50 00)

პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო
პროექტის აღწერა და მიზანი	საჯარო სამსახურის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და შესაბამისი საქმიანობის კოორდინაციის ხელშეწყობა. საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფციის იმპლემენტაცია და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის გადამავალი დებულებებიდან გამომდინარე ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება. საჯარო დაწესებულებების ჰორიზონტალური და ვერტიკალური ფუნქციური ანალიზის განხორციელება და რეკომენდაციების შემუშავება ერთიანი ინსტიტუციური მოწყობისა და საჯარო თანამდებობათა კლასიფიკაციის სისტემის შექმნის მიზნით. საჯარო სამსახურში სახელფასო რეფორმის მომზადებისათვის ხელშეწყობა. შეფასების სისტემის დანერგვა, საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის სამსახურების მუშაობისადა სამუშაო აღწერილობების შემუშავების პროცესის კოორდინაცია. თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების დროულად შევსებისა და საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის შექმნა. საჯარო დაწესებულებებში სტაჟირების გავლის პროგრამის კოორდინაცია და კონტროლი. საჯარო მოსამსახურეთა ტრენინგი ადამიანური რესურსების მართვის, ეთიკისა და მამხილებლის ინსტიტუტთან დაკავშირებულ საკითხებში.

	საჯარო სამსახურის სფეროში არსებული მდგომარეობისა და ნორმატიული აქტების შესრულების ანალიზი.

სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური (48 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური
პროექტის აღწერა და მიზანი	დაზღვევის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარება; სადაზღვევო ბაზრის ფინანსური სტაბილურობისათვის ხელის შეწყობა; სადაზღვევო საქმიანობის განზოგადება; სავალდებულო დაზღვევების შესახებ სტანდარტების შემუშავება; სადაზღვევო კომპანიებისთვის ლიცენზიების გაცემა, მათ შორის პიროვნული ლიცენზიების გაცემა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ნორმატიული ბაზის განვითარება/სტანდარტიზაცია და ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია. სადაზღვევო ბაზრის სტაბილურობა; კონკურენტუნარიანი გარემოს არსებობა.

საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა (06 03)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

პროექტის აღწერა და მიზანი	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება არჩევნებში ჩართული მხარეებისთვის; ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა; საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების ჩატარება; ,,მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების“ შესახებ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული ფონდის ფუნქციების შესრულება.

სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციები(11 00 - 19 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციები
პროექტის აღწერა და მიზანი	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია შესაბამის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან კოორდინირებულად შეიმუშავებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების განვითარების სტრატეგიებისა და პრიორიტეტების დოკუმენტებს, ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ტურისტული პოტენციალის წარმოჩენის მიზნით მოამზადებს წინადადებებს, მონიტორინგს გაუწევს სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის პროცესს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობას.

ნორმატიული აქტების სისტემატიზაცია და მთარგმნელობითი ცენტრის განვითარება (26 11)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნე
პროექტის აღწერა და მიზანი	ნორმატიული აქტების, კანონმდებლობით სავალდებულო წესით გამოსაქვეყნებელი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების, სასამართლო გადაწყვეტილებების, სხვა დოკუმენტებისა და ინფორმაციის, აგრეთვე ნორმატიული აქტების ოფიციალური თარგმანის „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე გამოქვეყნება; ნორმატიული აქტების სახელმწიფო აღრიცხვისა და სისტემატიზაციის, სამართლებრივი აქტების საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრის წარმოება; საქართველოს კანონმდებლობის სისტემატიზაცია და საკონტროლო მდგომარეობაში მოყვანა ელექტრონული სახით. საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების განხორციელებასა და შემდგომ ანგარიშგებასთან

	დაკავშირებული ევროკავშირის შესაბამისი კანონმდებლობის ქართულ ენაზე თარგმნა, ასევე, საქართველოს კანონმდებლობის/კანონპროექტების ინგლისურ ენაზე თარგმნა. განხორციელდა სატრენინგო პროგრამა „იურიდიული თარგმნის უნარის განვითარება“, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა 25 თანამშრომელი, რომლებმაც ასევე გაიარეს მოსამზადებელი კურსი და წარმატებით ჩააბარეს გამოცდა ILEC-ში (საერთაშორისო სერტიფიკატი იურიდიულ ინგლისურში). მათგან 10 თანამშრომელი გადამზადდა ტრენერად , ისინი თარგმნა/რედაქტირებასთან ერთად მოამზადებენ ახალ კადრებს. ჩატარდა ტრენინგი მთარგმნელობითი კომპიუტერული პროგრამის “SDL Trados Studio”-ს გამოყენებაში, ევროკავშირის პროექტის „კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში, საქართველოში“ (Capacity Building in International Relations, Georgia) ფარგლებში. კომპიუტერული პროგრამა „SDL Trados Studio“ ზრდის თარგმანის პროცესის პროდუქტიულობას. „SDL Trados Studio“-ს სერვერზე მიმდინარეობს ერთიანი მთარგმნელობითი მეხსიერების (TM) და ერთიანი ტერმინოლოგიური ბაზის (TB) განთავსება და პერიოდული განახლება. სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ გეგმავს სამართლებრივ თარგმანში სასერთიფიკატო კურსების დანერგვას, რაც ხელს შეუწყობს კვალიფიციური კადრების მომზადებასა და შემდგომ მათ მთარგმნელობით ცენტრში დასაქმებას. ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტად რჩება კადრების დივერსიფიცირება ინგლისურ და ქართულ მიმართულებებად. 2016 წლიდან ცენტრი გეგმავს ქართული მიმართულების განყოფილების ამოქმედებას და განვითარებას. დაინტერესებული პირებისა თუ მიზნობრივი ჯგუფების პროფესიული საქმიანობისა და საინფორმაციო მიზნებისათვის საჭირო სხვადასხვა ნორმატიული აქტების, წიგნებისა და იურიდიული ლიტერატურის ბეჭდური ვერსიების ხელმისაწვდომობის მიზნით ფუნქციონირებას განაგრძობს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ სტამბა, რომელიც უზრუნველყოფს იურიდიული ლიტერატურის - საკანონმდებლო აქტების, წიგნების, სამეცნიერო ნაშრომებისა და სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიური ლექსიკონების ბეჭდვასა და გამოცემას. ასევე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი უწყებებისთვის საქმიანი ქაღალდების დამზადებასა და პოლიგრაფიული მომსახურების გაწევას.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ქართულ ენაზე თარგმნილი ევროკავშირის კანონმდებლობა და ინგლისურ ენაზე თარგმნილი საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები სამართლებრივი აქტებისა და იურიდიული ლიტერატურის ბეჭდური ვერსიების ხელმისაწვდომობა საზოგადოებაში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - ქართულ ენაზე ითარგმნა სხვადასხვა სახის დოკუმენტები 403 გვერდი და ევროკავშირის

	კანონმდებლობა 49 გვერდი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2016 წელს თარგმნილი ევროკავშირის კანონმდებლობის - 3000-მდე გვერდი, 2017 წელს - 3500-მდე გვერდი, 2018 წელს - 5500-მდე გვერდი, 2019 წელს - 7500-მდე გვერდი და სხვა ტიპის დოკუმენტები მოთხოვნის შესაბამისად; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - კვალიფიციური კადრების გადინება **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ინგლისურ ენაზე თარგმნილი საქართველოს საკანონმდებლო და ნორმატიული აქტებისა და სხვა დოკუმენტების 3238 გვერდი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2016-2019 წლებში, ყოველწლიურად ინგლისურ ენაზე თარგმნილი საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტის 5000-მდე გვერდი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - კვალიფიციური კადრების გადინება **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - გამოცემულია 4 დასახელების საკანონმდებლო აქტი (კოდექსი) და იურიდიული ლიტერატურა. წლის ბოლომდე გამოიცემა ერთი ტერმინოლოგიური ლექსიკონი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2016-2019 წლებში, ყოველწლიურად 10 საკანონმდებლო აქტისა (კოდექსი) და იურიდიული ლიტერატურის, ერთი ტერმინილოგიური ლექსიკონის გამოცემა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 3 აქტი; **შესაძლო რისკები** - საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების ხშირი განხორციელება **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - მაცნეს ვებგვერდზე დარეგისტრირებულია 46 494 მომხმარებელი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2016-2019 წლებში, ყოველწლიურად მომხმარებელთა 1 500 მომხმარებლით ზრდა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 300 მომხმარებელი; **შესაძლო რისკები** - „საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე ახალი პროგრამული ფუნქციონალების დამატების შეფერხება

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა (26 12)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ განსახორციელებელი პროგრამები მომსახურების ხარისხის განვითარებას ემსახურება, რაც უზრუნველყოფს თითოეული მომხმარებლისთვის პროცედურების გამარტივებას სწრაფი, ინოვაციური,

	მრავალფეროვანი სერვისების მიწოდებით. სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“, როგორც ბიზნესისა და ქონების რეგისტრაციის განმახორციელებელი სუბიექტი, წამყვანი მმართველობითი ფუნქციის მქონე ორგანო ქვეყანაში სტაბილური საკორპორაციო ურთიერთობებისა და ჯანსაღი ბიზნესგარემოს დამკვიდრებისთვის განსაზღვრავს რამოდენიმე ძირითად მიმართულებას, ესენია: ეროვნულ–გეოდეზიური საფუძვლების შექმნა, რაც გულისხმობს გეოდეზიური პუნქტების კოორდინატებისა და სიმაღლეების განსაზღვრას ახალ სახელმწიფო სისტემაში. საჭიროა ჩატარდეს შემდეგი ტიპის სამუშაოები: ძველსა და ახალ სახელმწიფო კოორდინატთა სისტემებს შორის ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრა, სიმაღლური სანიველირო რეპერების მოკვლევა, ჩატარებული სანიველირო სვლების პირველადი დამუშავება და საბოლოო გაწონასწორება გრავიმეტრიულ მონაცემებზე დაყრდნობით. ახალი ციფრული ტოპოგრაფიული რუკების შექმნის მიზნით შედგება სამუშაოების ტექნიკური პროექტი, პრობლემური არეალების შერჩევა, გამოკვლევა და საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა, სახელმწიფო ამზომველების ქსელის ფორმირება, მიწის ნაკვეთების აზომვების განხორციელება „GEO-CORS“-ის (მუდმივმოქმედი საინფორმაციო სისტემა საქართველოში) გამოყენებით. აღნიშნული სისტემა შესაძლებელს ხდის მიწის აზომვას დაჩქარებული მეთოდითა და გაცილებით იაფი აღჭურვილობით, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს უძრავი ქონების ბაზარზე მოქმედი საამზომველო კომპანიების ბიზნესის წარმოების განვითარებას. საქართველოს ტერიტორია უნდა დაიფაროს ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მონაცემებით. განახლებული ციფრული ტოპოგრაფიული რუკები ერთ-ერთი მთავარი საფუძველია ადგილმდებარეობის დეტალური შესწავლისთვის, დასახლებული პუნქტების შესაბამისი ინფრასტრუქტურის, საავტომობილო და სარკინიგზო გზების, სამელიორაციო სისტემების, ელექტრო გადამცემი ხაზებისა და სხვადასხვა სახის საქროექტო საძიებო სამუშაოების განსახორციელებლად. საჭიროა შეიქმნას ტერიტორიების ახალი ციფრული ქართულენოვანი ტოპოგრაფიული რუკები. აუცილებელია საჯარო რეესტრის IT ინფრასტრუქტურის სრულყოფა, როგორც არსებული ელექტრონული სერვისების უწყვეტად და სწრაფად მომსახურება, ასევე სამომავლო მზარდი დატვირთვებისთვის ინფრასტრუქტურის გაფართოება. ერთ–ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს ძველი მასალების დამუშავება, დიგიტალიზება, აღრიცხვა, სისტემატიზაცია. რეგისტრაციის ელექტრონული სისტემის ამოქმედებამდე წარმოებული ქაღალდის დოკუმენტაცია საჭიროებს დამუშავებას, დასკანირებას და ცენტრალიზებული ელექტრონული არქივის შექმნას, სისტემატიზაციას, ციფრულ ფორმატში გადატანასა და ამ გზით მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. სააგენტოს მიერ დაგეგმილია რეგიონებში არსებულ ქონებაზე უფლებათა რეესტრის მონაცემთა შესაბამის ელექტრონულ პროგრამაში დამუშავება/განახლება და დასკანირება, რისთვისაც საჭიროა რეგიონებში საძიებო ბაზების გარეშე არსებული აღნიშნული საარქივო დოკუმენტების აღწერა, საძიებო ბაზების შედგენა და თბილისში გადმოტანა დამუშავება/დასკანირებისთვის. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში არსებული არაძებნადი ყველა სახის მოქალაქეთა საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტების ერთად თავმოყრა, შესაბამის ელექტრონულ პროგრამაში აღწერა, საძიებო კატალოგის შედგენა, დიგიტალიზება და ეფექტურად დაცვის უზრუნველყოფა განაპირობებს საკუთრების უფლების დასაცავად მაღალი სტანდარტების დანერგვას და საჯარო რეესტრის მონაცემთა უტყუარობის უზრუნველყოფას,

	სარეგისტრაციო/საინფორმაციო მომსახურების განხორციელებისა და საჯარო ინფორმაციაზე წვდომის გამარტივებას, ცენტრალიზებულ და მოწესრიგებულ არქივს. მეწარმეთა და მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციას დაქვემდებარებული იურიდიული პირების სარეგისტრაციო დოკუმენტაციის აღრიცხვა-სისტემატიზაცია; საქმიანობის რეესტრის შექმნა და შესაბამისად სტატისტიკური მონაცემების არსებობა; ბიზნესის პირველადი ელექტრონული რეგისტრაციის დანერგვა და მოქალაქეზე მორგებული, გამარტივებული მომსახურება; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ეროვნულ სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის შექმნა და განვითარება. სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურა არის ქვეყნის მართვის პროცესის გაუმჯობესების მსოფლიოში აპრობირებული ტექნოლოგიური საშუალება, რომლის შექმნა საქართველოში, მისი რთული ფიზიკურ-გეოგრაფიული, სოციალური, ეკონომიკური, გეოპოლიტიკური და სხვა გარემოებებიდან გამომდინარე, კიდევ უფრო აქტუალური ხდება.მისი, როგორც საინფორმაციო ქსელურ–ანალიტიკური სისტემის მთავარი პრინციპია მონაცემების გახსნილი, დეცენტრალიზებული, მაგრამ კოორდინირებული მართვა, რომელიც ორიენტირებულია მრავალფუნქციურ მოხმარებაზე და გაზიარებაზე.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ზუსტი გეოდეზიურ–კარტოგრაფიული საფუძვლების შექმნა; სრულყოფილი სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზები; ერთიან საძიებო სისტემაში კონსოლიდირებული დოკუმენტები; დიგიტალიზებული დოკუმენტების მოხერხებული, მოქნილი საძიებო სისტემა; ცენტრალიზებული და მოწესრიგებული არქივი მოქნილი საძიებო სისტემით; საქართველოში ჩამოყალიბდება სამთავრობო გეოსაინფორმაციო სისტემა – ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურა (NSDI), რომელიც იფუნქციონირებს სამთავრობო, დარგობრივ და მუნიციპალურ დონეებზე.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი -** სანიველირე ქსელის მდგომარეობა დღეისათვის –70% განადგურებული ინფრასტრუქტურა; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2016 წელს მოხდება დაზიანებული ან განადგურებული ნიშნულების დამატება და ინფრასტრუქტურის აღდგენა - შესრულდება სამუშაოს 20%. 2017 წელს პროცესი გაგრძელება, შესრულდება აღდგენითი სამუშაოების დამატებით 30%. 2018 წელი – ჩატარდება აზომვითი სამუშაოების 50%, 2019 წელი– დამატებით ჩატარდება აზომვითი სამუშაოები 50%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5%; **შესაძლო რისკები -** რთული მეტეოროლოგიური პირობები, ტენდერში მონაწილე კომპანიებში კვალიფიციური კადრების უკმარისობა

	2. **საბაზისო მაჩვენებელი** - მუდმივმოქმედი სარეფერენციო სისტემა მოძველებული პროგრამული უზრუნველყოფით, 7–12 სატელიტიდან სიგნალის მიღება ერთდროულად; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2016 წელს მოხდება პროგრამული უზრუნველყოფის განახლება ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, ევროპულ და ჩინურ სატელიტების სისტემებთან ადაპტირება 15 და მეტი სატელიტიდან სიგნალის მიღება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - +/- 3 სატელიტი **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ქვეყნის ძირითადი ტერიტორია დაფარულია მოძველებული არაკორექტული მონაცემებით, 9000 კვ. კმ დაიფარა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად 2014 წლის აერო გადაღებით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ქვეყნის ტერიტორიის სრული დაფარვა ახალი მონაცემებით თანამედროვე სტანდარტების დაცვით მინიმუმ 40 000 კვ.კმ. 2016 წელს მოხდება აერო–გადაღება 40 000 კვ.კმ. , 1000 კვ.კმ-ის ლაზერული ტექნოლოგიით გადაღება. 2017 წელს - მიღებული მონაცემების დამუშავება, ორთო ფოტოსა და სიმაღლური მოდელის შექმნა. 2018 წელს - 9 000 კვ.კმ. აერო–გადაღება, მოძველებული მონაცემების განახლება ევრო სტანდარტების მიხედვით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 3% **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ძველი, საბჭოთა კავშირის პერიოდში შექმნილი რუსულენოვანი რუკები, 2006 წელს შექმნილი 50000–იანი მასშტაბის ქართულენოვანი ციფრული რუკა, შექმნილია ტერიტორიის 5%–თვის, საბჭოთა კავშირის პერიოდის 1:25 000 მასშტაბის რუკები საქართველო– თურქეთის საზღვარის მონაკვეთზე. საქართველო–სომხეთისა და საქართველო–აზერბაიჯანის საზღვრების მიმდებარე ტერიტორიებისთვის შექმნილი 10 000 მასშტაბის ციფრული ქართულენოვანი ტოპოგრაფიული რუკა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შეიქმნება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ახალი ქართულენოვანი ციფრული კარტოგრაფიული მასალა 2016–2019 წლებში, შეიქმნება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ახალი ქართულენოვანი ციფრული კარტოგრაფიული მასალა სამთავრობო სტრუქტურების მოთხოვნის შესაბამისად. ყოველწლიურად სავარაუდოდ 4-5 ათასი კვ.კმ დაფარვა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 3%; **შესაძლო რისკები** - კვალიფიციური კადრების უკმარისობა, განხორციელდება სამთავრობო სტრუქტურების მოთხოვნის შესაბამისად **5.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 64 ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურის დოკუმენტაციიდან დამუშავებულია 40 რაიონი: 24 რაიონი დაარქივებულია სრულად, ხოლო 16 რაიონი - ნაწილობრივ. დასაარქივებელია 24 ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურის მიერ რეგისტრირებული უფლებები (საერთო მასალის 46%); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2015 წლის ბოლომდე დამუშავდება - 2 833 ბაინდერი; 2016 წელს დამუშავდება - 19 856

	ბაინდერი; 2017 წლის მარტამდე დამუშავდება - 3272 ბაინდერი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 3% (დასამუშავებელი მასალის რაოდენობის გაზრდა/შემცირება); **შესაძლო რისკები** - პროექტიდან საკადრო რესურსის გადინება **6.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ბიზნესის პირველად რეგისტრაციას საფუძვლად ედება დოკუმენტის ქაღალდის ვერსია. ინდივიდუალურ მეწარმეთა არქივის 6448 ბაინდერიდან დაარქივებულია 4803 ბაინდერი; დასაარქივებელია-1 645 ბაინდერი; იურიდიული პირების არქივის 109 350 საქმიდან დაარქივებულია 1300 საქმე; არ არსებობს საქმიანობის რეესტრი, გარდა სურსათის ან ცხოველის საკვების წარმოება /რეალიზაციასთან და საზღვარგარეთ შრომით მოწყობასთნ დაკავშირებული საქმიანობისა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ბიზნესის პირველადი რეგისტრაციის ეტაპობრივად, სრულად ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა. 2016წ.-ინდივიდუალურ მეწარმეთა არქივის 1645 ბაინდერის დაარქივება; 2016წ.-იურიდიულ პირთა 13 970 საქმის დაარქივება; 2017წ.-იურიდიულ პირთა 43 280 საქმის დაარქივება; 2018წ.-იურიდიულ პირთა 43 280 საქმის დაარქივება; 2019წ.-იურიდიულ პირთა 7 520 საქმის დაარქივება; საქმიანობის რეესტრის ფორმირება და შესაბამისად სტატისტიკურ მონაცემთა არსებობა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 3% (დასამუშავებელი მასალის რაოდენობის გაზრდა/შემცირება); **შესაძლო რისკები** - არააქტიური რეგისტრირებული სუბიეტების მიერ მოთხოვნის არარსებობა. პროექტის ხანმოკლე ვადებიდან გამომდინარე, სათანადო ადამიანური რესურსის საჭირო რაოდენობის სტაბილურად შენარჩუნების სირთულეები **7.** **საბაზისო მაჩვენებელი** - პროექტის დაწყებამდე საჯარო რეესტრის ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურებში არსებული დოკუმენტაცია აღუწერავი, სხვადასხვა ადგილას გაფანტული და ნაკლებად დაცული იყო. საჯარო რეესტრის სარეგისტრაციო დოკუმენტაცია 2015 წლის ბოლოს თბილისში სრულად არის თავმოყრილი და 80 % ელექტრონულ პროგრამაშია აღწერილი. საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ 2013 წლის ბოლოს ტექნიკური აღრიცხვის არქივის ცენტრალიზების პროექტი დაასრულა. მიმდინარეობს სკანირების პროცესი. ტექნიკური აღრიცხვის არქივი შედგება 22000 არასტანდარტული ბაინდერისგან. 2015 წლის მდგომარეობით 13500 ბაინდერი დასკანერებულია; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2016 წლის ოქტომბრამდე სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ელექტრონულ ბაზაში აღწერა და დოკუმენტების ელექტრონული საძიებო კატალოგის შედგენა დასრულდება. 2016 წლის ივნისამდე ტექნიკური აღრიცხვის არქივის სკანირება დასრულდება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2% (დასამუშავებელი მასალის რაოდენობის გაზრდა/შემცირება); **შესაძლო რისკები** - პროექტის ხანმოკლე ვადებიდან გამომდინარე, სათანადო ადამიანური რესურსის საჭირო რაოდენობის სტაბილურად შენარჩუნების სირთულეები **8.**

	საბაზისო მაჩვენებელი - სივრცითი მონაცემების წარმოების, მათზე წვდომისა და გამოყენების ერთიანი სისტემის არარსებობა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სივრცითი ინფორმაციის სფეროს რეგულირება შესაბამისი საკანონმდებლო ბაზით; სივრცითი მონაცემების და მეტამონაცემების ციფრულ ფორმატში წარმოების სისტემატიზაცია და სტანდარტიზაცია; სივრცითი მონაცემების მარტივად გაცვლა და მათზე თავისუფალი ხელმისაწვდომობა სამთავრობო, დარგობრივ და მუნიციპალურ დონეზე; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - ცდომილების ალბათობა პირდაპირ პროპორციულია გაწერილ შესაძლო რისკების არსებობაზე და რთულია მათი რიცხობრივ მაჩვენებელში ასახვა

სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტი (05 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტი
პროექტის აღწერა და მიზანი	საჯარო სექტორის აუდიტორთა სერთიფიცირების სისტემის სრულყოფა, კვალიფიკაციის ასამაღლებელი (მათ შორის სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი) სასწავლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება, საჯარო სექტორის აუდიტორული და საკონსულტაციო მომსახურების განხორციელება და მომსახურების სისტემის სრულყოფა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საჯარო ფინანსების და აუდიტის სისტემის განვითარების ხელშეწყობა, სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტის ინსტიტუციური განვითარება.

იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა სახელმწიფო მხარდაჭერა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2016 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2017 წლის პროგნოზი	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი
34 02	განსახლების ადგილებში დევნილთა შენახვა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება	74,087.0	74,087.0	-	83,500.0	88,500.0	98,000.0
34 01	იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა	10,476.0	10,476.0	-	10,500.0	10,500.0	10,500.0
22 00	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	1,350.0	1,350.0	-	1,350.0	1,350.0	1,350.0
34 03	დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა	437.0	437.0	-	1,000.0	1,000.0	1,500.0
25 05	იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა	250.0	250.0	-	-	-	-
სულ		**86,600.0**	**86,600.0**	**-**	**96,350.0**	**101,350.0**	**111,350.0**

განსახლების ადგილებში დევნილთა შენახვა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება (34 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო (სამინისტროს აპარატი)
პროექტის აღწერა და მიზანი	იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მიმართ 2015-2016 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის შესაბამისად, იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების ღონისძიებების განხორციელება, მათთვის საცხოვრებელი ფართის (შეძენა, აშენება, რეაბილიტაცია) კერძო საკუთრებაში გადაცემა; დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით, თბილისსა და საქართველოს სხვა რეგიონებში მდებარე შენობების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოებთან და ახალი საცხოვრებელი ბინების მშენებლობასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვა; სავალალო მდგომარეობაში მყოფ დევნილთა ჩასახლების ობიექტების შესწავლა და შემდგომში მათი რეაბილიტაცია, დევნილთა, ლტოლვილისა ან ჰუმანიტარული სტატუსების მქონე პირთა რაოდენობის დაზუსტება და ადმინისტრაციული ხარჯების დაფინანსება სათანადო სამართლებრივი აქტის საფუძველზე; იძულებით გადაადგილებულ პირთათვის ფულადი დახმარების გაწევა, სამინისტროს მიერ დადგენილი წესით (მ.შ. ფართების დაქირავების მიზნით დევინლთა ოჯახების ყოველთვიური სოციალური დახმარების გაცემა); დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით, რეაბილიტირებული და ახალაშენებული შენობების ელექტროენერგიის, გარე საკანალიზაციო, ბუნებრივი აირის და წყლის სისტემების მიერთება და მოწყობა, სათანადო სამართლებრივი აქტის საფუძველზე; იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით, დევნილთა საკუთრებაში არსებულ ობიექტებში ჩასატარებელი სამუშაოების ღირებულების თანადაფინანსება, სათანადო სამართლებრივი აქტის საფუძველზე; გრძელვადიანი განსახლებისათვის განსაზღვრულ ობიექტებში (აშენებული, რეაბილიტირებული) დევნილთა გრძელვადიანი განსახლების ღონისძიებების დასრულებამდე, ობიექტების დაცვის მომსახურების შესყიდვა;
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	დევნილთა გრძელვადიანი განსახლება, ჩასახლების ობიექტებში გაუმჯობესებული სოციალური და საცხოვრებელი პირობები;
საბოლოო შედეგის	

შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - ბინებად რეაბილიტაციის სამშენებლო სამუშაოები ჩასატარებელია 10 ობიექტზე, მათგან 2015 წელს სრულდება 3 ობიექტი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2016 წელს დასრულდება 4 ობიექტის ბინებად რეაბილიტაციის სამშენებლო სამუშაოები, ხოლო 3 ობიექტის დასრულების ვადა იგეგმება 2016 წლის შემდეგ 2. **საბაზისო მაჩვენებელი** - დღეის მდგომარეობით გრძელვადიან განსახლებას ექვემდებარება დევნილთა 56 037 ოჯახი, მათ შორის გადაუდებელია 32 000 შემთხვევა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2016-2019 წლებში თითოეულ წელს დაგეგმილია საშუალოდ 1700-დან 2000-მდე დევნილი ოჯახის გრძელვადიანი განსახლება

იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა (34 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი
პროექტის აღწერა და მიზანი	ქვეყნის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით დევნილთა, ლტოლვილთა, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა, თავშესაფრის მაძიებელთა, რეპატრიანტთა მიგრაციული ნაკადების რეგულირება, მათი დროებითი ან მუდმივი განსახლების ორგანიზება, ადაპტაციისათვის და საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის საჭირო პირობების შექმნა და სოციალური დაცვა; დევნილი მოსახლეობის თვითკმარობის გაზრდა, სახელმწიფოზე მათი დამოკიდებულების შემცირება-აღმოფხვრა და უკიდურესად გაჭირვებული, დაუცველი დევნილების ერთიან სოციალურ პროგრამებში ინტეგრირება საერთო კრიტერიუმების საფუძველზე; რეპატრიანტის სტატუსის მაძიებელთა აპლიკაციების სისტემატიზაცია, ანალიზი და განხილვა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად; არალეგარული მიგრაციის პრევენცია, დროებითი ლეგალური შრომითი მიგრაციის შესაძლებლობის გაზრდა;

	რეადმისიის ხელშეკრულების საფუძველზე დაბრუნებულთა რეინტეგრაციის უზრუნველყოფა და შესაბამისი მონაცემთა ბაზის შექმნა; ოკუპირებულ ტერიტორიებზე უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების მოთხოვნის მქონე დევნილების გამოკვეთა, აღნიშნული ქონების შემდგომი პრივატიზაციის პროცესის მოსამზადებლად; ეკომიგრანტთა განსახლების ორგანიზება და ახალ საცხოვრებელ ადგილებზე მათი ადაპტაცია-ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (22 00)	
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებისგან გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრებთა შორის ნდობის აღდგენის, მათი შერიგებისა და დეოკუპაციისათვის საფუძვლის მომზადების მიზნით ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჰუმანიტარული, სოციალურ-ეკონომიკური და ნდობის გაღრმავების მიმართულებებით განსახორციელებელი პროექტების ხელშეწყობა და კოორდინაცია; ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, მათთვის განათლების, მედიისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, მათი სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლება და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება-განვითარება; რეინტეგრაციის მიზნით ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელება.

დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა (34 03)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიზნით, მათი პრობლემების გრძელვადიანი, მდგრადი და საჭიროებას მორგებული ფორმით გადაწყვეტა; დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის მიმართულებით პროგრამის შემუშავება; მონაცემთა ერთიანი ბაზის შემუშავება, რომელშიც აისახება ქვეყანაში მოქმედი სახელმწიფო, საერთაშორისო და ადგილობრივი არასათავრობო ორგანიზაციებისა და ბიზნეს-სექტორის მიერ განხორციელებული და დაგეგმილი პროექტების შესახებ ინფორმაცია და ამ კუთხით ბენეფიციართა ინფორმირებულობის უზრუნველყოფა.
პროექტის მოსალოდნელი	ქვეყანაში მოქმედი სახელმწიფო,საერთაშორისო და ადგილობრივი არასათავრობო ორგანიზაციებისა და ბიზნეს-სექტორის

საბოლოო შედეგი	კოორდინირებული მუშაობით მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების შესახებ ინფორმაციის თავმოყრა და ბენეფიციართა ინფორმირებულობა; დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - საარსებო წყაროებით უზრუნველყოფას საჭიროებს დევნილთა 33 000 ოჯახი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2016-2019 წლებში თითოეულ წელს მოხდება საშუალოდ 150 ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილება 2. **საბაზისო მაჩვენებელი** - საჭიროა მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების შესახებ ინფორმაციის ერთიან ბაზაში თავმოყრა და ბენეფიციარებთან საინფორმაციო შეხვედრების მოწყობა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მონაცემთა ბაზის განახლება (ყოველთვიურად); დევნილებთან წელიწადში 5 საინფორმაციო შეხვედრის მოწყობა

იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა (25 05)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
პროექტის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია საცხოვრებელი სახლების მშენებლობა-რეაბილიტაცია დევნილი მოსახლეობისთვის, სოციალური დაცვის, ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნის და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი ინტეგრაციის ხელშესაწყობად; ასევე, იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურ დასახლებებში ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურული გარემო დევნილთა დასახლებებში; იძულებით გადაადგილებულ პირთა გაუჯობესებული საცხოვრებელი პირობები.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - იძულებით გადადგილებულ პირთათვის აშენებულია 384 ახალი სახლი და რეაბილიტირებულია 136 სახლი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - იძულებით გადაადგილებულ პირთათვის გაზრდილია აშენებული და რეაბილიტირებული სახლების რაოდენობა და ხარისხი

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2016 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2017 წლის პროგნოზი	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი
39 02	სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები	74,942.0	73,992.0	950.0	80,500.0	73,200.0	71,200.0
33 02	ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ	69,005.0	55,342.0	13,663.0	70,120.0	70,320.0	70,620.0
42 01	მაუწყებლობის ხელშეწყობა	46,275.0	44,100.0	2,175.0	49,125.0	55,375.0	59,840.0
33 04	კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა	21,801.0	16,621.0	5,180.0	21,880.0	22,280.0	22,680.0
45 01	სასულიერო განათლების ხელშეწყობის გრანტი	14,683.0	14,683.0	-	14,683.0	14,683.0	14,683.0
39 04	ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებები	7,023.0	6,537.0	486.0	9,895.0	10,595.0	11,145.0
39 03	სპორტის სფეროში დამსახურებულ მოღვაწეთა სოციალური დაცვის ღონისძიებები	6,084.0	6,084.0	-	7,584.0	8,284.0	8,284.0
33 01	კულტურისა და ძეგლთა დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა	5,856.0	5,856.0	-	6,000.0	6,000.0	6,000.0
55 00	სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო	5,600.0	5,600.0	-	5,600.0	5,600.0	5,600.0
39 01	სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა	3,387.0	3,387.0	-	4,000.0	4,000.0	4,000.0
45 09	საქართველოს საპატრიარქოს ა(ა)იპ – ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტისათვის გადასაცემი გრანტი	2,449.0	2,449.0	-	2,449.0	2,449.0	2,449.0
45 08	საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის	2,000.0	2,000.0	-	2,000.0	2,000.0	2,000.0

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2016 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2017 წლის პროგნოზი	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი
	ქართული უნივერსიტეტისათვის გადასაცემი გრანტი						
45 03	ა(ა)იპ – ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის საგანმანათლებლო ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი	1,768.0	1,768.0	-	1,768.0	1,768.0	1,768.0
45 04	საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ნინოს სახელობის ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონატისათვის გადასაცემი გრანტი	959.0	959.0	-	959.0	959.0	959.0
45 11	საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზიის სუბსიდირების ღონისძიებები	800.0	800.0	-	800.0	800.0	800.0
45 13	ა(ა)იპ ფოთის საგანმანათლებლო და კულტურულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი	653.0	653.0	-	653.0	653.0	653.0
45 12	ა(ა)იპ – ახალქალაქისა და კუმურდოს ეპარქიის სასწავლო ცენტრისთვის გადასაცემი გრანტი	500.0	500.0	-	500.0	500.0	500.0
45 06	საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო სწავლების ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი	447.0	447.0	-	447.0	447.0	447.0
45 05	საქართველოს საპატრიარქოს ბათუმის წმინდა მოწამე ეკატერინეს სახელობის სათნოების სავანისათვის გადასაცემი გრანტი	261.0	261.0	-	261.0	261.0	261.0
45 07	წმინდა გიორგი მთაწმინდელის მონასტერთან არსებული სარეაბილიტაციო ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი	230.0	230.0	-	230.0	230.0	230.0
45 02	ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა სვიმონ კანანელის სახელობის სასულიერო სწავლების ცენტრი	150.0	150.0	-	150.0	150.0	150.0

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2016 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2017 წლის პროგნოზი	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი
45 10	ა(ა)იპ – სმენადაქვეითებულ ბავშვთა რეაბილიტაციის და ადაპტაციის ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი	100.0	100.0	-	100.0	100.0	100.0
სულ		**264,973.0**	**242,519.0**	**22,454.0**	**279,704.0**	**280,654.0**	**284,369.0**

სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები (39 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზდების ეროვნული ცენტრი; საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო; სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯი; სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი; სსიპ ქართული სპორტის მუზეუმი
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოში მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის სახეობების განვითარება, სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მისი რეაბილიტაცია; ეროვნული, სხვადასხვა ასაკობრივი და ქალთა ნაკრებებისათვის ყველა საჭირო პირობის შექმნა; ქვეყნის ნაკრები გუნდების მზადება და მონაწილეობა საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატები, პირველობები, მსოფლიო და ოლიმპიური თამაშები, საერთაშორისო ტურნირები, სასწავლო საწვრთნელი შეკრებები); საქართველოს ჩემპიონატების, პირველობების ჩატარება, სპორტული რეზერვის და მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადება, სპორტის პოპულარიზაცია და პროპაგანდა; ოლიმპიური და პარაოლიმპიური თამაშებისათვის მეტი ოლიმპიური ლიცენზიის მოსაპოვებლად საქართველოს ნაკრები გუნდების მზადება და ოლიმპიადებზე საქართველოს სპორტსმენთა მონაწილეობის უზრუნველყოფა; პარასპორტსმენთათვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურის განვითარება; საქართველოს კადეტთა და იუნიორთა ნაკრები გუნდების წევრობის კანდიდატების მომზადება; ქართული სპორტის წარმატებების ამსახველი მასალების შეკრება, დაკომპლექტება, აღრიცხვა, შენახვა-დაცვა, შესწავლა და

	პოპულარიზაცია; უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, ევროპის საგანმანათლებლო მოდელის პოპულარიზაცია და დანერგვა.კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული ბავშვები და მოზარდები; მოსახლეობაში დანერგილი ცხოვრების ჯანსაღი წესი; ქვეყნის ნაკრები გუნდების შევსება ახალგაზრდა პერსპექტიული სპორტსმენებით; გაუმჯობესებული სპორტული ინფრასტრუქტურა; საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ინვენტარით, ეკიპირებით და სათანადო სამედიცინო დონის მომსახურეობით უზრუნველყოფილი ნაკრებები; მსოფლიო, ოლიმპიური და ევროპის ჩემპიონებისა და პრიზიორების გაზრდილი რაოდენობა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - ფეხბურთში, კალათბურთში, რაგბში, პარაოლიმპიურ, ფარიკაობის, ჭადრაკის, ხელბურთის, ძიუდოს, ჭიდაობის, ქართული ჭიდაობის, მძლეოსნობის, ტანვარჯიშის, საწყლოსნო და სპორტის სხვა სახეობებში ეროვნულ და საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობა წლიური კალენდრის მიხედვით; სპორტულ და ფიზიკურ აქტივობებში ჩართულია მოსახლეობის 16% (კვლევის შედეგები); 10 ათასამდე სამუზეუმო ექსპონატი და 3 ათასამდე ვიზიტორი (სტატისტიკური მონაცემები); ფიზიკური აღზრდისა და სპორტის უმაღლესი და პროფესიული განათლებისთვის რეაბილიტირებული 3 სართული და 500-მდე სტუდენტი; ოლიმპიური რეზერვების ბაზაზე მცხოვრები 150 და მოვარჯიშე 500-მდე სპორტსმენი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საერთაშორისო სტანდარტების და თანამედროვე ინვენტარით აღჭურვილი სპორტული ობიექტები; სპორტული ღონისძიებების კალენდარული (წლიური) გეგმის შესრულება; საქართველოდან ოლიმპიური, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონებისა და პრიზიორების გაზრდილი რაოდენობა; ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით სხვადასხვა სპორტული აქტივობების ჩატარება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5-7%; **შესაძლო რისკები** - წლიური კალენდრის 10-15%-ით შეუსრულებლობა; სპორტულ და ფიზიკურ აქტივობებში ჩართულ პირთა, ოლიმპიური რეზერვების, მზადების ცენტრის ბენეფიციართა, უმაღლეს და პროფესიულ სასპორტო დაწესებულებებში სწავლის მსურველთა ინტერესის ნაკლებობა

ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ (33 02)

პროგრამის განმახორციელებელი	სახელმწიფო და დრამატული თეატრები, ანსამბლები; საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	ქვეყნის პოპულარიზაციის და მისი პოზიტიური იმიჯის ჩამოყალიბების მიზნით ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც გააღვივებენ ინტერესს საქართველოს მიმართ და დაუმკვიდრებენ მას სათანადო ადგილს ევროპული ცივილიზაციის ისტორიულ და მიმდინარე კონტექსტში; პროგრამა ორიენტირებულია ევროკავშირის წევრ და სხვა პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობის გზით საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების გაღრმავებაზე, საერთაშორისო თანამშრომლობასა და სხვადასხვა პროგრამებში მონაწილეობაზე, ასევე საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით ქართული კულტურის პოლიტიკის გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავებაზე. სახელოვნებო ორგანიზაციებში კრეატიული აზროვნების დანერგვა-ხელშეწყობა, ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის ტრადიციების დაცვა და განვითარება; კლასიკური და თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაციის მიზნით სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამების შემუშავება და განხორციელება; საერთაშორისო ფორუმებში მონაწილეობის უზრუნველყოფა და ანალოგიურ ღონისძიებათა საქართველოში მოწყობა; ქვეყანაში ხელოვნების პოპულარიზაცია, საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში საერთაშორისო თეატრალური, მუსიკალური, სახვითი, კინო და საბალეტო ხელოვნების, წიგნის ფესტივალების, კონცერტებისა და გამოფენების მოწყობა-ხელშეწყობა; საქართველოს რეგიონებში კულტურისა და ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა, მნიშვნელოვანი ახალი და არსებული ღონისძიებების ხელშეწყობა-განვითარება; სახელოვნებო ინსტიტუციებისა და ორგანიზაციების მდგრადი განვითარების ხელშეწყობა; პროფესიული განვითარების ხელშეწყობა; კულტურული და სახელოვნებო საკომუნიკაციო და თანამშრომლობითი პლატფორმის ხელშეწყობა; შემოქმედებითი (მათ შორის ფოლკლორული) კოლექტივებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების სხვადასხვა ქვეყნებში გასამართ ფესტივალებში, კონკურსებსა და გამოფენებში მონაწილეობის ხელშეწყობა; რეგიონებში თეატრების ხელშეწყობა, აგრეთვე მათი სადადგმო ხარჯების დაფარვის თანადაფინანსება; კულტურის სფეროს მდგრადობის და ფინანსური გაძლიერების უზრუნველყოფა; საინვესტიციო პროექტების შერჩევა, მომზადება, განხორციელება და მონიტორინგი.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საქართველოს, როგორც უნიკალური და უძველესი კულტურით, ასევე თანამედროვე კულტურით ღირსეული ადგილის დაკავება მსოფლიო კულტურის სივრცეში; განვითარებული და გაღრმავებული კულტურული ურთიერთობები სხვა ქვეყნებთან; შეიქმნება ქვეყნის კულტურის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი და განისაზღვრება საქართველოში კულტურის სფეროს გრძელვადიანი ხედვა. საქართველოს შესაძლებლობა გაუჩნდება მონაწილეობა მიიღოს ევროკავშირის კულტურის სფეროს პროგრამებში. საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ჯგუფებში ქვეყნისადმი პოზიტიური განწყობის ამაღლება. საქართველოს დედაქალაქსა და

	რეგიონებში განხორციელებული ახალი დადგმებით, გასტროლებით, კონცერტებით, კონკურსებით, ფესტივალებით, გამოფენებით, კინოფილმების ჩვენებით, ახალი წიგნებით, ეროვნულ უმცირესობათა კულტურის წარმოჩინებით,კულტურულ ცხოვრებაში შეზღუდული შესაძლებლობების,მქონე პირთა ინტეგრირებით საქართველოს მოქალაქეების ინფორმირებულობის ამაღლება, გემოვნების დახვეწა და ხელოვნებაში მიმდინარე პროცესებისადმი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; რეგიონებში განხორციელებული ღონისძიებების დონის ამაღლება; რეგიონებში კულტურული ცხოვრების განვითარება, ადგილობრივი ინსტიტუციების, ორგანიზაციებისა და კოლექტივების პოპულარიზაცია და მათი ჩართვა ქვეყნის ერთიან კულტურულ სივრცეში; ცენტრალურ უწყებასა და რეგიონების კულტურის სამსახურებს შორის თანამშრომლობის გააქტიურება, მუშაობის კოორდინაცია; რეგიონებში არსებული ინსტიტუციების, ორგანიზაციების, კოლექტივებისა და გაერთიანებების მდგრადობა და ცნობადობა; რეგიონებში თანამედროვე მიმართულებების ინტეგრაცია და განვითარება, რეგიონების საერთაშორისო ასპარეზზე წარმოჩენა; კულტურის სფეროს მდგრადობის მიღწევა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - დაგეგმილი საერთაშორისო ღონისძიებების რიცხვი წლის ბოლომდე 165-მდე გაიზრდება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - დაგეგმილი საერთაშორისო ღონისძიებების რიცხვი 230-მდე გაიზრდება (ქართული კულტურის პოპულარიზაცია და ქვეყნისადმი ინტერესის გაღვივება; საერთაშორისო სახელოვნებო თანამშრომლობითი პლატფორმის ხელშეწყობა; ღონისძიებების მასშტაბურობასა და მომგებიანობაზე); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - თანადაფინანსების მოძიების პრობლემა, დროის მენეჯმეტი, ორგანიზაციული მართვა და კომუნიკაცია; საზოგადოების მხრიდან ღონისძიებისადმი ინტერესის სიმცირე **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - დაგეგმილ ღონისძიებებზე დამსწრეთა მაჩვენებელი დაახლოებით წლის ბოლომდე 1 800 000-მდე გაიზრდება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - დაგეგმილ ღონისძიებებზე დამსწრეთა მაჩვენებელი დაახლოებით 2 200 000-მდე გაიზრდება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - ორგანიზაციული მართვა და კომუნიკაცია; კადრების კვალიფიკაცია; მმართველი სტრუქტურების სისუსტე; ღონისძიების ხარისხი და ცნობადობა **3.**

	საბაზისო მაჩვენებელი - საზღვარგარეთ ჩატარებული საქართველოს კულტურის პრეზენტაციის დღეების რაოდენობა დაახლოებით წლის ბოლომდე 30-მდე გაიზრდება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საზღვარგარეთ ჩატარებული საქართველოს კულტურის პრეზენტაციის დღეების რაოდენობა დაახლოებით 100-მდე გაიზრდება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - თანადაფინანსების მოძიების პრობლემა; დროის მენეჯმენტი **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - საქართველოსა და საზღვარგარეთ ორგანიზებული მუსიკალური ფესტივალების, სპექტაკლების და გამოფენების რაოდენობა დაახლოებით წლის ბოლომდე 2 300-მდე გაიზრდება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საქართველოსა და საზღვარგარეთ ორგანიზებული მუსიკალური ფესტივალების, სპექტაკლების და გამოფენების რაოდენობა დაახლოებით 3 400-მდე გაიზრდება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - ღონისძიებების ხარისხი და ცნობადობა, უწყებათაშორისი კომუნიკაცია და სხვა ფორსმაჟოული სიტუაციები

მაუწყებლობის ხელშეწყობა (42 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო; სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებელი
პროექტის აღწერა და მიზანი	საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით გადაცემების, ფილმებისა და სპორტული ღონისძიებების, ასევე საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების მომზადება და გაშუქების უზრუნველყოფა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	უწყვეტი ეთერის უზრუნველყოფა, საზოგადოებისათვის ხარისხიანი საინფორმაციო და ტელეგადაცემების მიწოდება.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა (33 04)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო; სახელმწიფო მუზეუმები და სახლ-მუზეუმები; საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის, კულტურის უძრავი და მოძრავი ძეგლების კულტურულ ღირებულებათა აღრიცხვა;

	საქართველოს მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, ტექნიკური ხელშეწყობა და სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, დაცვა და პოპულარიზაცია. ინფრასტრუქტურის განვითარება, სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო ღონისძიებების განხორციელება; სამუზეუმო კოლექციების დიაგნოსტიკა, ექსპონატთა რესტავრაცია, აღრიცხვა, ინვენტარიზაცია და პასპორტიზაცია; UNESCO-ს ვალდებულებების შესრულება, ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებულ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა მონიტორინგი, შესწავლა, შესაბამის სახელმწიფოებთან ერთად ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება; მუზეუმებისა და კულტურული ძეგლების ინფრასტრუქტურის განვითარება; კულტურული მემკვიდრეობის ადგილებში ტურისტების რაოდენობის ზრდა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - ვიზიტორთა რაოდენობა დაახლოებით წლის ბოლომდე 1 153 000-მდე გაიზრდება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ვიზიტორთა რაოდენობა დაახლოებით 1 930 000-მდე გაიზრდება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - საზოგადოებაში კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა 2. **საბაზისო მაჩვენებელი** - კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებზე მომზადებული 70-მდე სარეაბილიტაციო პროექტი და რესტავრირებული ძეგლი, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებზე მომზადებული 170-მდე სარეაბილიტაციო პროექტი და რესტავრირებული ძეგლი, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - კლიმატური პირობები, შესყიდვის პროცედურების შეფერხება, არქეოლოგიური სამუშაოების პროცესში გამოვლენილი ახალი გარემოებები, სავარაუდო აღმოჩენები, ძეგლების მდგომარეობის გაუარესება წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზებით (სტიქია, ვანდალიზმი და სხვა)

მუზეუმების ხელშეწყობა (33 04 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო; სახელმწიფო მუზეუმები და სახლ-მუზეუმები
პროექტის აღწერა და მიზანი	სამუზეუმო საქმის მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება ქვეყნის მასშტაბით, მუზეუმებში მართვის თანამედროვე სტანდარტების დანერგვა და პოპულარიზაცია, სამუზეუმო რეფორმის წარმატებით დასრულება. ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების დაფინანსებაზე მყოფი მუზეუმების ხელშეწყობა და სამუზეუმო სფეროში განსახორციელებელი პროექტების მხარდაჭერა. სამუზეუმო ექსპონატების სისტემატიზაციისა და აღრიცხვიანობის ციფრულ ვერსიაზე გადასვლა. მუზეუმების შესახებ არსებული საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგება, მუზეუმების მენეჯმენტის თანამედროვე სტანდარტების დანერგვა, საერთაშორისო სამუზეუმო ინსტიტუციებთან ურთიერთობა, კულტურული მემკვიდრეობის კვლევა და პოპულარიზაციის მიმართულებით გატარებული ღონისძიებების მხარდაჭერა. მუზეუმებში დაცული კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების დაცვა-კონსერვაცია თანამედროვე გამოცდილების გათვალისწინებით; მუზეუმებში დაცული საგანძურის დაცვის პირობების გაუმჯობესება და ტექნიკური პრობლემების მოგვარება.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	საქართველოს მუზეუმების კოლექციების მართვის ელექტრონული სისტემის შემუშავება და ეტაპობრივად დანერგვა; პრევენციული ღონისძიებების გატარების შედეგად გადარჩენილი სამუზეუმო ფასეულობები საქართველოსა და საერთაშორისო კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანილი საკანონმდებლო ბაზა ("მუზეუმების შესახებ" საქართველოს კანონი, კანონქვემდებარე აქტები) სამუზეუმო საქმის მენეჯმენტის განვითარება საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით; გააქტიურებული საგამოფენო-საექსპოზიციო საქმიანობა - ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ მოწყობილი გამოფენები, გამოცემული სარეკლამო მასალა და სამეცნიერო -კვლევითი ნაშრომები; სოციუმის მოთხოვნებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება მუზეუმებში; სამუზეუმო საქმის სპეციალისტთა პროფესიული დონის ამაღლება, სპეციალისტთა მომზადებისა და გადამზადებისთვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება (ტრენინგები, კონფერენციები, ვორქშოფები) და საერთაშორისო სამუზეუმო სფეროში არსებული გამოცდილების გაზიარება; საერთაშორისო სამუზეუმო ინსტიტუციებთან აქტიური თანამშრომლობა; ქვეყანაში კულტურული ტურიზმის განვითარებისთვის ხელშეწყობა.

შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - ვიზიტორთა რაოდენობა დაახლოებით წლის ბოლომდე 1 000 000-მდე გაიზრდება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ვიზიტორთა რაოდენობა დაახლოებით 1 100 000-მდე გაიზრდება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5 %; **შესაძლო რისკები** - ქვეყანაში ტურისტების ნაკადის შემცირება, მუზეუმების საქმიანობაში საზოგადოების ჩართულობის დაბალი მაჩვენებელი 2. **საბაზისო მაჩვენებელი** - 7-მდე გამოცემული სამუზეუმო მეთოდოლოგიური ლიტერატურა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2-მდე გამოცემული სამუზეუმო მეთოდოლოგიური ლიტერატურა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - უცხოური ლიტერატურის თარგმანსა და გამოცემაზე უფლების მოპოვების შეფერხება

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა (33 04 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს არქიტექტურული კომპლექსების (ისტორიული დასახლებისა და ქალაქების), კულტურული მემკვიდრეობის ცალკეული ნიმუშების დაცვა და რეაბილიტაცია; კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ინფრასტრუქტურის მოწყობა-განვითარება; მუზეუმების/მუზეუმ-ნაკრძალების რეაბილიტაცია-რევიტალიზაცია და ექსპოზიციათა განახლება; მუზეუმებსა და მუზეუმ-ნაკრძალებში კულტურული ტურიზმის განვითარებისა და მისთვის მიმზიდველი გარემოს შექმნის ხელშეწყობა; საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ერთიანი საინფორმაციო სისტემის/სივრცის შექმნა; საერთაშორისო და ორმხრივი ურთიერთობების წარმართვა-განვითარება კულტურული მემკვიდრეობის სფეროში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით; საქართველოს რეგიონებთან და ისტორიულ ქალაქებთან თანამშრომლობა რეგიონებში კულტურული მემკვიდრეობის მართვის უნარების გაძლიერების, კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების მიზნით; UNESCO-ს ვალდებულებების შესრულება; კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია, საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა; არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების/ძეგლების ინვენტარიზაცია, დაცვისა და სისტემატიზაციის მექანიზმების შემუშავება. UNESCO-ს „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის“ კონვენციასთან კანონმდებლობის ჰარმონიზაციისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება. კულტურულ ფასეულობათა გატანისა და შემოტანის ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა-განვითარება და კონტროლის მექანიზმების შემუშავება.

პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა/კომპლექსთა კონსერვაცია-რესტავრაცია და მომავალი თაობებისათვის შენარჩუნება; ისტორიულ-კულტურული ღირებულების მქონე მასშტაბური ძეგლების რეაბილიტაცია, რომელთა შორისაა მსოფლიო მემკვიდრეობისა და ეროვნული მნიშვნელობის ძეგლები; ძეგლთა დეტალური სააღრიცხვო, კვლევითი, სხვადასხვა ტიპის დაზიანებათა სადიაგნოსტიკო დოკუმენტაციის შექმნა; კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების, ობიექტებისა და ძეგლების სისტემატიზაცია, საერთაშორისო სამეცნიერო მიმოქცევაში ჩართვა; საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე შესაბამისი დებულებების განხორციელება, საკანონმდებლო, ადმინისტრაციული მართვის პროექტების შემუშავება; ინფორმაციის შენახვის, განახლებისა და გავრცელების თანამედროვე სტანდარტების დანერგვა; მუზეუმების საგამოფენო-საექსპოზიციო საქმიანობის გააქტიურება კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციების განვითარებითა და გაძლიერებით; კულტურული ტურიზმის განვითარება და ტურიზმისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა; სპეციალისტთა და საზოგადოების ფართო წრეების ჩართვა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საქმეში.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებზე მომზადებული 70-მდე სარეაბილიტაციო პროექტი და რესტავრირებული ძეგლი, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებზე მომზადებული 50-მდე სარეაბილიტაციო პროექტი და რესტავრირებული ძეგლი, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - კლიმატური პირობები, შესყიდვის პროცედურების შეფერხება, გადაუდებელი სამუშაოები, სარეაბილიტაციო, არქეოლოგიური სამუშაოების პროცესში გამოვლენილი ახალი გარემოებები, სავარაუდო აღმოჩენები; ძეგლების მდგომარეობის გაუარესება წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზებით (სტიქია, ვანდალიზმი და სხვა) 2. **საბაზისო მაჩვენებელი** - გამოვლენილი და აღკვეთილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე უნებართვო სამუშაოები 35-მდე; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - გამოვლენილი და აღკვეთილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე უნებართვო სამუშაოები 50-მდე; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 6%; **შესაძლო რისკები** - მონიტორინგის განხორციელების ხელისშემშლელი ფაქტორები; კლიმატური პირობები 3. **საბაზისო მაჩვენებელი** - ვიზიტორთა რაოდენობა დაახლოებით წლის ბოლომდე 153 000-მდე გაიზრდება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ვიზიტორთა რაოდენობა დაახლოებით 230 000-მდე გაიზრდება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - შესაბამისი ინფრასტრუქტურის არქონა, საზოგადოებაში კულტურული მემკვიდრეობის შესახებ

	ინფორმაციის ნაკლებობა და სხვა ფორსმაჟორული სიტუაციები

სასულიერო განათლების ხელშეწყობის გრანტი (45 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	სასულიერო განათლების ხელშეწყობის გრანტი
პროექტის აღწერა და მიზანი	ახალგაზრდების ქრისტიანული ღირებულებებით აღზრდის მიზნით დაფინანსდება საპატრიარქოს 70-ზე მეტი საგანმანათლებლო-კულტურული და საქველმოქმედო ორგანიზაცია საქართველოს სხვადასხვა (მ.შ. მაღალმთიან) რეგიონებში, კერძოდ, სასულიერო აკადემიები და სემინარიები, უნივერსიტეტი, სკოლა-გიმნაზიები,დედათა და ბავშვთა სახლები, ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონები, სმენადაქვეითებულ ბავშვთა რეაბილიტაციისა და ადაპტაციის ცენტრი, პროფესიული კოლეჯი და სახელობო სასწავლებლები.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - 000

ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებები (39 04)	
პროგრამის განმახორციელებელი	სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს აპარატი; სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი; სსიპ საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი
პროექტის აღწერა და მიზანი	სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფო ახალგაზრდულ სტრუქტურებთან თანამშრომლობა, ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა და წახალისება, არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, თავისუფალი დროის შინაარსიანად და ეფექტურად ხარჯვის ორგანიზება, საქართველოს ახალგაზრდობის ინტელექტუალური, სულიერი და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენა, ფორმირება და სრულყოფა; ახალგაზრდა და პოტენციურად მომგებიანი ბიზნეს იდეების მქონე საინიციატივო ჯგუფების ხელშეწყობა; ბავშვთა და ახალგაზრდობის გონებრივ, ფიზიკურ, ზნეობრივ, ესთეტიკურ და სოციალურ-ემოციურ განვითარებაზე ზრუნვა, სხვადასხვა კატეგორიის სოციალურად დაუცველ ბავშვებზე ზრუნვის ხელშეწყობა, მოზარდთა ინტერესების შესაბამისად პროფილური წრეების, ცენტრების, კლუბების და სტუდიების შექმნის ხელშეწყობა; პროგრამა „მომავლის ბანაკის“ ფარგლებში ქართველი და უცხოელი ახალგაზრდების აქტიური დასვენებით უზრუნველყოფა; პროგრამა „ახალგაზრდული ფესტივალის“ ფარგლებში კულტურულ-შემოქმედებითი, შემეცნებითი და გასართობი

	ღონისძიებების მოწყობა, ქართველი ახალგაზრდების ჩართვა სხვადასხვა აქტივობებში, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა, ახალგაზრდების ცოდნისა და უნარების გაღრმავება სხვადასხვა მიმართულებით.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართული, ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების აქტივობების ზრდა; ქართველ და უცხოელ ახალგაზრდებს შორის საქმიანი თანამშრომლობა, ახალგაზრდებში გაზრდილი სამოქალაქო ცნობიერება და კანონის პატივისცემა, ახალგაზრდების მხრიდან თავისუფალი დროის შინაარსიანი და ეფექტური ხარჯვა; კულტურულ-შემოქმედებით და საერთაშორისო ღონისძიებებში ჩართული ახალგაზრდები; წახალისებული და მოტივირებული ახალგაზრდები.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - 10 ათასამდე ბენეფიციარი ჩართულია ახალგაზრდულ პროექტებში; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ახალგაზრდულ პროექტებში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობის გაზრდა 122 ათასამდე; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10-15%; **შესაძლო რისკები** - კლიმატური პირობები

სპორტის სფეროში დამსახურებულ მოღვაწეთა სოციალური დაცვის ღონისძიებები (39 03)	
პროგრამის განმახორციელებელი	სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს აპარატი
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოში მცხოვრები წამყვანი სპორტსმენებისა და მწვრთნელების, ნაკრებების მომსახურე პერსონალის, ოლიმპიური ჩემპიონების, საჭადრაკო ოლიმპიადების გამარჯვებულების, ვეტერანი სპორტსმენებისა და სპორტის მუშაკების დახმარება და მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საწვრთნელი პროცესის წარმართვისათვის ხელშეწყობა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	პროგრამის ბენეფიციართა (ოლიმპიური ჩემპიონები და საჭადრაკო ოლიმპიადების გამარჯვებულები, ვეტერანი სპორტსმენები და სპორტის მუშაკები, მოქმედი წამყვანი სპორტსმენები და მწვრთნელები, ნაკრებების მომსახურე პერსონალი) მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - 1000 ბენეფიციარი;

	მიზნობრივი მაჩვენებელი - ახალგაზრდა სპორტსმენთა მოტივაციის ამაღლება დახმარებებისა და სტიპენდიების გაცემის გზით. ბენეფიციართა რაოდენობის გაზრდა 1100-მდე

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა (33 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	კულტურის, კულტურული მემკვიდრეობისა და ხელოვნების სფეროებში ერთიანი პოლიტიკის შემუშავება, დაგეგმვა და მისი განხორციელების კოორდინაცია; ერთიანი სამუზეუმო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება; სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა; კულტურის სფეროში განსაკუთრებით ნიჭიერ ბავშვთა და ახალგაზრდა შემოქმედთა მხარდაჭერა; საზღვარგარეთ საქართველოს კულტურის ცენტრების შექმნის ხელშეწყობა, კულტურის დღეების, გაცვლითი გასტროლების, კონკურსების, ფესტივალებისა და გამოფენების ორგანიზება; კულტურულ ღირებულებათა დაცვა, მათი შესწავლა და პოპულარიზაცია.

სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო (55 00)	
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოში რელიგიის სფეროში არსებული მდგომარეობის კვლევა და შესაბამისი ინფორმაციის საქართველოს მთავრობისთვის წარდგენა; რელიგიური გაერთიანებების პრობლემებისა და რელიგიის სფეროში განათლების შესახებ რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება; საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურების უზრუნველყოფა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	რელიგიური გაერთიანებების შესახებ საინფორმაციო ბანკის შექმნა; რეკომენდაციების მომზადება სამოქალაქო საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობაში ტოლერანტული გარემოსა

	და შემწყნარებლობის მხარდასაჭერად; რეკომენდაციები რელიგიურ - საკულტო დანიშნულების ნაგებობების მშენებლობის, მათი ადგილმდებარეობის განსაზღვრის და სხვადასხვა შენობება-ნაგებობის რელიგიურ-საკულტო დანიშნულების შენობად გარდაქმნის თაობაზე; კავშირის დამყარება და თანამშრომლობა სხვადასხვა სახელმწიფოთა რელიგიურ ორგანიზაციებთან.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა (39 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	სამინისტროს პროგრამების შეუფერხებელი განხორციელება; ფიზიკური აღრზდისა, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში ქვეყნის ერთიანი პოლიტიკის შემუშავება, დაგეგმვა და მისი რეალიზების კოორდინაცია; სპორტის განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნა და ძირითად მიმართულებათა განსაზღვრა; ერთიანი სპორტული კლასიფიკაციის შემუშავება და დამტკიცება, სპორტის სახეობათა, პროფესიული და მოყვარულთა სპორტული კლუბებისა და ორგანიზაციების სტატუსის განსაზღვრა; სპორტში აკრძალულ მასტიმულირებელ საშუალებათა (დოპინგი) გამოყენების აღმოფხვრის ღონისძიებათა განხორციელება; სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში საინვესტიციო და საქველმოქმედო საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობა; ახალგაზრდა მეცნიერთა, სპორტსმენთა და შემოქმედთათვის სახელმწიფო მხარდაჭერა, კომპეტენციის ფარგლებში სამეცნიერო-საგანმანათლებლო სფეროში სახელმწიფო პროგრამების შემუშავება და შესაბამის უწყებებთან ერთად მათი განხორციელება; კომპეტენციის ფარგლებში სპორტთან და ახალგაზრდობასთან დაკავშირებული კანონის პროექტების შემუშავება;
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში გატარებული ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **მიზნობრივი მაჩვენებელი -** სპორტის სფეროში მიღწეული შედეგები; სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში განსახორციელებელი პროგრამების შეუფერხებელი ფუნქციონირების ხელშეწყობა; სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროს საკანონმდებლო ბაზის კვლევა და შეფასება

საერთაშორისო ურთიერთობები და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2016 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2017 წლის პროგნოზი	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი
28 01	საგარეო პოლიტიკის განხორციელება	109,629.0	109,615.0	14.0	125,300.0	130,350.0	135,350.0
20 00	ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	3,100.0	3,100.0	-	3,100.0	3,100.0	3,100.0
21 00	დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	1,200.0	1,200.0	-	1,200.0	1,200.0	1,200.0
სულ		**113,929.0**	**113,915.0**	**14.0**	**129,600.0**	**134,650.0**	**139,650.0**

საგარეო პოლიტიკის განხორციელება (28 01)

პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	საერთაშორისო არენაზე ქვეყნის ინტერესების გატარება, საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებისა და დასახული ამოცანების შესრულება; საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებით საქართველოს დეოკუპაციისა და ოკუპანტი სახელმწიფოს მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის პატივისცემის უზრუნველყოფა, ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის განმტკიცება; რუსეთზე საერთაშორისო თანამეგობრობის ზეწოლის გაძლიერების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარება, რათა მან სრულად შეასრულოს 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება; რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ ძალის გამოუყენებლობის ვალდებულების აღება; ოკუპირებული რეგიონების მიმართ ჩართულობის სტრატეგიის განხორციელება; საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავება ევროკავშირთან; ევროპის ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავება და საქართველოს საგარეო პოლიტიკური მიზნების მიმართ მათი მხარდაჭერის უზრუნველყოფა; აშშ–თან სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიით გათვალისწინებული პროექტების განხორციელება და აშშ-ს როლის გაძლიერება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერის პროცესში; რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზება; ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნებთან ორმხრივ და რეგიონულ დონეზე თანამშრომლობის განვითარება და გაღრმავება; თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში საქართველოს სრულფასოვანი ჩაბმა და აქტიური ეკონომიკური დიპლომატის მეშვეობით წარმოჩენილი შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენება; დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია სუამ-ის და შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (BSEC) ფორმატში რეგიონული და რეგიონთაშორისი თანამშრომლობის გაძლიერება და კონკრეტული პროექტების განხორციელება;

	ქართული პროდუქციისთვის ახალი ბაზრების მოპოვება, ქვეყნის ეკონომიკაში ინვესტიციების მოზიდვა, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და სტიმულირება; საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთა და იურიდიულ პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა; საზღვარგარეთ ქართული კულტურისა და ინტელექტუალური პოტენციალის წარმოჩენის ხელშეწყობა; უცხოეთში მყოფი საქართველოს მოქალაქეების უფლებების დაცვა, მათთვის შეღავათანი პირობების შექმნა და სოციალური უსაფრთხოების დონის ამაღლება.

საგარეო პოლიტიკის დაგეგმვა და მართვა (28 01 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს საგარეოს საქმეთა სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დარჩენილ წევრ ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება; საქართველოს დიპლომატიური დაწესებულებების ქსელის გაფართოება; არსებული წარმომადგენლობების მიერ გადაფარვის არეალის გაზრდა; ევროკავშირსა და NATO-ში ინტეგრაციის პროცესის ინტენსიფიკაცია; საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებისა და მისი დღის წესრიგის განხორციელების ხელშეწყობა; ევროკავშირთან სავიზო დიალოგის დასრულება; საქართველო-ევროკავშირის პოლიტიკური დიალოგის ინტენსიფიკაცია; ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP)ფარგლებში თანამშრომლობის გაღრმავება; 2016 წლის განმავლობაში ევროკავშირის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ინიციატივის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში საქართველოს აქტიური მონაწილეობა; NATO-ს ვარშავის სამიტზე მოკავშირეების მხრიდან საქართველოს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე მიღწეული პროგრესის დაფიქსირება;

	NATO-საქართველოს „არსებით ღონისძიებათა პაკეტის“ განხორციელების ხელშეწყობა; NATO-ს წევრ ქვეყნებთან აქტიური პოლიტიკური კონსულტაციების წარმოება; წლიური ეროვნული პროგრამით გათვალისწინებული რეფორმების სათანადოდ წარმოჩენა; საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების განხორციელების მიზნით ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების შემდგომი განვითარება და ინტენსიფიკაცია; საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში (გაერო, ეუთო, ევროპის საბჭო) თანამშრომლობის გაღრმავება საქართველოში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის განმტკიცების მიზნით, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესში მათი როლის გასაძლიერებლად; საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში უცხო ქვეყნების ბიზნეს-სუბიექტების მიერ უკანონო საქმიანობისა და კონტაქტების დამყარების პრევენცია; მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიზნით, თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში საქართველოს სრულფასოვანი მონაწილეობა და ამ პროცესებში დიპლომატიური ურთიერთობების აქტიური გამოყენება; უცხოური ინვესტიციების მოზიდვა - საქართველოს საინვესტიციო კლიმატის და საინვესტიციო სფეროების, ეკონომიკური რეფორმების, ადგილობრივი და რეგიონული პროექტების, აგრეთვე საქართველოს საგარეო სავაჭრო რეჟიმის შესახებ საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირება; საინვესტიციო პროექტების რეალიზაციის ხელშეწყობა; ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება სამთავრობათაშორისო ეკონომიკური კომისიების გამართვის მეშვეობით; საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთა ეფექტური მომსახურება და კრიზისულ სიტუაციებში შესაბამისი დახმარების გაწევა, მათი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის კუთხით მუშობის გაუმჯობესება; საკონსულო საქმიანობის განხორციელების/გადაფარვის არეალის გაზრდა.
პროექტის მოსალოდნელი	საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვადასხვა ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოების მიერ საქართველოს მხარდამჭერი

შუალედური შედეგი	რეზოლუციების და სხვა დოკუმენტების მიღება; საქართველოს დევნილების და იძულებით გადაადგილებული პირების პრობლემატიკის აქტუალიზაცია საერთაშორისო არენაზე; საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა; აშშ-ს, ევროპის სახელმწიფოებისა და სხვა პარტნიორი-ქვეყნების მხრიდან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის შემდგომი გატარება და გაძლიერება; ჟენევის საერთაოშორისო მოლაპარაკებების ფორმატისა და დღის წესრიგის შენარჩუნება და ძირითად საკითხებზე პროგრესის მიღწევა; ოკუპირებული რეგიონების არაღიარებასთან და რუსეთის, როგორც ოკუპანტ სახელმწიფოსთან დაკავშირებით ერთიანი მტკიცე პოზიციის ჩამოყალიბება საერთაშორისო არენაზე; საქართველოს ოკუპირებული რეგიონებიდან ლტოლვილების და იძულებით გადაადგილებული პირების პრობლემატიკის აქტუალიზაცია საერთაშორისო არენაზე, მათ შორის გაერო-ს გენერალური ასამბლეის მიერ შესაბამისი რეზოლუციის მიღება; საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მანდატის გაგრძელება და შემდგომი გაძლიერება; ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების და ასოცირების დღის წესრიგის იმპლემენტაციისთვის შემუშავებული ეროვნული სამოქმედო გეგმით 2016 წელს გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება; ევროკავშირის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ინიციატივის ფარგლებში თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავება; სავიზო დიალოგის დასრულება; მაღალი დონის ვიზიტების განხორციელება საქართველოსა და ევროკავშირში; NATO-ს წევრი ქვეყნების ჯგუფის ჩამოყალიბება, რომლებიც მზად იქნებიან ვარშავის სამიტზე საქართველოს საკითხის ლობირებისთვის; „სპეციალური პაკეტით“ გათვალისწინებული ღონისძიებების პრაქტიკული განხორციელებით ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლება; წლიური ეროვნული პროგრამის (ANP) წარმატებით განხორციელების შედეგად NATO-ს სტანდარტებთან მიახლოვება; აშშ-ს, ევროპის და სხვა რეგიონების სახელმწიფოების მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის განმტკიცების, ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის მხარდაჭერის შემდგომი გაძლიერება;

	აშშ-ის კონგრესის მიერ საქართველოს მხარდაჭერის აქტის შემუშავება (Georgia Support Act), აშშ-საქართველოს ქარტიის ოთხი მიმართულების სამუშაო ჯგუფის შეხვედრების, ასევე სამუშაო ჯგუფების შემაჯამებელი ე.წ. „ომნიბუს“ შეხვედრის ყოველწლიური ორგანიზება; ქარტიის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების კონკრეტულ პროექტებსა და ორმხრივ ხელშეკრულებებში ასახვა და განხორციელება; მრავალმხრივ ფორმატებში აშშ-ის პოლიტიკური, ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერის შენარჩუნება/გაძლიერება. ვაჭრობისა და ინვესტიციების დინამიკის გაზრდის მიზნით, აშშ-სა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმების კუთხით პროგრესის მიღწევა ლათინური ამერიკის, კარიბის ზღვის აუზის, აზიის, აფრიკის, ავსტრალიისა და ოკეანეთის რეგიონის ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება; სხვადასხვა რეგიონის ქვეყნებთან ვიზიტების, კონსულტაციების თუ სხვა სახის ღონისძიებების მეშვეობით მუდმივი კავშირების შენარჩუნება და განმტკიცება; ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნების მიერ საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის უკეთ გამოყენება. ქვეყნის საბანკო და საინვესტიციო სექტორებში მნიშვნელოვანი რაოდენობის უცხოური ფინანსური კაპიტალის მოზიდვა; თანამედროვე ეკონომიკური ურთიერთობების მსოფლიო სისტემაში საქართველოს სრულფასოვანი ჩართვა; ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება და ქვეყნის მნიშვნელოვან ტურისტულ ცენტრად გადაქცევა; სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება და ქვეყნის, როგორც სატრანზიტო დერეფნის მნიშვნელობის გაზრდა; ორმხრივი სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება; საქართველოს საინვესტიციო გარემოს, ეკონომიკური რეფორმების, ადგილობრივი რესურსების, აგრეთვე საქართველოს საგარეო სავაჭრო და ევროკავშირის ბაზარზე შექმნილი პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმების შესახებ საზოგადოების ინფორმირება; ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის გაღრმავება კულტურის, განათლებისა და მეცნიერების სფეროებში, თანამშრომლობა საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების OECD, WTO, ICAO, IMO, გაეროს ეკონომიკური კომისიებისა (ECOSOC, UNECE, UNESCAP, UNCTAD) და რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციების (BSEC, სუამი) ფორმატებში; საქართველოს მოქალაქეებისათვის სხვადასხვა სახის დახმარების აღმოჩენა პრობლემების მოგვარების კუთხით.
შუალედური შედეგის	

შეფასების ინდიკატორები	1. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობების მქონე ქვეყნების რაოდენობა; აშშ-ის ადმინისტრაციისა და კონგრესის მიერ საქართველოს მხარდაჭერისა და დახმარების ზრდა. აგრეთვე, საქართველოს მხარდამჭერი რეზოლუციებისა და განცხადებების მიღება; საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან არაღიარების პოლიტიკის შენარჩუნება/განმტკიცება და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის პატივისცემა; ; ჟენევის მოლაპარაკებების ფარგლებში სამუშაო ჯგუფების შეუფერხებელი ფუნქციონირება; რუსეთის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ ძალის გამოუყენებლობის ვალდებულების აღება; იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების პრინციპებზე შეთანხმება; ნდობის აღდგენისკენ მიმართული საერთაშორისო პროექტების განხორციელების რაოდენობა; ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის საერთაშორისო აღიარება.; ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელებაში მიღწეული პროგრესი; ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის შემოღება; ევროკავშირთან კრიზისული სიტუაციების მართვის ოპერაციებში შერჩეული ქართველი კანდიდატების მონაწილეობა; ევროკავშირთან პოლიტიკური დიალოგის გაღრმავება; საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში არსებული მდგომარეობის სათანადო შეფასება; საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების მიერ საქართველოს საინვესტიციო და ტურისტული პოტენციალის წარმოსაჩენად განხორციელებული ღონისძიებები - პრეზენტაციები, გამოფენები, ფორუმები, ბიზნეს-დელეგაციების ვიზიტები, თანამშრომლობით დაინტერესებული კომპანიების წინადადებები, მედია-კამპანიები; ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის კომისიების სხდომების ოქმის შესრულება.; სხვადასხვა სახელმწიფოებთან გაფორმებული ხელშეკრულებები; საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების მიერ, სამინისტროს ხელშეწყობით განხორციელებული კულტურული პროექტები, მათ შორის ქართული კულტრული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის მიმართულებით; ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი ქვეყნების მიერ წლიური ეროვნული პროგრამის დადებითი შეფასება; საქართველოს NATO-ში ინტეგრაციის მხარდამჭერი ქვეყნების რაოდენობის გაზრდა; საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეების უფლებების დაცვის მიზნით ხელმოწერილი შეთანხმებების და ინიცირებული პროექტების რაოდენობა; საკონსულო დეპარტამენტსა და საზღვარგარეთ საქართველოს საკონსულო სამსახურებს შორის კოორდინაციის მექანიზმების გაუმჯობესება.; საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვადასხვა ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოების მიერ საქართვლოს მხარდამჭერი რეზოლუციების/განცხადებების რაოდენობა; საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების და გადაფარვის ქვეყნების რაოდენობა

საერთაშორისო ორგანიზაციებში არსებული ფინანსური ვალდებულებების უზრუნველყოფა (28 01 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

პროექტის აღწერა და მიზანი	საერთაშორისო ორგანიზაციებში არსებული ფინანსური ვალდებულებების უზრუნველყოფა, რათა საქართველომ შეძლოს სრულფასოვანი მონაწილეობის მიღება საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობაში, რაც ქვეყანას მისცემს საერთაშორისო ფორმატებში საკუთარი ინტერესების და პრობლემების აქტუალიზაციის საშუალებას.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	საქართველოს იმიჯის გაუმჯობესება საერთაშორისო არენაზე; პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერის მიღება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს ფინანსური თუ სხვა ტიპის ვალდებულებების შესრულება; საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით, საქართველოში განხორციელებული პროექტები

საერთაშორისო ხელშეკრულებების და სხვა დოკუმენტების თარგმნა და დამოწმება (28 01 03)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა თარგმნის ბიურო
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების და სხვა ოფიციალური დოკუმენტების თარგმნა, საქართველოში აკრედიტებული უცხოურ ორგანიზაციებთან კავშირების დამყარება.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	შესასრულებელი შეკვეთების ხარისხის გაუმჯობესება და შემსრულებელთა კვალიფიკაციის და პასუხისმგებლობის ამაღლება. ბიუროს გადაქცევა საერთაშორისო დოკუმენტების თარგმნის სტაბილურ და პრესტიჟულ ცენტრად.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და სხვა ოფიციალური დოკუმენტების, თარგმნილი ტექსტების, ხარისხი და რაოდენობა

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (21 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
პროექტის აღწერა და მიზანი	ქართული დიასპორის მაქსიმალური ჩართვა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობით მათთვის კონკრეტული პროექტების შეთავაზება და მათი პოპულარიზაცია; ყოველწლიურად საქართველოში დიასპორის დღის აღნიშვნა და ამ დღისადმი მიძღვნილ კულტურულ ღონისძიებებში ქართული დიასპორის წარმომადგენელთა ჩართვა; უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების, საზღვარგარეთ არსებული დიასპორული ორგანიზაციების, საკვირაო სკოლებისა და შემოქმედებითი კოლექტივების მხარდამჭერი ღონისძიებების დაფინანსება, ქართული სახლების არეალის გაფართოება; საქართველოში და საზღვარგარეთ ბიზნეს-სამეცნიერო ფორუმების გამართვა, ქართული კომპანიების დიასპორულ ორგანიზაციებთან დაკავშირება, უცხოეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენებისათვის საინვესტიციო პროექტების შეთავაზება და საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად ქართული დიასპორის კავშირების გამოყენება.

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (20 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საინფორმაციო ცენტრი ნატოს შესახებ; ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
პროექტის აღწერა და მიზანი	ნატო-საქართველოს კომისიის სხდომების კოორდინაცია; საქართველოს 2015 წლის წლიური ეროვნული პროგრამის შემუშვება და განხრციელების მონიტორინგი და კოორდინაცია; თვით-შეფასების დოკუმენტის მომზადება; საზოგადოების ინფორმირება ნატო-სა და ნატო-საქართველოს ურთიერთობების შესახებ; ნატოსთან არსებით ღონისძიებათა პაკეტის განხორციელებისადმი საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვების ხელშეწყობა; „ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა“ და „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის

	წესრიგის“ 2015 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების კოორდინაცია; ევროკავშირის ინიციატივების - „აღმოსავლეთ პარტნიორობის” (Eastern Partnership) და „პარტნიორობა მობილურობისათვის” (Mobility Partnership) ფარგლებში თანამშრომლობის განვითარება; ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ საქართველოს მთავრობის 2014-2017 წლების სტრატეგიის 2015 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების კოორდინაცია; ევროკავშირის დახმარების ფარგლებში გათვალისწინებული საერთაშორისო ფინანსური შეთანხმებების მომზადება და ხელმოწერა, მიმდინარე ევროკავშირის პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების ეფექტური კოორდინაცია დახმარების მიმღები დარგობრივი უწყებების შესაძლებლობების გაზრდა ევროკავშირის დახმარების პროექტების განხორციელების პროცედურების შესახებ.

სოფლის მეურნეობა

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2016 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2017 წლის პროგნოზი	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი
37 01	სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა	267,370.0	251,870.0	15,500.0	302,890.0	305,000.0	310,000.0
37 03	მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება	33,200.0	32,850.0	350.0	20,350.0	20,350.0	20,350.0
37 02	სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა	31,060.0	26,630.0	4,430.0	31,160.0	32,270.0	31,740.0
37 04	სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო კვლევითი ღონისძიებების განხორციელება	10,000.0	10,000.0	-	10,000.0	10,000.0	10,000.0
სულ		**341,630.0**	**321,350.0**	**20,280.0**	**364,400.0**	**367,620.0**	**372,090.0**

სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა (37 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	შპს „საქართველოს მელიორაცია“; სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო“; ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“; საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	ქვეყნის აგრარულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და რეფორმების განხორციელება ეროვნული ტრადიციებისა და საერთაშორისო გამოცდილებით; წყალსაცავების, სარწყავი და დამშრობი სისტემის რეაბილიტაცია; სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ტექნიკური ექსპლუატაცია და სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის შეძენა; ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციის ღონისძიებების განხორციელება; სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების ხელშეწყობა;

	სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების გადამუშავების და შენახვა-რეალიზაციის რგოლების უზრუნველყოფა იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით; აგროსექტორში დაზღვევის განვითარების ხელშეწყობა; სანერგე მეურნეობების მოწყობის და მრავალწლიანი კულტურების ბაღების გაშენების ხელშეწყობა; კერძო და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გაველურებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია; თანამედროვე სტანდარტების ჩაის გადამამუშავებელი სიმძლავრეების შექმნა; მანდარინის (არასტანდარტული) მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობა; მცირემიწიანი ფერმერებისათვის, რომლებიც ფლობენ 1,25 ჰა-ს ჩათლით მიწის ფართობს, სარგებლის სახით მიწის ნაკვეთის ხვნის სერვისის ან/და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სხვადასხვა საქონლის (სასუქები ან/და სათესლე მასალა ან/და სასოფლო-სამეურნეო ქიმიური საშალებები) უსასყიდლოდ მწოდება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სარწყავი და დამშრობი ინფრასტრუქტურის განვითარება; სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება; ქართული აგროსასურსათო პროდუქციის ცნობადობის ზრდა; სოფლის მეურნეობის დარგში ახალი საწარმოების შექმნა; სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების გაფართოება; სოფლის მეურნეობის საწარმოებისთვის შეღავათიანი აგროკრედიტის ხელმისაწვდომობის ზრდა; აგროდაზღვევის განვითარება;

	სანერგე მეურნეობების განვითარება;
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **მიზნობრივი მაჩვენებელი -** სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა; სექტორში დასაქმებულ ფერმერთა რაოდენობა; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის ზრდა და ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების მაჩვენებლის გაუმჯობესება; გასარწყავებული და დაშრობილი ფართობების მაჩვენებელი; შეღავათიანი აგროკრედიტებით დაფინანსებულ პირთა რაოდენობა; დაზღვეული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების რაოდენობა; გაშენებული მრავალწლიანი კულტურის ბაღების და სანერგე მეურნეობების რაოდენობა; სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიერ წარმოებული პროდუქციის რაოდენობა; ჩაის წარმოების ზრდა; რეალიზებული მანდარინის რაოდენობა; მცირემიწიანი ფერმერების მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთებზე მოსავლიანობის ზრდა

სოფლის მეურნეობის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა (37 01 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	აგროსასურსათო სექტორში შემოსავლების ზრდისა და სასურსათო უსაფრთხოებისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა და ეფექტურად განხორციელება; ქვეყანაში სოფლის მეურნეობის, კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა; სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელთა და მომხმარებელთა ინტერესების ჰარმონიზაციის ხელშეწყობა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	უზრუნველყოფილია სოფლის მეურნეობის სფეროში დაგეგმილი პროგრამებისა და ღონისძიებების შეუფერხებელი განხორციელება;

სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის მართვა და ადმინისტრირება რეგიონებში (37 01 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

პროექტის აღწერა და მიზანი	საინფორმაციო, აგრო-ტექნოლოგიური, აგრო-ტექნიკური, აგრო-საკონსულტაციო,სასწავლო-საკვალიფიკაციო და სხვა ტიპის მომსახურების უზრუნველყოფა. მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების მიზნით მდგრადი აგრარული პოლიტიკის ეფექტიანი განხორციელება და ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფის ხელშეწყობა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	უზრუნველყოფილია სოფლის მეურნეობის სფეროში დაგეგმილი პროგრამებისა და ღონისძიებების შეუფერხებელი განხორციელება

სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია (37 01 03)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში წყალსაცავების, სარწყავი და დამშრობი სისტემების რეაბილიტაცია; სარწყავი სისტემის ზონაში დამშრობი ქსელის რეაბილიტაცია; სპეციალური ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებების, მანქანა-მექანიზმების, მოწყობილობების და დამხმარე საშუალებების შეძენა სამელიორაციო ობიექტებზე საექსპლუატაციო და სარეაბილიტაციო სამუშაოების საწარმოებლად; შპს „საქართველოს მელიორაციის“ სუბსიდირება სარწყავი და დამშრობი სისტემების ინფრასტრუქტურის ტექნიკური ექსპლუატაციის ღონისძიებების, მექანიკური სატუმბი სადგურების და სხვა ჰიდროკვანძების ფუნქციონირების მიზნით მოსახმარი ელექტროენერგიის ხარჯების, სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა მანქანა-მექანიზმების მოვლა-შენახვის ღონისძებების და კომპანიის ფუნქციონირებისათვის საჭირო სხვა მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	რეგულარული სარწყავი მიწის ფართობის ზრდა; წყლის რესურსების ეფექტური და ეკონომიური გამოყენება; სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება;

	დაშრობილი და გასარწყავებული მიწის ფართობის ზრდა; სამელიორაციო ინფრასტრუქტურის განვითარება;
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - სამელიორაციო ინფრასტრუქტურის სრული რეაბილიტაციის პირობებში, სამელიორაციო სისტემების მეშვეობით შესაძლებელი იქნება: ა) სარწყავი წყლის გარანტირებული მიწოდება სავარაუდოდ 364 000 ჰექტარ ფართობზე. მათ შორის 277 000 ჰა თვითდინებითი და 87 000 ჰა მექანიკური სისტემებით. ბ) მიწების დაშრობა განხორციელდება სავარაუდოდ 105 000 ჰექტარ ფართობზე. მათ შორის 27 000 ჰა მექანიკური წესით. 2015 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით რეგულარული სარწყავი ფართობი შეადგენს (სარწყავი მიწის ფართობი, რომელზეც შესაძლებელია რეგულარული წყლის მიწოდება საირიგაციო სისტემების მეშვეობით) - 97.7 ათასი ჰა-ს, ხოლო დაშრობილი მიწის ფართობი - 28 ჰა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - პირობითი სარწყავი მიწების კატეგორიიდან რეგულარულ სარწყავი მიწების კატეგორიაში გადასული 10 200 ჰა მდე მიწის ფართობი; რეგულარულ სარწყავ ფართობზე წყლის მიწოდების გაუმჯობესება დაახლოებით 3 000 ჰა მდე; სარწყავი მიწების მელიორაციული მდგომარეობის გაუმჯობესება დაახლოებით 3 000 ჰა ზე; სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება დაახლოებით 3 700 ჰა-ზე; ახალი სარწყავი მიწების ათვისება დაახლოებით 813 ჰა-ზე; რეაბილიტირებული საპროექტო დაშრობილი ფართობი დაახლოებით 3650 ჰა-ზე; დაშრობილი ფართობებიდან ჭარბი წყლის მოცილება დაახლოებით 640 ჰა ზე; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10-15% (ყველა ინდიკატორის მიხედვით); **შესაძლო რისკები** - შესყიდვის პროცედურების შეფერხება, სხვა გაუთვალისწინებელი გარემოებები

ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაცია (37 01 04)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	ჩატარდება ქართული აგროსასურსათო პროდუქციის გამოფენა-დეგუსტაციები,როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ, რომლის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა წარმომადგენლობითი, კულტურული და სარეკლამო ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს ქართული პროდუქციის პოპულარიზაციას, დამატებითი გასაღების ბაზრების მოპოვებას, ბიზნეს კონტაქტების დამყარებას და საკვებ-პროდუქტების საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	"მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ქართული აგროსასურსათო პროდუქციის ცნობადობის ზრდა. აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის ზრდა.

შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2013 წლიდან დღემდე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოეწყო 9 და ქვეყნის შიგნის 3 გამოფენა-დეგუსტაციის ღონისძება, რომელზეც წარდგენილ იყო 25 მდე ქართული კომპანიის პროდუქცია; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სავარაუდოდ 7 და ქვეყნის შიგნით 2 გამოფენა-დეგუსტაციის ღონისძიების მოწყობა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელშეწყობით დაგეგმილი რამდენიმე (დაახლოებით 2-3) ღონისძიება ობიექტური მიზეზების გათვალისწინებით შესაძლებელია გაუქმდეს; **შესაძლო რისკები** - სხვადასხვა გაუთვალისწინებელი გარემოებები

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის ღონისძიებები (37 01 05)	
პროექტის აღწერა და მიზანი	სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ინსტიტუციური განვითარების, სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ხარისხის და რაოდენობრივი კოეფიციენტის გაუმჯობესების, ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კოოპერატივების თავის დამკვიდრების მიზნით განხორციელდება: სტანდარტიზაციის ხელშეწყობის ფარგლებში საკონსულტაციო მომსახურების გაწევა. კოოპერატივს საკონსულტაციო კომპანიის ამოცანების წარმატებით დაძლევის შემთხვევაში, მიეცემა შესაძლებლობა განახორციელოს ISO, HACCP ან სხვა საერთაშორისო სერთიფიკატის მიღებისათვის საჭირო ღონისძიებები; ქვეყნის შიგნით გამოფენა-გაყიდვების ხელშეწყობა, რომელზეც შესაბამისი სასაქონლო სახით წარმოდგენილ იქნება კოოპერატივების მიერ წარმოებული და გადამუშავებული პროდუქცია; ე.წ. „საინფორმაციო ბანკის“ სისტემის დანერგვა, რომელიც კოოპერატივებს მისცემს საშუალებას საკუთარი პროდუქციის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს პოტენციურ შემსყიდველებს როგორც საქართველოში, ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთ. კოოპერატული მაღაზიებისა და ბაზრების ქსელის ფორმირემირების ხელშეწყობა; სტრატეგიული მარკეტინგული გეგმების შემუშავება ცალკეული კოოპერატივებისათვის და მათი ბრენდირება - სასაქონლო შეფუთვის/დიზაინის შექმნა;

	ახალგაზრდების, ქალთა და მოწყვლადი ჯგუფების (დევნილები, შეზღუდული შესაძლებლობის პირები და ა.შ) კოოპერატივებში ჩართულობის სტიმულირება; ცალკეული დარგობრივი მიმართულებით კოოპერატივების საწარმოო ინფრასტრუქტურის შექმნა. მეფუტკრე და რძის მწარმოებელ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარებისათვის თაფლისა და რძის შემკრები პუნქტების მოწყობა შესაბამისი ინვენტარით.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	თანამედროვე IT ინფრასტრუქტურითა და მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფილი კოოპერატივები; კოოპერატივების მიერ წარმოებული პროდუქციის ხარისხის ამაღლება და პროდუქციის რეალიზაციის შესაძლებლობის ზრდა; კოოპერატივების მიერ მოგების მიღების პოტენციალის ზრდა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით შექმნილია 1183 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, მათ შორის მებაღეობის მიმართლებით 165 ერთეული, მებოსტნეობის მიმართულებით - 234 ერთეული, მარცვლეულის მწარმოებელი - 230 ერთეული. ყურძნის მწარმოებელი - 62 ერთეული, ჩაის გადამამუშავებელი - 21 ერთეული, თაფლის მწარმოებელი- 156 ერთეული, მეცხოველეობის მიმართულებით - 235 ერთეული, თხილის წარმოების მიმართულებით - 80 ერთეული; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - კოოპერატივების მიერ წარმოებული ან/და გადამუშავებული პროდუქციის 2 გამოფენა-გაყიდვის ღონისძიების ჩატარება; „საინფორმაციო ბანკში“ განთავსებული 200-დან 300 მდე მომხმარებლის შესახებ ინფორმაცია; ; სტრატეგიული მარკეტინგული გეგმების შემუშავება დაახლოებით 30 მდე კოოპერატივისათვის და მათი ბრენდირება - სასაქონლო შეფუთვის/დიზაინის შექმნა. ; საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის მიმართულებით ტექნიკური მხარდაჭერის გაწევა 10 მდე კოოპერატივისთვის; ერთიანი საწარმოო ციკლის წარმოებისათვის 4- მდე მიმართულების სავარაუდოდ 5 დარგობრივი საწარმოო ინფრასტრუქტურის შექმნა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - ბენეფიციარი კოოპერატივების დაბალი აქტივობა

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვა (37 01 06)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო

პროექტის აღწერა და მიზანი	სოფლის მეურნეობის დარგში დაგეგმილი და მიმდინარე პროექტების მართვა და ეფექტური განხორციელება.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	უზრუნველყოფილია დაგეგმილი პროექტების შეუფერხებელი განხორციელება

შეღავათიანი აგროკრედიტები (37 01 07)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამუშავების და შენახვა-რეალიზაციის საწარმოების უზრუნველყოფა იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით. ბენეფიციარებზე სესხები (ან ლიზინგი) გაიცემა პროექტში მონაწილე საფინანსო ინსტიტუტებიდან, ხოლო ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“ განახორციელებს ამ სესხების (ლიზინგის) საპროცენტო სარგებელის თანადაფინანსებას და ზოგ შემთხვევაში, მონაწილეობას მიიღებს როგორც სესხების უზრუნველყოფაში, ასევე უზრუნველყოფის სახით წარდგენილი მიწის ნაკვეთების გამოსყიდვაში. თანხა მოხმარდება, როგორც სააგენტოს 2013-2015 წელს "შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის" ფარგლებში გაცემულ სესხებს, ასევე 2016 წელს გასაცემ სესხებს და ლიზინგს. პროექტის ბენეფიციარი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი და საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებული იურიდიული პირი. სესხის (ლიზინგის) მიზნობრიობაა სოფლის მეურნეობის პირველადი და გადამამუშავებელი წარმოების საბრუნავი და ძირითადი საშუალებების დაფინანსება. ქვეპროგრამის ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების დეტალური პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის მიერ;
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სოფლის მეურნეობის დარგში ახალი საწარმოების გახსნა და არსებულის გაფართოება; სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების გაფართოება;

	სოფლის მეურნეობის საწარმოებისთვის საბანკო კრედიტების გაიაფება და ხელმისაწვდომობის გაზრდა; სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ლიზინგით გაცემის ფორმის განვითარება; დარგში საბანკო სექტორის მონაწილეობის გაფართოება;
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2013 წლიდან 2015 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით გაცემულია 641 478 195 ლარის და 159 480 489 აშშ დოლარის 25 173 სესხი; სულ დაფინანსებულია 125 ახალი საწარმო და გადაიარაღებულია 665 საწარმოზე მეტი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სასოფლო-სამეურნეო დარგის დაფინანსებაში დაახლოებით 15 კომერციული ბანკის მონაწილეობა.; სავარაუდოდ 200 მილიონი ლარის 4 000 მდე ახალი სესხის (ლიზინგი) გაცემა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - გაცემული სესხის თანხის ოდენობა 10%; სესხების რაოდენობა 20%; **შესაძლო რისკები** - ბენეფიციარების დაბალი აქტივობა

მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის ღონისძიებები (37 01 08)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	პროექტის პოტენციური ბენეფიციარები არიან ის ფიზიკური პირები, ვისაც საკუთრებაში ან ფაქტიურ მფლობელობაში გააჩნიათ 1,25 ჰა-ის ფართობის ჩათვლით მიწის ნაკვეთი. ბენეფიციარები სარგებლის სახით უსასყიდლოდ მიიღებენ მათ საკუთრებაში ან ფაქტიურ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის ხვნის სერვისს ან/და სასოფლო-სამეურნეო საქონელს, კერძოდ: სასუქებს ან/და სათესლე მასალას ან/და სასოფლო-სამეურნეო ქიმიურ საშუალებებს. გასატარებელი ღონისძიებების დეტალური პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის მიერ.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სასოფლ- სამეურნეო საქმიანობაში ჩართული მცირემიწიანი ფერმერების საქმიანობის სტიმულირება; ბენეფიციარების მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მოსავლიანობის ზრდა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1.

	საბაზისო მაჩვენებელი - 2015 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით აგრო ბარათებით 450.0 ათასმა ბენეფიციარმა მიიღო სარგებელი, პროექტის ფართობში მოხნული მიწის ფართობის შეადგენს 210.8 ათას ჰა-ს; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 750.0 ათასამდე ბენეფიციარი მიიღებს ქვეპროგრამით გათვალისწინებულ სარგებელს. სავარაუდოდ 200 ათასი ჰა მიწის ფართობის მოხვნა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - ბენეფიციარების დაბალი აქტივობა; კლიმატური პირობები

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სესხისა და ლიზინგის ვალდებულებების დაფარვა (37 01 09)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის ანგარიშზე თანხის გადარიცხვის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 იანვრის N36 და „იაპონური გრანტის პროგრამა 2KR ის ფარგლებში საპარტნიორო ფონდში დეპონირებული თანხების გამოყენების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის N2587 განკარგულებების შესაბამისად სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესაძენად გაფორმებული ლიზინგისა და სასესხო ხელშეკრულებების ფარგლებში 2016 წლის ვალდებულების დაფარვა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - სესხით და ლიზინგით შეძენილია შემდეგი სახის ტექნიკა: 605 ტრაქტორი; 56 კომბაინი; 1850 აგრეგატი; 20 სპეცტექნიკა

აგროდაზღვევის უზრუნველყოფის ღონისძიებები (37 01 10)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა, კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ფერმერებისთვის შემოსავლების შენარჩუნება და რისკების შემცირება. სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზღვევა განხორციელდება სადაზღვევო კომპანიების მიერ, ხოლო პროექტების მართვის სააგენტო განახორციელებს სადაზღვევო პრემიების თანადაფინანსაებას საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.

პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება; ფერმერებისათვის შემოსავლების შენარჩუნება და რისკების შემცირება;
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2014 წლის 1 სექტემბრიდან 2015 წლის 31 სექტემბრის მდგომარეობით დაფიქსირდა ზარალის - 10,984 ერთეული შემთხვევა. ანაზღაურებული ზარალის ოდენობამ შეადგინა - 4,995,155 ლარი; დარეგულირებული ზარალის ოდენობა – 3,737,585 ლარი; დასარეგულირებელი ზარალი – 7,829,046 ლარი. 2014 წლიდან 2015 წლის 31 სექტემბრის მდგომარეობით დაზღვეული ნაკვეთების ფართობია 23 347 ჰა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 10 000 ჰა-მდე სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე სასოფლო-სამეურნეო კულტურათა დაზღვევა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10 %; **შესაძლო რისკები** - ბენეფიციარების დაბალი აქტივობა

მანდარინის (არასტანდარტული) მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებები (37 01 11)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია მანდარინის რეალიზაციის ხელშეწყობა, რისთვისაც განხორციელდება არასტანდარტული მანდარინის გადამამუშავებელ კომპანიებზე, რომლებიც სამრეწველო გადამუშავების მიზნით, ფიზიკური პირებისგან შეისყიდიან მანდარინს, სუბსიდიის გაცემა საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ფერმერთა ხელშეწყობა არასტანდარტული მანდარინის რეალიზაციაში.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებელი: 2014 წლის 24 ნოემბრიდაბ 2015 წლის 1 თებერვლამდე შესყიდული არასტადარტული მანდარინის რაოდენობამ შეადგინა 10 358 ტონა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2016 წელს განხორციელდება 20 000 ტონამდე არასტანდარტული მანდარინის ჩაბარების ხელშეწყობა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%;

	შესაძლო რისკები - ბენეფიციარების დაბალი აქტივობა; მოსავლის ოდენობა

დანერგე მომავალი (37 01 12)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია მეხილეობის დარგის განვითარევა თანამედროვე ტექნოლოგიებით მოწყობილი სანერგე მეურნეობების და მრავალწლიანი კულტურების ბაღების გაშენების ხელშეწყობის გზით, რისთვისაც განხორციელდება მრავალწლიანი კულტურების ბაღების და სანერგე მეურნეობების მოწყობის თანადაფინანსება. საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ახალი სანერგე მეურნეობებიდან მიღებული 500 000 მდე ნერგი ყოველწლიურად; ინტენსიური ბაღებიდან მიღებული მაღალი ხარისხის ხილის მოსავალი;
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წლის 1 აპრილიდან 31 ოქტომბრის ჩათვლით პროექტის ფარგლებში დაფინანსდა 16 ბენეფიციარი 105,0 ჰა ზე. დაფინანსების თანხა შეადგენს 682,0 ათას ლარს; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 500 ჰექტრამდე მრავალწიანი კულტურის თანამედროვე ტიპის ახალი, ინტენსიური და ნახევრადინტენსიური ბაღები. სავარაუდოდ 5 ახალი სანერგე მეურნეობა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%- 20%; **შესაძლო რისკები** - კლიმატური პირობები, ბენეფიციარების დაბალი აქტივობა

ქართული ჩაი (37 01 13)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია საქართველოში არსებული ჩაის პლანტაციების პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება, ჩაის წარმოების სექტორში ეფექტური კოოპერაციის ხელშეწყობა, მაღალი ხარისხის ჩაის (მათ შორის ბიო ჩაის) წარმოების ხელშეწყობა. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად განხორციელდება კერძო და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის ხარჯის თანადაფინანსება, როგორც კომპანიებისათვის ასევე კოოპერატივებისათვის, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციების ეფექტური გამოყენების ხელშეწყობა მათი ბიზნეს ოპერატორებზე

	იჯარის წესით გადაცემის გზით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის ჩაის გადამამუშავებელი დანადგარების თანადაფინანსება, საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მცირემიწიან ფერმერთა კოოპერირების ხელშეწყობა (რომელთაც საკუთრებაში გააჩნია ჩაის პლანტაცია); ბიო და ორგანული ჩაის წარმოებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა; თანამედროვე სტანდარტების ჩაის გადამამუშავებელი სიმძლავრეების შექმნა;
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - საქართველოს ტერიტორიაზე სარეაბილიტაციო ჩაის ფართობი შეადგენს სავარაუდოდ 6 300 ჰა-ს; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2016 წელს რეაბილიტირებულ იქნება სავარაუდოდ 2 000 ჰა მდე ფართობი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - ჩაის რეაბილიტაცია აგროვადებიდან გამომდინარე უნდა განხორციელდეს მცირე დროის მონაკვეთში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მიზნობრივი მაჩვენებლების ცვლილება; ბენეფიციარების დაბალი აქტივობა

აგროსექტორის ხელშეწყობა/განვითარება (37 01 15)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში სამელიორაციო სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება; შიდა საირიგაციო ქსელების რეაბილიტაცია; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება/გადამუშავება/რეალიზაციის მთლიანი ქსელის განვითარების ხელშეწყობა;
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება; გასარწყავებული მიწის ფართობის ზრდა; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების განვითარება;
შუალედური შედეგის	1.

შეფასების ინდიკატორები	**მიზნობრივი მაჩვენებელი -** დამატებით მორწყული 26 000 მდე ჰა ფართობი; 3 000 მდე ფერმერისათვის სხვადასხვა სახის სწავლების ჩატარება ; 1000 - მდე მცირე ზომის გრანტების გაცემა აგრობიზნესისა და პირველადი წარმოების სფეროში.; 30 მდე სადემონსტრაციო ნაკვეთის მოწყობა; 19 000 მდე კომლისათვის წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10-15% (ფერმერების სწავლება); 10-15% (სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება); **შესაძლო რისკები -** პროექტში მონაწილე ფემერების დაბალი ინტერესი სწავლების მიმართ. საპროექტო დოკუმენტაციაში, სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობის დროს აღმოჩენილი გაუთვალისწინებელი ხარვეზები და კლიმატური პირობები

მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება (37 03)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარების, ახალი სამომხმარებლო ბაზრების ათვისების და მომხმარებლის უხარისხო ღვინოპროდუქციისგან დაცვის მიზნით განხორციელდება: ქართული ღვინოპროდუქციის საერთაშორისო და ადგილობრივი დეგუსტაციების, კონკურსების, გამოფენების და პრეს ტურების მოწყობა, რომლის ფარგლებშიც ჩატარდება სხვადასხვა წარმომადგენლობითი და კულტურული ღონისძიებები; სპეციალიზირებული უცხოური ჟურნალებისათვის საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის შესახებ სტატიების მომზადება-გამოქვეყნება; სარეკლამო რგოლების დამზადება და ქართული ღვინის პოპულარიზაციის მიზნით საჭირო სხვა ღონისძებების განხორციელება; ქართული ღვინისა და კულინარიის შესახებ საგანმანათლებლო ღონისძიებების მოწყობა, როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო ბაზრებზე. ღვინის კომპანიების საერთაშორისო ბაზარზე დამკვიდრებისათვის ლოჯისტიკური მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელება; ალკოჰოლიანი სასმელების სასერთიფიკაციო ან/და სერტიფიცირებული პარტიებიდან აღებული ნიმუშების შედარების

	უზრუნველსაყოფად ლაბორატორიული კვლევის ჩატარება; მევენახეობის კადასტრის დანერგვა; ვენახების ფართობების აღრიცხვა; საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი წიპწების და მერქნის შესწავლის ხელშეწყობა მოლეკულური გენეტიკის და ამპელოგრაფიის მეთოდებით და თანამონაწილეობა არქეოლოგიურ გათხრებში წიპწების მოპოვების მიზნით; ვაზის აბორიგენული ჯიშების და ველური ვაზის შესწავლის ხელშეწყობა მოლეკულური გენეტიკის და ამპელოგრაფიის მეთოდებით; კვლევები არქეოლოგიურ მასალაზე ღვინის ნაშთების აღმოჩენის მიზნით; ლიტერატურული წყაროების მოძიება, შეკრება და პუბლიუკაციების მომზადება ჟურნალებში გამოსაქვეყნებლად; მევენახეობის სფეროში დასაქმებული ფიზიკური პირების მიერ მიღებული ყურძნის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით სუბსიდირების განხორციელება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ქართული ღვინოების პოპულარიზაცია და ახალი სამომხმარებლო ბაზრის ათვისება; მომხმარებლის დაცვა ფალსიფიცირებული და უხარისხო პროდუქციისაგან; ვენახების ფართობებისა და ვაზის ჯიშების დადგენა; სანედლეულო ბაზის რესურსების დადგენა; ვაზის წარმოშობის შესახებ ჩატარებული კვლევებით მიღებული შედეგების გამოყენებით ქართული ვაზისა და ღვინის პოპულარიზაცია მსოფლიო ბაზარზე.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2013 წელს აღებული იქნა ღვინოპროდუქციის 74 ნიმუში.; 2014 წელს - 41 ნიმუში; 2015 წ. საორიენტაციოდ აღებული იქნება 150 ნიმუში. ყველა ნიმუში აკმაყოფილებდა კანონით დადგენილ მოთხოვნებს; ღვინის

	ექსპორტის ზრდა - 2013 წელს 26%-ით; 2014 წელს 30%-ით; არასტაბილური პოლიტიკურ-ეკონომიკური მოვლენების გამო, 2 უმსხვილეს ექსპორტიორ ქვეყანაში - რუსეთსა (-63%) და უკრაინაში (-60%) ექსპორტის მკვეთრმა კლებამ, გავლენა იქონია 2015 წლის ექსპორტის სტატისტიკაზე, რომელიც 2014 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 49%-ითაა შემცირებული. 2013 წელს ჩატარდა 9 გამოფენა 7 ქვეყანაში, 2014 წელს 11 გამოფენა 8 ქვეყანაში; 2015 წელს 14 გამოფენა 8 ქვეყანაში. საქართველის ტერიტორიაზე მთლიანი საკადასტრო ფართობი საორიენტაციოდ შეადგენს 35 000 ჰექტარს. 2014 წ.განხორციელდა საპილოტე პროგრამა რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში. დადგენილი იქნა რაჭა-ლეჩხუმის მევენახეობის ზონის ვენახის ფართობები. რაჭაში 572,3 ჰა. ვენახის ფართობი და ლეჩხუმში 233,0 ჰა ვენახის ფართობი. 2015 წ. მიმდინარეობს ეროვნული კადასტრის ფორმირება კახეთის რეგიონში- ყვარელში დაახლოებით 6,0 ათასი ჰა ვაზის ფართობის აღწერა. 2008-2014წწ. კახეთის რეგიონში მევენახეობის სფეროში დასაქმებულ ფიზიკური პირების მიერ გადასამუშავებლად ჩაბარებულია 369088,1 ტონა ყურძენი. სუბსიდიის სახით გაცემულმა თანხამ შეადგინა 102 924.4 ათასი ლარი. 2015 წელს ჩაბარებულია 145 678 ტონა ყურძენი, საიდანაც სუბსიდირებული ყურძნის ოდენობა შეადგენს 122 700.3 ტონას, სუბსიდიის თანხა 35 833,0 ათასი ლარი; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** ქართული ღვინოპროდუქტების ექსპორტის მოცულობა; ადგილობრივ და საექსპორტო ბაზარზე დაბალხარისხიანი ან ფალსიფიცირებული პროდუქციის აღკვეთა; ვენახების ეროვნული კადასტრის ფორმირება

სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა (37 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ „სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია“; სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტო“
პროექტის აღწერა და მიზანი	სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი ბიზნეს ოპერატორების ინსპექტირება, სამომხმარებლო ბაზრის მონიტორინგი და სურსათის ლაბორატორიული კვლევა; თურქულის, ჯილეხის, ცოფის, ბრუცელოზის, ტუბერკულოზის, ნოდულარული დერმატიტის, ცხვრისა და თხის ყვავილის, ყირიმ კონგოს ჰემორეგიული ცხელების და სხვა დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკური და იძულებითი ღონისძებების განხორციელება; ლაბორატორიული კვლევები, სადეზინფექციო სამუშაოების უზრუნველყოფა და ლეშების გაუვნებლობა ინსენერატორის მეშვეობით; ცხოველთა იდენტიფიკაცია/რეგისტრაციის სისტემის ფუნქციონირება; ვეტერინარული აფთიაქებისა და სამკურნალოების მონიტორინგი;

	საკარანტინო და მავნე ორგანიზმების გავრცელების წინააღმდეგ შესაბამისი ღონისძიებების ჩატარება და პესტიციდების/აგროქიმიკატების ხარისხის კონტროლი; რეკომენდაციების გამოცემა ფერმერთა ზოგადი ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით; ცხოველთა განსაკუთრებით საშიში ინფექციური და არაინფექციური დაავადებების, მცენარეთა საკარანტინო და სხვა საშიში მავნე ორგანიზმების და სასოფლო-სამეურნეო კულტურების ლაბორატორიული კვლევა;
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სამომხმარებლო ბაზარზე მავნე სურსათის რეალიზაციის ფაქტების შემცირება/აღკვეთა; განსაკუთრებით საშიში მავნებლებისგან სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაცვა და მოსავლის შენარჩუნება კლიმატური პირობების გათვალისწინებით; ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის მიღწევა-შენარჩუნება და სამომხმარებლო ბაზარზე უვნებელი ცხოველური წარმოშობის პროდუქტების განთავსება; ბაზარზე უსაფრთხო პრეპარატების მიმოქცევა და წუნდებული პროდუქციის შემცირება/აღკვეთა; ლაბორატორიაში საკვლევად წარმოდგენილი ვარგისი ნიმუშების ოპტიმალურ ვადაში სწორი ტესტირება, რაც საშუალებას იძლევა მოხდეს ამა თუ იმ დაავადებების პროფილაქტიკა და გამოვლენის შემთხვევაში ლოკალიზება-ლიკვიდაცია;
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლები მოცემულია თითოეული ქვეპროგრამის მიხედვით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი ბიზნესოპერატორების სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის შესაბამისობა კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან; (2016 წელს განხორციელდება რეგისტრირებული 50 000 ბიზნესოპერატორიდან 8 000 ბზნესოპერატორის ინსპექტირება და 3 400 მდე ბიზნესოპერატორის მონიტორინგი-დკუმენტური შემოწმება); მავნებელი სურსათით გამოწვეული მოწამვლის შემთხვევების შემცირება; (2016 წელს განხორციელდება სავარაუდოდ სურსათისა და სასმელი წყლის 5000 მდე ნიმუშის/სინჯის აღება და მათი ლაბორატორიული კვლევა); ცხოველთა, ცხოველთა და ადამიანის საერთო დაავადებების რაოდენობის შემცირება და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის შენარჩუნება (2016 წელს განხორციელდება სავარაუდოდ 1 000 000 -მდე მსხვილფეხა და 700 000 - მდე წვრილფეხა პირუტყვის დაავადება თურქულის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ვაქცინაცია წელიწადში ორჯერ.

	ჯილეხის დაავადების რისკის ზონებში პროფილაქტიკური ვაქცინაცია სავარაუდოდ 600 000 სულ მსხვილფეხა, 500 000 მდე სულ წვრილფეხა პირუტყვში და 10 000 მდე სულ კენტჩლიქიან ცხოველებში. ტუბერკულოზზე ფონის შესწავლის მიზნით სავარაუდოდ 10 000 სულამდე მსხვილფეხა პირუტყვის გამოკვლევა. ბრუცელოზის დაავადების დეტექციის მიზნით 250 000 მდე სული პირუტყვის დიაგნოსტიკური გამოკვლევები და ბრუცელოზის საწინააღმდეგო ვაქცინაცია 200 000 მდე სულ მსხვილფეხა და 550 000 მდე სულ წვრილფეხა პირუტყვში. შინაურ ხორცისმჭამელ ცხოველებზე, მათ შორის თავშესაფრებში განთავსებული ცხოველების ჩათვლით (საორიენტაციოდ 300 000 სული) ცოფის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ვაქცინაცია. ცხოველთა რეგისტრაცია-იდენტიფიკაცია ორივე ყურზე სპეციალური სანომრე ნიშნებით სავარაუდოდ 400 000 სულ მსხვილფეხა და 700 000 წვრილფეხა პირუტყვზე; ნოდულარული დერმატიტის საწინააღმდეგოდ 250 000 მდე სული მსხვილფეხა პირუტყვის ვაქცინაცია. ადამიანებში ყირიმ-კონგოს ცხელების გამოვლენის ადგილებში 20 000 მდე მსხვილფეხა პირუტყვისა და მათი სადგომების ინსექტო-აკარიციდული დამუშავება. ცხვრისა და თხის ყვავილის საწინააღმდეგო ვაქცინაცია აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში არსებულ სავარაუდოდ 800 000 მდე წვრილფეხა პირუტყვზე); მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებების ეფექტურობა არის 80%; საკვლევად წარმოდგენილი ყველა ვარგისი ნიმუშის გამოკვლევის დრო და სიზუსტე; **შესაძლო რისკები** - ქვეყანაში ახალი ეგზოტიკური დაავადების დაფიქსირება. ცხოველთა სულადობის ცვლილება. კლიმატური პირობები

სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო კვლევითი ღონისძიებების განხორციელება (37 04)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს ნიადაგების ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა რეგიონების ნიადაგების მდგომარეობის შესწავლა და სათანადო ღონისძიებების გატარება. ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების გენოფონდის მოძიება, აღდგენა, კონსერვაცია, საკოლექციო და სადედე ნარგაობების შექმნა. ხილისა და ბოსტნეულის შენახვისუნარიანობისა და ნედლად შენახვის ტექნოლოგიების კვლევა-შემუშავება. საქართველოში გავრცელებული შინაური ცხოველების, ფრინველების, თევზებისა და სასარგებლო-სამეურნეო მწერების ექსპედიციური კვლევა, გენეტიკური ბანკის შექმნა.

პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შეიქმნება ნიადაგის ლაბორატორიული კვლევების ერთიანი ეროვნული სტანდარტი. შემუშავდება ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიები. დადგინდება ნედლად შენახვის, შრობისა და სწრაფ გაყინვის ოპტიმალური რეჟიმები ნედლეულის სახისა და ჯიშური თავისებურებების გათვალისწინებით. მოძიებული იქნება ადგილობრივი ცხოველთა ჯიშებისა და პოპულაციების, ფრინველების, თევზებისა და სამეურნეო სასარგებლო მწერების ტიპიური სულადობა, მოხდება მათი იდენტიფიცირება.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - გამოკვლეული და განოყიერებული ნიადაგების რაოდენობა; მოძიებული და გაუმჯობესებული ადგილობრივი ცხოველთა ჯიშებისა და პუპულაციების, ფრინველების, თევზებისა და სამეურნეო-სასარგებლო მწერების რაოდენობა.; ხეხილის ინტროდუცირებული ჯიშების ახალი ბაღების რაოდენობა; ვაზის უნიკალური ჯიშების გამრავლება

სასამართლო სისტემა

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2016 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2017 წლის პროგნოზი	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი
09 01	საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა	50,700.0	50,500.0	200.0	53,100.0	56,100.0	58,100.0
08 00	საქართველოს უზენაესი სასამართლო	7,650.0	7,650.0	-	7,800.0	8,000.0	8,500.0
46 00	სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო	28,940.0	3,500.0	25,440.0	26,800.0	26,800.0	26,800.0
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	3,400.0	3,400.0	-	3,400.0	3,400.0	3,400.0
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	2,700.0	2,700.0	-	2,700.0	2,700.0	2,700.0
26 13	აღსრულების ეროვნული ბიუროს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა	34,531.5	-	34,531.5	14,420.0	14,420.0	14,420.0
სულ		**127,921.5**	**67,750.0**	**60,171.5**	**108,220.0**	**111,420.0**	**113,920.0**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო (07 00 - 10 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო,საერთო სასამართლოები,საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო,საქართველოს უზენაესი სასამართლო
პროექტის აღწერა და მიზანი	მოსამართლეთა ვაკანტური ადგილების ეტაპობრივად შევსება. შესაბამისად საკვალიფიკაციო გამოცდებისა და კონკურსების ორგანიზება, მოსამართლედ გამწესება იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სასწავლო კურსის გავლის შემდეგ; სასამართლო შენობების სარემონტო/სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება; ნაფიცი მსაჯულების და მსაჯულობის კანდიდატების უზრუნველყოფა კანონმდებლობით დადგენილი ყველა იმ ხარჯის ანაზღაურებით, რომელიც დაკავშირებულია მათ მიერ საკუთარი მოვალეობის შესრულებასთან;

	მოსამართლეთა ჯანმრთელობის დაზღვევით უზრუნველყოფა; საქართველოს უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების გამჭირვალობის და საჯაროობის პროცესის გაგრძელება; საზოგადოებისათვის სასამართლო რეფორმის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	1. მოსამართლეებსა და სასამართლოს აპარატის თანამშრომლების მყარი სოციალური გარანტიები; 3. მოხდება ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის განვითარება; 3. სასამართლოს მიმართ საზოგადოებაში ავტორიტეტის და ნდობის ამაღლება; 4. მართლმსაჯულებია გახდება უფრო სწრაფი და ეფექტური; 5. კონსტიტუციური კანონიერების, ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ნაფიცი მსაჯულებისა და მსაჯულობის კანდიტატების პროცენტული რაოდენობა, რომელთაც სრულად აუნაზღაურდათ მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯები; მოდერნიზებული და შესაბამისი სტანდარტებით აღჭურვილი სასამართლო შენობების რაოდენობა

სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო (46 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
პროექტის აღწერა და მიზანი	სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიზანია კანონმდებლობით დადგენილი წესით და კვალიფიციური ექსპერტების მეშვეობით განსაზღვრული ექსპერტიზისა და გამოკვლევების ჩატარება, შესაბამისი დასკვნის შედგენა და გაცემა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, კანონმდებლობით მინიჭებული ფუნქციების ფარგლებში, უზრუნველყოფს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მომსახურების გაწევას, რაც ხელს შეუწყობს სანდოობის მაღალი ხარისხის შენარჩუნებას.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ექსპერტიზების შედეგების სიზუსტისა და კვლევების მაღალი ხარისხი, რომელიც მიიღწევა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საერთაშორისო სტანდარტებთან, კერძოდ ISO 17025-ის სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გზით

აღსრულების ეროვნული ბიუროს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა (26 13)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიურო
პროექტის აღწერა და მიზანი	პროგრამა მოიცავს შემდეგ ძირითად მიმართულებებს: აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ განხორციელებული მომსახურებების შეუფერხებლად და უწყვეტად მიწოდების უზრუნველყოფა - შემოსული საქმეების ნაკადის ეფექტიანი მართვა, დაგროვებული საქმეების შემცირება, აღმასრულებლებისა და აღსრულების პოლიციელთა რიგებში ადამიანური რესურსის რაოდენობრივი ოპტიმიზაცია. თანამშრომელთა შესაბამისი კვალიფიკაციის უზრუნველყოფა. სააღსრულებო სისტემის მუშაობაზე საზოგადოებრივი ცნოებიერების ამაღლება არსებული მომსახურებების დახვეწასა და საზოგადოებისთვის საინტერესო ახალი მომსახურებების დანერგვის ტენდენციის შენარჩუნება. - ახალი სერვისების იმპლემენტაციაზე მსჯელობა და შესაბამისი რისკების და შესაძლებლობის გათვლა/ანალიზი. მოქალაქეთა ვალდებულებების ერთჯერად შემსუბუქების საკითხთა პროექტირება, რომელთა არსებული და პროგნოზირებადი მატერიალური მდგომარეობიდან გამომდინარე მოვალე ვერ შეძლებს ვალდებულების შესრულებას. ბიზნესპროცესების გაციფრულება. სააღსრულებო წარმოების პროცესში ელექტრონული მხადამჭერი სისტემების განვითარება
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	აღსრულების ეროვნული ბიუროს მომსახურებები გაუმჯობესებულია, გამარტივებულია საწარმოო პროცესი და გაზრდილია მომსახურებების ხელმისაწვდომობა აღსრულების ეროვნული ბიუროს საკომუნიკაციო არხების გაძლიერება და საზოგადოების ინფორმირება ბიუროს მიერ გაწეული მომსახურებებისა და ძალისხმევების შესახებ რეგულარულად მიმდინარეობს არსებული სერვისების გაუმჯობესებასა და ახალი სერვისების იმპლემენტაციაზე ზრუნვა
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი -** 2014 - საქმეთა აღსრულებადობა შემოსულ სააღსრულებო საქმეებთან შედარებით 54%; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2016 წლისთვის გამიზნულია მოცემული შედეგის გაზრდა 2% ნიშნულით, 2017 წელს გაზრდა - 2%-ით, 2018 წელს – 2%-ით, 2019 წელს – 1%-ით (61%); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 1% / საქმეთა ნაწილი სტატისტიკის შექმნისას გამორჩენილი შესაბამისი მონაცემების წარმდგენი პირების მიერ; **შესაძლო რისკები -** საქმეთა ნაკადების / შემოდინების მნიშვნელოვანი ზრდა

	2. **საბაზისო მაჩვენებელი -** 2013 - მომხმარებელთა 54% ბიუროს მიიჩნევს გამჭვირვალე ორგანიზაციად; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2016 წლისთვის გამიზნულია მოცემული შედეგის გაზრდა 2% ნიშნულით; 2017 - 4%, 2018 – 2%, 2019 – 3% (65%); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5% / გამოსაკითხი მომხარებლების რაოდენობრივი მაჩვენებელი არ აღემატება 1000 ადამიანს. სიმცირემ შეიძლება გამოიწვიოს ცდომილება; **შესაძლო რისკები -** მხარეთა პროაქტიული ინფორმირების ტემპის შემცირება სხვა პრიორიტეტების გამო **3.** **საბაზისო მაჩვენებელი -** 2013 - მომხმარებელთა 75% ბიუროს მიიჩნევს სანდო ორგანიზაციად; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2016 წლისთვის გამიზნულია მოცემული შედეგის გაზრდა 2% ნიშნულით, 2017 წელს გაზრდა - 2%-ით, 2018 წელს – 2%-ით, 2019 წელს – 3%-ით (85%); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5% / გამოსაკითხი მომხარებლების რაოდენობრივი მაჩვენებელი არ აღემატება 1000 ადამიანს. სიმცირემ შეიძლება გამოიწვიოს ცდომილება **4.** **საბაზისო მაჩვენებელი -** 2013 - კრედიტორთა აღსრულების ეროვნული ბიუროს მომსახურებებით კმაყოფილების დონის მაჩვენებელი 4.2 (4 ყველაზე მაღალი); **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2016 წლისთვის გამიზნულია მოცემული შედეგის გაზრდა 0,1 ნიშნულით (4,3); 2017 – 0,2 (4,5); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 0,3 / გამოსაკითხი მომხარებლების რაოდენობრივი მაჩვენებელი არ აღემატება 1000 ადამიანს. სიმცირემ შეიძლება გამოიწვიოს ცდომილება; **შესაძლო რისკები -** საქმეთა ნაკადების / შემოდინების მნიშვნელოვანი ზრდა **5.** **საბაზისო მაჩვენებელი -** 2015 წლის მანძილზე ხდება 1 მნიშვნელოვანი ახალი სერვისის პროექტირება; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2019 წლის ბოლომდე ყოველწლიურად ხდება 3 სერვისის შესახებ პროექტის მომზადება და მომგებიანობის შემოწმება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** ერთი და იგივე სერვისზე მსჯელობა, სერვისის მნიშვნელოვან მოდიფიცირებად მიჩნევა ისეთი ცვლილებას რაც რეალურად არ განსხვავდება არსებითად არსებულისგან ან წინა წელს შემოთავაზებულისგან; **შესაძლო რისკები -** მიმდინარე საქმეთა წარმოების ზრდა, ამ მიზეზით ადამიანური და მატერიალური რესურსი სხვა პრიორიტეტებზე კონცენტრირება

გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2016 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2017 წლის პროგნოზი	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი
38 03	დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა	13,900.0	11,900.0	2,000.0	14,400.0	14,400.0	14,400.0
38 02	გარემოსდაცვითი ზედამხედველობა	11,179.0	11,179.0	-	11,700.0	13,600.0	14,900.0
38 04	სატყეო სისტემის ჩამოყალიბება და მართვა	16,306.0	11,050.0	5,256.0	24,225.0	25,375.0	27,475.0
38 01	გარემოს დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება, რეგულირება და მართვა	5,770.0	5,770.0	-	6,000.0	6,200.0	6,200.0
38 07	ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დაცვა	900.0	900.0	-	1,000.0	1,000.0	1,100.0
38 06	გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობის პროგრამა	774.0	724.0	50.0	870.0	1,000.0	1,100.0
38 05	ეროვნული სანაშენე მეურნეობის სისტემის ჩამოყალიბება და მართვა	1,471.0	577.0	894.0	2,200.0	2,500.0	2,700.0
38 08	გარემოს დაცვის სფეროში მონიტორინგი, პროგნოზირება, პრევენცია და ბუნებრივი რესურსების მართვა	10,101.0	-	10,101.0	11,000.0	11,500.0	11,500.0
სულ		**60,401.0**	**42,100.0**	**18,301.0**	**71,395.0**	**75,575.0**	**79,375.0**

დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (38 03)

პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	დაცული ტერიტორიების გაფართოება, ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტებისა და ცოცხალი ორგანიზმების დაცვა და აღდგენა ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების მიზნით; საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა გენოფონდის დაცვა ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესანარჩუნებლად; უნიკალური და იშვიათი ორგანული, თუ არაორგანული ბუნებრივი წარმონაქმნების დაცვა მათი შენარჩუნების მიზნით; დაცულ ტერიტორიებზე პათოლოგიური კვლევების ჩატარება, დაზიანებული ფართობების დადგენა და მავნებლებთან ბრძოლის მიზნით შესაბამისი პრეპარატების შეძენა; დაცულ ტერიტორიებზე, საჭირო აღჭურვილობის გამოყენებით, ხანძრების სწრაფი პრევენციის განხორციელება; დაცულ ტერიტორიებზე არსებული საძოვრების ხარისხობრივი მაჩვენებლების დადგენა და გამოყენება, ტყის ინვენტარიზაცია; საქართველოში დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციის, ეკოტურიზმის განვითარების და ტურისტების მოზიდვა-დაინტერესების მიზნით დაცული ტერიტორიების სარეკლამო და სააგიტაციო ღონისძიებების ჩატარება; საზოგადოებაში ეკოლოგიური განათლების, საზოგადოების ცალკეული ჯგუფების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებისა და ქცევის გაუმჯობესების მიზნით საჭირო ღონისძიებების გატარება; ბუნებრივ და ისტორიულ-კულტურულ გარემოში რეკრეაციის, ჯანმრთელობის დაცვისა და ტურიზმისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა საქართველოს ეკოტურისტული პოტენციალის გაზრდის მიზნით; ტრადიციული სამეურნეო საქმიანობის დაცვის, აღდგენისა და განვითარების ხელშეწყობა თვითმყოფადი ისტორიულ-კულტურული გარემოს აღდგენისათვის და მის შესანარჩუნებლად; საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის გრძელვადიანი ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა შემდეგი ორი კომპონენტის განხორციელებით: დაცული ტერიტორიების სისტემის შემოსავლების საკმარისი და პროგნოზირებადი დონის

	მიღწევა და დაცული ტერიტორიების მართვის ეფექტიანობისა და შესაძლებლობების გაზრდა
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	დაცული და აღდგენილი ბუნებრივი ეკოსისტემები, ლანდშაფტები და ცოცხალი ორგანიზმები; დაცული საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველები და ველურ მცენარეთა გენოფონდი, უნიკალური და იშვიათი ორგანული თუ არაორგანული ბუნებრივი წარმონაქმნები; ბუნებრივ და ისტორიულ-კულტურულ გარემოში რეკრეაციის, ჯანმრთელობის დაცვის და ტურიზმისათვის შექმნილი ხელსაყრელი პირობები; განვითარებული ეკოტურიზმი და დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა გაზრდილი რაოდენობა; საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოწყობილი ინფრასტრუქტურა; აღდგენილი და განვითარებული ტრადიციული სამეურნეო საქმიანობა, ადგილობრივი მოსახლეობის გაზრდილი შემოსავლები და გაუმჯობესებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - არსებობს 18 ტერიტორიული ადმინისტრაცია, დებულებით გათვალისწინებულია სულ 20 ტერიტორიული ადმინისტრაციის ფუნქციონირება. დაწყებულია გოჭკადილის ბუნების ძეგლის ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2016 წელს შექმნილი და სრულყოფილად ფუნქციონირებადი ახალი ტერიტორიული ადმინისტრაცია - ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიებისა და სამეგრელოს ბუნების ძეგლების კომპლექსის და ოკაცეს ბუნების ძეგლების ადმინისტრაცია, მოწყობილია ინფრასტრუქტურა და მზადაა ვიზიტორების მისაღებად; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დამატებით შექმნილი 2 ახალი ტერიტორიული ადმინისტრაცია არასაკმარისი საშტატო ერთეულების გამო სრულყოფილად არ ფუნქციონირებს, არ ხორციელდება ვიზიტორების სრულფასოვანი მომსახურება და ტერიტორიის დაცვა; **შესაძლო რისკები** - ადმინისტრაციის სრულყოფილად ფუნქციონირებისთვის არასაკმარისი საშტატო რესურსი 2. **საბაზისო მაჩვენებელი** - დაცული ტერიტორიების სააგენტო მართავს 364,0 ათას ჰექტარზე მეტ ტერიტორიას 18 ტერიტორიული ადმინისტრაციის მეშვეობით, რომელთა დაცვასაც ძირითადად ახორციელებენ რეინჯერები. დაცვის ფუნქციის მატარებელი 306 თანამშრომლიდან მხოლოდ 126 თანამშრომელს აქვს ცეცხლსასროლი იარაღი, რის გამოც მათი უსაფრთხოების რისკის ფაქტორი მაღალია;

	მიზნობრივი მაჩვენებელი - დაცული ტერიტორიების დაცვა ხორციელდება შეუფერხებლად, პატრულირების ინტენსივობა გაზრდილია ყოველწლიურად 10%-ით (პატრულირების სიხშირე, მეტი ტერიტორიის მოცვა), საშუალოვადიან პერიოდში სათანადოდ (ცეცხლსასროლი იარაღით) აღჭურვილია დაცვის ფუნქციის მატარებელი ყველა თანამშრომელი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - რისკების გათვალისწინებით შესაძლებელია ვერ განხორციელდეს დაცული ტერიტორიების სრულყოფილი დაცვა; **შესაძლო რისკები** - ადამიანური რესურსის გადინება **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ლაგოდეხისა და ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილის ალპურ საძოვრებზე და ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ საძოვრების სარგებლობისათვის არ ხდება შესაბამისი თანხის გადახდა, ვინაიდან არ არსებობს საძოვრების მართვის გეგმა და შეფასებული არ არის საძოვრის იჯარით გაცემისათვის შესაბამისი თანხა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - დაცულ ტერიტორიებზე არსებული საძოვრების შეფასებული ხარისხობრივი მაჩვენებლები და მათი გამოყენების მიზნით გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულება 85-მდე ფერმერთან 32,0 ათ. ჰა ტერიტორიაზე; **შესაძლო რისკები** - კვალიფიციური ექსპერტების სიმცირე, რომელიც უზრუნველყოფს საძოვრების მენეჯმენტის გეგმის შედგენას. საძოვრის გეგმის მომზადებისათვის შესაძლოა საჭირო გახდეს ორწლიანი პერიოდი **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - დაცულ ტერიტორიებზე 2008 წლიდან ხდება სახანძრო აღჭურვილობის ყოველწლიური შესყიდვა, დღეის მდგომარეობით აღჭურვილია 8 ტერიტორიული ადმინისტრაცია. საშუალოვადიან პერიოდში საჭიროა აღიჭურვოს დამატებით 6 ადმინისტრაცია; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ხანძრებთან ბრძოლის ეფექტურობისათვის შეძენილია შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობა დაცული ტერიტორიების 3 ადმინისტრაციისთვის; ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად გაჩენილი ხანძრების რაოდენობა მცირდება 15-20 %-ით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - კლიმატური პირობებიდან (მაღალი ტემპერატურა, გვალვა) და სხვა ფაქტორებიდან (დაუდევრობა) გამომდინარე ხანძრის გაზრდილი რისკი **5.** **საბაზისო მაჩვენებელი** - დღეს არსებული მდგომარეობით დაცული ტერიტორიების ცნობადობა დაბალია, არ არის საკმარისი ის ინფორმაცია, რაც მიეწოდება საზოგადოებას; მოსახლეობის ჩართულობა (განსაკუთრებით მოსწავლე-ახალგაზრდობის) გარემოსდაცვით აქტივობებში არ არის საკმარისი; სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად, არსებულ ზოგიერთ ვიზიტორთა ცენტრში არ არის მოწყობილი ვიზიტორთა საექსპოზიციო დარბაზი რიგ დაცულ ტერიტორიაზე არსებულ ვიზიტორთა ცენტრებში საგამოფენო დარბაზები მოძველებულია და საჭიროებს განახლებას; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - განხორციელებული ღონისძიებების შედეგად (რეკლამების დამზადება და განთავსება, ტურების

	მოწყობა და ვებ-რესურსის განახლება/შექმნა) პოტენციურ და რეალურ ვიზიტორთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება 20%-ით; მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომია საპრომოციო მასალა, გაზრდილია ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა გარემოსდაცვით აქტივობებში; საშუალოვადიან პერიოდში გახსნილია 4 ახალი ვიზიტორთა ცენტრი, ხოლო არსებული ცენტრები განახლებულია (მოწყობილია საინფორმაციო და საგამოფენო დარბაზები), შედეგად გაუმჯობესებულია ვიზიტორთა მომსახურების ხარისხი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - ტუროპერატორების მიერ ქვეყანაში შემოყვანილ ვიზიტორთა რაოდენობის შემცირება **6.** **საბაზისო მაჩვენებელი** - დონორების დაფინანსებით (KFW, CNF) დაცული ტერიტორიების 12 ადმინისტრაციას აქვს კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა; მათ შორის 9 ადმინისტრაციის 240-მდე თანამშრომელი მათი სოციალური გარანტიებით; ალგეთის, კინტრიშის, ყაზბეგისა და ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების მახლობლად მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა შესწავლილია; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - დაცული ტერიტორიების 12 ადმინისტრაციას აქვს კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა, გრძელდება თანამშრომელთა სოციალური გარანტიებით უზრუნველყოფა; ხორციელდება სოციალურ-ეკონომიკური პროექტები ალგეთის, კინტრიშის, ყაზბეგისა და ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების მახლობლად მცხოვრები მოსახლეობისათვის (ხიდების შეკეთება, სასტუმრო სახლების მოწყობა, ტრადიციული ხელსაქმის განვითარება); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%

გარემოსდაცვითი ზედამხედველობა (38 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
პროექტის აღწერა და მიზანი	გარემოსდაცვითი სახელმწიფო კონტროლის სისტემის სრულყოფა, რომელიც უზრუნველყოფს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულებას, გარემოს დაბინძურებისა და ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობის პრევენციას, გამოვლენასა და აღკვეთას; კანონდარღვევათა ეფექტური შემაკავებელი პირობების შექმნა და რეგულირების ობიექტების მიერ გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ნებაყოფლობითი შესრულების სათანადო დონის მიღწევა.
პროექტის მოსალოდნელი	გაუმჯობესებული გარემოს დაცვის ხარისხი;

საბოლოო შედეგი	შექმნილი კანონდარღვევათა შემაკავებელი გარემო, უზრუნველყოფილი გამოვლენილ კანონდარღვევებზე დროული და პროპორციული რეაგირება, რისი საშუალებითაც მოხდება ლეგალური საქმიანობის ხელშეწყობა და კონკურენციის თანაბარი პირობების შექმნა; რეგულირების ობიექტების და მოქალაქეების გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნებზე ინფორმირებულობის მაღალი დონე და დაინტერესებული მხარეების ფინანსური, მატერიალური და დროითი რესურსების შემცირებული ხარჯი; შექმნილი ახალი ინფრასტრუქტურა, სათანადოდ აღჭურვილი სწრაფი რეაგირების ჯგუფები.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევით ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობით გარემოსთვის მიყენებული ზიანის სავარაუდო მაჩვენებლები 2015 წლისათვის შეადგენს 100 მილიონ ლარს; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევით ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობით გარემოსთვის მიყენებული ზიანის სავარაუდო მაჩვენებლები 2016 წელს შემცირებულია 30,0 მლნ ლარამდე და ყოველწლიურად 15-20% მცირდება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - რეგულირების ობიექტებზე გაუთვალისწინებელი (ავარიები, სტიქიური პროცესები) შემთხვევების შედეგად გარემოსათვის მიყენებული ზიანის მაჩვენებლის ზრდა **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წლის ბოლოსთვის დამტკიცებული რეგულირების ობიექტების შემოწმება გეგმის შესაბამისად, შემოწმებულია რეგულირების 180 ობიექტი; სრულად ინსპექტირებულია (მ.შ გეგმიური, არაგეგემიური შემოწმებები და დათვალიერება) 1 900-ზე მეტი ობიექტი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - დამტკიცებული რეგულირების ობიექტების შემოწმება 2016 წლის გეგმის შესაბამისად, გეგმიურად შემოწმებული რეგულირების ობიექტების რაოდენობა გაზრდილია 10%-ით; ინსპექტირებული (მ.შ გეგმიური, არაგეგემიური შემოწმებები და დათვალიერება) ობიექტების რაოდენობა 2016 წელს 2 500 მიაღწევს და ყოველწლიურად 5-10%-ით გაიზრდება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - რეგულირების ობიექტების საქმიანობის შეჩერება დეპარტამენტისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით, რაც შესაბამისად გამოიწვევს შემოწმების მომდევნო წლებში გადადებას, ან ლიცენზიანტების მიერ ლიცენზიის ნებაყოფლობით გაუქმება ან გასხვისება, რაც თავისთავად გამოიწვევს შესამოწმებელი ობიექტების რაოდენობის შემცირებას **3.**

	საბაზისო მაჩვენებელი - სამართალდამრღვევი ობიექტების 65-70% დადგენილ გონივრულ ვადებში ასრულებს გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრის მიზნით განსაზღვრულ ვალდებულებს; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზო მაჩვენებელთან შედარებით ყოველწლიურად 5-10%-ით იზრდება იმ სამართალდამრღვევი ობიექტების რაოდენობა, რომელთაც შეასრულეს გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრის მიზნით განსაზღვრული ვალდებულები; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - შემაკავებელი გარემოს შესუსტება, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს სამართალდამრღვევ ობიექტთა მიერ განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობა **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - დღეის მდგომარეობით 8 საოფისე შენობა (თბილისი, მცხეთა, ქუთაისი, რუსთავი, ბათუმი, თელავი, გორი, ოზურგეთი) და სწრაფი რეაგირების 34 არასრულად აღჭურვილი ეკიპაჟი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2016 წლისთვის აშენებული 4 ახალი საოფისე შენობა (სამცხე-ჯავახეთის, რაჭის, სამეგრელოსა და აჭარის რეგიონში) და სრულად აღჭურვილი სწრაფი რეაგირების 34 ეკიპაჟი, მომდევნო წლებში ყოველ სამსახურს ემატება თითო სრულად აღჭურვილი სწრაფი რეაგირების ეკიპაჟი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5% **5.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ინსპექტირებისა და სწრაფი რეაგირების სამსახურის გადამზადებულ თანამშრომელთა რაოდენობა არ აღემატება სამსახურის თანამშრომელთა რაოდენობის 10%-ს (36 ერთეული); ამ ეტაპზე დეპარტამენტს გააჩნია მხოლოდ ერთი ერთეული მცურავი საშუალება - კატარღა, შესაბამისად, დეპარტამენტს არ ჰქონდა თანამშრომლების აღნიშნული მიმართულებით გადამზადების საჭიროება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2016 წლისთვის გადამზადებულია ინსპექტირებისა და სწრაფი რეაგირების სამსახურის 250 თანამშრომელი, რომელთაც გავლილი აქვთ სწავლება მცურავი საშუალებების სწორი და უსაფრთხო წესით გამოყენების მიზნით; გადამზადებულ თანამშრომელთა რიცხვი ყოველწლიურად 20-25%-ით იზრდება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - კადრების ხშირი მობილობა

სატყეო სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (38 04)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	ტყის მართვის ქმედითი სისტემის ჩამოყალიბების მიზნით სატყეო სექტორის განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავება და ეროვნული სატყეო კონცეფციის დოკუმენტით გათვალისწინებული ქმედებების ეტაპობრივი

	განხორციელება; სატყეო სფეროში არსებული საკანონმდებლო და მეთოდოლოგიური ბაზის სრულყოფა; ტყეების ეფექტურად მართვისა და ტყის ფიზიკური დაცვის გაუმჯობესების მიზნით ეროვნული სატყეო სააგენტოს ინსტიტუციონალური გაძლიერებისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის მართვისა და განვითარების უზრუნველყოფა; სააგენტოს თანამშრომელთა უწყვეტი სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა; სატყეო-სამეურნეო გზების გაყვანის სამუშაოების განხორციელება ახალი ტყეკაფების გამოყოფისა და ათვისების მიზნით; ტყის ჩახერგილობისაგან გაწმენდა, ძირნაყარის გამოტანა და ნარჩენების განთავსება დადგენილი წესით; მოსახლეობის მერქნულ რესურსზე (მ.შ. სათბობი შეშა) მოთხოვნილების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა; ხე-ტყის დამზადების მიზნით შესაბამისი ფართობების გამოვლენა და სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების განხორციელება; ტყის მოვლის და აღდგენის ღონისძიებების განხორციელება; სატყეო უბნებში ტყის დროებითი სანერგეების მოწყობა, სადაც მოხდება ნერგების გაზრდა და უზრუნველყოფილი იქნება ამავე უბნებში ტყის გაშენების ღონისძიებები; ტყეების პათოლოგიური გამოკვლევების ჩატარება და დასკვნების საფუძველზე მავნებლებ-დაავადებების ბრძოლის ღონისძიებების განხორციელება; აქტიურად ხანძარსაშიში სატყეო უბნების იდენტიფიცირება და შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის მინერალიზებული ზოლების მოწყობა, პირველადი ხანძარსაწინააღმდეგო და ცეცხლმაქრი საშუალებებისა და შესაბამისი აღჭურვილობის შეძენა; ტყის აღრიცხვის ღონისძიებების განხორციელება, ტყის მართვის გეგმების შემუშავება და ტყეების მდგომარეობის შესახებ მონაცემების მიღების, ანალიზისა და სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების დაგეგმვის ეფექტური სისტემის დანერგვა;

	სახელმწიფო ტყის ფონდის აღრიცხვის საფუძველზე ტყის ფონდის გარე კონტურების დაზუსტება, ტყის ფონდის ფრაგმენტაციის თავიდან აცილების მიზნით.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საქართველოს ტყეების ეკოლოგიური ფასეულობები, მათ შორის ბიოლოგიური მრავალფეროვნება; ჩამოყალიბებული ტყის ფონდის მართვის ქმედითი სისტემა; აღდგენილი ტყის ეკოსისტემები; გაზრდილი ტყით დაფარული ფართობები; მერქნული რესურსით უზრუნველყოფის მოწესრიგებული სისტემა; განახლებული ინფორმაცია ტყის რესურსების, მათი ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების შესახებ, დაგეგმილი სატყეო ღონისძიებები, დაგეგმილი ტყითსარგებლობა; სატყეო შემოსავლების და სატყეო სექტორის წილის ზრდა ქვეყნის ეკონომიკაში.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - სატყეო სფეროში არსებული არასრულყოფილი საკანონმდებლო და მეთოდოლოგიური ბაზა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შემუშავებული „ტყის კოდექსის“ პარლამენტში წარდგენილი ახალი ვარიანტი შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით; შეტანილია ცვლილებები მოქმედ ნორმატიულ დოკუმენტებში; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - შესაბამისი საკანონმდებლო აქტების მიღება დაგეგმილ ვადაზე გვიან; **შესაძლო რისკები** - შესაბამისი საკანონმდებლო აქტების პროექტების შეთანხმების პროცესის შეფერხება 2. **საბაზისო მაჩვენებელი** - დღეის მდგომარეობით დონორების დახმარებითა და სააგენტოს დაფინანსებით ტყის აღდგენის სამუშაოები განხორციელებულია 80 ჰა-ზე. განხორციელებულია გაშენებული ნარგაობის მოვლის სამუშაოები, გახარების მაჩვენებელი შეადგენს დაახლოებით 75%-ს. შესწავლილი და დაპროექტებულია ნახანძრალი ტერიტორიის 50,0 ჰა ფართობი; სააგენტოს მიერ რეგიონების მიხედვით გამოვლენილია დეგრადირებული ტყის ის ფართობები, რომლებიც საჭიროებენ აღდგენას. ასევე, მოწყობილია ტყის დროებითი სანერგეები, საიდანაც მიღებული ნერგებით ხდება ტყის აღდგენისა და გაშენების ღონისძიებების წარმოება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ტყის აღდგენის სამუშაოები განხორციელებულია დამატებით 10 ჰა-ზე, გაშენებული ნერგების

	მოვლის ღონისძიებები ჩატარებულია 80 ჰა-ზე, ნერგების გახარების მაჩვენებელი შეადგენს საშუალოდ 75%-ს; მოწყობილია ტყის დროებითი სანერგეები 4,5 ჰა.ზე, თესლნერგების გამოსავლიანობა შეადგენს 80%-ს; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - გახარების მაჩვენებელი შესაძლებელია შემცირდეს კლიმატური პირობებიდან გამომდინარე **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - მავნებებელ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის აქტიური ღონისძიებები ხორციელდება 2013 წლიდან. დაზიანებული ტყის ფონდის ტერიტორია შეადგენს დაახლოებით 49 000 ჰა-ს. 2013 წლის პერიოდიდან დღემდე მავნებელ-დაავადებათა პროგრესირების შემცირებისა და ტყეების სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით დამუშავებულია 24 000 ჰექტარი; მავნებელ დაავადებათა პროგრესირება შემცირებულია 50%-ით; ტყეების სანიტარული მდგომარეობა გაუმჯობესებულია 60%-ით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მავნებელ-დაავადებათა პროგრესირების შემცირებისა და ტყეების სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით დამუშავებული 22 000 ჰექტარი; მავნებელ დაავადებათა პროგრესირება შემცირებულია 40%-ით; ტყეების სანიტარული მდგომარეობა გაუმჯობესებულია 50%-ით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5-10%; **შესაძლო რისკები** - კლიმატური პირობები, კონკრეტული მავნებლის/დაავადების წინააღმდეგ ბრძოლისათვის დადგენილი ვადები **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 2014 წლიდან დაიწყო ხანძარსაშიშ უბნებში სპეციალური ნიშნებისა და საინფორმაციო დაფების განთავსება. დღეის მდგომარეობით განთავსებულია 1 000 ერთეულამდე სპეციალური ნიშანი, 9 სატყეო სამსახური აღჭურვილია მხოლოდ პირველადი სახანძრო ინვენტარით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - დამატებით 500 ერთეული სპეციალური ნიშანი და საინფორმაციო დაფა განთავსებული 44 სატყეო უბანში. სატყეო სამსახურების (9 სატყეო სამსახური) აღჭურვის გაუმჯობესება ხანძასაწინააღმდეგო ინვენტარით. ხანძარსაშიშ უბნებში ანთროპოგენული ზემოქმედების შედეგად ხანძრის წარმოშობის რისკები შემცირებული 40-50%-ით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - არასათანადო მოპყრობა; კლიმატური პირობები (მაღალი ტემპერატურის, ქარის გამო შესაძლოა ვერ მოხდეს ხანძრის დროული ლოკალიზება) **5.** **საბაზისო მაჩვენებელი** - გამოყოფილ ტყეკაფებში არსებულ რესურსზე ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი დაბალია; სატყეო-სამეურნეო გზების არარსებობა ან არსებულის ხარისხი ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობისგან მოშორებით მდებარე ტყეკაფების ხელმისაწვდომობას. ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი (ძირითადად სოფლად მცხოვრები) დამოკიდებულია ტყეზე, მერქნული რესურსის მოხმარების მხრივ. მოსახლეობა წლის განმავლობაში ახორციელებს მერქნული რესურსის ათვისებას გამოყოფილი ტყეკაფებიდან; მოსახლეობის და საბიუჯეტო ორგანიზაციების მერქნულ

	რესურსებზე (მ.შ. სათბობი შეშა) მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით გამოყოფილ ტყეკაფებამდე მისასვლელი სატყეო სამეურნეო გზების მოწყობა/რეაბილიტაციის სამუშაოები დაიწყო 2014 წელს, დღეის მდგომარეობით მოწყობილია 260-მდე კმ. გზა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მოსახლეობის მერქნულ რესურსებზე (მ.შ. სათბობი შეშა) მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით გამოყოფილი ტყეკაფები საშუალოდ 700,0 ათ. კუბური მეტრი წლიურად, ტყეკაფების გამოყოფა მერქნული რესურსის მოპოვების სამუშაოების სეზონურობის გათვალისწინებით, ყოველწლიურად არაუგვიანეს აგვისტოს თვისა; ყოველწლიურად მოწყობილ/რეაბილიტირებული ტყეკაფებამდე მისასვლელი 180-200 კმ სიგრძის სატყეო-სამეურნეო გზა, რომელიც ექსპლუატაციისათვის მზად იქნება არაუგვიანეს აგვისტოს თვისა, რითაც ხე-ტყის გამოყოფილ რესურსზე ხელმისაწვდომობა მოხდება სრულად; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10% - ტყეკაფები გამოყოფილია 2-3 კვირის დაგვიანებით; გზები საექსპლუატაციოდ მზადაა 2-3 კვირის დაგვიანებით; **შესაძლო რისკები** - კლიმატური პირობები, სატყეო-სამეურნეო გზების მოწყობის ვადები, გზების მოწყობა-რეაბილიტაციისთვის საჭირო სპეციალური ტექნიკის არასაკმარისი რაოდენობა **6.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ტყის რესურსების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მოძველებულია და არ ასახავს ფაქტიურ მდგომარეობას. ტყის მართვის განახლებული გეგმები შედგენილია მხოლოდ 2 სატყეო უბნისათვის (46 სატყეო უბნიდან), რაც არსებული სახელმწიფო ტყის ფონდის 5 %-ს შეადგენს; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ტყის მართვის გეგმები შედგენილია დამატებით 2 სატყეო (ასპინძა-ახალქალაქი და ახალციხე) უბნისათვის საერთო ფართობით 55 000 ჰა, საერთო ჯამში განახლებული ტყის მართვის გეგმა მოიცავს სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიის დაახლოებით 7,8%-ს; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%, ტენდერის ჩაშლის შემთხვევაში შესაძლოა გადაიწიოს სამუშაოთა შესრულების ვადებმა; **შესაძლო რისკები** - დაბალი კონკურენტუნარიანი გარემო; სამუშაოთა სპეციფიკაციის გათვალისწინებით მცირეა იმ ფირმების რაოდენობა, რომელიც მონაწილეობას იღებენ ტენდერებში. სამუშაოთა სეზონურობა (საველე სამუშაოები)

გარემოს დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება, რეგულირება და მართვა (38 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს აპარატი
პროექტის აღწერა და მიზანი	გარემოს დაცვისა და მოსახლეობის ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა;

	ნარჩენების, ქიმიური ნივთიერებების, წყლის, ატმოსფერული ჰაერის, ბიომრავალფეროვნების სახელმწიფო მართვა; მიწის დეგრადაციასთან ბრძოლის ღონისძიებების განხორციელება; გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებული საქმიანობების ჩამონათვალის სრულყოფა და ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვა; ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაგეგმილი საქმიანობების შესწავლა და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება; ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ფარგლებში განხორციელებული ცხოველთა (მათ შორის საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობების) აღრიცხვის და მდგომარეობის შეფასების საფუძველზე მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა; წითელი ნუსხის მიღმა დარჩენილი ცხოველთა სახეობების მდგომარეობის შეფასება, სანადირო სახეობებად განსაზღვრისა და რიგ შემთხვევაში დაცვის უფრო ქმედითი ზომების დანერგვა; გარემოს დაცვის სფეროში საინფორმაციო კამპანიებისა და ღონისძიებების ჩატარება, სახელმწიფო, არასამთავრობო, ბიზნეს და საერთაშორისო სექტორთან თანამშრომლობის გაძლიერება; დაინტერესებული მხარეებისთვის სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სახელმწიფოს ერთიან ხედვასა და სტრატეგიასთან შესაბამისობაში გარემოს დაცვის სფეროში განხორციელებული სახელმწიფო პოლიტიკა; კანონმდებლობის რეგულაციის ქვეშ მოქცეული ყველა ის საქმიანობა, რომელიც ზემოქმედებას ახდენს გარემოზე; საზოგადოების ცნობიერების ამაღლება გარემოსდაცვით საკითხებზე, გარემოსდაცვით აქტივობებში საზოგადოების ჩართულობა; ცხოველთა, მათ შორის საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობების საწყისი მონაცემების განახლებული ბაზა; საქართველოს ფლორისა და ფაუნის სახეობათა გავრცელების არეალის მდგომარეობის შეფასება და შესაბამისი საკონსერვაციო/აღდგენის მიზნით განხორციელებული ღონიძიებები;

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - დღეისათვის არსებული საკანონმდებლო ბაზა გარემოსდაცვით სფეროში სრულად ვერ აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მიღებულია საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები გარემოსდაცვით სფეროში, ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული რეგულაციების დებულებები ასახულია ეროვნულ კანონმდებლობაში; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - შესაბამისი ნორმატიული აქტების მიღების ვადის გადაწევა; **შესაძლო რისკები** - შესაბამისი ნორმატიული აქტების შეთანხმების პროცედურების შეფერხება 2. **საბაზისო მაჩვენებელი** - ყოველწლიურად საშუალოდ გაიცემა 50-მდე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა; არსებული რეალობის გათვალისწინებით საჭიროა გაიზარდოს საქმიანობების ჩამონათვალი, რომელიც დაექვემდებარება ეკოლოგიურ ექსპერტიზას; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - არსებულ კანონმდებლობაში ცვლილების შემდგომ, ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებული საქმიანობების ჩამონათვალის ზრდის პარალელურად, გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვების რაოდენობის ზრდა 50-70%-ით; გარემოზე მავნე ზემოქმედების დაყვანა გაცემული ნებართვით დასაშვებ მინიმუმამდე; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - წინასწარ უცნობი ექსპერტიზას დაქვემდებარებული ობიექტების რაოდენობა 3. **საბაზისო მაჩვენებელი** - გარემოსდაცვით საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობის მიზნით ეწყობა სხვადასხვა საინფორმაციო კამპანიები გარემოსდაცვითი თარიღების მიხედვით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - აღინიშნება წლის ყველა გარემოსდაცვითი თარიღი და ეწყობა საინფორმაციო კამპანიები (საშუალოდ 35 ღონისძიება); გარემოს დაცვის სამინისტროს საქმიანობაზე და გარემოსდაცვით საკითხებზე საზოგადოების ინფორმირების მიზნით მუდმივად ხდება ვებგვერდის და სოციალური ქსელის განახლება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 0 4. **საბაზისო მაჩვენებელი** - ყოველწლიურად განახლებადი მონაცემთა ბაზა, საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი წინასწარ შერჩეული სახეობების მდგომარეობის შესახებ; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ინფორმაცია ყოველწლიურად საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი სულ მცირე 5 შერჩეული სახეობის რიცხოვნობის და მდგომარეობის შესახებ; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%;

	შესაძლო რისკები - კომისიის მიერ ვერ იქნა შერჩეული სახეობები, რომელთა მონიტორინგიც უნდა განხორციელდეს; შერჩეულ იქნა ისეთი სახეობები, რომელთა მონიტორინგისთვის ბიუჯეტით გამოყოფილი თანხა საკმარისი არ არის, ხოლო დონორების მოძიება ვერ მოხერხდა

ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დაცვა (38 07)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავება, სახელმწიფო რეგულირება და კონტროლის განხორციელება; რადიოაქტიური მასალების, მაიონებელი გამოსხივების გენერატორების, რადიოაქტიური ნარჩენების, მათი მფლობელი ორგანიზაციების და პროფესიული დოზების უწყებრივი რეესტრის შექმნა და მისი წარმოება; რადიოაქტიურ ნარჩენებთან მოპყრობის სახელმწიფო რეგულირება, მართვა და კონტროლი; საქართველოში გარემოს რადიაციული მდგომარეობის მონიტორინგის კოორდინაცია; ბირთვული და რადიაციული ავარიის, ინციდენტის, ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების არალეგალური მიმოქცევის, სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე, საბაჟო და სატრანსპორტო ტერმინალებზე რადიაციული განგაშის შემთხვევებზე რეაგირება; ქვეყანაში არსებული რადიაციული მდგომარეობის შესახებ საქართველოს მთავრობისათვის წარსადგენი ყოველწლიური ანგარიშის მომზადება; ბირთვული და რადიაციული საქმიანობების ავტორიზაცია; ბირთვული და რადიაციული საქმიანობის სახელმწიფო კონტროლი ინსპექტირების განხორციელების გზით;
პროექტის მოსალოდნელი	მოწესრიგებული საკანონმდებლო ბაზა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საერთაშორისო ხელშეკრულებებთან და

საბოლოო შედეგი	შეთანხმებებთან; გაუმჯობესებული რადიოაქტიური ნარჩენების მართვის სისტემა; ელექტროენერგიით, წყლით, ფიზიკური დაცვის სისტემითა და აღჭურვილობით მოწესრიგებული რადიოაქტიური ნარჩენების სამარხი და საცავი; შეფასებული გარემოს რადიაციული მდგომარეობა; მაიონებელი გამოსხივების მავნე ზემოქმედებისაგან დაცული მოსახლეობა და გარემო; სამედიცინო პერსონალისა და პაციენტის დაცვა დადგენილი დოზური ზღვრის გადაჭარბებით დასხივებისგან.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - დღეის მდგომარეობით არსებობს მცხეთის რადიოაქტიური ნარჩენების დროებითი საცავი და სააკაძის რადიოქტიური ნარჩენების სამარხი, რომელთა ინფრასტრუქტურა მოუწესრიგებელია; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ინფრასტრუქტურულად გამართული, ფიზიკური დაცვის სისტემებით უზრუნველყოფილი რადიოაქტიური ნარჩენების 2 ლოკაცია **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - დღემდე არ ხორციელდებოდა საქართველოს რეგიონებში რადიაციის ფონური მაჩვენებლებისა და გარემოში (ნიადაგში, ჰაერში, წყალში) არსებული რადიონუკლიდების მონიტორინგი შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის უქონლობის გამო; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საქართველოს რეგიონებში (ანასეული, აჭარაში ყოფილი სამხედრო ბაზების ტერიტორია, გრიგოლეთი, რიკოთის უღელტეხილი, ტყიბული, ჭიათურა) განხორციელდება რადიაციის ფონური მაჩვენებლებისა და გარემოში (ნიადაგში, ჰაერში, წყალში) არსებული რადიონუკლიდების მონიტორინგი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - რადიონუკლიდების მონიტორინგისათვის საჭირო აღჭურვილობის ტექნიკური გაუმართაობა **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - დღეის მდგომარეობით წლის განმავლობაში საშუალოდ გაიცემა ბირთვულ და რადიაციულ საქმიანობაზე 216 ცალი ლიცენზია და 38 ნებართვა;

	მიზნობრივი მაჩვენებელი - გაკონტროლებული დასხივების დადგენილი დოზური ზღვარი სამედიცინო დაწესებულებებში, დაცული პაციენტები, პერსონალი, მოსახლეობა და გარემო; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - საკანონმდებლო მოთხოვნების შეუსრულებლობა ოპერატორის მიერ

გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობის პროგრამა (38 06)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი
პროექტის აღწერა და მიზანი	სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისთვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფა; გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის ხელშეწყობის უზრუნველყოფა სათანადო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების გზით; გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისთვის - საქართველოს ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის კოორდინაციის უზრუნველყოფა; შესაბამისი სპეციალისტების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზების უზრუნველყოფა; მონაცემების სისტემატიზაციის, მათზე ხელმისაწვდომობის გაზრდისა და გამარტივების მიზნით გარემოსდაცვით მონაცემთა სისტემის შექმნა, გარემოსდაცვითი ინფორმაციის და ანალიტიკური ანგარიშების მომზადებისა და დაინტერესებული საზოგადოებისთვის მიწოდების მოქნილი მექანიზმის უზრუნველყოფა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	გარემოსდაცვითი ინფორმაციის მოძიებისთვის საჭირო წყაროებზე საზოგადოების ხელმისაწვდომობა; სხვადასხვა უწყებაში არსებულ, სათანადოდ დამუშავებულ, ადვილად აღსაქმელ და სანდო გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა; სხვადასხვა კამპანიებისა და პროგრამების ორგანიზების გზით საზოგადოებაში გაზრდილი გარემოსდაცვითი ცნობიერება; შესაბამისი პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების გზით გარემოს დაცვის საკითხებისადმი სხვადასხვა სამიზნე

	ჯგუფების შეცვლილი ქცევა; სპეციალისტების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებების ორგანიზების გზით გარემოს დაცვის სფეროში სპეციალისტების გაძლიერებული შესაძლებლობები; სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვის საჭირო პროგრამული და სამართლებრივი უზრუნველყოფა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - ერთიანი საინფორმაციო სისტემის დანერგვის კუთხით ამ ეტაპზე შექმნილია ატმოსფერულ ჰაერის ანგარიშგების ელექტრონული სისტემა, გარემოზე ზემოქმედების ნებართვების ვებ-რუკა, რომელზეც განთავსებულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ "გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად გაცემული ნებართვები და მასთან დაკავშირებული ინფორმაცია 2014 წლიდან; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ერთიანი საინფორმაციო სისტემის დანერგვის კუთხით შემდგომ ეტაპზე შექმნილია წყლის და ნარჩენების ანგარიშგების ელექტრონული სისტემა და ნებართვებისა და ლიცენზიების მიღების/გაცემის ელექტრონული სისტემა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%, ერთიანი საინფორმაციო სისტემის სრულყოფილად დანერგვა შესაძლოა ვერ მოესწროს დადგენილ ვადებში; **შესაძლო რისკები** - სრულფასოვანი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნისათვის/შემუშავებისათვის საჭირო დრო; პროცესის სრულყოფილად გამართვისათვის საჭირო კადრების სიმცირე 2. **საბაზისო მაჩვენებელი** - საზოგადოებაში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების მიზნით მიმდინარე წელს ჩატარებულია 70 გარემოსდაცვითი ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 1 695-მა ადამიანმა, მათ შორის: 868 მოსწავლემ და 259 სტუდენტმა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საზოგადოებაში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების მიზნით ყოველწლიურად გარემოსდაცვითი ღონისძიებების (70-მდე წელიწადში) მოწყობა, სადაც მონაწილეობას მიიღებს 2 000-მდე ადამიანი, მ.შ. პრიორიტეტულია სკოლამდელი და სასკოლო ასაკის სამიზნე ჯგუფებისთვის და სტუდენტებისთვის ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიების გამართვა, რომელშიც ყოველწლიურად საშუალოდ 600 მოსწავლე და სტუდენტი იღებს მონაწილეობას; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10% 3. **საბაზისო მაჩვენებელი** - გარემოს დაცვის სფეროში სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით 2015 წლის განმავლობაში ტრენინგი გაიარა სულ 300 თანამშრომელმა, მათ შორის 210-მა ტყის მცველმა, დაცული ტერიტორიების 41-მა

	თანამშრომელმა, ცენტრის 10-მა თანამშრომელმა და სამინისტროს სხვადასხვა უწყების 39-მა თანამშრომელმა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ახალი პროფესიების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით მომზადებული შესაბამისი ტრეინინგ/მოდულები სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისათვის; საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სისტემაში დასაქმებულთა ტრეინინგები, საშუალოდ წლიურად 300-მდე თანამშრომლის გადამზადება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი ინტერესიდან გამომდინარე, შესაძლოა ვერ შედგეს ტრეინინგ-ჯგუფები დაგეგმილი რაოდენობით; **შესაძლო რისკები** - საზოგადოების დაბალი ინტერესი ახალი პროფესიების მიმართ; ტრენინგ/მოდულების მოსამზადებლად საჭირო რესურსების სიმცირე

ეროვნული სანაშენე მეურნეობის სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (38 05)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ეროვნული სატყეო სანერგე მეურნეობა
პროექტის აღწერა და მიზანი	სახელმწიფო ტყის ფონდის აღდგენის მიზნით მაღალი ხარისხის წიწვოვანი და ფოთლოვანი ხემცენარეების გამოყვანა; მაღალი ხარისხის ნერგების გამოყვანა ქარსაფარი ზოლების აღდგენა-განაშენიანებისათვის, მუნიციპალიტეტებისა და ქალაქგამწვანების, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კერძო მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის; ტყის ჯიშთა სარგავი მასალის გამოყვანისათვის ტრადიციული მეთოდისა (ღია გრუნტში) და ასევე კონტეინერული მეთოდის (სასათბურე მეურნეობაში) გამოყენება; გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ენდემური ჯიშის ფაუნის წარმომადგენელთა სახეობების აღდგენის და შენარჩუნების ღონისძიებები; საქართველოს „წითელი ნუსხაში“ შეტანილი სახეობების დაცვა-აღდგენის ხელშეწყობა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	გამოყვანილი ტყის შემქმნელი ძირითადი სახეობების ნერგები; გამოყვანილი და მოვლილი საქართველოს წითელ ნუსხაში შემავალი სხვადასხვა სახეობის ნერგები.
საბოლოო შედეგის	

შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წლის ბოლოსთვის ტყის და ქარსაფარი ზოლის შემქმნელი ძირითადი სახეობის მილიონამდე გამოყვანილი ნერგი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2-ჯერ გაზრდილი ტყის და ქარსაფარი ზოლის შემქმნელი ძირითადი სახეობების გამოყვანილი ნერგების რაოდენობა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - სსიპ-ის მოსალოდნელზე ნაკლები საკუთარი შემოსავლები 2. **საბაზისო მაჩვენებელი** - სულ საქართველოში არსებობს „წითელ ნუსხაში“ შემავალი მცენარეების 56 სახეობა, მათ შორის 8 სახეობის 153,0 ათ. ნერგი გამოყვანილი იქნება 2015 წლის ბოლომდე; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მოვლილი 2015 წელს გამოყვანილი საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შემავალი 8 სახეობის 153,0 ათასი ნერგი და გამოყვანილი ნერგების ბუნებაში გადატანის დაწყება, გარემოდან ამოღებული ინდივიდების შევსების მიზნით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 0%

გარემოს დაცვის სფეროში მონიტორინგი, პროგნოზირება, პრევენცია და ბუნებრივი რესურსების მართვა (38 08)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	ჰიდრომეტეოროლოგიურ პარამეტრებზე სტანდარტული და სპეციალიზირებული დაკვირვების სისტემების შეძენა და დანერგვა; ქვეყნის მასშტაბით გეოლოგიურად და ჰიდროლოგიურად საშიში არეალების დადგენა; სტიქიური უბედურების თავიდან აცილების მიზნით, სხვადასხვა სახის დაკვირვების/მონიტორინგის წარმოება და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის გაფართოება (რეაბილიტაცია/მოდერნიზაცია/მოწყობა); სტიქიური უბედურების თავიდან აცილების მიზნით, ადრეული შეტყობინებების სისტემების დანერგვა (ამინდისა და ჰიდროლოგიური პროგნოზების თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისება) სპეციალიზებული აეროლოგიური, აგრომეტეოროლოგიური, ოზონომეტრული და სხვა სახის დაკვირვებების წარმოება; გარემოს დაბინძურების დონის შეფასება, მონიტორინგი, ინფრასტრუქტურის განახლება/მოწყობა;

	გარემოს დაცვის საკითხებთან დაკავშირებით ანგარიშების მომზადება/გავრცელება; ქვეყნის სიმდიდრის – სასარგებლო წიაღისეულის (გარდა ყველა სახის ნახშირწყალბადების) შესახებ ინფორმაციის სრულყოფა, მის შემდგომ მოპოვება და განკარგვა; სანაპირო ზონების ინფრასტრუქტურის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა, სანაპირო ზონებში მიმდინარე მორფოდინამიკურ პროცესებზე უარყოფითი ზეგავლენის თავიდან აცილებისა და რიგ შემთხვევაში აღნიშნული პროცესების გაუმჯობესების გზით; სახელმწიფო გეოლოგიური რუკების შედგენა; სააგენტოსა და საქართველოს „წიაღის შესახებ ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო ფონდში“ დაცული მასალის ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა შემდგომში უფრო ეფექტურად გამოყენებისათვის.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური მოვლენების პროგნოზების გაზრდილი სიზუსტე და გამართლებადობა; შესაძლო სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური მოვლენებით გამოწვეული შერბილებული ეკონომიკური ზარალი; სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური მოვლენებით გამოწვეული ადამიანთა შესაძლო მსხვერპლის გამორიცხვა ან მინიმუმამდე დაყვანა; „დიდი თბილისის“ გეოლოგიური საფრთხეების რუკის შექმნა, რომელიც საშუალებას მოგვცემს სწორად შევაფასოთ მოსახლეობაზე, ინფრასტრუქტურასა და გარემოზე საშიში გეოლოგიური პროცესების შესაძლო ნეგატიური ზემოქმედების რისკი; საქართველოში შავი ზღვის სანაპიროსა და შიდა წყალსატევების ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებული შეფასება, გაზრდილი გარემოს დაბინძურების და ბიორესურსების შესახებ ინფორმაციის სანდოობა და საიმედოობა;

	ატმოსფერულ ჰაერზე დაკვირვების ავტომატური სადგურების მონაცემების საშუალებით ჰაერის დაბინძურებაზე უწყვეტი დაკვირვება და ქალაქების ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების რეალური სურათის მიღების უზრუნველყოფა; შედგენილი 1:200000 მასშტაბის გეოლოგიური რუკების კომპლექტი და მისი ელექტრონული ვერსია ქართულ და ინგლისურ ენებზე, სადაც ასახულია რეგიონში არსებული ქანების პეტროგრაფიული, ლითოლოგიური, სტრატიგრაფიული და მინერალოგიური კვლევების შედეგები; არსებული გეოლოგიური ფონდების ელექტრონულ ვერსიაში გადაყვანით მნიშვნელოვანი ღირებულების ინფორმაციის გადარჩენა, უფრო სრულყოფილი ქვეყნის მინერალურ-რესურსული ბაზა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - სტიქიური გეოლოგიური პროცესების შეფასება საქართველოს მასშტაბით 3 668 დასახლებული პუნქტიდან (მ.შ 1600 სტიქიურად საშიშ უბნად შეიძლება ჩაითვალოს) 1 200 პუნქტში ხორციელდება (33%); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სტიქიური გეოლოგიური პროცესების შეფასება საქართველოს მასშტაბით 3 668 დასახლებული პუნქტიდან 1 600 პუნქტში (44%); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - მოსალოდნელზე დაბალი საკუთარი შემოსავლები; სტიქიური გეოლოგიური პროცესების რაოდენობრივი და მასშტაბური გააქტიურება **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - არსებობს „დიდი თბილისის“ ფარგლებში პირველადი სამოქმედო ინფორმაცია და წინასწარი საინჟინრო-გეოდინამიკური რუკა, რომელიც გადაეცემა ქალაქ თბილისის მერიას; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - „დიდი თბილისის“ ფარგლებში სამოქმედო ინფორმაციის და საინჟინრო-გეოდინამიკური რუკის 100%-ით დეტალიზაცია, რაც 30%-ით გაზრდის ინფორმაციის მასშტაბურობას. შედგენილი საბოლოო საინჟინრო-გეოლოგიური ანგარიში, შესაბამისი დასკვნებით და რეკომენდაციებით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5% (აქ გათვალისწინებულია გეოლოგიური სტიქიის სპეციფიურობა, რომელიც მუდმივ დინამიკაში იმყოფება. აქედან გამოდინარე, შესაძლებელია წარმოიშვას გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების საჭიროება); **შესაძლო რისკები** - ფორს-მაჟორული სიტუაციები **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ზედაპირული წყლებისა და ნიადაგის ხარისხის უკეთ შესწავლის მიზნით აუცილებელია

	მონიტორინგის არეალის გაფართოება. ზედაპირული წყლების ხარისხის შესაფასებლად ამჟამად დაკვირვებები მიმდინარეობს 116 კვეთზე, რაც შეადგენს დაგეგმილი 170 კვეთის 68%-ს, ნიადაგის დაბინძურების მონიტორინგი კი ამჟამად მიმდინარეობს 30 დასახლებულ პუნქტში, რაც შეადგენს დაგეგმილი 85 პუნქტის 35 %-ს; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საშუალოვადიანი პერიოდის ბოლოს წყლის ხარისხის მონიტორინგი მიმდინარეობს 170 წერტილში (წლიური ზრდა 12-15%-ით), ხოლო ნიადაგის დაბინძურების მონიტორინგი - 70 დასახლებულ პუნქტში (წლიური ზრდა - 30%-მდე); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - არასაკმარისი ადამიანური რესურსი - ზედაპირული წყლებისა და ნიადაგის ასაღები სინჯების რაოდენობის მატება საჭიროებს საექსპედიციო სამუშაოების რაოდენობის გაზრდას, რაც შესაბამისად მოითხოვს დამატებით ადამიანურ რესურსს **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - საველე ჰიდრომეტეოროლოგიური ექსპედიციური სამუშაოების მოცულობა საჭირო მოცულობის 50% შეადგენს; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საველე ჰიდრომეტეოროლოგიური ექსპედიციური სამუშაოების მოცულობა ყოველწლიურად გაიზრდება 5%-ით, შედეგად 3-5%-ით ამაღლდება გაზაფხულის წყალდიდობის პროგნოზის გამართლებადობა და 10%-ით გაიზრდება მდინარეებზე წყლის ხარჯების გაზომვის რაოდენობა. აგრეთვე 5%-ით გაიზრდება შესწავლილი მყინვარების რაოდენობა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - ექსპედიციური სამუშაოების მოცულობის ზრდის 20%; შესწავლილი მყინვარების რაოდენობის 20%; გაზომილი წყლის ხარჯების რაოდენობის 10 %; **შესაძლო რისკები** - ქვეყნის ტერიტორიაზე გახშირებული მასშტაბური სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შემთხვევაში ადამიანური რესურსების უკმარისობა **5.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ამჟამად არსებული ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის სისტემა 25%-ით აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებსა და სტანდარტებს. ავტომატური მონიტორინგი უწყვეტ რეჟიმში ტარდება მხოლოდ ქალაქ თბილისში; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ინდიკატორული გაზომვების მეშვეობით ყოველწლიურად 10%-ით გაიზრდება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების დონის შეფასება საქართველოს შემდეგ ქალაქებში: თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი, ზესტაფონი, თელავი, გორი, ახალციხე და ზუგდიდი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - შესაბამისი აღჭურვილობის ტექნიკური გაუმართაობა - შესაძლებელია მოხდეს ინდიკატორული მილაკების მექანიკური დაზიანება, როგორც მონიტორინგის ადგილებზე განთავსების, ასევე ტრანსპორტირების დროს **6.**

	საბაზისო მაჩვენებელი - გეოლოგიურ ფონდებში არსებული ინფორმაციის (ტექსტური, გრაფიკული მასალა და რუკები) ქაღალდის ფორმატიდან ელექტრონულ ვერსიაში გადაყვანა, დაარქივება და შენახვა განხორციელებულია 15%-ით; წლის ბოლომდე იგეგმება სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობისთვის სალიცენზიოდ წინასწარ შერჩეული ობიექტებისათვის 1 300 გეოსაინფორმაციო პაკეტის შედგენა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - გეოლოგიურ ფონდებში არსებული ინფორმაცია დაარქივებული და გადაყვანილი ელექტრონულ ფორმატში; გაგრძელდება სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობისთვის სალიცენზიოდ წინასწარ შერჩეული ობიექტებისათვის გეოსაინფორმაციო პაკეტების მომზადება; გაგრძელდება სასარგებლო წიაღისეულის კადასტრის წარმოება; მთავრობისთვის შექმნილი წიაღის სახელმწიფო ბალანსი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%. საგენტოს გეოლოგიურ ფონდებში დაცულია 20,0 ათასზე მეტი გეოლოგიური ანგარიში, რომელთაგან თითოეული რამდენიმე ტომისაგან შედგება, შესაბამისი ტექსტური და გრაფიკული (რუკები, სქემები, დიაგრამები და ა.შ.) დანართით. მათი სიძველიდან და ცვეთის ხარისხიდან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, რომ ვერ მოხერხდეს მათი სრულყოფილი აღდგენა; **შესაძლო რისკები** - ტექნიკურ უზრუნველყოფაში შეფერხება, ვინაიდან პროექტის განსახორციელებლად გამოიყენება სხვადასხვა სპეციფიკის ტექნიკური აღჭურვილობა (სხვადასხვა ტიპის სკანერები, კომპიუტერები, სერვერები და სხვა), სამუშაოების მოცულობიდან გამომდინარე შესაძლოა მათი დროებით მწყობრიდან გამოსვლა